კვირის პალ
N31 (269) 4/VIII.-10/VIII.2005. ფასი 6

1168
2005
25-33
N31-40
79

ექსკლუზიური ინტერვიუ —

დარბაზში აფრიალებული ერთადერთი ქართული დროშა, ჩვენებურებზე შეყვარებული ლაიმა

და... სასიყვარულო საფანგს გადარჩენილი ნინი შერმადინი

„მე ნინის და სხვა რელიგიის მიმდევრის სავარაუდო სიყვარულს ვერ დავუშვებდი...

რა მოხდა სინამდვილეში იურმალაში...

ბედი კაცისა — სამარის პირას არშემდგარი გასროლა

შეჩერებული წამი

ნალვლიანი თვალები, უკანასკნელი ყარაჩოხელი და... პავ-თეთრი ფოტოს მადლი



„სიგარეტს ეწევა, ლუდსაც სვამს, მაგრამ „დიდ ბიჭად" მაინც ვერ იქცა..."

თემა — ბავშვობაში დარჩენილი მამაკაცი

№16(102) 4.VIII.–17.VIII.05

ოჯახის

მეუნიალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ბედნიერება ჩვენშია

სამწვერა ნერვის დაავადებები

შაქრიანი დიაბეტი და სიმსუქნე

გამოკვლევები ასაკის მიხედვით

სად დავისვენოთ

მთავარი თემა: მუცლის ტკივილი

ფუმფულა თერაპევტები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

 კვირის პალიტრა
№31 (269)
4 - 10 აგვისტო
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„იგი წავა და სხვა მოვა“ ანუ „გაიტანეთ ეს გრენლანდია!..“ 3
მხოლოდ ფაქტები 4
ფესტივალი
დარბაზში აფრიალებული ერთადერთი ქართული დროშა, ჩვენებურებზე შეყვარებული ლაიმა და... სასიყვარულო ხაფანგს გადარჩენილი ნინი შერმადინი 5
პრობლემა
გაპარცული და დამწვარი კოლხური კოშკი, კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭების მოლოდინში 8
სამართალი
აღიარებულ მკვლელობათა სერია, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა 11
კრიმინალი
ადვოკატი ბანკირებს ხულიგნობაშიც ადანაშაულებს 13
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 16
ნამდვილი ამბავი
მოღალატე ქმრის სააგარაკო თავგადასავალი... 16
გზავნილები
გლვაზე გაცნობილმა ადამიანმა ჩემი ცხოვრება გადააბრუნა 18
შეჩერებული წამი
მგლოვიარე ვასო გოკიაშვილის პორტრეტი, თბილისის უკანასკნელი ყარაჩოხელი რანგია და „ფოტოფოთლებით“ დამუშავებული ლითონის ხე 22
თემა
ბავშვობაში დარჩენილი მამაკაცი 25
დასვენება
„ტერმინატორისა“ და შიშველი ზანგი ქალისგან შეშინებული ლელა ოთარაშვილის ტკბილ-მწარე მოგონებები 28
ჯანმრთელობა
- კაკლის უღელიც მკურნალი ყოფილა 30
- საბავშვო ბაღი ლეიკემიისგან იცავს 31
- სარკოიდოზმა ექიმი შეიცვალა 31
საკითხავი ქალებისთვის
- როგორ ავირჩიოთ პარტნიორი და რაზე მეტყველებს ადამიანის სახის ნაკვთები? 32
- სასარგებლო რჩევები 33

ბავშვობაში დარჩენილი მამაკაცი

ბავშვობა ადამიანის ცხოვრების ის ხანაა, რომელშიც ბევრი მოზრდილი ადამიანი სიამოვნებით დაბრუნდებოდა. მაგრამ ვაი, რომ დრო მიდის და უკან დაბრუნება შეუძლებელია. სამაგიეროდ, ზოგს თურმე ბავშვობაში დარჩენა ხელეწიფება. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგის მტკიცე რწმენით, ეს მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ...

25

დარბაზში აფრიალებული ერთადერთი ქართული დროშა და... სასიყვარულო ხაფანგს გადარჩენილი ნინი შერმადინი

„იურმალაში პიარ-კამპანიები წინასწარ დაიგეგმა. რადგან ნინი კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო, შემომთავაზეს, მის გარშემო რომანი აგორებულიყო. უნდოდათ, რომ ნინისა და უზბეკი ბიჭის რომანზე პრესაში ინფორმაცია აეგორებინათ...“

5

აღიარებულ მკვლელობათა სერია, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა

აღმოჩნდა, რომ ყაჩაღობა-მკვლელობათა ამ სერიალიდან ერთ-ერთი ეპიზოდი სინამდვილეში არ მომხდარა. სოფელ ახალკახათის გამგებლის განმარტებით, იმ სახის დანაშაული („ლურსმნის ჩარჭობით კაცის მოკვლა და შემდეგ სახლის გადაწვა“), რომელიც ბაძაღლამ აღიარა, მათ სოფელში არ მომხდარა.

11

„ტერმინატორისა“ და შიშველი ზანგი ქალისგან შეშინებული ლელა ოთარაშვილის ტკბილ-მწარე მოგონებები

„ეს ძალზე დიდი გაბარიტების მქონე შიშველმა ზანგმა ქალმა დააფიქსირა, ვიტრინიდან ლამის გადმოხტა, მოგვდევდა და გვაგინებდა... სანამ მივხვდებოდით, თუ რა ხდებოდა, ყველანი თავქუდმოგლეჯილები გავრბოდით...“

28

ტაძარი

რა არის დასჯის მიზანი? 34

ბედი კაცისა

სამარის პირას არშემდგარი გასროლა 35

ვარსკვლავები

ყველაზე ერთგული ჰოლივუდური წყვილი 37

ბომონდი 40

ქართული დეტექტივი

ლუბა ელიავილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42

ასპარეზი

გაურ სვანაძე – ქართველი, რომელსაც შვიდი ქალების გაწვრთნას სთავაზობდნენ 46

ავტო 49

საზღვრებს მიღმა

ალტისტის დიპლომით დაწყებული დირიჟორის კარიერა 50

მონადირე

ნომერში ჯდომა – წახალისებად, მგლის ნაცვლად მოკლული ტახი და „მეთევზე“ ბელი 52

მოდა

დიზაინერი ქალებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებას ურჩევს 54

ფავორიტები

ლუიზ ფიგუ: „რეალში“ დარჩენა მსურს, მაგრამ... 56

ასტროლოგია

როგორ მოვინადიროთ საყვარელი ქალის გული 58

ჰოროსკოპი

კვირის (4-10 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

გადაისდით თუ არა ვერცხლის ქორწილს? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

შემჩერებული წამი



„...გაუკვირდა: ეს რა გამოჩენილი ხალხისთვის გადაგიღია ფოტოები! მიდი, ერთი, ჩემი სურათიც ჩამოკიდეო... სხვათა შორის, სიტყვა – „კახი“ სომხურად „ჩამოკიდეს“ ნიშნავს. მეც სომხურად მივუგე: კახის სურათს ჩამოვკიდებ-მეთქი. მიმიხვდა, რასაც ვამბობდი და გაეღიმა...“

22

ყველაზე მრთგული ჰოლივუდური წყვილი

პოლს მოეჩვენა, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში დრო გაჩერდა. შემდეგ ირგვლივ ყველაფერი კვლავ გაცოცხლდა, აზუზუნდა, ათასგვარი ბგერით ახმაურდა, ნიუმენს კი ვერ გაეგო, რა უნდოდა მისგან მარგინს, რატომ ექაჩებოდა სახელოზე და საერთოდ, რას აკეთებდნენ ამ უბადრუკ სასადილოში...

37

ნომერში ჯდომა – წახალისებად, მგლის ნაცვლად მოკლული ტახი და „მეთევზე“ ბელი

„ორმა კაცმა ძლივს გამოვათრიეთ მაყვლის ბუჩქებიდან. სიკვდილის მიზეზი კი, მაშინვე გავარკვიეთ: მხარი, კისერი და წინა მარჯვენა ფეხი ჰქონდა ტროსში მოყოლილი, ჯაჯგურისგან კი, ტყავი ჩაჭრილი. ბევრი სისხლი დაკარგა.“

52

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიავილი



სხვა სიტუაციაში ასეთ თავხედს საუბარს ნამდვილად არ გავუბამდი, მაგრამ ახლა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემ წინ სწორედ ის ბაკური იდგა, ვის უკეთ გასაცნობადაც გამოვასკდი ამ დილაადრიანად ქუჩაში, ამიტომ შანსი ხელიდან არ გავუშვი.

42

„იგი წავა და სხვა მოვა“

ანუ „გაიცანეთ ეს გრენლანდია!..“

ორ საუკუნეზე მეტია, ოფიციალურ მოსკოვს თვალზე ცრემლით ვეევედრებით, გაიყვანოს თავის ჯარი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „მოსკოვს ცრემლების არ სჯერაო“... რა არ ვცადეთ: ხან ელჩი გამოვცვალეთ, ხან მინისტრი და ხანაც – პრეზიდენტი, მაგრამ გაჯიუტდა რუსეთი „ნამყენი ვირივით“. ბევრიც ვიყვირეთ, გაიტანეთ ეს თქვენი გრენლანდია-თქო, მაგრამ რუსეთს ყვირილით რას შეაშინებ, „ტანკისტი იყო ომამდე“...

ბოლოს ისევ ქალის ჭკუამ გაჭრა და ჩვენმა ქალბატონმა მინისტრმა ისე მოაწერინა ხელი ბაზების გაყვანაზე მის რუს კოლეგას, რომ საცოდავი ლავროვი აზრზეც არ მოსულა. მოკლედ, 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი 2005 წელს მოსკოვში გაუქმდა და რუსეთიც შეუდგა საქართველოში „ჩემოდნის ჩალაგებას“.

არ ინდომებენ და არ ჩქარობენო, ვერ იტყვი რუს ოფიცრებზე. მაგრამ რად გინდა?! ერთ დროს მსოფლიოზე შიშის ზარის დამცემი რუსული ტექნიკა მოუვლელობისაგან ჯართად ქცეულა და მისი ფასი დღეს ტონა – 30 ლარია. ქვემეხები სასროლად აღარ, მაგრამ ბელურების ბუდედ ვარგისია. მგონი, ტოტლებენის ჯარს რომ ქვემეხები ჩამოჰყვა, ისინია დღესაც.

მანქანებზე ხომ ლაპარაკიც აღარაა: ბათუმი-თბილისის „მარშრუტკა“ ორ რეისს ასწრებს დღეში; ამათი მანქანები კი ერთი კვირა მოუნდნენ ბათუმიდან მცხეთაში ჩამოსვლას. ზოგს საბურავი გაუსკდა, ზოგს კარდანი ჩამოუვარდა, ზოგმაც საერთოდ „დაღაფა სული“. მერე ბუქსირით ჩაებნენ ერთმანეთს და „მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა, სამარემდე მიმათრიეო“, – ზუსტად ისე იყო მაგათი საქმე.

ზარ-ზეიმით გავაშუქეთ ჟურნალისტებმა ბაზების გაყვანის მორიგი „წარმატებული“ ეტაპი. არადა, ცხრა სატვირთო ცარიელი მანქანა გადავუშვით ლარსის საბაჟოზე, ანუ ცხრა რუსი ჯარისკაცით შევამსუბუქეთ ქართული მიწა. ნამდვილად „დიდი მიღწევაა“. თურმე მეათეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩამორჩენია სხვებს და მერე ლონდრესავით კითხულობდა გზადაგზა, – აქეთ ჯარს ხომ არ ჩაუვლიაო?!.

გაცილების ცერემონიაში, რა თქმა უნდა, მეც მივიღე ჩემი პროვოკატორული მონაწილეობა. ერთ-ერთ მძღოლს მართალია, ტექნიკური სპირტის ისეთი ოხშივარი ამოსდიოდა პირიდან, რომ 2 მეტრის რადიუსში კოღო და ბუზი დარეტიანებულები ცვიოდნენ მიწაზე და იმ მძღოლმა ვერც კაბინაში დაჯდომა მოახერხა ჩემი დახმარების გარეშე, მაგრამ ისეთი სიამაყით მითხრა – თუ რამე გაგიჭირდეთ ქართველებს, აქა ვარო, – მივხვდი, რომ საქართველოს გადარჩენის „ბოლო იმედს ვკარგავდით“.

იგი წავა და სხვა მოვაო – ესეც მართალი ყოფილა. რა გადაიტანდა რუსეთის ბაზების გაყვანით მიღებულ ტკივილს, რომ არა ამერიკის ჯარები! თან გვყვებიან მათი ოფიცრები, აქეთ ტანსაცმელიო, იქით იარაღიო, გაკვეთილებსაც უფასოდ გვიტარებენ, ჩვენ გასწავლით, როგორ უნდა დაიცვათ ქვეყანაო...

მგონი, ვერც ესენი არიან „კარგად“! თქვე დალოცვილებო, თქვენი ჯარი და ოფიცრები თუ ჩამოვლენ საქართველოში, მე რაღად მინდა სწავლა; აგერ ხართ და ბარემ თქვენ დაიცავით, მე გიყურებთ. შენ თუ ჩემთან იქნები, ვისგან დამჭირდება თავის დაცვა, მომკალი და ვერ გავიგე.

ასე რომ, ჩამოვხსნათ აბრა „დაბრო პოჟალოვატ ვ გრუზიუ“ და დავკიდოთ ახალი – „ველქომ თუ ჯორჯია“.

P.S. *ამერიკელი ოფიცრის ინსტრუქტაჟი ქართველ ჯარისკაცებს:*

– რიგითო ტყემალაძე!

– დიახ, სერ!

– აბა მითხარი, როგორ უნდა მოიქცე, თუ მტერი გიტევს?

– ვაცხადებ განგაშს, ვაღვიძებ ბატალიონს, ვიღებთ იარაღს და ვებრძვით, სერ.

– სწორია. თუ ვერ ვუმკლავდებით, მაშინ რას შვები?

– არ ვიცი, სერ.

– დასახმარებლად მიმართავ ამერიკულ ბაზას. გასაგებია?

– გასაგებია, სერ, მაგრამ შეიძლება, ბატალიონი არ გავაღვიძო და ბარემ პირდაპირ ამერიკულ ბაზას მივმართო?!

პროვოკატორი

დუბაიში დაკავებული ქართველების საქმეს არაბთა გაერთიანებული საემიროების გენპროკურატურა განიხილავს

საქართველოს საგარეო საქმეთა საკონსულო დეპარტამენტის ინფორმაციით, დუბაიში, სასტუმრო „სითი სთარში“ 29 ივლისს დაკავებულ საქართველოს ხუთ მოქალაქესთან დაკავშირებით, ადგილობრივმა პროკურატურამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო. იმის გათვალისწინებით, რომ დაკავებული ხუთი მოქალაქიდან ერთ-ერთმა აღიარა ძარცვაში მონაწილეობა, ხოლო დანარჩენ ოთხ მოქალაქეს ადგილობრივმა პროკურატურამ, მტკიცებულების არქონის გამო ბრალი ვერ წაუყენა, საქმე დამატებითი ძიებისთვის საემიროების გენპროკურატურას გადაეცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთი დაკავებულის მეუღლემ, ეკა ჭეჟიამ (რომელიც დუბაიში ქმართან ერთად ისვენებდა) განუცხადა, დუბაიში საქართველოს მოქალაქეების დაკავებასთან დაკავშირებით, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში საქართველოს კონსული სანდრო ჭელიძე ჩავიდა და მათი ოჯახის წევრებს შეხვდა.

ისინი და დუბაის წინასწარი დაკავების საკანში მყოფი ქართველების ადვოკატები იმედოვნებენ, რომ საემიროების გენპროკურატურა საქართველოს ხუთი დაკავებული მოქალაქიდან ოთხს გაათავისუფლებს. ■

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის სურვილი 74-მა უცხოელმა გამოთქვა

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც გააგრძელებენ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, ისინი უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ეროვნული გამოცდის გარეშე ჩაირიცხებიან.

ჩვენს ქვეყანაში სწავლის გაგრძელების სურვილი 74-მა უცხოელმა მოქალაქემ გამოთქვა და განათლების სამინისტროს, შესაბამისი განცხადებით მიმართა.

სამინისტროს ინფორმაციით, უმაღლეს სასწავლებლებს უცხოელი მოქალაქეების მიღება გარკვეული კვოტის ფარგლებში შეუძლია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს აკრედიტაციის შედეგად დადგენილი კონტინგენტის 10%-ს. უცხოელთა მიღება ძირითადად, არაქართულ სექტორზე წარმოებს, თუმცა, თუკი უცხოელი სტუდენტი ქართულ სექტორზე სწავლის სურვილს გამოთქვამს, იგი ადგილზე გაივლის ქართული ენის კურსს. სწავლა ფასიანია და როგორც სამინისტროში აცხადებენ, მათთვის საფასური, ადგილობრივ მოქალაქეებთან შედარებით, მაღალია.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველ უცხოელთა უმეტეს ნაწილს სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხვა სურს. ■

ივლისში ქვეყანაში აივ-ინფიცირებულთა რიცხვი 19-ით გაიზარდა

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ცნობით, ინფიცირების 19 ახალი შემთხვევიდან, მხოლოდ შვიდია გამოვლენილი თბილისში, დანარჩენი – იმერეთის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებზე მოდის. შიდსის ცენტრის ინფორმაციით, თუ ადრე, შემთხვევების უმრავლესობა ინტრავენურ ნარკომანებზე მოდიოდა, ბოლო დროს გამოვლენილია ჰეტეროსექსუალური გზით დაინფიცირების შემთხვევები. ივლისში დარეგისტრირებული 19 ინფიცირებულიდან, 4 ქალი და 15 მამაკაცია. საქართველოში შიდსის პირველი შემთხვევის (1989 წ.) გამოვლენიდან დღემდე, 756 შემთხვევაა დარეგისტრირებული. ■

სალომე ზურაბიშვილი მასმედიას ფაქტისადმი „არაჯანსაღ დამოკიდებულებაში“ ადანაშაულებს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, შესაბამის მითითებას ქართველი დიპლომატები უახლოეს მომავალში მიიღებენ. ზურაბიშვილის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება, 29 ივლისს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მომხდარი ფაქტის მიმართ ქართული მასმედიის „არაჯანსაღი დამოკიდებულებით“ არის განპირობებული. სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ მასმედიის მიერ ძარცვაში ეჭვმიტანილების გვარსახელების გამომზეურება არაეთიკურია.

„მე რომ მათი ოჯახების ადგილზე ვიყო, თქვენ სასამართლოში გიჩივლებდით. სანამ დუბაიში საქმის გამოძიება ბოლომდე არ მივა და კონკრეტული გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული, საქართველოს საგარეო უწყება ამ საკითხის კომენტირებისგან თავს

შეიკავებს“, — აღნიშნა მინისტრმა. მისივე თქმით, მსგავსი თემის აფიშირება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საქართველოს იმიჯს საერთაშორისო სარბიელზე. ■

პარიზის სენტ-ვინსენტ-დე-პოლის საავადმყოფოს მორგში 351 ახალშობილის ნეშტი აღმოაჩინეს...

ახალშობილთა ნეშტები იქ უკანონოდ ინახებოდა. როგორც საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრმა, კსავიერ ბერტრანმა განაცხადა, ამასთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ფრანგული პრესის ინფორმაციით, ზოგიერთი ცხედარი მორგში 1985 წლიდან ინახებოდა(!). ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, ცხედრების კრემაცია 10 დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს. ამის თაობაზე გამოცემული ცირკულარი საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2001 წელს გამოსცა. ამჟამად პოლიცია არკვევს, თუ რატომ ტოვებდნენ საავადმყოფოში ნეშტებს. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა ქვეყნის ყველა სამშობიარო სახლის დაუყოვნებლივ შემოწმება მოითხოვა და ამ მიზნით, საგანგებო კომისია შექმნა. ■

რუბრიკა მომზადებულია საგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

ნდობის ტელეფონი

822-009-099

ზარი ფასიანია. 18 წლიდან

ლარბაზში აურიალებული ერთადერთი ქართული ლოზუნგი, ჩვენებურებზე შეყვარებული ლაიმა და... სასიყვარულო ხაფანგს გადარჩენილი ნინი შერმადინი

გასულ კვირას, ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს იურმალაში მიმდინარე კონკურს „ახალ ტალღას“, რომელშიც 3 ქართველი მომღერალი — სოფო ნიჟარაძე (სოფი), ბესიკ შპეტიშვილი (ბრენდონ სტოუნი) და ნინი შერმადინი მონაწილეობდა. ნინი, პირველი ორისგან განსხვავებით, საქართველოს სახელით გამოდიოდა. ჩვენც, რასაკვირველია, უფრო მეტი მონდომებით ნინის ვგულშემატკივრობდით, თუმცა გასული წლების მწარე გამოცდილება იმედებს, ცოტა არ იყოს, გვისუსტებდა: ჩვენში კარგ მომღერლებად ცნობილი ქართველები იურმალას დამარცხებულები ტოვებდნენ ხოლმე. სოსო პავლიაშვილის შემდეგ, პირველი ადგილი არც ერთ ჩვენებურს არ დაუკავებია...

იურმალაში წლევანდელ კონკურსზე მომხდარ ამბებზე დღეს, თავად ნინი შერმადინი და მისი პროდიუსერი, მაია ყიფიანი გვიამბობენ.

მერი კობიაშვილი

— ნინი, როგორი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდი იურმალიდან?

— იურმალიდან ძალიან დადებითი ემოციებით დატვირთული ჩამოვედი. კონკურსის რეჟისორთან, ალექსანდრ რევზინთან მუშაობისას, დიდი გამოცდილება შევიძინე. ჩემთვის დიდი პატივია, 16 წლის ასაკში ამხელა წარმატების მიღწევა.

— ყველაზე კარგად კონკურსის რომელი დღე დაგამახსოვრდა?

— კონკურსის პირველ და ბოლო დღეს ძალიან ბევრი ვინერვიულე. პირველ დღეს მეუბნებოდნენ — ფესტივალის ფორმატის სიძღერას არ მღერი და ნულებს დაგიწერენო... კონკურსზე პირველად რომ გამოაცხადეს ჩემი გვარი, მაშინაც ძალიან ვინერვიულე, მივხვდი, როგორ მიყვარდა ჩემი სამშობლო... ბოლო დღეს, ლაიმა ვაიკულეს პრიზის ჩემთვის მონიჭებამაც ძალიან გამაკვირვა. ჩემი რეაქციით ამას ყველა ადვილად მიხვდებოდა.

— კონკურსზე ნინოთი რატომ მოგმართავდნენ? რატომ გადაწყვიტე, იურლმალაში ნინის მაგივრად, ნინო ყოფილიყავი?

— ასე ჩემმა პროდიუსერმა, მაია ყიფიანმა გადაწყვიტა. სახელი ,,ნინი'' ქართულად არ ჟღერს. ამიტომ ვამჯობინეთ, ,,ნინოთი'' გავცნობოდი კონკურსის მონაწილეებსა და მაყურებლებს.

— როგორ ფიქრობ — „ახალ ტალღაზე“ შენი შესაძლებლობები ბოლომდე გამოამჟღავნე?

— ჩემი თავის ბოლომდე კმაყოფილი არასოდეს ვარ. რა თქმა უნდა, შემეძლო, უკეთესად გამოვსულიყავი კონკურსზე, უფრო კარგად რომ მოვმზადებულიყავი. იურმალაში გამოსვლამდე, სულ რაღაც ერთი კვირით ადრე დავიწყე ახალი სიმღერების შესწავლა. საკუთარი თავის უკეთ

გამოსავლენად, რამდენიმე ხელის შემშლელი ფაქტორი მქონდა: კონკურსის მესამე დღეს, ფონოგრამა ძალიან დაბალ ხმაზე იყო ჩართული, შემაცვლევინეს სიმღერა, რომელიც თბილისიდან მქონდა წაღებული. ამის გამო ძალიან ვღელავდი. როცა კონკურსზე მიდიხარ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის მზად უნდა იყო, მაგრამ მე პროფესიონალ მომღერლობამდე ბევრი მიკლია. გპირდებით, რომ ჩემს ყველა ნაკლს მომავალში აუცილებლად გამოვასწორებ და ქართველები ჩემით იამაყებთ...

— მაყურებელთა შორის, ბევრი ქართველი იყო? მათთან უშუალო კონტაქტი თუ გქონდა?

ყველაზე მეტად, ვერკა სერდიუჩკას ყურადღებამ გამაოცა.

— კონკურსს ბევრი ქართველი ესწრებოდა. დარბაზში ერთი ქართული დროშაც ფრიალებდა. ეს დიდ ძალას მმატებდა. გვერდში მედგა ქართველი „ლეგიონერის", რეზო ძოძუაშვილის ოჯახი. თბილისიდან ყოველდღე მირეკავდნენ და მამხნევებდნენ: ლელა წურწუმია, თემურ თათარაშვილი, მერაბ სეფაშვილი და ნატო დუმბაძე. მინდა, ვინც იმ დღეებში მხარში მედგა და მგულშემატკივრობდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო.

— კონკურსანტებს შორის, ყველაზე მეტად რომელს დაუახლოვდი?

— ყველაზე ახლოს სოფო ნიჟარაძესთან ვიყავი. ისედაც, ყველა ერთმანეთთან ძალიან თბილ დამოკიდებულებაში ვიყავით. მე სხვა კონკურსებზე მსგავსი მეგობრული ურთიერთობები არ მინახავს. როცა სიმღერის არჩევასთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, აბსოლუტურად ყველა კონკურსანტი მთავაზობდა დახმარებას.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ქართველები ვიყავით (ნინი შერმადინი, კომპოზიტორი იგორ კრუტოი და მაია ყიფიანი)

— მიუხედავად შენ ასაკისა, უკვე ბევრ კონკურსში მიგიღია მონაწილეობა: „ნუცას სკოლაში", „ჯეოსტარში", ბოლოს — „ახალ ტალღაში". მომავალში, კონკურსებში მონაწილეობას კიდევ აპირებ?

— რა თქმა უნდა, კონკურსებში მონაწილეობას კვლავაც ვაპირებ. მომღერლისთვის აუცილებელია საკუთარი ძალების მოსინჯვა. დიდი სიამოვნებით წავიდოდი სხვა კონკურსზე, ოღონდ — ისევ საზღვარგარეთ.



ბოლო დღეს, ლაიმა ვაიკულეს პრიზის ჩემთვის მონიჭებამაც ძალიან გამაკვირვა

— ჟიურის წევრებიდან, ქართველებს განსაკუთრებით თბილად ლაიმა ვაიკულე და ძმები მელაძეები ეპყრობოდნენ. ქართველებისადმი მელაძეების დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ ლაიმას გული როგორ მოიგეთ?

— ვერ გეტყვი, რით დავიმსახურეთ მისი სიყვარული. ბატონი რევზინი ყველა კონკურსანტს გვეუბნებოდა — გაეცით თქვენი სითბო და სიყვარული და ის აუცილებლად დაგიბრუნდებათო. მართლაც ასე მოხდა. ჟიურისა და დარბაზის მხრიდან ძალიან დიდ სითბოს ვგრძნობდი. ყველაზე მეტად, ვერკა სერდიუჩკას ყურადღებამ გამაოცა. ვერკა ძალიან არაკონტაქტურია, სულ დაცვასთან ერთად დადის და არ აინტერესებს, მასთან ერთად კონცერტზე ალა პუგაჩოვა გამოდის თუ სხვა ვარსკვლავი... ერთ დღეს, ვერკა ჩემთან მოვიდა და მითხრა — შენ ყველაზე ლამაზი და განსაკუთრებული ხარო. ასეთი სითბოს გამოხატვა, რა თქმა უნდა, ჩემთვის ბევრ რამეს ნიშნავს. ამ ყველაფრის განცდისა და ნახვის საშუალება რომ მომცა, მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ტელეკომპანია „იმედის" გენერალურ დირექტორს, ბიძინა ბარათაშვილს და ბატონ ბადრი პატარკაციშვილს. როგორც გავიგე, ორივე ძალიან „მბალელშიკობდა" და ჩემს ამბებს სულ კითხულობდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი დიდი ადამიანები ასე დამიდგებოდნენ გვერდში.

— შენ კონკურსის ხუთივე დღეს, პრიზის — „მაყურებლის სიმპათია" კანდიდატი იყავი. გული არ დაგწყდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს პრიზი შენ არ გერგო?

— იურმალაში „მაყურებლის სიმპათიის" მიღება ძალზე პრესტიჟულია. მის მფლობელს ბევრ რამეს დაჰპირდნენ, თუმცა, ყაზახელ გოგოს, რომელმაც „მაყურებლის სიმპათია" დაიმსახურა, მხოლოდ ბეჭედი გადასცეს. ჩემი პროდიუსერი, მაია მეუბნებოდა — ფინანსური თვალსაზრისით, შენ გაცილებით უკეთესი პრიზი გერგოო.

— ნინი, წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, რა გეგმები გაქვს? სწავლის გაგრძელებას არ აპირებ?

— იურმალაში წასვლის გამო, მისაღებ გამოცდებში მონაწილეობა ვერ მივიღე. სექტემბრიდან მომზადებას ვაპირებ. ჩემი

დიდი სურვილია, საბუთები იურიდიულზე ან ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შევიტანო. ამ ორ პროფესიას შორის არჩევანი ჯერ არ გამიკეთებია.

— პროფესიონალურ მომღერლობას რატომ არ აპირებ?

— მომღერლობის მიტოვებაზე არც მიფიქრია. მუსიკაში მეცადინეობას კვლავ გავაგრძელებ. გპირდებით, ერთ წელიწადში დავიხვეწები და კარგი მომღერალი გავხდები.

გპირდებით, რომ ჩემს ყველა ნაკლს მომავალში აუცილებლად გამოკასწორებ და ქართველები ჩემით იამაყებთ...

— მოდი, ახლა პირად ცხოვრებაზეც გვიამბე.

— ჩემს ცხოვრებაში არანაირი სიახლე არ არის — ანუ შეყვარებული არ მყავს.

— „ახალ ტალღაში“ მონაწილეობამ თაყვანისმცემლები არ შეგძინა?

— კონკურსის სომეხი მონაწილე, არმანი სულ კუდში დამდევდა. ძალიან ბევრი სურათი გადამიღო. განსაკუთრებით ჩემი თვალები მოსწონდა. მეუბნებოდა — ასეთი ლამაზი თვალები ცხოვრებაში არ მინახავსო. მოკლედ, ბიჭი გაგიჟებული იყო...

ჩვენს საუბარში ნინის პროდიუსერი, **მაია ყიფიანი** *ჩაერთო:*

— ნინისთვის არ მითქვამს მის კიდევ ერთ სავარაუდო თაყვანისმცემელზე. იურმალაში პიარ-კამპანიები წინასწარ დაიგეგმა. რადგან ნინი კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო, შემომთავაზეს, მის გარშემო რომანი აგორებულიყო. უნდოდათ, რომ ნინისა და უზბეკი ბიჭის რომანზე პრესაში ინფორმაცია აეგორებინათ... კატეგორიული უარი ვუთხარი. შეიძლება, ვინმემ თქვას, ცუდი ბიჭი სულაც არ იყოო, მაგრამ მე ჟურნალებში ქართველი გოგონასა და უზბეკი ბიჭის სიყვარულის ამბავს დავაწერინებდი?!. ეს თვითონ კონკურსის პოპულარიზაციას შეუწყობდა ხელს. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა რელიგიის ახალგაზრდების სიყვარულის ამბავი შეიძლება, ვინმესთვის კარგი პიარია, მაგრამ მე ნინისა და უზბეკი ბიჭის სავარაუდო სიყვარულის ამბავს არ აღვუფრთოვანებივარ...

— მაია, კონკურსიდან როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით? თქვენ იმ ადამიანთა შორის ხართ, ვინც ნინის წარმატება-წარუმატებლობას პირველი განიცდიდით...

— ეს ემოციები ყველაზე მეტად ჩემს ხმას დაეტყო: იქიდან რომ ჩამოვედი, ერთი დღე საერთოდ ვერ ვლაპარაკობდი, ისე მქონდა ხმა ჩახლეჩილი... თვითონ კონკურსით ძალზე კმაყოფილი ვარ. სულ ჩასაფრებული ვიყავი, ვფიქრობდი — სად რა შეეშლებათ-მეთქი?.. გარწმუნებთ, თუ რაიმე დარღვევას შევამჩნევდი, არ გავჩუმდებოდი. ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი, კონკურსის პირველიდან — ბოლო დღემდე. ყველა პროდიუსერს დღეში რამდენჯერმე გვეკითხებოდნენ, თუ რა გვჭირდებოდა, რომ თავი კომფორტულად გვეგრძნო. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ქართველები ვიყავით.

— ასე იმიტომ ხომ არ ხდებოდა, რომ ქართველებს თავიდანვე ფავორიტებად მიიჩნევდნენ?

— სიმართლე გითხრათ, ნინიმ რეპეტიციებზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. თბილისიდან ჩატანილი ერთი სიმღერა რომ მოუხსნეს, ძალიან ინერვიულა. კონკურსის პირველ დღეს, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრი აღნიშნავდა, რომ მას ყველასგან განსხვავებული ხმის ტემბრი აქვს. მისი ერთადერთი ნაკლი ალბათ ის იყო, რომ ძალიან ნერვიულობდა. ეს კონკურსი ჩემთვისაც პირველი იყო. მხოლოდ ალღოთი ვგრძნობდი, თუ რა და როდის უნდა მეთქვა. ვფიქრობ, როგორც პროდიუსერს, შეცდომა არ დამიშვია... ერთადერთი პრობლემა, სიმღერის არჩევა გახლდათ. კონკურსის ორგანიზატორებს უნდოდათ, რომ ნინის „ჩიტო-გვრიტო“ ემღერა, მაგრამ მიხვდნენ, რომ 16 წლის გოგო ასეთ სიმღერას ვერ შეასრულებდა. მერე უნდოდათ, რომ „ყვავილების ქვეყანა“ ემღერა. სოსო პავლიაშვილსაც კი გაუგზავნეს თხოვნა, ნინისთვის ეს სიმღერა გამოეგზავნა. ჩვენ თბილისშიც ბევრს ვთხოვეთ დახმარება. სამწუხაროდ, ზოგიერთმა მომღერალმა ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ დატოვა. იურმალაში უკვე ირონიულად გვიყურებდნენ... ბოლოს, როცა კომპიუტერში ლელა წურწუმიას გამოგზავნილი 22 სიმღერა ნახეს, ტონი შეეცვალათ (მათ ხომ არ იცოდნენ, რომ ყველა გამოგზავნილი სიმღერა ლელას რეპერტუარიდან იყო).

— თბილისიდან წაღებული სიმღერა რატომ დაგიწუნეს?

— ჩვენ გვინდოდა, კონკურსის მესამე დღეს, ალექსანდრე ბასილაიას სიმღერა გაგვეტანა (ტექსტი რუს პოეტ ტანიჩს ეკუთვნის). იურმალაში სიმღერის მუსიკალური მხარის მიმართ ნაკლები პრეტენზია ჰქონდათ, ტექსტზე გადაირივნენ, ამბობდნენ — ხალხს ამ ბოდვას არ მოვასმენინებთო... რევზინი ამბობდა — ეს შემთხვევა იმის კლასიკური მაგალითია, როცა ორი „მასტერი“ დაჯდება და ვერაფერს საინტერესოს და ღირებულს ვერ შექმნისო... ნინის ერთი რუსული სიმღერაც შესთავაზეს, მაგრამ მას რუსულში ცოტა უჭირს. ბოლოს და ბოლოს, ანრი ჯოხაძის სიმღერაზე შევაჩერეთ არჩევანი. ■

უნდოდათ, რომ ნინისა და უზბეკი ბიჭის რომანზე პრესაში ინფორმაცია აეგორებინათ... (მარგინი — უზბეკეთიდან)



კონკურსის სომეხი მონაწილე, არმანი სულ კუდში დამდევდა, მეუბნებოდა — ასეთი ლამაზი თვალები ცხოვრებაში არ მინახავსო (არმანი — სომხეთიდან)

გაძარცული და დამწვარი ჯოლხური ჯუმჯი ჯულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭების მოლოდინში

უნდა მიენიჭოს თუ არა კოლხურ კოშკს კულტურის ძეგლის სტატუსი და რისი აშენება იგეგმებოდა მის მიმდებარე ტერიტორიაზე? ეს ის საკითხია, რომლის გამოც, რამდენიმე დღის განმავლობაში, კულტურის სამინისტროს წინ აქცია იმართებოდა, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და კოლხური კოშკის მეურვის, ბატონი გურამ შარაძის თაოსნობით... მიენიჭება თუ არა კოლხურ კოშკს ძეგლის სტატუსი? რატომ სჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემას 6 თვე, რატომ მისწერეს ქალაქის არქიტექტურულ სამსახურს კულტურის სამინისტროდან წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახლი არ ითვლება ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობად და რა შეიცვალა ამ თემის ირგვლივ რამდენიმე დღის განმავლობაში?..

1947 წელს, გალის ქუჩაზე დაიწყო კოლხური კოშკის მშენებლობა, რომელშიც ბატონი კონსტანტინე და მისი ოჯახის წევრები 1957 წელს გადავიდნენ და სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდნენ (კონსტანტინე და თამარი)

ლიკა ქაჯაია

გურამ შარაძე:

— ბატონი კონსტანტინე გამსახურდია თავის მეუღლესთან, ქალბატონ მირანდა ფალავანდიშვილთან და შვილებთან — თამარ და ზვიად გამსახურდიებთან ერთად, თავდაპირველად, თბილისში, ყოფილი ჯაფარიძის (დღევანდელი პაოლო იაშვილის) ქუჩაზე ცხოვრობდა, ხოლო 1947 წელს, გალის ქუჩაზე დაიწყო კოლხური კოშკის მშენებლობა, რომელშიც ის და მისი ოჯახის წევრები 1957 წელს გადავიდნენ და სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდნენ. დღეს, მათი ნეშტები (გარდა ზვიად გამსახურდიასი), კოლხური კოშკის ეზოში განისვენებენ... რამდენიმე დღის წინ, მათი საფლავები, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია II აკურთხა და ეს საფლავები (რომლებიც დღემდე არ იყო გაკეთებული), საპატრიარქოს ხარჯებით მოეწყო. პირადად პატრიარქის რჩევით, ყაზბეგიდან ჩამოიტანეს მწვანე ქვა, რომელიც ბუნებრივად, ჰარმონიულად შეერწყა კოლხური კოშკის ეზოს სიმწვანეს...

— აქამდე რატომ ვერ მოხერხდა ამ საფლავების მოწყობა?

— საფლავებს ვინ მოაწყობდა? მისი ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე — ბატონი ზვიადი, 1992 წლის 6 იანვარს საქართველოდან განდევნეს. სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე ვერ მოხერხდა, მერე კი... თავად ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველ პრეზიდენტს კოლხური კოშკის ეზოში დაკრძალვა არ ეღირსა. იგი გროზნოში განისვენებს და მისი საფლავის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებულია. ამის შესახებ მსოფლიოში სულ სამმა ადამიანმა — ორმა ჩეჩენმა კაცმა და ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ იციან.

— გაქვთ თუ არა ინფორმაცია ნეშტის სავარაუდო გადმოსვენების შესახებ?

— სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა საკაშვილმა, შარშანდელ წელს, ზვიად გამსახურდიას წელი უწოდა. თითქოს უნდოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნეშტის გადმოსვენება, მაგრამ ჩვენ — მე და ქალბატონმა მანანამ ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ.

— რა იყო უარის მიზეზი და პირადად თქვენ, გქონდათ თუ არა ამის უფლება?

— ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, თავისი 1992 წლის 26 მარტის მინდობილობით, რომელიც მან გროზნოში შეადგინა (პრეზიდენტის ბლანკზე, ბეჭდითა და გროზნოს მთავარი ნოტარიუსის დამოწმებით), მის ნდობით აღჭურვილ პირად გამომაცხადა, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა კოშკის აღდგენისათვის... რაც შეეხება, მისი ნეშტის საქართველოში გადმოსვენების საკითხს — სანამ კოლხური კოშკის აღდგენას და ამ აღდგენილ ნაგებობაში, პრეზიდენტის ნეშტის დასვენებას ვერ შევძლებთ, მანამ მისი გადმოსვენება არ გვინდა, კოლხურმა კოშკმა უნდა დაიბრუნოს ის მემორიალური სახე, რომელიც ამ ხელისუფლების აღმზრდელმა წინა ხელისუფლებამ გადაბუგა, გაანადგურა. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა ქართველ ერს იმის საშუალება, რომ ამ პიროვნებას გამოეშვიდობოს და დაიტიროს იგი.

— რის საფუძველზე გახდით ბატონი ზვიადის ნდობით აღჭურვილი პირი?

— მოგეხსენებათ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1992 წლის 6 იანვარს იძულებული გახდა, ქვეყნიდან გახიზნულიყო. მეორე დღეს შევუდექი კოშკის გადარჩენისა და დაცვის საქმეს (მაშინ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი გახლდით). ადგილზე მისულს, გალის ქუჩა გადაკეტილი დამხვდა კიტოვანი-იოსელიანის ბანდებით. მათ საშვი მომთხოვეს, მითხრეს — იოსელიანი მეცნიერებათა აკადემიის შენობაში ზის და საშვზე იქ მიბრძანდითო... ჯაბა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის კაბინეტში დამხვდა... სასურველი საშვი, ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოვიპოვე და კოლხური კოშკისკენ გავქანდი, რომელიც დალუქული დამხვდა, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის, ვინმე ვაჟა შენგელიას მიერ. მან შენობაში შესვლის უფლება არ მომცა: სანამ გამსახურდიას ოჯახიდან ამის თანხმობა არ გვექნება, იქ ვერავინ შევაო — მითხრა. ყოველდღე მივდიოდი კოშკთან და ლუქს ვამოწმებდი. მე ვერ გავითვალისწინე, რომ ლუქი მათ ხელში იყო — როცა უნდოდათ, შევიდოდნენ და გამოვიდოდნენ... ასე გაგრძელდა 15 მარტამდე. ამ დროის განმავლობაში მოვახ-

დღეს, მათი ნეშტები (გარდა ზვიად გამსახურდიასი), კოლხური კოშკის ეზოში განისვენებენ... (თამარი, ზვიადი და მირანდა)

ერხე ის, რომ შენობასთან სადღეღამისოდ დავაყენებინე პოლიცია, (თუმცა, პოლიციაც მათი არ იყო?!.). 15 მარტს, ღამის 3 საათზე ერთ-ერთი ქალბატონი – თინა სხირტლაძე, რომელიც იქვე, რჩეულიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა (მას ვთხოვე, თუ რაიმე თვალში საცემი მოხდებოდა, ჩემთვის დაერეკა), დამიკავშირდა: ბატონო გურამ, კოლხური კოშკი იწვისო! – მაცნობა. მაშინ ქალაქში კომენდანტის საათი იყო გამოცხადებული და თუ 10 საათის შემდეგ ქუჩაში გახვიდოდი, შეიძლება, ადგილზევე დაეხვრიტე. ამიტომაც, ხევით (რომელიც ჩვენი სახლის უკანაა) გადავედი კოლხურ კოშკთან. სადაც ცეცხლის სტიქიონს, წყლის სტიქიონი ერთვოდა. მაშინვე ვეცი ხელში მეხანძრეებს (რომელთაც ასეთი წესი აქვთ – იმ ადგილსაც ასველებენ ხოლმე, რომელსაც ცეცხლი არ უკიდია, რომ ალი ყველგან არ მოედოს). სახანძროს უფროსმა ყვირილი დამიწყო: ვინ ხარო? ვუჩვენე ყოველისშემძლე საშვი და ვუთხარი, რომ ვარ ამ სახლის მეურვე და ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას, ამიტომ რასაც ცეცხლი არ უკიდია, ნუ დაასველებთ-მეთქი... ამასობაში, გათენდა კიდეც და ჩემი თანამშრომლებიც მოვიდნენ. მინდა, მათი სახელები ყველამ იცოდეს: აწ გარდაცვლილი ციცი ბუქურაული, რუსუდან კობახიძე, რუსუდან ნიშნიანიძე, რუსუდან დაუშვილი, ნინო თუთბერიძე, ლია გედევანიშვილი, თამრიკო მალაზონია. დავიწყეთ აღწერა იმისა, რისი გადარჩენაც შევძელით. ამასობაში, მოვადგა უზარმაზარი ავტობუსი, რომელიც გაჭედილი იყო მხედრიონელებით (გენერალ ლანჩავას ხელმძღვანელობით). ისინი შიგნით არ შემოვუშვით, უკან გავაბრუნეთ. არ გასულა 30 წუთი და ეს ავტობუსი ისევ დაბრუნდა. ამჯერად მათ სხვა მეთაურობდა. მან განმიცხადა: მე გამომგზავნა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, სასწრაფოდ დატოვეთ კოლხური კოშკი, ნივთები ჩვენ უნდა წავიღოთო. კოშკის ჭიშკარში ჩავდექი: მომკალით და მერე შეხვალთ-მეთქი... არაფერი რომ არ გამოუვიდათ, რაციით სიგუას დამაკავშირეს (სხვათა შორის, ეს ლაპარაკი ე.წ. „რადიოხულიგნებმა“ ჩაიწერეს და იგი ზვიადს გროზნოში მიაწოდეს). მე ვუთხარი: ბანდიტო, გამსახურდიამ გაქცია კაცად, მერე უღალატე, გააძევე, დაწვით კოლხური კოშკი, მთელი თბილისი გაანადგურეთ და ახლა, იმის წაღებაც გინდათ, რაც გადარჩა-მეთქი?!. 45 წუთის შემდეგ, მაინც ჩემსას მივაღწიე – ყველაფერი აღვწერე, მაგრამ არც ერთ მუზეუმში არ დაიტოვეს: როგორ, მაგ სატანების ნივთებს შევინახავთ? მეტი საქმე არა გვაქვსო!.. მხოლოდ სახელმწიფო არქივის დირექტორმა, ზურაბ მახარაძემ მოგვცა საშუალება, საარქივო დოკუმენტებისა და წიგნების მის საცავში შენახვისა. ბოლოს, მემორიალური და სხვა ნივთები, ერთ-ერთი ქალბატონის – იზოლდა ერგემლიძის ბინაში შევინახეთ, რომელმაც სახლი დაგვითმო, თვითონ კი საცხოვრებლად დასთან გადავიდა...

— თუ დადგინდა, რა იყო ცეცხლის გაჩენის მიზეზი?

– ეს იყო ხელოვნურად გაჩენილი ხანძარი. კოშკს რჩეულიშვილის ქუჩიდან ესროლეს ცეცხლგამჩენი ტყვიები. სამსართულიანი კოშკის შიდაკიბე ხისგან იყო დამზადებული. ცეცხლი კიბის უჯრედს ჩამოჰყვა და მთელ სახლს მოედო. ამას დაერთო ისიც, რომ იქ იყო კასრები, რომელშიც ადრე ბენზინს ინახავდნენ... აქვე მინდა აღვნიშნო, თუ რა კარგი „დაცვა“ ჰყავდა კოლხურ კოშკს. მართალია, მე მას ლუქს ვადებდი, მაგრამ სახლს ერთ ადგილას ჰქონდა რკინის ხარიხა, რომელსაც თურმე, დაცვის ბიჭები ხსნიდნენ ხოლმე. მათ დალუქული კოშკიდან გამოიტანეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომელიც სასტუმრო ოთახში, ე.წ. ვიტრინაში ეწყო. ამას მაშინ მივხვდი, როცა რკინა ჩამოვარდა და ქალბატონ ციცი ბუქურაულს თავზე დაეცა. ციცი მაშინ სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ საშინელი ტრავმა მიიღო (იქნებ, ესეც იყო მისი დალუპვის მიზეზი?)... აი, ასეთი სახელმწიფო, დაცვის თანამშრომლები და მადლიერი ხალხი ვართ, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების მიმართ.

— ამ რამდენიმე დღის წინ, თქვენი და ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას თაოსნობით მოეწყო აქცია მოთხოვნით — კოლხურ კოშკს მიენიჭოს კულტურული ძეგლის სტატუსი. რატომ არ მიიღო კოშკმა ეს სტატუსი რამდენიმე წლის წინ, მაშინ, როცა მისი მინიჭება თავად შეგეძლოთ?

– მართალია, მე გახლდით პრეზიდენტთან არსებული კომისიის – ე.წ. „თორმეტკაცას“ წევრი, რომელსაც ევალებოდა კულტურული ძეგლების გადარჩენა. ახლა არა მარტო თქვენ, არამედ ყველა მეკითხება: რატომ არ მივანიჭე კოლხურ კოშკს ეს სტატუსი? ჯერ ერთი, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ 1947 წლიდან დღემდე, ეს კოშკი ითვლება კერძო საკუთრებად, მაგრამ ვერ წარმომედგინა ის, რომ მისგან 20 ნაბიჯზე, ექვსსართულიანი შენობის აგებას გბედავდნენ. ვფიქრობდი, რომ რადგან ეს გახლდათ ქართველი კლასიკოსი მწერლის – კონსტანტინეს და საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახლი, მის დასაცავად ფარატინა ქაღალდი საჭირო არ იყო. მაგრამ როცა მესამე გადატრიალების გზით, ხელისუფლებაში მოვიდა მოქალაქეთა კავშირის მიერ გამოზრდილი ხელისუფლება, მან ვიღაცას მისცა უფლება – რადგან კოლხური კოშკი არ არის კულტურული ძეგლი, მის გვერდით რაც გინდათ, ის ააშენეთო... ეს დოკუმენტი ხელში ჩამივარდა და ამის შემდეგ, პირველ რიგში, მივედი ქალაქის არქიტექტურის სამმართველოში – ბატონ ქარსიძესთან, კაცია

სხვათა შორის, ქალბატონი მანანა ვერრაფერით დავითანხმე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თანხები წაგვეგლიჯა...

გიორგობიანთან და არქიტექტორ ბაირამაშვილთან, რომლებმაც განმიცხადეს: ჩვენ გავუგზავნეთ წერილი კულტურის სამინისტროს, ჩვენს შეკითხვაზე 16 ივლისს, მოვიდა პასუხი: კოლხური კოშკი არ არის კულტურის ძეგლი და როგორც გინდათ, ისე იმოქმედეთო... ამის შემდეგ მივედი კულტურის სამინისტროში, კერძოდ – კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლავთ ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის შვილიშვილი – პაატა გაფრინდაშვილი. მას ვკითხე: რა ხდება, კოლხური კოშკის გვერდით რას აშენებთ-მეთქი? – არ ვიცი ძია გურამო, – მიპასუხა. მას არც შეატყობინეს, ისე გასცეს ბრძანება... სწორედ ამის შემდეგ მოვაწყვეთ აქცია, სადაც ურცხვად, უტიფრად გამოვიდნენ მინისტრი გაბაშვილი და მისი მოადგილე, თამარ ქვარიანი. გვითხრეს – რა საჭიროა ეს მიტინგები, როცა უკვე რამდენი ხანია, რაც კოლხურ კოშკს კულტურის ძეგლის სტატუსი მივანიჭეთო?! ეს დოკუმენტი 20 ივლისს გაცემული ბრძანება გახლავთ, რომლის მიხედვით, კოლხური კოშკი არის კულტურული ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი, რომელიც უნდა შეისწავლონ 6 თვის მანძილზე. ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, არის თუ არა კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახლი კულტურის ძეგლის სტატუსის ღირსი. თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს ჰყავს ისეთი კულტურის მინისტრი, რომელიც ნახევარ წელს ითხოვს იმისათვის, რომ გაერკვეს – წერდა თუ არა კონსტანტინე გამსახურდია თავის შედევრებს კოშკში, იზრდებოდა თუ არა ამ შენობაში ზვიად გამსახურდია და ა.შ.

— ეი. იმ ექვსსართულიანი სახლის მშენებლობა ჯერჯერობით არ დაწყებულა...

– მშენებლობა – არა, მაგრამ პროექტი მზად იყო და ის ჩვენ ჩავშალეთ.

— როგორ ფიქრობთ — როდის მოხდება კოლხური კოშკის აღდგენა?

– სხვათა შორის, ქალბატონი მანანა ვერაფრით დავითანხმე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თანხები წაგვეგლიჯა... კათალიკოს-პატრიარქმა, საფლავების კურთხევის შემდეგ, თავის რეზიდენციაში დამიბარა, კურთხევა მომცა და მითხრა – სირცხვილია, როდემდე უნდა იყოს კოლხური კოშკი ამ მდგომარეობაში?.. რომ ვნახე, კინაღამ გული გამისკდაო!.. მისი კურთხევა მიღებული მაქვს და აწი, არავის აღარაფერს დავეკითხები – ვიწყებ ომს ბიუჯეტიდან სახსრების გამოსაყოფად. როცა 2004 წელი ზვიად გამსახურდიას წლად გამოაცხადეს და ბიუჯეტიდან კოლხური კოშკისთვის თანხა უნდა გადაერიცხათ, ეს ფარისევლობა იყო. ხმამაღლა „ჰუმანისტი“ ბიზნესმენებიც აცხადებდნენ – ამდენს გადმოვრიცხავთო, – მაგრამ ანგარიშზე დღემდე, მხოლოდ 22 ლარი შემოვიდა, ისიც ვიღაც გაჭირვებულმა ლტოლვილმა გადმორიცხა!.. აი, ასე სცემენ პატივს პირველი პრეზიდენტის ხსოვნას. ამიტომაც, აღარავის ვუგდებ ყურს, ვიწყებ ბრძოლას კოლხური კოშკის გადასარჩენად...

შევცადეთ, დავკავშირებოდით კულტურის მინისტრის მოადგილეს, თამარ ქვარიანს, რომლის ხელმოწერით გაგზავნილი დოკუმენტი უდასტურებდა არქიტექტორებს, რომ კოლხურ კოშკს ძეგლის სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ ქალბატონმა თამარმა, მოუცლელობის მოტივით ინტერვიუზე უარი გვითხრა. კომენტარი კი, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ **პაატა გაფრინდაშვილმა** *გააკეთა:*

– კოლხური კოშკი, ნამდვილად არის ღირსი იმისა, რომ მას კულტურის ძეგლის სტატუსი ჰქონდეს მინიჭებული. XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს, მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით, შენობა-ნაგებობათა გარკვეულ ნაწილს მიენიჭა ძეგლის სტატუსი, მაგრამ ეს არ იყო ამომწურავი ნუსხა. არც ამის შემდეგ მომხდარა დამატებითი სიების შედგენა. ყოველივე ამას დღეს, ჩვენ ვახორციელებთ – გარკვეული შენობა-ნაგებობები შევიტანეთ ჩამონათვალში და მათ მიენიჭა კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის სტატუსი. აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ვერც ერთ შენობას, დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, პირდაპირ ძეგლის სტატუსს ვერ მივანიჭებთ.

— რა იცვლება ამ სტატუსის მინიჭებით?

– ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებს ივიერ რეჟიმი ეხება, რაც ძეგლის სტატუსის მქონე შენობებს. უბრალოდ, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი ვალდებულია, ეს ობიექტები მაქსიმუმ 6 თვის მანძილზე შეისწავლოს. უნდა მოხდეს შენობის ექსპერტიზა, კვლევა, შესწავლა, საარქივო დოკუმენტაციის შექმნა და დამცავი რეჟიმების დადგენა... რაც შეეხება საკუთრივ კოლხურ კოშკს – ის თავის დროზე ვერ მოხვდა ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობების ნუსხაში. მაგრამ დღეს, მასზე უკვე გარკვეული რეჟიმი მოქმედებს.

— ეს რეჟიმი არ იცავს კოლხურ კოშკს იმისგან, რომ მის სიახლოვეს ექვსსართულიანი შენობა აშენდეს?

– ასე ნუ განვსაზღვრავთ. სწორედ ეს გახლავთ კვლევის საგანი: კოლხურ კოშკს უნდა გაუკეთდეს დამცავი ზოლი. ამწუთას, იქ 50 მეტრის მანძილზე არაფრის გაკეთება არ შეიძლება. შესაძლოა, ეს მანძილი კიდევ გაიზარდოს. ახლა, რაც შეეხება მშენებლობას: თქვენ ცდილობთ, სხვა მიმართულებით წაიყვანოთ საუბარი და მე მესმის რატომ. დღეს იქ ვერავინ და ვერანაირ მშენებლობას ვერ წამოიწყებს.

— ეს ახლა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, უფრო კონკრეტულად — 16 ივლისს, კულტურის სამინისტრო კოლხური კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის უფლებას იძლეოდა?

– ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილემ, ბატონმა ქარსიძემ ჩვენ დაგვისვა შეკითხვა: აქვს თუ არ კოლხურ კოშკს მინიჭებული ძეგლის სტატუსიო? ტყუილს ხომ არ ვუპასუხებდით?!.. ამის შემდეგ მისთვის ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის სტატუსის მინიჭება მოხდა და ჩვენმა სამინისტრომ დამატებითი წერილით აცნობა ქარსიძეს, რომ კოლხურ კოშკზე მოქმედებს გარკვეული რეჟიმი და რომ იქ დაწყებული ყველანაირი მშენებლობა უკანონო იქნება. თქვენ წარმოიდგინეთ, ამის შემდეგაც იმართებოდა მიტინგები, სხვადასხვა მოთხოვნით. თუ მის მონაწილეებს მხოლოდ კოშკის ბედი აწუხებდათ, პრობლემა გადაიჭრა. ამის დამადასტურებელი საბუთები შარაძეს გადავეცით, მაგრამ აურზაური მაინც არ ჩამცხრალა – კანონი დაარღვიეთ, 6 თვე რა ამბავიაო?!. კულტურის სამინისტრო კანონს არ დაარღვევს და ეს რომც მოხდეს, კოლხურ კოშკში არაფერი შეიცვლება, რადგან დღესაც და მას შემდეგ, რაც კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭება, ერთი და იმავე მექანიზმით იქნება დაცული. და კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: მოდი, მარტო ამ შენობით ნუ გავჩერდებით. თქვენ შეგიძლიათ, ჩაიხედოთ ჩვენს დოკუმენტებში და ნახოთ, თუ რა სამუშაოებს აწარმოებს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ნახოთ, რამდენი შენობაა ძეგლის სტატუსის მინიჭების ღირსი. თუ გვაცლიან, გვაცალონ, თუ არა და... ხელს თუ შეგვიშლიან, ვერაფერს გავაკეთებთ... ასე რომ ჩაჰკირკიტებს დროს, წუთებს ბატონი გურამი, თავად „თორმეტკაცას“ წევრი გახლდათ, რომელსაც შეეძლო, კოლხური კოშკისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება. დაესვა ეს საკითხი თავის დროზე და დღეს იქ არავითარ მშენებლობაზე ლაპარაკიც არ იქნებოდა... ამიტომ, ერთმანეთთან კინკლაობას სჯობია, საქმე ვაკეთოთ... დაე, მომავალმა განსაჯოს, ვინ იყო მტყუან-მართალი.

მხარეების პოზიციები გარკვეულია, თითქოს ძირითად კითხვებზე პასუხებიც გაცემულია, მაგრამ კვლავ ჰაერშია გამოკიდებული ის, თუ ბოლოს და ბოლოს, როდის მოხერხდება, ერის გამჩენილი შვილების გადაბუგულ-გაპარტახებული სახლის აღდგენა-შეკეთება... ■

„დამნაშავეების“ დაჭერის კომუნისტურ გეგმას დავუბრუნდით?!

აღიარებულ მკვლელობათა სერია, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა

ხათუნა პაიჭაძე

„სოფელ ახალკახათის ცენტრთან რომ მივედით, დაახლოებით ღამის 24 საათი ან ცოტა უფრო მეტი იქნებოდა. ვახტანგმა ორი ავტომატი აიღო, ზაალმა – ერთი. ერთი ავტომატი მე დამიტოვეს მანქანაში. საკმაოდ დიდხანს მომიწია ცდამ, დაახლოებით ღამის 3 სთ-მდე. სროლის ხმა ან სხვა ხმაური არ გამიგია. შეიძლება იყო კიდეც, მაგრამ ვერ გავიგებდი, რადგან მანქანაში მაგნიტოფონი მქონდა ჩართული(!). როცა დაბრუნდნენ, ორივენი აფორიაქებული იყვნენ. სიტყვაც არ უთქვამთ, ისე ჩასხდნენ ავტომანქანაში და მითხრეს, უკან დავბრუნდეთ, ერთი ოჯახიდან თხილი გავიტანეთ და ახლობლის სახლში გადავმალეთო. ისიც თქვეს, სახლში არავინ იყო, მაგრამ კვალის დასაფარავად ვახომ სახლს ცეცხლი წაუკიდაო. სიმართლის გასაგებად მეორე თუ მესამე დღეს წავედი ახალკახათში. გავიგე, რომ სწორედ იმ ღამეს, როცა მე ზაალი და ვახტანგი წავიყვანე, ვიღაცის სახლი გადაუწვავთ, სახლში კი უპოვიათ მკვდარი მამაკაცი, რომელსაც თავში ლურსმანი ჰქონდა ჩარჭობილი“ – ეს აღიარებითი ჩვენება ზუგდიდელ **რამაზ ბაძაღუას** ეკუთვნის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი მკვლელობა სინამდვილეში არ მომხდარა. ბაძაღუა განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად და ანგარებით ჩადენილ მკვლელობაშია ბრალდებული. თუმცა, პასუხისგებაში „ლურსმნით მკვლელობისათვის“ არ გახლავთ მიცემული. ბრალდება ბაძაღუას ზუგდიდის რაიონის სოფელ ქითწყაროში მცხოვრები ჯემალ ნარმანიას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის გამო წარუდგინეს. შს სამინისტროს საკუთრების პოლიციის დაცვის უფროსი ჯემალ ნარმანია ყაჩაღებმა 2002 წლის 7 ივნისს სასტიკი წამებით მოკლეს.

როგორც ბაძაღუა „აჩვენებს“, თავდასხმაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ ზაალ აკობია, ვახტანგ გუჩუა, რუსლან ბუკია და კიდევ მისთვის ორი უცნობი პირი, რომლებიც მეგრულად არ ლაპარაკობდნენ. ბაძაღუას ჩვენებით, ნარმანიას მკვლელობის გამო ზაალ აკობიასა და რუსლან ბუკიას უჩხუბიათ, ერთმანეთიც დაუჭრიათ ფეხის არეში. ბაძაღუას ჩვენებით, აკობია მარჯვენა, ბუკია კი მარცხენა ფეხში ყოფილა დაჭრილი. ეს ბაძაღუას და მის თანამზრახველთა მიერ ჩადენილ ყაჩაღობათა მხოლოდ მეორე ეპიზოდია. ბაძაღუას მიერ დაწერილ „ნებაყოფლობით“ აღიარებაში მესამე, მეტად საინტერესო ეპიზოდიც არის. ნაწყვეტი ჩვენებიდან: *„გამოვიარეთ სოფ. ლიაში პოლიციის ქვეგანყოფილება. დაახლოებით ნახევარ კმ-ში ვახტანგმა მითხრა, მანქანა გააჩერე და ძრავა არ გამორთოო. ყველანი გადმოვიდნენ მანქანიდან და უკან გაბრუნდნენ. 10-15 წუთის შემდეგ მომესმა ინტენსიური სროლის ხმა. სროლა ისმოდა არაერთი ავტომატიდან. შემდეგ აფეთქების ხმაც მომესმა. ამის შემდეგ ოთხივენი სირბილით დაბრუნდნენ და იარაღი თხრილში ჩამალეს. მეორე დღეს გავიგე, რომ თავდასხმა მომხდარა ლიის ქვეგანყოფილებაზე. მოუკლავთ პოლიციის თანამშრომლები და ყაჩაღებიც. ვიფიქრე, ამათი ჩადენილი ხომ არ არის ყოველივე-მეთქი, მით უმეტეს, რომ უკან „მუხაც“ არ მოუტანიათ. მაგრამ დამაეჭვა იმან, რომ მე ვინც წავიყვანე, იმათგან მოკლული არავინ ყოფილა, სხვა ვინმე კი მე იქ არ შემინიშნავს(?!)“.*



რამაზ ბაძაღუა დაპატიმრებამდე

დაპატიმრების შემდეგ

თუ ეს თავდასხმა ბაძაღუას თანამზრახველებმა მოაწყვეს, მოკლული ყაჩაღები სადღა არიან, თუ არა და ეს ჩვენება რას ისახავს მიზნად, ნამდვილად რთული გასარკვევია.

აღიარებითი ჩვენებების მიცემის შემდეგ ბაძაღუა, რომელიც ბრალდებულია ყაჩაღობასა და განსაკუთრებული სისასტიკით ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა (მას მხოლოდ პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდეს).

თუმცა ბაძაღუა ზუგდიდის სოდ-ის (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი) თანამშრომლებმა „აიყვანეს“ და 22 დღის განმავლობაში კონსპირაციულ ბინაში (ხან სასტუმროებში) სოდ-ის თანამშრომლებთან ერთად ცხოვრობდა (ამ სახის თავისუფლების აღკვეთას კანონმდებლობა არ იცნობს). მას დღემდე მეთვალყურეობდნენ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები.

ამჟამად ბაძაღუა მშობლების მიერ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, ოჯახთან ერთად სოდ-ის თანამშრომლებიც ცხოვრობენ(?!).

აღიარებითი ჩვენებების შემდეგ გამოძიებას ბაძაღუამ კიდევ ერთი ჩვენება მისცა, თუმცა ამჯერად არა ყაჩაღობაზე, არამედ აფხაზეთის სოდ-ის თანამშრომლებზე ილაპარაკა. ბაძაღუას ჩვენების თანახმად, აფხაზეთის სოდ-ის თანამშრომელმა ბადრი სორდიამ, რომელიც მასთან ავტომანქანის შესაკეთებლად დადიოდა, თანამშრომლობა შესთავაზა – უთხრა, რუსლან ბუკია, ზაალ აკობია და ვახტანგ გუჩუა ჯემალ ნარმანიას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის მონაწილენი არიან და მათ მხილებაში დაგვეხმარეო. სორდიას განმარტებით, რამაზ ბაძაღუას ამ

- ალკოჰოლიზმი
- ნაბახუსევი („ზაპოი“)
- გულძმარვა
- ნევროზი (აგრესიულობა, დეპრესია)
- ღვიძლი
- ნაღვლის ბუშტი

მცენარეული პრეპარატების მიღება შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც

☎ 98-42-49 **(11⁰⁰–17⁰⁰სთ. კვირის გარდა)**

77-71-22 **(საღამოს);** 893-35-45-35 **თამრიკო**

საშინელ დანაშაულში მძღოლის როლი უნდა რგებოდა. როგორც ბაძაღუა ამბობს, მან უარი თქვა ცრუჩვენების მიცემაზე, რის გამოც სორდია დაემუქრა, — ხმას გავავრცელებ, რომ ნარმანიას მკვლელობაში მონაწილეობდი და ნარმანიები სახლ-კარს გადაგიწვავენ. ამას იოლად მოვაწყობ — შენს სახლში ჩხრეკას ჩავატარებ, საიდანაც ამოიღებენ იარაღს, მამაშენსაც დაიჭერენ და ნარმანიებიც ყველაფერს დაივჯერებენო. ამონარიდი ჩვენებიდან: „*მაგიდაზე ჩემი უმცროსი ძმის სურათი დამიდო და მითხრა, თუ გინდა შენს ძმას არაფერი მოუვიდეს, რაც გითხარი, ის გააკეთეო. დავთანხმდი, ყველაფერს ვიტყვი, რაც შენ გინდა-მეთქი. სორდიამ დამიდო ნაწერი, სადაც მოხსენიებული იყვნენ ვახტანგ გუჩუა, ჩემი დეიდაშვილი ზაალ აკობია, რუსლან ბუკია და ჩემთვის დაუდგენელი ორი უცნობი. ამ ნაწერს ორი საათის განმავლობაში ვსწავლობდი. ბადრის ვთხოვე, სახლში გაეტანებინა და იქ გავიმეორებდი, მაგრამ უარი მითხრა. ამის შემდეგ მასთან სახლში დავდიოდი და ტექსტს 10 დღის განმავლობაში ვსწავლობდი. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, თავი ამერიდებინა ამ საქმისთვის. მის ზარებს აღარ ვპასუხობდი. ბოლოს კიდევ ერთხელ ვთხოვე, რომ სხვა გამოეძებნა. ერთ დღეს სორდიამ სოდ-ის თანამშრომელთან, კობა თოდუასთან ერთად ჩამსვა მანქანაში და წამიყვანეს განმარტოებულ ბინაში. მთელი ღამე მცემდნენ. სორდია მეუბნებოდა, ყოველივე იცის თბილისმა და შენ გინდა თუ არა, მაინც ისე გავაკეთებ, როგორც მე მაწყობსო. ორივე მაყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, მირტყამდნენ სხეულის სხვადასხვა ადგილას და მემუქრებოდნენ ისეთი შეურაცხყოფით, რომლის კომენტირებისგან ამჯერად თავს შევიკავებ. ვეღარ გავუძელი ამ ძალადობას და დავთანხმდი“...*

ამის შემდეგ ბაძაღუას სასამართლომ შინაპატიმრობა შეუფარდა. თუმცა მას მეთვალყურეობის გარეშე არ ტოვებენ სოდ-ის თანამშრომლები. ბაძაღუას ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს გუჩუა და აკობია, რუსლან ბუკია კი ერაყში, სამშვიდობო ბატალიონში მსახურობს და იგი დაპატიმრებას გადაურჩა.

ბაძაღუას მიერ სოდ-ის თანამშრომლებისათვის მიცემულ ჩვენებაში ეჭვის შეტანა თითქოს შეუძლებელია, რადგან ერთი შეხედვით ყველაფერი საკმაოდ ზუსტად არის ჩამოყალიბებული. თუმცა აღმოჩნდა, რომ ყაჩაღობა-მკვლელობათა ამ სერიალიდან ერთ-ერთი ეპიზოდი სინამდვილეში არ მომხდარა. სოფელ ახალკახათის გამგებლის განმარტებით, იმ სახის დანაშაული („ლურსმნის ჩარჭობით კაცის მოკვლა და შემდეგ სახლის გადაწვა“), რომელიც ბაძაღუამ აღიარა, მათ სოფელში არ მომხდარა. ასევე, ყურადსაღებია ნარმანიას მკვლელობის გამო ყაჩაღების ურთიერთდაჭრის ფაქტი. აღმოჩნდა, რომ ბუკიას არა მარცხენა, არამედ მარჯვენა ფეხზე აღენიშნება ნატყვიარი, ხოლო ზაალ აკობია ფეხში დაჭრილი არასოდეს ყოფილა. საინტერესოა ისიც, რომ მიუხედავად მძიმე დანაშაულთა აღიარებისა (რომლებშიც ბაძაღუას „ჩვენებით“ აკობია, ბუკია და ვახტანგ გუჩუა მონაწილეობდნენ), „ყაჩაღებს“ ბრალი მხოლოდ ნარმანიას მკვლელობის გამო წარუდგინეს. ამ არეულ-დარეული ამბიდან დღემდე გარკვეული თითქმის არაფერია. 17 ივლისს მკვლელობასა და ყაჩაღობაში ბრალდებული აკობია და გუჩუა გაათავისუფლეს, ბაძაღუას კი დღემდე სოდ-ის თანამშრომლები „იცავენ“. როგორც ბაძაღუას ადვოკატი გივი ხაბაშვილი ამბობს, ბაძაღუა უკანონოდ ჰყავთ დაკავებული. გივი ხაბაშვილი: „როცა ერთი ამბავი ავტეხე, ბაძაღუას წინა რიცხვით დააწერინეს განცხადება, თითქოს დაცვას საჭიროებდა, მაგრამ ის კი აღარ იციან, რომ მოწმის დაცვას სასამართლოს დადგენილება სჭირდება, რაც მათ არ აქვთ. ბაძაღუა წამებითა და შანტაჟით აიძულეს, ეთქვა და დაეწერა ის, რაც არ გაუკეთებია და არ სმენია. ჩვენდა სამარცხვინოდ ჩვენს ქვეყანაში საქმეებს ასე „ხსნიან“.

ბაძაღუას თავისივე ნათესავები უპირისპირდებიან, ლინჩის წესით გასამართლებას უპირებენ და ჩვენი თანამშრომლები მას იცავენ

სოდ-ის თანამშრომლებმა ბევრი, ცოტა არ იყოს, უხერხული შეცდომა დაუშვეს... ბაძაღუას ნარმანიას მკვლელობასთან ერთად არარსებული დანაშაულები აღიარებინეს, ლიის საგუშაგოზე პოლიციელების ჩახოცვის აღიარებაზე კი ლაპარაკი ზედმეტია. რა ხდება, დამნაშავეების დაჭერის „კომუნისტურ“ გეგმას ხომ არ დავუბრუნდით?

ბაძაღუას „სენსაციური“ ჩვენება-აღიარება დღეს ზუგდიდის პროკურატურის განსჯის საგანია. გამოძიება ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელთა ქმედებებს იკვლევს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის დავით გოგიბერიძის განცხადებით, დასკვნების გამოტანა ნაადრევია, რადგან აფხაზეთის ოპერატიული დეპარტამენტის დასახელებული თანამშრომლები ადრე ამგვარ ქმედებებში შემჩნეული არ ყოფილან.

ახალკახათის გამგებლის განმარტებით, იმ სახის დანაშაული („ლურსმნის ჩარჭობით კაცის მოკვლა და შემდეგ სახლის გადაწვა“), რომელიც ბაძაღუამ აღიარა, მათ სოფელში არ მომხდარა

დავით გოგიბერიძე:— მიმდინარეობს გამოძიება და დაადგენენ, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი. ეს ისეთი საქმეა, თანამშრომელი კი არა, ჩემი ძმა რომ იყოს, არაფერს შევარჩენ. ბაძაღუას თავისივე ნათესავები უპირისპირდებიან, ლინჩის წესით გასამართლებას უპირებენ და ჩვენი თანამშრომლები მას იცავენ. არავითარ უკანონო პატიმრობას ადგილი არ ჰქონია.

— **არარსებული დანაშაულის აღიარებაზე რას იტყვით?**

— ხომ გითხარით, მიმდინარეობს გამოძიება და ყველაფერი გაირკვევა. ■

„ქმის მკვლელობისთვის შერისძიებას თვითონ ვაპირებდი“...

„თანხის გადაცემის მომენტი არ დამინახავს, მაგრამ დიდი ფული რომ ჩაყარეს, ცხადია“, – აცხადებს ადვოკატი, რომელიც ბანკირებს ხულიგნობაში ადანაშაულებს

მეგი ცანავა

ამ საქმეში ბევრი ცნობილი გვარი ფიგურირებს. უმრავლესობა, საქართველოში მოქმედი, ორი საკმაოდ მსხვილი ბანკის წარმომადგენელია.

როგორც ამბობენ, ზოგი მათგანი პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის დანაშაულთან, ზოგიც ფაქტის თვითმხილველია და მომხდართან დაკავშირებით ბევრის თქმა შეუძლია. მიუხედავად ამისა, 3 წლის წინ რესტორან „გურჯაანში“ მომხდარი მკვლელობის დეტალები დღემდე ბუნდოვანია...

იმ დღეს, რესტორანში ბანკირებს შორის ურთიერთშელაპარაკებასა და ჩხუბს შპს „კოდაკოს“ ხელმძღვანელის, 40 წლის კობა კობერიძის სიცოცხლე შეეწირა. დაზარალებული მხარის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბრალდებულის – 36 წლის ბესარიონ აბულაძის გარდა, მომხდარში „წვლილი“ სხვებსაც მიუძღვით, თუმცა, პროკურატურამ ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ბუნდოვანი საბრალდებო დასკვნა შეადგინა. გაურკვეველია, იქვე ჩადენილი ხულიგნობისა და ორი ადამიანის (მათ შორის, „საქართველოს ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალიას მმართველის) დაჭრის ფაქტებიც. ხულიგნობასთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ შეგროვდა, დაჭრის ფაქტზე კი, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა, იმ მოტივით, რომ დამნაშავეთა ვინაობა არ გამოიკვეთა და არც დაზარალებულები – დაჭრილები ჩიოდნენ მომხდარის გამო. დაზარალებულის – კობერიძის მხარე კი, დღეს ამის მიზეზად, საქმეში თანამდებობის პირთა ჩართვას ასახელებს. *„ვინ ვის და როგორ გადასცა თანხა, მე არ დამინახავს, მაგრამ ცხადია, რომ ამ საქმეში დიდი ფულია ჩაყრილი“*, – აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი **ლერი ლურწკაია**. ის რესტორანში ჩადენილ ხულიგნობაში ბანკის თანამშრომლებს, მათ შორის იმ დროისათვის „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს – თამაზ მაღლაკელიძეს ადანაშაულებს. ამას პროკურატურაც და თავად მაღლაკელიძეც უარყოფენ. მაღლაკელიძე ბრალდებულის – აბულაძის დეიდაშვილი გახლავთ. მისი თქმით, მას არ დაუნახავს, თუ რა ვითარებაში დაიჭრა კობერიძე. ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს აბულაძეც. ამჟამად ის დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული აქვს ერთი ჩვენება, სადაც მომხდარის შესახებ წერს, მაგრამ მის მიერ კობერიძის დაჭრას არ ადასტურებს. ადვოკატის თქმით, აბულაძე სრულიად უდანაშაულოა და პროკურატურას მის წინააღმდეგ არც ერთი მყარი მტკიცებულება არ გააჩნია.

ფაქტია, რომ კობა კობერიძე რესტორანში სასიკვდილოდ დაჭრეს და ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე – კერძოდ, გულმკერდისა და ბარძაყის არეში დანით მიყენებული 9 ჭრილობა დააფიქსირეს. თუმცა, ცხრავე ჭრილობა ერთი და იმავე დანით არის მიყენებული თუ არა, გამოძიებით დადგენილი არ გახლავთ. ეჭვი იმის შესახებ, რომ ჩხუბისას რამდენიმე დანა იქნა გამოყენებული, ორივე მხარის ადვოკატს უჩნდება. ამასთან, ორივე მხარე უკმაყოფილოა პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით. სისხლის სამართლის საქმე თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში 2002 წლის 28 დეკემბერს აღიძრა. დანაშაული წინა დღეს – 27 დეკემბერს მოხდა.

იმ დღეს, ბესარიონ აბულაძეს დაბადების დღე ჰქონდა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მან რიყეზე მდებარე რესტორან „გურჯაანში“ ნათესავები და მეგობრები დაპატიჟა. მათ შორის იყვნენ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ წარმომადგენლებიც. იქვე გახლდათ აბულაძის ცოლ-შვილიც, მისი ცოლისძმა – მერაბ თავართქილაძე, დეიდაშვილი – თამაზ მაღლაკელიძე, ასევე: გ. ყუფარაძე, ი. ახვლედიანი, თ. პავლიაშვილი, ფ. ყიფიანი, ი. ანთაძე, კ. ფაილოძე, თ. ჯაფარაშვილი და სხვები.

ამავე რესტორანში, გვერდით სუფრას უსხდნენ „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლები. ისინი რესტორანში შპს „კოდაკოს“ ხელმძღვანელს – კობა კობერიძეს ჰყავდა მიწვეული. სტუმრებს შორის იყვნენ: „საქართველოს ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალის მმართველი თ. თენეიშვილი, ნ. წიტაიშვილი, თ. ხუხუნაშვილი, გ. სილაგაძე, ნ. გელაშვილი, ი. ბასილაშვილი და სხვები. ამ ორ სუფრასთან მსხდომთა შორის, ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. კერძოდ, თენეიშვილი იცნობდა ყუფარაძეს და მაღლაკელიძეს, ხოლო სილაგაძეს ახლო ნაცნობობა ჰქონდა თ. ჯაფარაშვილთან და მის მეუღლესთან, ი. ახვლედიანთან. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, რის შემდეგაც, თავიანთ სუფრებზე განაგრძეს ქეიფი. მთელი საღამოს მანძილზე, არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. სიტუაცია რესტორანში მხოლოდ მას შემდეგ დაიძაბა, როცა მთვრალი მოქეიფეები უკვე სუფრიდან წამოიშალნენ და შინ წასვლა დააპირეს. მაშინ, დაახლოებით ღამის 2 საათი იყო. გასასვლელისკენ ორივე სუფრის წევრები ერთად გაემართნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ზოგი მათგანი ძალზე მთვრალი იყო. თენეიშვილს თავისი ხელით მიჰყავდა ყუფარაძე ავტოსადგომისკენ. სწორედ ამ დროს, საქმის მასალების მიხედვით, მას შელაპარაკება მოუხდა მაღლაკელიძესთან. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ თენეიშვილს ვიღაცამ უკნიდან ხელი გაარტყა. თუ ვინ იყო ის, დასკვნაში არ სახელდება, თუმცა, ერთ-ერთი მოწმის, კერძოდ – ნ. წიტაიშვილის ჩვენების მიხედვით, ეს მაღლაკელიძე უნდა ყოფილიყო.

ნ. წიტაიშვილის ჩვენებიდან:

„კ. კობერიძემ რესტორანში სხვებთან ერთად მეც დამპატიჟა. სუფრაზე თამადა გახლდით. დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა წამოვიშალეთ. გარეთ მეზობელი სუფრის წევრებთან ერთად გავედით. გამოსვლისას შევნიშნე,

რომ თენეიშვილი წაბორძიკდა. ამას მაშინვე მოჰყვა აყალმაყალი. განსაკუთრებით, ჩვენთან ერთად მყოფი სილაგაძე აქტიურობდა. დავინახე, რომ ანთაძეს, რომელიც მეორე სუფრის წევრი გახლდათ, შუბლიდან სისხლი მოსდიოდა. სილაგაძე და მაღლაკელიძე კი ამ დროს ერთმანეთს უხეშად ელაპარაკებოდნენ. სილაგაძე საყვედურობდა – ის ჩემი მეგობრის მამაა და რატომ დაარტყიო?.. სილაგაძე თენეიშვილს გულისხმობდა...“

სწორედ ამ ჩვენებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად, ერთმანეთთან შელაპარაკება თენეიშვილსა და მაღლაკელიძეს მოუხდათ, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან დარტყმა მოჰყვა. შელაპარაკების მიზეზს ვერც ერთი მოწმე ვერ ასახელებს. როგორც დაზარალებულის ადვოკატი ამბობს, *„ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ალბათ, პირად ურთიერთობებში რაიმე სადავო ჰქონდათ და სიმთვრალისას თავი არ შეიკავეს“.*

თუმცა, ოფიციალურად ეს არ დასტურდება და არც თენეიშვილი და არც მაღლაკელიძე ჩვენებებში ამის შესახებ არაფერს ამბობენ. სხვათა შორის, მოწმეთა ჩვენებებში ჩხუბის სხვა მიზეზიც იკვეთება. როგორც ამბობენ, კობერიძის სტუმარმა – სილაგაძემ, აბულაძის სუფრის ერთ-ერთი წევრი ქალბატონი გამოიცეკვა. ამ ცეკვამ ქალბატონის მეუღლის გაღიზიანება გამოიწვია და შელაპარაკებაც ამას მოჰყვა, შემდეგ კი, ჩხუბში ყველა ჩაერთო. პროკურატურა არც ამ მიზეზზე აკეთებს აქცენტს. ასე იყო თუ ისე, ხელჩართული ჩხუბისა და ჭიდილის დროს, ანთაძეც დაზარალდა. მას ვიღაცამ (თუ ვინ, საბრალდებო დასკვნაში არ ფიქსირდება, თუმცა, ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, ეს თენეიშვილი იყო) ხელი გაარტყა, ამის შედეგად, ანთაძე წაიქცა და შუბლიდან სისხლი წასკდა. აბულაძე და კობერიძე ერთმანეთს ჩააფრინდნენ. ამის გამო ქალებმა კივილი ატეხეს და ცდილობდნენ, მოჩხუბრების დაშოშმინებას, მაგრამ ვერ შეძლეს. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ჩხუბში ჩართულმა, ნასვამმა აბულაძემ მასთან შებმული კობერიძის მოკვლა განიზრახა და ამ მიზნით, ჯიბიდან დანა ამოიღი. დანა მან კობერიძეს ზედიზედ ცხრაჯერ ჩაარტყა სხეულში. სასიკვდილო ჭრილობა ბარძაყის არეში დაფიქსირდა: გადაიჭრა არტერია და ვენა, რამაც ძლიერი სისხლდენა გამოიწვია და კობერიძე სისხლისგან დაიცალა. ის ადგილზევე გარდაიცვალა. მეგობრებმა კობერიძე მაშინვე ჩასვეს ავტომანქანაში და ქალაქის №1 კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ის უკვე გარდაცვლილი იყო.

რაც შეეხება აბულაძეს – როგორც პროკურატურა აღნიშნავს, მომხდარის შემდეგ ის ავტომანქანაში ჩაჯდა და შინ წავიდა. ორი დღის შემდეგ, აბულაძე სამართალდამცავებმა მოწმის სახით დაჰკითხეს. მაშინ მან განაცხადა, რომ კობერიძის დაჭრის ფაქტი არც დაუნახავს.

აბულაძის ჩვენებიდან (მოწმის სახით დაკითხვისას):

„დაბადების დღის აღნიშვნა რესტორან „გურჯაანში“ გადავწყვიტე. იქ მივიტანე ღვინო, დავპატიჟე ნათესავები და მეგობრები. სუფრაზე ჩემი მეუღლე, შვილი და უახლოესი ნათესავები იყვნენ. ჩვენს სუფრასთან ახლოს გაშლილ მეორე სუფრაზე ჩემთვის უცნობი პირები ისხდნენ. იქიდან ერთ-ერთი მამაკაცი წამოდგა, ჩვენთან მოვიდა და ჩემი სტუმრები – მაღლაკელიძე და ყუფარაძე გადაკოცნა... როცა სუფრიდან წამოვიშალეთ, დარბაზიდან ყველაზე გვიან მე გავედი, რადგან ანგარიში მქონდა გასასწორებელი. რესტორნიდან გამოსვლისას, ეზოსთან მოგროვილი ხალხი დავინახე, ჩოჩქოლის ხმა ისმოდა. მაშინ შევნიშნე, მიწაზე დაცემული ანთაძეც, რომელსაც სახიდან სისხლი მოსდიოდა. მიზეზი ვერავინ ამიხსნა. მივედი, ანთაძე წამოვაყენე და მაღლაკელიძის მანქანაში ჩავსვი. ის სახლში წავიყვანე. ცოტა ხანში ანთაძემ ტელეფონზე დამირეკა და მითხრა, რომ ის საავადმყოფოში მიჰყავდათ. მე და თეთრაშვილი წავედით მე-9 საავადმყოფოში, სადაც ანთაძეს სამედიცინო დახმარება გაუწიეს... იმ საღამოს, დანა არავის ხელში არ შემინიშნავს. ვინ დაარტყა ანთაძეს, არც ეს მინახავს...“

გამოძიებამ მოკლულის ძმაც დაჰკითხა. სწორედ მან დაადო ხელი აბულაძეს, როგორც მკვლელს.

„...როცა სუფრიდან წამოვდექით და გარეთ გავედით, ღამის 2 საათი იქნებოდა. მე სრულიად ფხიზელი ვიყავი. დავინახე, რომ ორ კაცს ერთი ძალიან მთვრალი, მაღალი პიროვნება მოჰყავდა. ის გივი ყუფარაძე იყო. მე ჩემს ძმას ველოდებოდი, რათა მანქანაში ჩამესვა და წამეყვანა. ამ დროს შევნიშნე, რომ რესტორნის გამოსასვლელთან, მარჯვენა მხარეს ჩხუბი ატყდა. დავინახე, როგორ დაარტყა თენეიშვილმა ანთაძეს, იქვე იყვნენ ნ. გელაშვილი, ი. ბასილაშვილი და გ. სილავაძე. სილაგაძემ ვიღაცას გაარტყა. ეს რამდენჯერმე გააკეთა. შემდეგ ჩხუბი მოხდა სილაგაძესა და მაღლაკელიძეს შორის. ამ დროს გავიგონე იუბილარის დის ხმა – დანა არ იხმარო, მე შენი და ვარო. ამ მომენტში, წიტაიშვილი ამოეფარა ჩემს ძმას და წიხლი მოუქნია აბულაძეს. აბულაძეს ხელში დანა ეკავა. ვხედავდი, როგორ იქნევდა მას. ამ დროს დაიჭრნენ თენეიშვილი და ჩემი ძმა. ყველაფერი წამიერად მოხდა. აბულაძე დანას ჩქარ-ჩქარა ურყტამდა ჩემს ძმას. შემდეგ გაიქცა. ჩემი ძმა კი ჩაიკეცა და გრძნობა დაკარგა. სასწრაფოდ გადავიყვანეთ საავადმყოფოში, მაგრამ უკვე გარდაცვლილი იყო. თვითონ ვაპირებდი, შური მეძია მისი მკვლელობისათვის და აბულაძეს ვეძებდი, მაგრამ შემდეგ, ნათესავების რჩევით, გადავიფიქრე. ახლა კანონის აღსრულებას ველოდები. მან პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის“, – წერს მოკლულის ძმა.

ის ერთადერთი არ გახლავთ, ვინც წინასწარი გამოძიების პერიოდში, ხელი დაადო აბულაძეს. სამართალდამცავებს მსგავსი ჩვენება მისცა **ნ. წიტაიშვილმაც:**

„...იუბილარს – აბულაძეს ქალები იჭერდნენ, ის მაინც ცდილობდა, გაეწია. ქალები ეხვეწებოდნენ – დანა არ იხმაროო. თენეიშვილიც ჩხუბში იყო ჩართული და ფეხებს იქნევდა, შემდეგ ის ფეხში დაიჭრა. მახსოვს, იუბილარი დანიან ხელს იქნევდა. კობერიძე კი ცდილობდა, მოჩხუბართა შორის ჩამდგარიყო და გაეზავებინა ისინი...

თენეიშვილმა გზაში მითხრა: იმ ნაბო... კობა დაჭრაო...“

თენეიშვილის ჩვენებიდან:

„...მომიახლოვდა პიროვნება, რომელმაც მოულოდნელად სახეში გამარტყა... ამ დროს შემომესმა ქალის კივილის ხმა – დანა არ გახსნაო! ვნახე, რომ ვიღაცა ძირს ეგდო. გაირკვა, რომ ის კობერიძე იყო. ამ დროს, მარცხენა ფეხზე სისველე ვიგრძენი და მივხვდი, რომ დაჭრილი ვიყავი... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სხეულზე მსუბუქი ხარისხის დაზიანება აღმომაჩნდა“.

ნ. გელაშვილის ჩვენებიდან:

„დავინახე, რომ თ. თენეიშვილზე ვიღაც უცნობი პიროვნება იწევდა. შევეცადე მათ გაშველებას. ამ დროს, მუცლის არეში მომხვდა დანა. ამის გამო გავერიდე იქაურობას და როცა შემოვტრიალდი, დავინახე, რომ კ. კობერიძე ასფალტზე იწვა... პიროვნება, რომელმაც დამჭრა, ჩასკვნილი ტანის ახალგაზრდა იყო, შავი ქურთუკი ეცვა. მის ამოცნობას ვერ შევძლებ, რადგან სიბნელე იყო. დაჭრის შედეგად, მსუბუქი ხარისხის დაზიანება მივიღე...“

ამ ჩვენებების საფუძველზე, პროკურატურამ აბულაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, იმ დროისთვის, ის უკვე წასული იყო ქალაქიდან და მიმალული გახლდათ. აბულაძის ნათესავები მისი მიმალვის ფაქტს

მოკლული კობა კობერიძე

უარყოფენ. მათი თქმით, ის ჯერ ფოთში გაემგზავრა პირად საქმეზე, შემდეგ კი, უკრაინაში წავიდა სამუშაოდ, რათა ვალი გაესტუმრებინა. თბილისში აბულაძე 2003 წლის 8 ოქტომბერს ჩამოვიდა. იმავე დღეს, ის საკუთარ ბინაში დააკავეს სამართალდამცავებმა. პროკურატურამ მას ბრალი 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) წაუყენა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო და დუმილის უფლება გამოიყენა. საქმე განსახილველად უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას გადაეცა, თუმცა, დაზარალებლის ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, ის კვლავ პროკურატურას დაუბრუნდა, დამატებითი ძიების ჩასატარებლად. დაზარალებულის ადვოკატი აბულაძისთვის ბრალის დამძიმებას, კერძოდ, მისთვის 109-ე მუხლთან ერთად, მკვლელობის მცდელობის მუხლის მიყენებასა და ასევე, რესტორანში ჩადენილ ხულიგნობაზე რეაგირებას მოითხოვდა. კოლეგიამ მართლაც მიიჩნია, რომ საქმე არასრულყოფილად იყო გამოძიებული და ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. თუმცა, დამატებითი ძიებისას, საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა. პროკურატურამ არათუ ხულიგნობისა და დაჭრის ფაქტებზე გამოიტანა სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება, არამედ აბულაძესაც შეუმსუბუქა ბრალი და 109-ე მუხლი, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) გადაკვალიფიცირა.

ლერი ღურწკაია, დაზარალებულის ადვოკატი:

„ფაქტია, ეს გავლენიანი პირების მიერ დაინტერესებულმა, პროკურატურის ხელმძღვანელობამ განგებ გააკეთა. მით უმეტეს, რომ იცოდნენ ახალი კანონმდებლობის შესახებ, რომლის თანახმადაც, საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნება არ შეიძლება და სასამართლომ საქმე იმ მასალებით უნდა განიხილოს, რასაც მას პროკურატურა გაუგზავნის. აბულაძეს ბრალი უსაფუძვლოდ შეუმსუბუქეს და ჩვენი მხარე იძულებული გახდეს, განსასჯელისთვის 108-ე მუხლით გათვალისწინებული უმკაცრესი სასჯელის – 15 წლით თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნას დავჯერდეთ“.

სხვაგვარად ფიქრობს განსასჯელის ადვოკატი დავით აბესაძე. მისი თქმით, პროკურატურას აბულაძის წინააღმდეგ არც 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მტკიცებულებები აქვს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გამოძიება მხოლოდ ორი მოწმის ჩვენებას ეყრდნობა, ეს ჩვენებები კი ბევრ კითხვას ბადებს.

დავით აბესაძე:

„ჩვენ მოვითხოვთ ბესარიონ აბულაძის გამართლებას, რადგან გამოძიების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მისი დადანაშაულება ყოვლად დაუშვებელია. პროკურატურას არც ერთი ე.წ. მტკიცებულების დასაბუთება არ შეუძლია. არ არსებობს იმის უტყუარი საბუთი, რომ კობერიძე სწორედ აბულაძემ დაჭრა.

შესაბამისი ექსპერტიზით უნდა იყოს დადგენილი, რომ კობერიძის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებები ერთი და იმავე დანითაა მიყენებული. ასევე უნდა გამოკვლეულიყო, იმავე დანით არიან თუ არა დაჭრილები თენეიშვილი და გელაშვილი. ასეთი ექსპერტიზა კი, არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, ბევრი ეჭვი იბადება. ვინ იცის, რამდენი დანა იქნა გამოყენებული შემთხვევის ადგილზე და კონკრეტულად ვინ დაჭრა ეს ადამიანები, კობერიძის ჩათვლით? გამოძიების მასალებში არსებული ბუნდოვანი ჩვენებები ამაზე პასუხს არ იძლევა. ამასთანავე, ის, როგორც დამნაშვე, ვერც ერთმა მოწმემ ვერ ამოიცნო“.

პროკურატურა კი აღნიშნავს, რომ აბულაძე ამოიცნო, როგორც მოკლულის ძმამ, ასევე ნ. წიტაიშვილმაც. *„მოწმე კობერიძემ სხვა ცოცხალ პირებს შორის ამოიცნო ბ. აბულაძე და განაცხადა, რომ იცნო, მიუხედავად იმისა, რომ ამოცნობის დროს, ის შედარებით გამხდარი იყო, შეცვლილი ჰქონდა თმის ვარცხნილობა და თანაც, შემთხვევიდან 10 თვე გახლდათ გასული...*

ნ. წიტაიშვილმა სხვა ცოცხალ პირებს შორის ამოცნობის დროს დაადასტურა, რომ 27 დეკემბერს, აბულაძემ ჩხუბისას, სასიკვდილოდ დაჭრა მისი ნათესავი კ. კობერიძე, მაგრამ აბულაძის ნაცვლად, ხელი დაადო სხვა პირს. ამის თაობაზე, ამოცნობის ჩატარების შემდეგ, მან წერილობითი განცხადებით მიმართა ისანი-სამგორის რაიონის პროკურორს და ახსნა მიზეზი, თუ რატომ არ დაადო ხელი აბულაძეს. მისი თქმით, ის სატელეფონო ზარით გააფრთხილა უცნობმა პირმა, რომ აბულაძის ამოცნობის შემთხვევაში, ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ მას. ამიტომაც, იძულებული გახდა, შეგნებულად არ ამოეცნო აბულაძე“, – წერია საბრალდებო დასკვნაში.

დავით აბესაძე:

„არც ერთი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. ჯერ ერთი, მოკლულის ძმამ ამოცნობისას, გადაჭრით ვერ თქვა აბულაძეზე – ეს არის დამნაშავეო. მან ერთდროულად ორ ადამიანს დაადო ხელი, ორ პიროვნებას შორის მერყეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანი მართლაც, აბულაძე იყო, არ შეიძლება, ეს ამოცნობა კანონიერად ჩაითვალოს. ამოცნობისას, მოწმე არ უნდა მერყეობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ხოლო რაც შეეხება მოწმე წიტაიშვილს, პროკურატურაც აღიარებს, რომ მან აბულაძეს ხელი ვერ დაადო. განცხადება კი, იმის თაობაზე, თითქოს შეგნებულად შეიკავა თავი მისი ამოცნობისგან, არ შეიძლება, სარწმუნოდ მივიჩნიოთ. ცხადია, ის მხოლოდ იმისთვის არის მოგონილი, რომ როგორმე აბულაძის წინააღმდეგ კიდევ ერთი სამხილი შეეთითხნათ“.

ადვოკატის თქმით, შემთხვევის ადგილას, ვერც აბულაძის და – რუსუდან აბულაძე დაიძახებდა – დანა არ გახსნა, მე შენი და ვარო, – რადგან მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, ის იმ დროს ავტომანქანაში იჯდა ტორტით ხელში და ჩხუბის მომენტში, შემთხვევის ადგილას არ ყოფილა. *„სინამდვილეში, ჩხუბის დროს, ბესარიონ აბულაძის მეუღლე – მარინა თავართქილაძე ყვიროდა, მაშინ, როცა მის ძმას – მერაბ თავართქილაძეს სწვდა ვიღაც მამაკაცი უკნიდან დასარტყმელად. ამ დროს დაიძახა მარინა თავართქილაძემ – დაანებეთ ჩემს ძმას თავი, მე და ვარო. როგორც ჩანს, ამ სიტყვებს დაზარალებულმა მხარემ თავისი ინტერპრეტაცია გაუკეთა და აბულაძის დას მიაწერა, რაც საბოლოოდ, პროკურატურამ ბრალდებულის წინააღმდეგ გამოიყენა“* – აღნიშნავს დავით აბესაძე.

განსასჯელს – ბესარიონ აბულაძეს ჩვენება სასამართლოსთვის ჯერჯერობით არ მიუცია. ამჟამად, მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. ოფიციალური ცნობით, განსასჯელი წარსულში ნასამართლევი არ გახლავთ. გამოძიების მასალებში არაფერია ნათქვამი მისი საქმიანობის შესახებ. ჩვენებებში აღნიშნულია, რომ აბულაძე ადრე, კერძო ბიზნესს ეწეოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში, არსად მუშაობდა. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. კაპიტალმა საზღვრები არ იცის.
2. „სრულყოფილება ველურია“ – ამბობენ ჩინელები.
3. „არსენას ლექსი“ ცალკე წიგნად 64-ჯერ არის გამოცემული.
4. ნატაშა იონოვა მომღერალ გლიუკოზას ნამდვილი სახელი და გვარია.
5. სანამ ქრისტეს მოციქული გახდებოდა, პეტრეს – სიმონი ერქვა.
6. ადამიანს ცხოვრებაში იმდენი პრობლემა აქვს, რამდენსაც თავად იქმნის.
7. ეკა კვალიაშვილის კლიპი – „სოფელო, ჩემო სოფელო“ – სიღნაღშია გადაღებული.
8. საშუალო ევროპელი ცხოვრების 12 წელიწადს ტელევიზორის ყურებაში ატარებს.
9. ედუარდ შევარდნაძეს კომუნალური გადასახადები ყოველთვიურად 1.500 ლარი უჯდება.
10. „არც ერთ იდეოლოგიაში ხსნა არ არის, ხსნა შემოქმედებაშია“, – ამბობს გოგი გვახარია.
11. ვიღაც რუს პოლიტიკოსს უთქვამს: „ხაროში მუჟიკ კლინტონ, ია ზავიდუიუ მონიკე ლევინსკი“.
12. „ჯოკონდას“ მოპარვის შემდეგ, ლუვრის დირექტორი თანამდებობიდან მოხსნეს და მის ნაცვლად, პოლიციის უფროსი დანიშნეს.



13. რობერტ დე ნირო ახალგაზრდობაში ისეთი ფერმკრთალი იყო, რომ მეტსახელად ბობი მილქი (ბობი რძე) შეარქვეს.
14. ჰიმალაიური უკარება – ამ მცენარის ნაყოფი ისეთი წნევის ქვეშ იმყოფება, რომ ხელის უბრალო შეხებაზე სკდება და თესლს ირგვლივ ფანტავს.
15. ჯეკ ნიკოლსონი მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მსახიობია. მარტო „ბეტმენში“ მონაწილეობისათვის მას 90 მილიონი დოლარი გადაუხადეს.
16. ისეთ თაგვებს, რომლებიც ლაბორატორიულ პირობებში შავები იბადებიან და შემდეგ იღებენ თეთრ შეფერილობას, ექიმები მაიკლ ჯექსონებს ეძახიან.
17. II მსოფლიო ომის დროს, გერმანიაში სამხედრო ტყვისადმი ნორმალური დამოკიდებულება, მისთვის საჭმლის ან ტანსაცმლის გადაცემა 9 თვის პატიმრობით ისჯებოდა.
18. კეთილშობილთა სასწავლებელში ნიკოლოზ ბარათაშვილმა ორივე ფეხი მოიტეხა, რის შემდეგაც, მთელი ცხოვრების

მოლოდინი ქმრის სასგზრეულო თავგადასავალი...

ინგა ჯაყელი

ახლობლის ქორწილში მყოფი გამიხმო გვერდზე ორმოციოდე წლის მამაკაცმა და გაბრწყინებული თვალები ისე შემომანათა, გავწითლდი. მით უმეტეს, რომ ჩემს მარჯვენას დასწვდა და მოწიწებით ეამბორა...

ჰო, ვაღიარებ, ნამდვილად ის გავიფიქრე პირველად – მგონი შევყვარებივარ-მეთქი!.. და ის იყო, შინაბერას ყაიდაზე უნდა ამეწონ-დამეწონა მისი მონაცემები, რომ ცივი წყალი გადამასხა თავისი აღიარებით:

– თქვენ ბრძანდებით ის ცნობილი მწერალი, ჩემნაირებზე რომ წერს გულის მოსაფხან ამბებს ჟურნალში?!. – ლამის ყური მომჭრა მეგრულმა აქცენტმა.

– ცნობილი მწერლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ რამე საინტერესოს მომიყვებით, თქვენზეც აუცილებლად დავწერ! – დავპირდი დარცხვენილი და გამოგიტყდებით – ჩემი „აღიარებით“ ნასიამოვნები...

– ხოხ, შენ შემოგევლე, ჩემო დაია, მობრძანდით აქეთ და იმისთანა ამბავს მოგიყვებით, ჯერ რომ არავის დამართია მთელ ქვეყანაზე ალბათ ჩემისთანა უმადური და ბეცი კაცის გარდა! – ტალავრის ბოლოსკენ წამიყვანა კაცმა და ფანჩატურში შემიძღვა...

სანამ თხრობას დაიწყებდა, კიდევ ერთხელ გამიღიმა – ამას რას მევესტარიო? – და თუმცა ვერ მივუხვდი, რა იგულისხმა, ბევრი ფიქრით თავი არ გამიცხელებია და მოსასმენად მოვემზადე.

– მუშა კაცი ვარ, მთელი ცხოვრება შრომაში ვარ, მარა არ მეზარება. შრომას ფული მოაქვს, ფულს სიმშვიდე და კაი ცხოვრება. სანამ „საიუზი“ დეინგრეოდა, სად არ ვიყავი, შენ წარმეიდგინე, საუკუნის მშენებლობად წოდებულ ბამზეც, ციმბირში. ფუტკრებივით მეხვეოდნენ რუსის მზეთუნახავები, ერთმა ბიჭიც გამიჩინა, მარა ცოლათ არ მევიყვანე, ქალიშვილი არ იყო და არ ვაპატიე, კი იფიცა – შენამდე მარტვა ერთხელ შევცდიო, მარა ქალს მაი არ დეეჯერება – მისთვის პირველი თუ არ იქენი, მეასეც რომ იყო, უნამუსოდ დეიფიცებს – მეორე ხარო!.. მოკლეთ, არ დავიკელი არაფერი და კინაღამ უცოლოდ დავრჩი, დედაჩემს რომ არ ემარჯვა, დეპეშა მატაკა მოსკოვში: მამაშენი კვდება, როგორმე ცოცხალს მოუსტარიო! – და თვითმფრინავიდან ჩამოსულმა, პირდაპირ... საკუთარ ქორწილში ამოვყავი თავი ამ ხუთი წლის წინ!.. ერთი გაქაჩვა კი გავიქაჩე, მარა 20 წლის მზეთუნახავი რომ მომისვეს გვერდით 35 წლის თავტვლიპა კაცს, გავჩერდი... ამდღევანდელი ქორწილის პატარძლის უფროსი დაა ჩემი ცოლი, თქვენ ალბათ სიძის მხრიდან ბრძანდებით ნათესავი, ხომ? – მითხრა და სანამ თხრობას გააგრძელებდა, სიგარეტს მოუკიდა.

– ...შესახედავად ხომ კაი გამოდგა ჩემი ცოლი, მარა ბუნებით და საქმიანო-

ბით, კიდე მაგაზე უკეთესი. ორ წელიწადში გამიჩინა სამი ბიჭი – ჯერ გიორგი და მერე ტყუპი – ლევანი და ზურაბი. ისე დააყენა ფეხზე, არც ძიძა დასჭირვებია და არც დამხმარე. მე რუსეთში ვეღარ წევედი, მარა სამშენებლო ბრიგადა ჩამოვაყალიბე და ხან თბილისში ვიყავი, ხან ბათუმში, ხან გრიგოლეთში და ურეკში – მოკლედ, სადაც საქმე გაჩნდებოდა, იქ მივრბოდი, შვილებს ბევრი სჭირდებოდათ... სულ სახლიდან გასულ კაცს ეჭვი მაინც ღრღნის – რა იცი, ვინ შეუჩნდება ლამაზ ქალს ეშმაკივით და ამიტომ დედაჩემი მყავდა მიჩენილი: იცოდე, რამე რომ გავიგო, ჯერ შენ მოგკლავ, მერე ჩემს ცოლს და სანამ თავს მოვიკლავ, სახლს გადავწვავ-თქვა! არა, გლახა არაფერი უთქვამს, მარა გასული ზაფხულს რომ ჩავედი სახლში, გვერდზე გამიყვანა და შემეხვეწა: გადაიღალა ძაან, გახდა, გახუნდა, 5 წელია, შენი ცოლია და 5 წუთი არ ღირსებია მოსვენება, წაიყვანე სადმე, ბავშვებს მე დავიტოვებ, მაგენი თუ წაიყვანეთ, რაღა დასვენება იქნებაო!.. ისიც მთხოვა – ნუ გაამხელ, მე თუ შეგეხვეწე და შეგახსენე, ეგონოს, რომ შენ დაუფასე შრომაო!.. ჩემი ცოლი ჯერ უარობდა, შვილების დატოვებას ვერ ბედავდა, მაგრამ დავითანხმეთ და გადავწყვიტეთ, 10 დღე ბათუმში დაგვესვენა ზღვაზე... ორი დღის ჩასულები ვიყავით, რომ ჩხუბი მომივიდა: ვიღაც თბილისელმა ბიჭმა გამიყვანა გვერდზე: ბიძია, თქვენი ქალიშვილი მომწონს ძალიან და თუ გამატან, უბედნიერეს ქალად ვაქცევო!.. რომ ვხეთქე მუშტი თვალებშუა, ორი დღე ეგდო უგონოდ და ისე რომ დარჩენილიყო, სამუდამო პატიმრობას მომისჯიდნენ. რომ გაიგო, ცოლის თავს მთხოვდა, გააშვებია ჩემი თავი პოლიციას... ამის შემდეგ მაინც რამ დამატოვებია მარტო ჩემი ანგელოზივით ცოლი, მარა ხომ გითხარით, უმადური და გაუმაძღარია-თქო კაცის გული. ჩემმა მოსკოველმა ნაშამ დამირეკა – ერთი კვირით ჩამოვედი თბილისში და მნახეო!.. ავცეტდი და წავედი, ცოლს ტყვილი ვუთხარი – სამშენებლო ფირმასთან უნდა გავაფორმო ხელშეკრულება სასწრაფოდ-მეთქი. წადი, არაფერი ივჯავრო, ბათუმში ბავშვობის მეგობარი მყავს, იმას მოვძებნი და მიპატრონებსო. ისე ვიყავი აცეტებული, არც ვკითხე – რა მეგობარი და ვინ მეგობარი-მეთქი? ...ჩევედი თბილისში და მივაკითხე ჩემს ნატაშას სასტუმროში. ვივახშმეთ, დავლიეთ და რომ უნდა ჩავხუტებოდი განიერ ტახტზე, სიცილი აუტყდა: ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ თბილისში ბავშვობის მეგობარი მელოდებოდა; რომ იცოდეს, რა მეგობარიც ხარო?!. ამის გაგონებაზე, უცებ გამიქრა სიყვარულის სურვილი: ჩემი ცოლი და მისი ბათუმელი მეგობარი გამახსენდა და დავიკვნესე: ვაი, დაღუპულო ოჯახო-მეთქი!.. ნატაშას ხელი ვკარი, გვერდზე მივაგდე და უკანმოუხედავად გამოვიქეცი. ტაქსი ვიქირავე იმ შუაღამეზე და „გავფრინდი“ ბათუმში... დილის 4 საათი იქნებოდა, ნაქირავები ბინის ოთახის კარს რომ მივადექი და ის იყო, ფრთხილად ვაპირებდი დააკაკუნებას – ცოლი არ შევაშინო-მეთქი, – რომ საეჭვო ხმაური და კვნესა-კრუტუნი მომესმა, შევიხედე გასაღების ჭუჭრუტანაში და ვაი იმისთანას, რაც დევინახე – არ ადის ნიკელის „კრაოტის“ „სეტკა“ საქანელასავით ზევით-ქვევით?!. მომედო ცეცხლი, გავგიჟდი, დევის ძალა ჩამიდგა მკლავებში, ვეძგერე კარს და შევანგრიე, ავაგლეჯე ქალს კაცი და შევახეთქე კედელს, მერე ქალს მოვახტი და წავუჭირე ყელში ხელი... გაიღვიძა მთელმა სახლმა, ატყდა წივილ-კივილი, მეცნენ კაცები, ძლივს გამაკავეს, ვღრიალებდი: გამიშვით, მაინც არ ვაცოცხლებ მაგ კახპას, არც თავს ვიცოცხლებ-მეთქი! – და რომ მოვხედე, გავშრი: ვიღაცა „რიჟა“ ქალი ეგდო ლოგინზე, ასე, ჩემი ხნის... – ოთახი შეგეშალათ-მეთქი?! – ვკითხე თანაგრძნობით. თავიდან მასე მეგონა, დავიწვი სირცხვილით და აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. ამ დროს, ჩემს ცოლს თურმე, მართლა მოუძებინა ის თავისი მეგობარი, რომელიც მილიონერზე ყოფილა გათხოვილი, ბათუმის ცენტრში „დვარეცი“ ჰქონია მის ქმარს. გადარეულა ის ქალი – ამ საქათმეში რავა დაგტიებო! – და წაუყვანია თავისთან. ჩემთან კი რეკავდნენ თურმე, გასაფრთხილებლად, მარა გამორთული მქონდა მობილური, ნატაშასთან გრიალში რომ არ შეეშალათ ხელი... ხოდა საკუთარმა უმადურობამ და „დურაქობამ“ გამხვია ამისთანა შარში, კიდე კაი, რომ გეიგეს სიმართლე, აღარ მიჩივლა იმ პატიოსანმა ხალხმა და გამიშვეს ჩემს გზაზე.... ■

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108



18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

განმავლობაში, ცალი ფეხით კოჭლობდა.

19. „მე და ნანა შონია ბავშვობის მეგობრები ვართ, ერთად დავდიოდით შატალოზე და ერთად ვაგროვებდით ათკაპიკიანებს, ვითომ ტელეფონზე დასარეკად გვინდოდა და მერე იმ ფულით „კორჟიკს“ ვყიდულობდით“, – ჰყვებოდა მერაბ ნინიძე.

20. ელდარ რიაზანოვის ფილმში – „ადამიანი არსაიდან“ – პაპანოვი ოთხ როლს თამაშობს. ფილმის გამოსვლიდან მეორე დღეს, საბჭოთა კავშირის მაშინდელმა მთავარმა იდეოლოგმა სუსლოვმა საკუთარი მანქანიდან შენიშნა აფიშა და საშინლად აღშფოთდა: რას ნიშნავს „ადამიანი არსაიდანო“?! – და განკარგულება გასცა, ფილმი გაქირავებიდან ამოეღოთ. დღის სინათლე ამ ფილმმა მხოლოდ 28 წლის შემდეგ იხილა.

21. „თეატრი მოკვდა, კინო თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის!...“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ანდრეი კონჩალოვსკიმ.

22. მერცხლის ბუდეებს, რომლებიც ჩინეთში უძვირფასეს დელიკატესად ითვლება და რომლის ფასი მის წონა ოქროს უდრის, გამოქვაბულის მერცხლები საკუთარი ნერწყვით ამზადებენ. ამ დელიკატესის მომპოვებლებს ბუდეების მოგროვების უფლება ყველა გამოქვაბულში წინასწარ აქვთ შესყიდული. P.S. ბუდეებს აყალბებენ კიდეც და ცდილობენ, გურმანებს გოგრისგან დამზადებული „ბუდეები“ შეაპარონ.

23. კახეთის მეფეს ალექსანდრე მეორეს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა ნადირობა, ერთხელ ასეთი სიტყვები დასცდენია: ნეტავ, ვინმე ააოხრებდეს კახეთს, რომ მოსახლეობა შემცირდეს და სანადირო ადგილები გაიზარდოსო...

24. ერთხელ, ბერტოლდ ბრეხტს ახლობელმა წერილი გაუგზავნა, რომელშიც სწერდა – კარგად ვარ, არაფერი მიჭირს, მშვენივრად ვცხოვრობო. პასუხად ბრეხტმა უზარმაზარი ქვა გაუგზავნა ფოსტით და მისწერა: ეს ის ლოდია, რომელიც ჩემი გულიდან გადაგორდა, როდესაც შენი კარგად ყოფნის ამბავი შევიტყვეო.

25. როდესაც რუსეთის იმპერატორს მოახსენეს, პეტრე ჩაიკოვსკი ჰომოსექსუალისტიაო, მან მშვიდად განაცხადა: „პედერასტოვ უ ნას მნოგო, ა ჩაიკოვსკი – ოდინ.“

ზღვაზე გაცნობილმა ადამიანმა ჩემი ცხოვრება გადააბრუნა

წერილი მანჩესტერიდან და ერთი კაცის ცოლისა და საყვარლის საიდუმლო გარიგება

ადამიანთა უმეტესობა დასვენებას და შვებულების გატარებას სწორედ ზღვაზე ამჯობინებს. რა სჯობია, ტანისამოსს რომ გაიხდი და მზეზე „დაყრილ“ თანამოძმეებს მიუწვები გვერდით!.. რა თქმა უნდა, თუ პლაჟზე წამოსაწოლ ადგილს იპოვი, ზღვაში კი — ხელის გასაქნევს... ზღვა შესანიშნავი საშუალებაა გასაგრილებლად, გასარუჯად და... საკურორტო რომანის გასაჩაღებლად. მკითხველების მესიჯებიდან ირკვევა, რომ ადამიანები თურმე, ზღვაზე ახალი ნაცნობების შესაძენად და საოცნებო პრინცისა თუ პრინცესას საპოვნელად მიდიან. ერთ-ერთი მათგანი კი პირდაპირ პლაჟიდან ასეთ მესიჯს მიგზავნის: „ჩემი მეუღლე სწორედ ზღვაზე გავიცანი. დავქორწინდით და სულ მალე ისეთი საზიზღარი ჩვევები გამოამჟღავნა, რომ ერთ კვირაში დავშორდი. მარი, მოკვდე, თუ ეს მესიჯი არ დამიბეჭდო!.. ნოდარი“. რატომ უნდა მოვკვდე?! ის არ მეყოფა, თბილისის სიცხე რომ მკლავს?.. შევშინდი, წყევლამ არ მიწიოს-მეთქი და ბატონი ნოდარის მესიჯი დასაწყისშივე შემოგთავაზეთ... ახლა დანარჩენ რესპონდენტებს მივხედოთ.

მარი ჯაფარიძე

სარეკლამო „შნურით“ გამხელილი სიყვარული

„სულ პატარა ვიყავი, როდესაც ინვალიდის სავარძელს მივეჯაჭვე. დღემდე არავინ იცის, რის გამო დამემართა კრუნჩხვა. როდესაც შეტევამ გამიარა, წელს ქვემოთ მოწყვეტილი ვიყავი. მაშინ 5 წლის ვიყავი და მკაფიოდ მახსოვს, თუ როგორ დამიბნელდა თვალებში, როგორ დავეცი და როგორ მტკიოდა მთელი სხეული. მახსოვს დედაჩემისა და ბებიაჩემის ყვირილი, მამაჩემის ხმამაღალი ტირილი... შემდეგ ტკივილი შესუსტდა და ოთახში ყველაფერი გავარჩიე... წამოდგომა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი... ახლა უკვე 23 წლის ვარ. სხვისი დახმარების გარეშე წამოვდგომაც კი არ შემიძლია. 2 წლის წინ, ზაფხულში ზღვაზე წავედით მთელი ოჯახი. წყალში ვერ ჩავდიოდი, მაგრამ ზღვის ნაპირზე ინვალიდის სავარძლით მასეირნებდნენ ხოლმე. სასტუმროში ჩემი თანატოლი გოგო-ბიჭები გავიცანი და დავუმეგობრდი. საღამოობით ისინი „დამაგორებდნენ“ ხოლმე და სადაც მიდიოდნენ, ყველგან თან დავყავდი. დედა ძალზე გახარებული იყო. ასეთი ხალისიანი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან არც ერთ ახალ მეგობარს არ უგრძნობინებია ჩემთვის, რომ მათზე ნაკლები ვიყავი. დისკოთეკაზეც კი ასე, დამჯდარი ვცეკვავდი ხოლმე. სულ გადამავიწყდა ჩემი გასაჭირი... სასტუმროს წინ სასურსათო მაღაზია იყო. დედასთან ერთად რომ მხედავდნენ, გამყიდველები არაფერს კითხულობდნენ. მაგრამ ერთხელ დედა დაუმარტოხელებიათ და ჩემ შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გამოუკითხავთ. მაღაზიის მეპატრონე ახალგაზრდა ბიჭი გახლდათ და ისიც კითხვას კითხვაზე აყრიდა თურმე. ბოლოს სინანულით გადაუქნევია თავი, ასეთი ლამაზი გოგო ინვალიდის სავარძელზე მისაჯაჭვავად ნამდვილად ცოდვააო, — უთქვამს. სასტუმროში, მესამე სართულზე ვცხოვრობდით და ჩვენი ფანჯრები სწორედ მაღაზიას გადაჰყურებდა. გვიან ღამემდე აივანზე ვიჯექი ხოლმე. ერთხელ, მაღაზიის ვიტრინაზე „განათებული“ წარწერა შევნიშნე — „მარიამ, კარგი გოგო ხარ“. მარიამი მე გახლავართ, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს წარწერა მე მეკუთვნოდა. ასეები სპეციალური, სარეკლამო, განათებული „შნურით“ იყო დაწერილი. მეორე საღამოს, ტექსტი შეიცვალა: მარიამ, მე შენთან ვარო, — მაუწყებდა წარწერა. ისეთი ინტერესი გამოიწვია ამ ამბავმა, რომ იმ შუაღამისას კინაღამ ჩავედი ქვევით იმის გასარკვევად, თუ ვის ეკუთვნოდა ეს სიტყვები... ყოველ საღამოს სხვადასხვა შინაარსის წინადადებები ნათდებოდა. ბოლოს — მარიამ, მიყვარხარო! — რომ დაეწერა, ლამის სული შემეხუთა... მეორე დღეს, ერთ მეგობარ გოგონას ვთხოვე — მაღაზიაში ჩამიყვანე-მეთქი. არ დაიზარა. ერთ-ერთ გამყიდველს ვკითხე — ყოველღამით თქვენი მაღაზიის ვიტრინაზე წარწერა რომ ჩნდება, ვის ეკუთვნისმეთქი? — მე არაფერი ვიცი, — მხრები აიჩეჩა ქალმა და უფროსს დაუძახა; დათომ მითხრა — ამ საღამოს ისევ წაიკითხე და მიხვდები, ვისაც ეკუთვნისო. მოუთმენლად ველოდი დაღამებას. კარგა ხანს ვიჯექი აივანზე და ჩაბნელებულ ვიტრინას ამაოდ შევყურებდი. უეცრად, ერთბაშად განათდა წარწერა, რომელიც მაუწყებდა — კარი გაიღეო. მართლაც, რამდენიმე წამში, კაკუნი გაისმა. ვიდრე სავარძელი შემოვაბრუნე და ოთახში შევედი, დედას კარი გაეღია. ჩემკენ გაღიმებული დათო მოდიოდა, ხელში უზარმაზარი, ფუმფულა ლომი ეჭირა... ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მერე დათო წავიდა და მე მთელი ღამე ვტიროდი... მეორე დილით, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით თბილისში წამოვედით... მას შემდეგ, 2 წელი გავიდა. დათო თბილისში არ გამოჩენილა. შესაძლოა, არც მოვუძებნივარ, შესაძლოა, მეძებდა და ვერ მომაგნო, მაგრამ ფაქტია, რომ მან ჩემი ცხოვრება შეცვალა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ უკეთესობისკენ. ამ ამბავმა და ზღვაზე გაცნობილმა ადამიანმა უფრო მეტი სადარდებელი და საფიქრალი გამიჩინა. მე ხომ ის ადამიანი უზომოდ მიყვარს. მარი, თუ დათო წაიკითხავს და გამოგეხმაურება, გთხოვ, ჩემი ტელეფონის ნომერი მისცე. პატივისცემით, შენი სეხნია, მარიამი“.

თუ სხვისი ქმარი შეგიყვარდათ, სასოწარკვეთას ნუ მიეცემით. თურმე, ყოველთვის მოიძებნება მეთოდი, რომლითაც შესაძლოა, მისი მეუღლე გაიჩუმოთ და თქვენი ურთიერთობის ხელშემწყობადაც კი აქციოთ.

ცოლისა და საყვარლის საიდუმლო გარიგება

„ჩემი ცხოვრების ერთადერთი და დიდი სიყვარული სწორედ ზღვაზე ვიპოვე... ამერიკაში მაშინ გავემგზავრე, როცა ჯერ

კიდევ არავინ იცოდა, რომ ჩვენებურს იქ გამდიდრება შეეძლო. მაშინ 19 წლის ვიყავი. მოვახერხე ის, რომ ამერიკის მოქალაქეობა მივიღე. ახლა 26 წლის ვარ და ცხოვრება აწყობილი მაქვს. როგორც თბილისიდან ქუთაისში, ისე თავისუფლად დავდივარ ამერიკაში. მოკლედ, იქ ყოფნას მაინც საქართველოში ცხოვრება მირჩევნია. ამიტომ წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვეს ვატარებ საზღვარგარეთ. შარშან ზაფხულში მე და ჩემი მეგობარი გოგო, ჩემი მანქანით ქობულეთს ვეწვიეთ. სასტუმროში ვცხოვრობდით. პლაჟზე შევნიშნე უნაკლო გარეგნობის, ძალზე სიმპათიური მამაკაცი. მალე მასთან ერთად ახალგაზრდა გოგო და ბავშვი გამოჩნდნენ. მივხვდი, მისი ცოლ-შვილი იყო. ლევანი ისე მომეწონა, რომ მაშინვე ჩავიფიქრე – ეს კაცი ჩემი უნდა გახდეს-მეთქი. დავუწყე თვალებით შება. თვალს მარიდებდა, უხერხულად იშმუშნებოდა, მაგრამ მე არ ვეშვებოდი. ერთხელ ვთხოვე – ჩემი ტელეფონის ელემენტი დაჯდა, თუ შეიძლება, დამარეკინეთ-მეთქი. ჩემს ნომერზე გავუშვი ზარი და მისი ნომერი ასე დავადგინე. დავიწყე მესიჯების გზავნა. მპასუხობდა... ეტყობოდა, რომ დიდი ფულისა და ქონების პატრონი არ იყო: ნაქირავებ, ნესტიან ოთახში ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად, არც ჩაცმა-დახურვით გამოირჩეოდა და მობილურიც ძველი მოდელის ჰქონდა. ჩემი მეგობარი მეუბნებოდა – ვერ შეაბამ, ხომ ხედავ, ცოლ-შვილს გვერდიდან არ შორდებაო. მე კი მისი გულისკენ მიმავალ გზას, ფულში ვხედავდი, რომელიც საკმაოდ მქონდა... ერთ საღამოს, მესიჯი მივწერე და ვთხოვე, სასტუმროში მოსულიყო. ერთ საათში უკვე იქ იყო. რესტორანში დავპატიჟე, მაგრამ უარი მტკიცა. როგორც ჩანს, ქალის ხარჯზე ქეიფი მოერიდა. ვისაუბრეთ, ერთი-ორი ჭიქა კონიაკი დავლიეთ... წასვლისას მისი მობილურიდან „კარტა“ ამოვიღე, ჩემს ტელეფონში ჩავდე და ისე მივაწოდე. იუარა, მაგრამ უკან აღარ დავიბრუნე. თავისი ტელეფონიც გავატანე და გავუშვი. არ ვიცი, რა უთხრა ცოლს, მაგრამ მეორე დღიდან, ჩემი ნაჩუქარი ტელეფონით გამოჩნდა პლაჟზე... თბილისში რომ დავბრუნდით, ისევ გავაგრძელე მასთან ურთიერთობა. ბოლოს პირდაპირ მკითხა – რა გინდაო? – ვიცი, ცოლ-შვილი გყავს, ამიტომ შენთან სერიოზულ ურთიერთობასა და საერთო ოჯახზე არ ვფიქრობ, შენ გვერდით ყოფნა და შენი ალერსი მინდა-მეთქი. – მოვიფიქრებო, – მიპასუხა. რამდენიმე დღის შემდეგ, შინ მეწვია. მარტო ვიყავით და ვთხოვე, დარჩენილიყო. უარი არ უთქვამს... რომ მიხვდა, ქალწული ვიყავი, ჯერ უკან დაიხია, მაგრამ მე შევაგულიანე და ბოლოს, ჩემი გავიტანე... უზომოდ შემიყვარდა ეს ადამიანი. ლევანსაც გაუჩდა გრძნობა ჩემ მიმართ. როცა 1-2 თვით ამერიკაში გავემგზავრე, იმას ჩიოდა, უშენოდ რა მეშველებაო?!. ერთხელ კი, გულისტკივილი გამიზიარა – ჩემმა ცოლმა ტელეფონში შენი მესიჯები ნახა და იძულებული გავხდი, ყველაფერი გულახდილად მეღიარებინაო... ნამდვილად არ მესიამოვნა ეს ფაქტი, მაგრამ რაღას ვიზამდი?.. ვუთხარი – თუ ჩემთან დალაპარაკებას მოისურვებს, მზად ვარ, ყველაფერი ავუხსნა-მეთქი. სულ მალე მის ცოლს მართლაც შევხვდი. არაფერი დამიმალავს მისთვის, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე და შევთავაზე – შენც რომ კარგად იყო და მეც, ლევანისგან საყვედურები რომ არ მივიღოთ, მას ნუ გავუმხელთ, რასაც ახლა გეტყვიმეთქი, – და აი, რაზე მოვილაპარაკეთ: ჩვენ ლევანისგან მალულად ვიმეგობრებდით. მე მის ოჯახს მატერიალურად უზრუნველვყოფდი, სამაგიეროდ, ჩემი და თავისი ქმრის ურთიერთობაზე თვალს დახუჭავდა; იმის პირობაც მივეცი, რომ ქმარს არ წავართმევდი და ოჯახს არ დავუნგრევდი... დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს დამთანხმდა... უკვე 7 თვეა, ასე შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ. ლევანმა ჩვენი შეთანხმების შესახებ არაფერი იცის. ხანდახან, თუ ხათუნას ეჭვი გაუჩნდება, მირეკავს ხოლმე – ლევანი შენთან არისო? – გადაამოწმებს და მერე მშვიდდება... აი, ასე შეცვალა ზღვაზე გაცნობილმა ადამიანმა ჩემი ცხოვრება. არ ვიცი, რა ეშველება ამ გრძნობას, რადგან ვხვდები, რომ ლევანის გარეშე ერთ დღესაც ვეღარ ვძლებ და მეშინია, ხათუნასთვის მიცემული პირობა არ „შემომერღვეს“ – ოჯახს არ დაგინგრევ-მეთქი, რომ შევეპირდი. თუმცა, თუ „ხელფასს“ მოვუმატებ, შესაძლოა, ამ დათმობაზეც წავიდეს...“

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მრავალი წლის წინ, ერთ მამაკაცზე 5 ქალი მოდიოდა, ცოტა მოგვიანებით – უკვე 8, ახლა კი, ამ ციფრმა თურმე 11-ს მიაღწია!.. არ ვიცი, კაცების რიცხვი მცირდება თუ ქალები უფრო სწრაფად მრავლდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ თუ სხვას არ დასწარი, შესაძლოა, ქმრის გარეშე დარჩე. თუმცა, დეიდაშვილი რომ „სხვა“ არ არის, ეს თქვენც კარგად იცით და ჩვენმა შემდეგმა რესპონდენტმაც, მაგრამ...

„დეიდაშვილს საქმრო წავართვი...“

„გამარჯობა. მე ძალზე მიყვარს „გზავნილების“ კითხვა, მაგრამ მესიჯს ახლა პირველად გწერთ და იმედი მაქვს, გამომიქვეყნებთ. მე და ჩემი დეიდაშვილი თითქმის ერთად გავიზარდეთ. ნინო ჩემზე 3 წლით უფროსია და ერთმანეთი დებივით გვიყვარს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ნინო სამუშაოდ საბერძნეთში გაემგზავრა და მთელი 3 წელი თვალითაც არ გვინახავს. მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობდით. ერთხელ დეიდაჩემთან (ნინოს დედასთან) ვიღაც ნაცნობი მოვიდა და უთხრა – ჩემს მულს ძალზე კარგი ვაჟი ჰყავს, სწორედ შენი ნინოს შესაფერისია, იქნებ, ეს საქმე მოვაკვარახჭინოთო?.. ნინოს, თემოს სურათი გაუგზავნეს, თემოს – ნინოს ფოტოები უჩვენეს და გადაწყდა: ნინო საბერძნეთიდან ჩამოვიდოდა, ისინი ერთმანეთს გაიცნობდნენ და თუ ორივე თანახმა იქნებოდა, დაქორწინდებოდნენ... ნინოს დიდი ზარ-ზეიმით დავხვდით. გავიხარეთ მისი დაბრუნებით. ნინოს და თემოს შეხვედრაც მალევე შედგა. ზაფხული იყო. ქორწილი სექტემბრისთვის დანიშნეს. მანამდე კი, თემომ საქორწინო რგოლის ბეჭედი აჩუქა და თავის საცოლედ გამოაცხადა. გადაწყდა, რომ ახალგაზრდები მეგობრებთან ერთად წავიდოდნენ ზღვაზე. თან დაისვენებდნენ, თან ერთმანეთს უკეთ გაიცნობდნენ. ბუნებრივია, მეც მათთან ერთად წავედი. უფრო სწორად, ჯერ ისინი წავიდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ კი, მეც შევუერთდი. თემო პირველად მაშინ ვნახე. პირველი დანახვისთანვე მომეწონა. 3 კვირა ვიყავით ქობულეთში. თემო იმდენად მომწონდა, რომ უკვე საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი. თითქოს მისგანაც ვგრძნობდი გადამეტებულ ყურადღებას, მაგრამ ვერ ვიჯერებდი, რომ ეს შესაძლებელი იყო და თავს ვარწმუნებდი, მეჩვენება-მეთქი. მაგრამ ჩემი ჩასვლიდან მე-12 დღეს, მისგან მესიჯი მივიღე, სადაც შეხვედრას მთხოვდა და მფრთხილებდა, არავისთან წამოგცდესო. შევხვდით... ასე მხურვალედ ჩემთვის არავის უკოცნია... სიყვარული ამოხსნა და გავიპაროთო, შემომთავაზა. ვერ გავბედე. მაგრამ მომდევნო დღეებში, ჩუმ-ჩუმად ისევ ვხვდებოდით ერთმანეთს და გაპარვის გეგმასაც ვადგენდით... ქობულეთიდან წამოსვლის წინადღეს, მოვიმიზეზე – ქალაქში გავივლი, საქმე მაქვს-მეთქი, – ჩემი ბარგი ჩუმად გამოვიტანე და დათქმულ ადგილას თემოს დაველოდე. ბევრი მოცდა არ დამჭირვებია... მთელი კვირა ვიმალებოდით. შემდეგ მისმა მშობლებმა შემოგვითვალეს – ოღონდ დაბრუნდით, უბატონოდ ხმას არავინ გაგცემთო. ნინო უკვე საბერძნეთში გამგზავრებულიყო... დეიდაჩემი მალე შემოვრიგეთ, არც ნინო გაბუტულა დიდი ხნით... ამ ამბის შემდეგ, 3 წელი გავიდა. ჩვენ ძველებურად გვიყვარს ერთმანეთი. აი, ასე შეცვალა ზღვაზე გაცნობილმა დეიდაშვილის საქმრომ ჩემი ცხოვრება“.

თუ ისევ მოვიშველიებთ ზემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს და უბრალო არითმეტიკულ მიდგომას გამოვიჩენთ, საინტერესო სურათი გამოდის: თუ ერთ

მამაკაცს არც ერთი ქალი არ ჰყავს, მეორეს 22 ერთად ჰყოლია... ალბათ, სწორედ ასეთი მამაკაცების რიგს მიეკუთვნება შემდეგი რესპონდენტის მიერ მოყოლილი ამბის ერთ-ერთი პერსონაჟი.

მიტოვებული დონჟუანი და იერიში ძმაკაცზე

„არასოდეს მიშვებდნენ მშობლები დასასვენებლად მარტო, ყოველთვის ოჯახთან ერთად მივდიოდი. შარშან ზაფხულში დედაჩემს ტვინი შევუჭამე – მეგობრებთან ერთად ზღვაზე გამიშვი-მეთქი. როგორც იქნა, დავიყოლიე. 6 გოგო ერთად წავედით. წინასწარ ვტკბებოდი იმის წარმოდგენით, თუ რა მხიარულად გავატარებდით დროს... პირველივე საღამოს 2 ძმაკაცი გავიცანით – ლადო და ირაკლი. ორივე კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ლადო ძალზე მორიდებული და მორცხვი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ირაკლი არ აჩერებდა ენას და ეტყობოდა, რომ დიდი მუსუსი ვიღაცა იქნებოდა... ბიჭებმა ექვსივე გოგოს ტელეფონის ნომრები ჩაიწერეს და გვიან ღამით დაგვემშვიდობნენ. გოგოებმა მაშინვე მათზე დავიწყეთ ჭორაობა და ყველამ ერთხმად აღვნიშნეთ, რომ იკა გაცილებით საინტერესო მამაკაცი გახლდათ. თითოეულ ჩვენგანს მოეჩვენა, რომ სწორედ მას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღებით... ამის შემდეგ ისეთი ამბები დატრიალდა, რომ შესაძლოა, არც დაიჯეროთ. იკამ ექვსივე მეგობრის შებმა დაიწყო, თან თითოეული ჩვენგანი გააფრთხილა, რომ დანარჩენებისთვის არ ეთქვა... საღამოობით მესიჯების წერას რომ ვიწყებდით, ერთმანეთს ყურადღებას არ ვაქცევდით ხოლმე. ის კი ახერხებდა, რომ ექვსივესთვის ეპასუხა. არ ვიცი, რა სიჩქარით კრებდა ტექსტს ან შესაძლოა, ყველას ერთსა და იმავე მესიჯსაც გვიგზავნიდა, მაგრამ ფაქტია, რომ თავს კარგად ართმევდა... ბოლოს, მე გამიჩნდა ეჭვი, რომ იკა რაღაცას გვატყუებდა. ჩემი ეჭვი გოგოებს გავუზიარე.

ყველამ აღიარა, რომ იკა აბამდა. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ ამ დონჟუანისთვის ჭკუა გვესწავლებინა. და ყველამ ლადოს ტელეფონზე მესიჯების გაგზავნა დავიწყეთ. იკა მივატოვეთ და მის ძმაკაცზე მივიტანეთ იერიში... ბოლოს, ლადო ძალიან რომ გაწამდა, ერთად მოგვიყარა თავი და გამოგვიცხადა: ყველამ თავი დამანებეთ, მე ეს გოგო მომწონსო, – და თითი ჩემკენ გამოიშვირა... იმავე წლის ზამთარში დავქორწინდით და ჩემი ცხოვრება მართლაც ძირფესვიანად შეიცვალა. იკა ისევ უცოლოდ დადის და მუდამ პრობლემები აქვს – ხან ერთი გოგო წაასწრებს ხოლმე ღალატის დროს, ხან – მეორე. შეყვარებულებსა და საყვარლებს ცხვირსახოცებივით იცვლის და რა ეშველება, არ ვიცი...“

„მშვიდად „გადავულოცე“ ქმარი...“

„ალბათ მკითხველების უმრავლესობა იმის შესახებ დაგიმესიჯებთ, რომ მათი ცხოვრება ზღვაზე გაცნობილმა საპირისპირო სქესის ადამიანმა შეცვალა. მე კი მინდა მოგითხროთ, თუ როგორ შეცვალა ჩემი ცხოვრება ქალმა, რომელსაც ზღვაზე დავუმეგობრდი. იმ წელს ჩემმა მეუღლემ დასასვენებლად წამოსვლა ვერ მოახერხა, ამიტომ მე და ჩვენი 4 წლის მარიამი მარტო წავედით ზღვაზე. ჩვენ გვერდით ოთახში ჩემი ასაკის გოგონები ისვენებდნენ. საღამოობით დროს ერთად ვატარებდით. ერთმანეთი ძალზე მოგვეწონა და მალე დავმეგობრდით კიდეც. ჩვენი ურთიერთობა თბილისში ჩამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. ელენე და მაკა ჩემთან სტუმრადაც მოდიოდნენ ხოლმე. კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა. შემდეგ, ისინი უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდნენ, ისიც – მხოლოდ მაშინ, როცა მე შევეხმიანებოდი. მეც მომწყინდა, ვიფიქრე – თავს ხომ არ მოვაბეზრებ-მეთქი, – და შევეშვი. მერე დავფეხმძიმდი. ორსულობა რთულად მიმდინარეობდა, ძირითადად ვიწექი და მათთვის უკვე აღარც მეცალა... ვაჟი შემეძინა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ჩემი ქმარი სწორედ ბიჭზე ოცნებობდა. მეორე დღეს, ახალგაზრდა ქალი მოიყვანეს, რომელსაც ძალზე გაუჭირდა მშობიარობა და მძიმედ იყო. ამის გამო ბავშვს ძუძუს ვერ აწოვებდა. ექთანმა მთხოვა – ბავშვი შენი შვილის მოგვარეა, დროებით დედობა გაუწიე, ძუძუ მოაწოვეო. უარს როგორ ვეტყოდი?!. ვარდისფერი, ულამაზესი ბავშვი მომიყვანეს. ერთხელაც, ბავშვის მოყვანა რომ შეაგვიანდათ, მე თვითონ მივაკითხე. დედამისი არასოდეს მენახა. რომ შევხედე, სიხარულისგან გადავირიე: მაკა ყოფილა. გადავკოცნე, მივულოცე, თუმცა კი გამიკვირდა, რომ მისი გათხოვების შესახებ არაფერი ვიცოდი... თვითონ უხალისოდ მელაპარაკებოდა და ნასალადევად მიღიმოდა. იმავე საღამოს კი, სანიტარმა ჩემი ქმრისგან ამანათი მომიტანა და თან წერილი მოაყოლა: დაბადების მოწმობას ხვალ მოგიტან, გოგონას ქეთევანი დავარქვათ, მიყვარხარ და ერთი სული მაქვს, როდის გნახავთ შენც და პატარა ქეთინოსაცო... ჩემი ქმრის ხელს კარგად ვცნობ. ნამდვილად მისი ხელი იყო და რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, ვერ ვიგებდი. უცებ, თავში მაკას შვილის გვარი ამოიტივტივდა და ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგა: მივხვდი, რომ სანიტარმა ქალმა ჩემი ქმრის ამანათი შეცდომით მე მომიტანა. ის ხომ ვერ წარმოიდგენდა, რომ ერთი კაცის ცოლიც და საყვარელიც ერთ სამშობიაროში იქნებოდნენ და ერთსა და იმავე დროს იმშობიარებდნენ... ალბათ მიხვდით, რომ ჩემთან სტუმრად სიარულის დროს, მაკამ და ჩემმა ქმარმა რომანი გააბეს. მათი სიყვარულის ნაყოფს კი, ძუძუს მე ვაწოვებდი!.. ქმარს გავეყარე. ის ახლა მაკასთან ცხოვრობს, მე და ჩემი შვილები კი – ცალკე. აი, ასე შეცვალა ჩემი ცხოვრება ზღვაზე გაცნობილმა ქალბატონმა. მე ამის გამო არც სკანდალი მომიწყვია და არც ხმამაღალი სიტყვა მიკადრებია ვინმესთვის. მშვიდად „გადავულოცე“ ქმარი და გზიდან ჩამოვეცალე“.

„გმირი“ ქურდი

„ძალზე კარგად ვცურავ. ამიტომ ძლიერი ღელვის დროსაც არ ვამბობ უარს წყალში შესვლაზე. შარშან ზაფხულში, ქობულეთში ვისვენებდი. ერთ დღეს, ზღვა ძლიერ ბობოქრობდა. გადავწყვიტე, ჩემი ცურვის ხელოვნებით ხალხი გამეკვირვებინა. პლაჟზე გავედი, ტანთ გავიხადე და წყალში გადავეშვი. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ ვერ შევძელი ტალღებთან გამკლავება. ვგრძნობდი, რომ მალე ფსკერისკენ წავიდოდი. სწორედ ამ დროს შევნიშნე, თუ როგორ გადმოხტა წყალში ახალგაზრდა მამაკაცი... როგორც იქნა, ნაპირზე ამომათრია... ამის შემდეგ მე და პაატა დავმეგობრდით. შემიყვარდა კიდეც. ძალზე განვიცდიდი, რომ სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით და ერთმანეთს ხშირად ვერ ვნახავდით, მაგრამ მშველელად მობილური ტელეფონი მეგულებოდა. ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით, საათობით ვსაუბრობდით ხოლმე... 3 თვე ისე გავიდა, რომ მისთვის თვალიც არ მომიკრავს. ვთხოვე – მენატრები, ჩამოდი-მეთქი. 2 დღის შემდეგ ჩამოვიდა. შინ დავპატიჟე. გავუმასპინძლდი და კარგა ხანს ვისაუბრეთ. საკმაოდ გვიან წავიდა. ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ რაღაც-რაღაცები მოუპარავს: ჩემი ოქროს ბეჭედი, სამაჯური და ძეწკვი, რომლებიც მის თვალწინ მოვიხსენი და კარადის თაროზე მდგარ ფაიფურის ჭურჭელში ჩავყარე, სადაც სხვა ოქროს ნივთებიც იყო. ყველაფერი წაულია. ჩანთიდან ჩემი საფულე ამოუღია და კიდევ რაღაც წვრილმანი ნივთებიც გაუყოლებია... ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, თუ როგორ შეიძლებოდა, ასეთი თაღლითი ადამიანი იმდენად გულადი ყოფილიყო, რომ უცხო ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად აბობოქრებულ ზღვაში გადამხტარიყო?!. მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა. თანაც ძალზე გულგატეხილი და იმედგაცრუებული ვარ. მისი მობილური იმ დღიდან გამორთულია. ღმერთმა უწყის, მართლა იმ ქალაქში ცხოვრობს თუ არა, რომელიც თვითონ დამისახელა. ახლა ყველა ბიჭს ეჭვის თვალით ვუყურებ და აღარავის ვუჯერებ“.

სასოწარკვეთილი ქვრივი ფსიქოლოგისგან შველას ითხოვს...

„რასაც ახლა მოგიყვებით, დღევანდელ თემას არ შეეფერება და მე თუ მკითხავთ, არც ნორმალურად მოაზროვნე ქალის საქციელს... 42 წლის ვარ. 17 წლისას, უკვე შვილი მყავდა. ეს ახლა არავის უკვირს, თორემ, მაშინ ასე ადრე არ თხოვდებოდნენ. ძალიან კარგი მეუღლე მყავდა, ბედნიერიც ვიყავი. მეგონა, ქმარი სულ გვერდით მეყოლებოდა. მის გვერდით გავიზარდე, დავქალდი და სიბერისკენაც წავედი. თურმე ბედი დამცინოდა და ახალ განსაცდელს მიმზადებდა. 3 წლის წინ დავქვრივდი. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ 3 თვის განმავლობაში აზრზე ვერ მოვდიოდი. სიცოცხლემ აზრი დაკარგა და გამუდმებით თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. ეს კი ძალზე მაშინებდა და ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაზე მაფიქრებდა. დამამშვიდებელ აბებს ვსვამდი, მაგრამ არაფერი მშველიდა. ბოლოს, ასეთი სისულელე მომაფიქრდა – ვინმე მამაკაცისთვის საიდუმლო მესიჯი გამეგზავნა და ამით ჩემი სტრესი შემემსუბუქებინა. ერთ ნაცნობ მამაკაცს მივწერე. პასუხი დამიბრუნა. ეს მიწერ-მოწერა ნორმალურ ფარგლებს არ გასცილებია: ერთმანეთს დღესასწაულებს ვულოცავდით, საკუთარ თავზე ვუყვებოდით... ერთ-ერთი ასეთი გულახდილი საუბრის დროს მიცნო... ამან ჩემზე საშინლად იმოქმედა, რადგან მასაც და მის ცოლ-შვილსაც ახლოს ვიცნობ. მე კი შეუმჩნევლად შემომეპარა მის მიმართ სიყვარული... საკუთარ თავსა და შვილებს თვალს ვერ ვუსწორებ. ისიც თავს იკავებს, არანაირი სურვილი აღარ გააჩნია ჩემთან ურთიერთობის. იმიტომ კი არა, რომ არ მოვწონვარ – მას არ უნდა, ჩემი სახელი შებღალოს. ოჯახის დანგრევისაც ეშინია. მე კი მისგან დუმილს ვეღარ ვიტან. მიყვარს, ვიტანჯები და ლამისაა, ისევ თვითმკვლელობაზე ვიფიქრო... მისი დუმილი ჩემთვის სიკვდილზე უარესია. გთხოვთ, დამეხმაროთ, იქნებ, ფსიქოლოგმა ამიხსნას, რა ხდება ჩემს თავს...“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გადავხედოთ.

„ცოლმა ზღვის გოჭი მიძახა...“

„აუ, მარი, მარტო შენ შეგიძლია ჩემი გადარჩენა. თავს მოვიკლავ, თუ საყვარელ ადამიანს დავკარგავ. ის ჩემს ძმაკაცსაც უყვარს და მეც. 141-ე სკოლელო ანა მძე, მიყვარხარ. გიო“.

„ზღვაზე ახალი ჩასული ვიყავი, როცა პლაჟზე ერთი გოგო მომეწონა. ვიფიქრე – გავიცნობ-მეთქი, მაგრამ იმ დღეს წვიმა წამოვიდა და ვერ მოვახერხე. ის გოგო ერთი ნახვით შემიყვარდა. როცა გამოლაპარაკება მოვინდომე, მითხრა – ქმარი მყავს, ჩემზე არც იოცნებოო. ისეთ დეპრესიაში ჩავვარდი, რომ მეორე დღესვე თბილისში დავბრუნდი. პოკერა“.

„ზღვაზე არ გამიცნია, გოგიტა წნორში გავიცანი. თავი შემაყვარა და წავიდა, ცოლი მოიყვანა. ხომ გარეწარია?.. მაინც მიყვარს, მაინც ბედნიერებას ვუსურვებ, თავის რჩეულთან და პატარა ლიკუნასთან ერთად და მაგრად ვკოცნი. მაკა“.

„მარი, მინდა რაჭაში დაგპატიჟო, მაგრამ ვშიშობ, რომ „გზავნილები“ შეჩერდება. ამიტომ მასპინძლობაზე უარს ვამბობ. მაპატიე, რა... იცი, როგორ მინდა, რომ ზღვაზე გაცნობილმა ადამიანმა თავბრუ დამახვიოს?.. მაგ იმედით მივდივარ ყოველ წელს ზღვაზე, მაგრამ... აგვიანებს“.

„ზღვაზე გაცნობილ ადამიანს ჩემი ცხოვრება არ გადაუბრუნებია, მაგრამ ერთმა ცხელმა აგვისტომ მთლად გამაგიჟა. მე დასავლეთში ვცხოვრობ. ჩემს მეზობლად ყოველ წელს დასასვენებლად ერთი ბიჭი ჩამოდის. ვმეგობრობდით, ზღვაზე დავდიოდით. მაგრამ მოხდა ის, რომ ერთმა კოცნამ მეგობრობა სხვა გრძნობით შეცვალა. მანამდე არ მიყვარდა. ვნებიანი ამბორის შემდეგ კი, ჩემი გული მთლიანად დაიპყრო. მთელი ღამე არ მიძინია, მისი სახე მელანდებოდა. მეორე დღეს ვკითხე – რას ფიქრობდა ჩემზე. – არაჩვეულებრივი ხარო, – მიპასუხა. მთელი 2 წელი ჩუმად ვესიყვარულებოდით ერთმანეთს, მაგრამ არასოდეს დასცდენია – მიყვარხარო. რაც მთავარია, არც ჩემს ქალწულობას შეხებია... სიგიჟემდე მიყვარდა. სოფელში გაუთავებელი ჭორაობა მიდიოდა. სწორედ ეს მოიდო მიზეზად – სოფელში ყველა ჩვენზე ლაპარაკობს, ამიტომ უნდა დავშორდეთო, – მითხრა. გული მომეწურა, მაგრამ რას ვიზამდი?.. მერე შემირიგდა, მაგრამ ბოლოს, ერთმანეთს მაინც დავშორდით. ახლაც, როცა მზვდება, გამირბის. მე კი ხმას არ ვიღებ. მჯერა, ღმერთი ჩემს სიყვარულს გადაარჩენს...“

„ზღვისპირას ოცნება მომტაცა თოლიამ, ზღვა ჩემს გულისთქმას ჩუმად აჰყოლია, შენ მახსენდები და ასე მგონია, ეს მონატრება ზღვასავით შორია. სოფო აზშვილს, უცნობისგან“.

„ზღვაზე გაცნობილმა ადამიანმა ჩემი ცხოვრება ვერ გადააბრუნა, მაგრამ მე კი „გადავაბრუნე“ ზღვაზე გაცნობილი გოგო, თანაც – გაცნობის დღესვე. ვიცი, „გზას“ ისიც კითხულობს და მინდა, გამომეხმაუროს. ისევ შენთან მინდა, ჩემო ფისო. შენი ცუგო. იმედია, გახსოვარ“.

„ეჰ, ნუღარ მკითხავთ... შარშან ზღვაზე ერთი გოგო გავიცანი. მას ნათია ჰქვია. ჰოდა, ერთ დღეს, სწორედ იმ დროს, როცა სიყვარულს ვეფიცებოდი და ოცნების კოშკებს ვუგებდი, ცოლი არ წამომადგა თავზე?!. აი, მაშინ უნდა გენახათ ცხოვრების გადაბრუნება და ამბავი!.. ორივე დავტოვე და შინ წამოვედი. ჩემმა ცოლმა სულ ზღვის გოჭი მეძახა. ამის შემდეგ, ჩემი ცხოვრება 3 თვის მანძილზე შეიცვალა. ჩემი ცოლი ჩემთან აღარ წვებოდა. ახლაც ვეხვეწები, ზღვაზე წავიდეთ-მეთქი, მაგრამ აღარ მომყვება. მეუბნება – დედაჩემთან წავიდეთო, – მაგრამ ეს „ზღვის გოჭი“ რომ ჩემი ფეხით მივადგები „ზვიგენს“, ხომ შემჭამს!.. გთხოვთ, ეს მესიჯი გამომიქვეყნეთ, იქნებ, ჩემმა „დელფინმა“ წაიკითხოს და ზღვაზე გამომყვეს...“

„ზღვაზე დასასვენებლად რომ ვიყავი, ღელვის დროს შევცურე და ლამის დავიხრჩვი. ახალგაზრდა მამაკაცმა გამომიყვანა. არა, მას ცოლად არ გავყოლივარ და არც ერთმანეთი შეგვყვარებია. უბრალოდ, სიკვდილს გადამარჩინა და ამით შეცვალა ჩემი ცხოვრება“.

„ერთმა გოგომ დახრჩობას გადამარჩინა. მერე დავმეგობრდით და ქმარი წამართვა. ასე შეიცვალა ჩემი ცხოვრება“.

„ზღვაზე ყოფნის დროს, ჩემი მომავალი სიდედრი გავიცანი. სწორედ მან იაქტიურა და თავისი გოგო გამირიგა. როგორ შეცვლიდა და თავდაყირა დააყენებდა ჩემს ცხოვრებას, ხომ წარმოგიდგენიათ?!.“

„მესიჯს დიდი ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერიდან გწერთ. ჩემი სახელია სერგეი. წელიწადი და 6 თვეა, რაც ინგლისში ვარ და პირველად წავიკითხე „გზავნილები“. კარგად ვიხალისე. ეს 2005 წლის №25 „გზაა“. სამწუხაროდ, არც მაისის წინა ნომრები მაქვს არც შემდეგი. ჩემს წამოსვლამდე არ ვიცოდი, თუ ეს რუბრიკა გქონდათ. ბლომად გყოლიათ მკითხველი. რაღა დაგიმალოთ და, მაგრად გავერთე. სამუშაოდან მოსული ვიყავი, ჟურნალი მაგიდაზე დამხვდა. საიდან გაიჩითა, ვერ გავიგე. ძვირფასო ამ რუბრიკის ავტორო, მარი, რედაქტორს დიდი მადლობა გადაეცი, რომ ასე თავისუფლად წერის უფლებას გაძლევს. ისე, მგონი, საკუთარი თავის გასართობად უფრო მიიგონე „გზავნილები“... აბა, ჰე, და აბა, ჰო! სერგეი“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომერში კი მამაკაცებს ვაძლევთ სიტყვას და თემად გთავაზობთ – ქალაქში მარტოდ დარჩენილი მამაკაცები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რას საქმიანობთ მაშინ, როდესაც თქვენი ცოლ-შვილი დასასვენებლადაა წასული. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

ფოტოგრაფიის დაბადების შესახებ მსოფლიომ 1839 წელს შეიტყო, XIX საუკუნის მიწურულს კი ხელოვნების ამ დარგმა საქართველოშიც შემოაბიჯა. ახალი ხელსაწყო ადამიანებს გაოცებისგან შოკში აგდებდა — მათ შეეძლოთ, ქაღალდზე აღებეჭდათ ის, რასაც სინამდვილეში ხედავდნენ. ზოგს მართლა აშინებდა იდუმალებით მოცული შავი ყუთი, საიდანაც „ჩიტი უნდა გამოფრენილიყო“, მაგრამ ამის ნაცვლად, მხოლოდ წამიერი კაშკაშა სინათლე სჭრიდა თვალს... ისტორიული წყაროები და საარქივო ფოტომასალა ცხადყოფს, რომ საქართველოში იმთავითვე გაჩნდა ფოტოგრაფიისადმი დიდი ინტერესი. ერთ-ერთი ძველი ფოტოსახელოსნო, რომელიც თბილისს დღემდე შემორჩა, ავლაბარში მდებარეობს. ის პატარა მუზეუმს ჰგავს, შავ-თეთრი ფოტოებიდან ყველა ის გამოჩენილი ადამიანი გიმზერს, ვისაც ერთხელ მაინც შემოუღია ამ სახელოსნოს კარი...

მულოვიარე ვასო გოძიაშვილის პორტრეტი, თბილისის უკანასკნელი ყარაჩოხელი რანგია და „ფოტოფოთლებით“ დამშვენებული ლითონის ხე

ემა ტუხიაშვილი

აზატ მანუკიანი, *ფოტოგრაფი:*

— ეს ფოტოსახელოსნო მამაჩემმა 1927 წელს გახსნა. რა თქმა უნდა, თბილისში უფრო ძველი სახელოსნოებიც არსებობდა, მაგრამ ქალაქს მათი კვალი მხოლოდ სურათებითღა შემორჩა. მამაჩემი მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა და ბერლინამდეც კი მიაღწია. სწორედ იქიდან ჩამოიტანა რამდენიმე გერმანული ფოტოაპარატი და კვლავ ფოტოგრაფობას მიჰყო ხელი. მამისგან ეს საქმე მე ვისწავლე და 1957 წლიდან მისი ფოტოარქივიც და სახელოსნოც ჩემს ხელში გადმოვიდა. სამწუხაროდ, წლების წინ მომხდარმა ხანძარმა მამაჩემის არქივის დიდი ნაწილი გაანადგურა, მაგრამ შემორჩა უძველესი ფოტოაპარატი, რომელიც სახელოსნოში სამუზეუმო ექსპონატის როლს ასრულებს.

ეს თბილისში უკანასკნელი ყარაჩოხელის, მეარღნე რანგიას სურათია

— როგორც ვხედავ, ბევრი გამოჩენილი ადამიანი მოხვედრილა თქვენს ფოტოობიექტივში. იქნებ გაიხსენოთ, როგორ შედგა ეს შეხვედრები?

— უწინ ადამიანები ფოტოატელიეს ხშირი სტუმრები იყვნენ, მოდიოდნენ ოჯახებით, ბებია-ბაბუებს თავიანთი შვილიშვილები მოჰყავდათ სურათის გადასაღებად. ახლა იშვიათად თუ შემოივლის ვინმე, მხოლოდ იმისთვის, რომ საბუთისთვის გადაიღოს ფოტო ან მიცვალებულის სურათის გასადიდებლად თუ ფაიფურის ფირფიტაზე გადასატანად. წლების წინ, ვასო გოძიაშვილიც გარდაცვლილი მეუღლის სურათის გასადიდებლად მესტუმრა სახელოსნოში. ძალიან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და ვთხოვე, პორტრეტულ ფოტოს გადაგიღებთ-მეთქი.



ბერიკაცის პორტრეტი



სხვათა შორის, სიტყვა — „კახი“ სომხურად „ჩამოკიდეს“ ნიშნავს. მეც სომხურად მივუგე: კახის სურათს ჩამოვკიდებ-მეთქი



წლების წინ, მეგობრებთან ერთად ქეიფობდა ავლაბარში და შემდეგ ჩემთან გადაიღეს სამახსოვრო სურათი

დამთანხმდა და ასე გაჩნდა მისი სურათი ჩემი ატელიეს კედელზე. ამ ამბის შემდეგ, ბატონი ვასო ხშირად მეპატიჟებოდა თავის სპექტაკლზე. როგორც ხედავთ, გოძიაშვილის სურათის გვერდით სერგო ფარაჯანოვის ფოტოა. ციხიდან რომ გამოვიდა, სოფიკო ჭიაურელმა და ოთარ კობერიძემ მოიყვანეს ჩემთან სურათის გადასაღებად. როგორც მაშინ მივხდი, ფარაჯანოვი საზღვარგარეთ აპირებდა გამგზავრებას. მახსოვს, ავლაბარში სერგოს სანახავად ხალხი მოგროვდა, ყველას უნდოდა, რომ შორიდან მაინც შეევლო მისთვის თვალი. საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა, ღარიბულად იყო ჩაცმული და შარვლის ელვა გახსნილი ჰქონდა. დელიკატურად მივანიშნე ამ უხერხულ დეტალზე, მან კი საპასუხოდ ასეთი სიტყვები მითხრა: ჩემი ფილმებიდან მიღებული ჰონორარები შვეიცარიულ ბანკებშია, მე კი ასე ჩაცმული დავდივარ, ხოლო წვიმის დროს სახლში ქოლგით ვზივარო... ჩემი სალონის ხშირი სტუმარი გახლდათ ფრუნზიკ მკრტჩიანი. ფრუნზიკა ბუბა კიკაბიძესთან მეგობრობდა და ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. „ზემლიაკს“ მეძახდა, რადგან წარმოშობით მეც ლენინაკანიდან ვარ და ისიც. დალევაც ძალიან უყვარდა ფრუნზიკას და ჩემს ატელიეში არაერთხელ მოგვილხენია. მისი ფოტო, რომელიც თვალსაჩინო ადგილას მიკიდია, აქ არის გადაღებული. პოზირებისას მეუბნებოდა: ისე გადამიღე, რომ ცხვირი კარგად გამომჩნდეს — ეს ცხვირია, რომ მაცხოვრებსო... მსახიობებთან მუშაობა ფოტოგრაფს ყოველთვის უადვილდება, მათთვის არანაირი მიმიკის დაჭერა პრობლემას არ წარმოადგენს. სხვებთან



მსახიობებთან მუშაობა ფოტოგრაფს ყოველთვის უადვილდება, მათთვის არანაირი მიმიკის დაჭერა პრობლემას არ წარმოადგენს

უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. ცდილობ, ადამიანი ობიექტივის წინ თავისუფლად გრძნობდეს თავს. ამის მისაღწევად ესაუბრები, ცდილობ, მისი ბუნება გახსნა და ხშირად ასეც ხდება. თუ ფოტოგრაფს ამის მიღწევა შეგიძლია, იქ ფოტოგენურობის და არაფოტოგენურობის პრობლემა აღარ არსებობს.

— გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის ფოტოები ერთმანეთის გვერდით მოგითავსებიათ...

— გივის ფოტო გაცილებით ძველია, წლების წინ, მეგობრებთან ერთად ქეიფობდა ავლაბარში და შემდეგ ჩემთან გადაიღეს სამახსოვრო სურათი. კახიმ კი რამდენიმე წლის წინ შემომიარა, გაუკვირდა: ეს რა გამოჩენილი ხალხისთვის გადაგიღია ფოტოები! მიდი, ერთი, ჩემი სურათიც ჩამოკიდეო... სხვათა შორის, სიტყვა — „კახი“ სომხურად „ჩამოკიდეს“ ნიშნავს. მეც სომხურად მივუგე: კახის სურათს ჩამოვკიდებ-მეთქი. მიმიხვდა, რასაც ვამბობდი და გაეღიმა. ასე შეემატა მისი ფოტო ჩემს კოლექციას.

— ყარაჩოხელის სამოსში გამოწყობილი კაცი ვინ არის?

— ეს თბილისში უკანასკნელი ყარაჩოხელის, მეარღნე რანგიას სურათია. ჩემს ახალგაზრდობაში, ქალაქში რამდენიმე ყარაჩოხელი დაიარებოდა: ალიბაბა, გიჟო, რანგია და ყველას სურათი შემომრჩა. სხვათა შორის, მეარღნე რანგიას ქალიშვილები საზღვარგარეთ ცხოვრობენ. წლების წინ ჩემი ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვე სახელწოდებით — „თბილისელები“ და რანგიას ფოტოც გამოვფინე. ეს გამოფენა მასმედიამ გააშუქა და კადრში მეარღნის სურათიც მოხვდა. სწორედ ასე



„ზემლიაკს“ მეგასლა, რადგან წარმომობით მეც ლენინაკანიდან ვარ და ისიც

შეიტყვეს რანგიას ქალიშვილებმა მამის ფოტოს არსებობის შესახებ და მისი ასლის წასაღებად სახელოსნოში მეწვივნენ.

— ქართველი პოლიტიკოსებისთვის თუ გადაგიღიათ ფოტოები?

— მათი აქტიურობა განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ შეიმჩნევა ხოლმე. ძირითადად, პორტრეტებს იღებენ პლაკატებისთვის. მაგრამ გარკვეული მოსაზრების გამო, მათ ვიანობას არ დაგისახელებთ. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, გამოვეცი წიგნი სომხურ ენაზე, სადაც მემუარების სახით აღწერილია ჩემი კლიენტებთან ურთიერთობის საინტერესო ამბები. კარგად ვიცნობდი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს რაჩია ნერსესიანს, რომელიც გაბრიელ სუნდუკიანის „პეპოს“ მიხედვით გადაღებულ ფილმში მთავარ როლს თამაშობს. მინდა გითხრათ, რომ ფოტოკოლექციაში მაქვს სურათი, სადაც აღბეჭდილია, როგორ სეირნობენ აკაკი წერეთელი და გაბრიელ სუნდუკიანი თბილისის ქუჩებში. ძველი ფოტოების მიმართ განსაკუთრებული ლტოლვა მაქვს, ხშირად მათ ძველი საოჯახო ალბომებიდანაც ვყიდულობ. ბევრი საინტერესო ფოტოს შეძენა შეიძლება თბილისში ძველმანების ბაზრობაზეც.

— რით არის გამორჩეული შავ-თეთრი ფოტო?

— უნიკალური გამძლეობით. მასალა, რომლისგანაც შავ-თეთრი ფოტო მზადდება, ვერცხლს შეიცავს, ამიტომ ის საუკუნეებს უძლებს. ახლა ასე მომრავლებულ ფერად ფოტოსურათებს კი მხოლოდ არსებობის რამდენიმეწლიანი გარანტია აქვს.

— თქვენი ფოტოარქივით თუ ინტერესდებიან ხოლმე ისტორიკოსები, ეთნოგრაფები?

— ჩემს კოლექციაში ძველი თბილისის ამსახველი უამრავი ფოტო მაქვს შემონახული, ახლო მომავალში ამ ფოტოებისგან შემდგარ კატალოგს გამოვცემ. სახელოსნოში ძირითადად ის ძველი თბილისელები მაკითხავენ, ვინც სხვადასხვა მიზეზით ამჟამად საზღვარგარეთ გადასულა საცხოვრებლად. უცხოეთში თბილისის ხედების ამსახველი უამრავი ფოტო მიაქვთ, ამბობენ — ამის წყალობით, ჩვენი ქალაქის სიახლოვეს ვგრძნობთო... რამდენიმე ისტორიული კადრიც მაქვს გადაღებული. მაგალითად, წლების წინ, მეტროს სადგურ „ავლაბართან“ 26 კომისრის ძეგლი იდგა. ფირზე მაქვს აღბეჭდილი, როგორ უკრავდნენ ტაშს ამ ძეგლის გახსნას მაშინდელი ხელისუფლების პირველი პირები — მათ შორის, ედუარდ შევარდნაძეც. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, ჩემი ფოტოაპარატით ამ ძეგლის ნგრევას შევესწარი და ახლა ის გადავიღე, როგორ უკრავდნენ ტაშს „26 კომისრის“, კერძოდ — შაუმიანის, ფიალეტოვის, ახუნდოვისა და ჯაფარიძის თავების დამსხვრევას. ფოტოაპარატი უნიკალურ შანსს გაძლევს, აღბეჭდო ცხოვრების განუმეორებელი წამი. ცოტა ხნის წინ კი,ქალაქის მუნიციპალიტეტმა გზების რეაბილიტაცია წამოიწყო და გახსოვთ ალბათ აჟიოტაჟი, როდესაც ავლაბარში ვითომდა ისტორიული ძეგლის ნანგრევები აღმოაჩინეს. მაშინ ჩემთან რამდენიმე ოფიციალური პირი მოვიდა და ჩემი ფოტოარქივის გადახედვა მთხოვა. მართლაც, აღმოვაჩინეთ ფოტოები, რომლებითაც დასტურდება, რომ აღნიშნულ ადგილას გასული საუკუნის 70-იან წლებში 3-სართულიანი შენობა იდგა და იქ პოლიკლინიკა იყო განთავსებული. ჩემს ფოტოარქივში იმის ამსახველი მასალაც აღმოჩნდა, თუ როგორ ანგრევდნენ უკვე ყოფილი პოლიკლინიკის შენობას. აღმოჩენილი „ისტორიული ძეგლი“ კი, სხვა არაფერი იყო, თუ არა იმ შენობის დანგრევას გადარჩენილი სარდაფი.

— ალბათ უცნაური ფოტოს გადაღების მსურველებიც მოდიან ხოლმე თქვენთან, არა?

— უცნაურობას ველარ დავარქმევ იმას, რომ ზოგს თავისი შინაური ცხოველების

ფოტოაპარატი უნიკალურ შანსს გაძლევს, აღბეჭდო ცხოვრების განუმეორებელი წამი

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომ-ბარათებითაც

— კატის ან ძაღლის პორტრეტული ფოტოს გადაღება სურს. ნამდვილი უცნაურობა ის არის, როდესაც ქმრისგან ნაცემი ცოლი მოდის, ურცხვად იხდის და მთხოვს, რომ მისი „ბედოვლათის ნავაჟკაცარი“ აღვბეჭდო ფირზე... ან კიდევ უფრო უცნაურია, როდესაც ქვრივი ქალი მთხოვს, საფლავის ქვისთვის მისი და გარდაცვლილი ქმრის სურათი ერთად გამოვსახო. ასეთ დროს ამბობენ ხოლმე: მაინტერესებს, ერთად როგორ გამოვიყურებითო...

— თქვენს სამუშაო მაგიდაზე უცნაური ლითონის ხე შევნიშე, რომელსაც ფოთლების მაგიერ, მსგავსი ფორმის ფოტოები აქვს. ხომ ვერ მეტყვით, რას ნიშნავს ეს?

— ეს ხე ჩვენი შთამომავლობის ამსახველი სიმბოლოა. ხის პირველ ტოტზე მამაჩემის ფოტოა, ცოტა უფრო ზემოთ ჩემი, კიდევ უფრო მაღლა ჩემი შვილის, შვილიშვილის და ა.შ. ფოტოგრაფიაც შთამომავლობით გადმოგვეცემა, მე მამისგან ვისწავლე, მალე კი, ამ სახელოსნოს ჩემს შვილს ჩავაბარებ, ის თავის შვილს და ასე შემორჩება ისტორიას ფოტოებში ასახული ჩვენი ღვაწლი.

■

ბავშვობა ადამიანის ცხოვრების ის ხანაა, რომელშიც ბევრი მოზრდილი ადამიანი სიამოვნებით დაბრუნდებოდა. მაგრამ ვაი, რომ დრო მიდის და უკან დაბრუნება შეუძლებელია. სამაგიეროდ, ზოგს თურმე ბავშვობაში დარჩენა ხელეწიფება. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგის მტკიცე რწმენით, ეს მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ...

მოზრდილ ადამიანებს ბევრი ფაქტორი ზღუდავს, ისინი ხშირად, სხვადასხვა წესისა და სტერეოტიპის ტყვეობაში არიან მოქცეულნი. ბავშვები კი ისე იქცევიან, როგორც სურთ. გარკვეულ წესებს მხოლოდ ამა თუ იმ თამაშის დროს მისდევენ. სწორედ ასეთი მიდგომით გამოირჩევა ბავშვობაში დარჩენილ მამაკაცთა ერთ-ერთი ტიპი.

ბავშვობაში ჩარჩენილი მამაკაცი

სიგარეტს ყი იწევს და ლოლიკაც ცვამს. მაგრამ „დიდი ბიჭია“ მაინც ვერა და ვერ იქცა...

მარი ჯაფარიძე

მარინა რეხვიაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ცნება — ბავშვობაში დარჩენილი მამაკაცი — პირობითი გახლავთ. ის, რომ მამაკაცი იპარსავს წვერს, ეწევა სიგარეტს, ილტვის საპირისპირო სქესისკენ, ზის ძვირად ღირებული მანქანის საჭესთან და სვამს ლუდსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელს, სულაც არ ნიშნავს, რომ ის უკვე „დიდი ბიჭია“. შესაძლოა, გაესაუბროთ ზრდასრულ მამაკაცს და მიხვდეთ, რომ ის ბავშვობაშია დარჩენილი. ასეთი ტიპის მამაკაცები შესაძლოა, რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. პირველში შედიან მამაკაცები, რომლებიც ასე ვთქვათ, ყოველგვარი წესის გარეშე ცხოვრობენ — ისე, როგორც ამა თუ იმ მომენტში მოესურვებათ. მზად არიან, ნებისმიერ ხერხს მიმართონ, ოღონდაც საკუთარი კაპრიზი აისრულონ. გაიხსენეთ, თქვენი უახლოესი მამაკაცი — მამა, ძმა, ქმარი თუ უბრალოდ მეგობარი — როდის ნახეთ ბოლოს, სიხარულისა და აღტაცებისგან თავბრუდახვეული; როდის გაიცინა ბოლოს მთელი გულით. მსგავსი კითხვები ჩემს ერთ-ერთ პაციენტს, 40 წლის მამაკაცს რომ დავუსვი, იცით, რა მიპასუხა?.. შარშანწინ, ზამთარში, როდესაც მეგობრებთან ერთად ბაკურიანში ვიყავი, დავნაძლევდით, რომ ორსართულიანი სახლის სახურავზე საბუხრე მილით ავძვრებოდი; ისინი მიმტკიცებდნენ — ვერ შეძლებო; უკვე სახურავზე ვიყავი, როდესაც თოვლზე ფეხი დამიცურდა და მიწაზე დავეხეთქე; მართალია, ამის გამო ჩემი მარჯვენა ფეხი თაბაშირში

ჩასმული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ძალზე გახარებული ვიყავი, რადგან თავი ბავშვი მეგონა და ჩადენილი ცელქობის მიზეზით დაზიანებული კიდური სულაც არ მანაღვლებდაო... რასაკვირველია, მხოლოდ ამ ერთი შემთხვევის გამო ვერ ვიტყვით, რომ ეს კაცი ბავშვობაშია დარჩენილი. მაგრამ შემდგომი საუბრისას აღმოვაჩინე, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა არ გახლდათ: როდესაც სამსახურში ყოფნა მწყინდება, შეუმჩნევლად ვიპარები, კაბინეტიდან ფეხაკრეფით გამოვდივარ ხოლმე, რომ უფროსმა ვერ შემნიშნოს და ან კინოში მივდივარ, ან – ზოოპარკში, ან ქალაქში დავხეტიალებო, – მიამბობდა ჩემი პაციენტი... აღმოჩნდა, რომ მას ასევე ძალიან იტაცებდა: ზღაპრების კითხვა, მულტფილმების ყურება. სხვებისგან მალულად, როდესაც შინ მარტო იყო, საწოლზეც ხტუნაობდა და თავისი შვილის ველოსიპედითაც სეირნობდა ხოლმე ოთახიდან ოთახში... ხშირად უჩნდებოდა სურვილი, რომ რაიმე გაეფუჭებინა. როდესაც ცოლი იკითხავდა – ვინ გატეხა კარის სახელური? ვინ გაკაწრა კარადის კარიო? – ის პატარა ბავშვივით თავს იმართლებდა ან ჩადენილს არ აღიარებდა... ეს პაციენტი ჩემთან ამ პრობლემის გამო როდი მოსულა. მას დეპრესია ჰქონდა და ეს სულაც არ გახლავთ გასაკვირი. თუმცა, მიზეზს თავადაც ვერ აცნობიერებდა. წლების განმავლობაში მას ბევრი ისეთი სურვილი დაუგროვდა, რომელსაც ვერც მალულად და ვერც სხვების დასანახავად ისრულებდა. თუმცა, როგორც მასთან ურთიერთობისას გაირკვა, მას არც ახდენილი სურვილები აკმაყოფილებდა. „მინდა, რომ ვისაც თმა უკან, ცხენის კუდივით აქვს შეკრული – მოვწიწკნო, ღიპიან მამაკაცებს ენა გამოვუყო, ეზოში ჩავიდე, ხელები რუპორივით პირთან მივიტანო და ბავშვობის მეგობარს შევძახო – გელა, წამოდი, ფეხბურთი ვითამაშოთ-მეთქი“, – მიამბობდა პაციენტი. მას არ აკმაყოფილებდა გარემო, რომელშიც ცხოვრობდა. ერთფეროვნად მეჩვენებაო, – ამბობდა. სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შეეძლო. მას უნდა ევლო სამსახურში, რადგან ჰყავდა ოჯახი, რომელიც მის კმაყოფაზე იყო. უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც მისი ასაკის მამაკაცს შეჰფერის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გიჟად მონათლავდნენ და შესაბამის დაწესებულებაში გაამწესებდნენ... არადა, სამწუხაროდ, ასეთის ბავშვობიდან მთლიანად დაბრუნება თითქმის შეუძლებელია – რაოდენ ბუნებრივადაც არ უნდა იქცეოდეს, ის მაინც გარკვეულ დისკომფორტს განიცდის... ბავშვობაში დარჩენილი მამაკაცების მეორე ტიპს მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ აღწერილი მოთხოვნები, მაგრამ ისინი ბავშვობის მოგონებებით სულდგმულობენ. ასეთი რამ ძირითადად, იმათ ახასიათებს, ვისაც სრულიად უზრუნველი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდათ და მოზრდილობის ჟამს, ცხოვრებაში წარმატებებს ვერ მიაღწიეს...

ნატო, *35 წლის:*

– როდესაც გავთხოვდი, მე და ჩემი მეუღლე საცხოვრებლად ცალკე გადავედით. ის დედისერთა გახლავთ, მაგრამ როცა შესაძლებელია, ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მშობლებისგან მოშორებით იცხოვროს, რატომ არ უნდა გამოიყენოს ეს შანსი?.. როდესაც ახალ ბინაში გადავბარგდით, გურამმა უამრავი უსარგებლო ნივთი წამოიღო თან: რაღაც ძველი სათამაშოები, თავისი, პირველი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოები, რვეულები, სამთვლიანი ველოსიპედი... როცა ყველა ნივთს თავისი ადგილი მივუჩინე, რამდენიმე, ძალზე ძველი სათამაშო სანაგვე ყუთში გადავყარე. გარკვეული ხნის შემდეგ, ქმარმა ის სათამაშოები მოიკითხა. როცა ვუთხარი, თუ რა გზას გავუყენე, ლამის გაგიჟდა. ისე ვიჩხუბეთ, არასოდეს დამავიწყდება. ეს ყველაფერი ბავშვობაა, ჩემი ცხოვრების ნაწილია, როგორ არ გესმისო?! – მიყვიროდა გურამი... მალე შევრიგდით, მაგრამ დროდადრო, დღემდე მსაყვედურობს ამ შემთხვევის გამო. ძალზე უყვარს იმ ამბების გახსენება, რომლებიც ბავშვობაში გადახდენია თავს. ყველა ამბავი უკვე ზეპირად ვიცი. ის კი არც ერთ შანსს არ გაუშვებს ხელიდან, რომ კიდევ და კიდევ მოჰყვეს. მე და მის მეგობრებს უკვე აღარ გვეცინება, ის კი მთელი გატაცებით გვიამბობს



ხოლმე, თუ როგორ ჰპარავდა ბებიას ჩურჩხელებსა და ტყლაპს, როგორ იპარებოდა მდინარეზე საბანაოდ, რა უჩუქებიათ მისთვის დაბადების დღეს და როგორ დაისაჯა მთელი მისი კლასი შატალოზე წასვლის გამო... მოყოლისას თვალები უელავს და იგრძნობთ, რომ ძალზე ბედნიერია. ხშირად მეუბნებოდა – დედაჩემი ასე, ხელით მაჭმევდა საჭმელსო, – და მთხოვდა, ხანდახან, მეც პატარა ბავშვივით მეჭმია მისთვის რაიმე... ერთი წლის წინ, ჩემთვის შევიძინე ოთახის ჩუსტები – ვარდისფერი, კურდღლის ყურებითა და ცხვირით. ძალზე მოეწონა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, შინ მისული, მის ჩაცმას ვეღარ ვასწრებდი, რადგან უკვე გურამს ჰქონდა ფეხები ჩაყოფილი და არაფრის დიდებით არ მითმობდა... სულ ცოტა ხნის წინ კი, მართლაც სასაცილო შემთხვევა მოხდა: გვიან ღამით გამეღვიძა და გურამი საწოლში ვერ აღმოვაჩინე. აივანზე მივაგენი. იდგა და დაბლა იყურებოდა. გვერდით ამოვუდექი და ვკითხე – რატომ არ გძინავს-მეთქი? პასუხის ნაცვლად, გურამმა კიდევ ერთი ამბის მოყოლა დაიწყო: აი, ასეთი მთვარიანი ღამე იყო, როცა ბავშვობაში, ნაძლევით, სასაფლაოზე გავიარეო... დაწვრილებით აღმიწერა თავისი განცდები, თუ როგორ ეშინოდა, საფლავებს შორის მარტო რომ იყო... ამ დროს, საიდანღაც ღამურა გამოჩნდა და გურამს თავთან ჩაუქროლა. შეშინებული, პატარა ბავშვივით ამომეფარა ზურგს უკან და ჩამეკრა. მალევე მიხვდა, რომ კარგად არ გამოუვიდა და თავის მართლება სცადა...

— მისი ასეთი საქციელი პრობლემებს გიქმნით?

– იცით, თითქოს რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილია და დღესდღეობით მხოლოდ იმისთვის ცხოვრობს, რომ წარსული გაიხსენოს... ის შეძლებულ ოჯახში იზრდებოდა და ბავშვობაში მისი ნებისმიერი სურვილი მშობლებისთვის კანონი იყო. როცა დაოჯახდა, დედის მზრუნველობა მოაკლდა, მამაც მატერიალურად ვეღარ ეხმარებოდა, იძულებული გახდა, ოჯახი ერჩინა. ამისთვის ბევრი შრომა მოუხდა. ვფიქრობ, სწორედ ამის გამო იხსენებდა ხშირად ბავშვობას, თითქოს, ამ მოგონებებს იშველიებდა თავის დასაცავად – მაშინ ხომ მართლა ძალზე ბედნიერი იყო...

მარინა რეხვიაშვილი:

– ყველა ზრდასრული ადამიანი, გარკვეული „დოზით“ ბავშვია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თავად არის მშობელი. მამაკაცი, რომელიც ბავშვობაში დარჩა, ყოველთვის საჭიროებს

ვიღაცის მზრუნველობას, მოფერებას. ზოგჯერ ვიღაცამ უნდა დატუქსოს კიდეც, რომ რამე გააკეთოს... ასეთი მამაკაცი არაფერს აკეთებს დედის, ცოლის ან შეიძლება, უახლოესი მეგობრის კარნახისა თუ რჩევის გარეშე. ის დაკომპლექსებულია და გამუდმებით ეჭვობს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეს. მაგრამ თუ ვინმესგან მხარდაჭერას იგრძნობს, შესაძლოა, დიდ წარმატებასაც მიაღწიოს. ის აღტაცებაში მოჰყავს ვინმეს შექებას. ეს ძლიერ სტიმულს აძლევს და უბიძგებს იმისკენ, რომ კვლავაც ეცადოს კარგი შედეგის მიღწევას და დაარწმუნოთ, რომ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია... იმ შემთხვევებისგან განსხვავებით, რომლებიც აქამდე განვიხილეთ, განსაკუთრებით დრამატულია – მეტი რომ არ ვთქვათ, – ის, როცა მამაკაცი ბავშვობაში რჩება მცირე ასაკში გადატანილი სტრესის გამო. ამ შემთხვევაში, ბავშვობაში დარჩენა პირდაპირი გაგებით იგულისხმება: ადამიანი სწორედ იმ ასაკში რჩება, რომელშიც სტრესი გადაიტანა. ასეთ დროს, საქმე გვაქვს გონებრივად ჩამორჩენილობასთან – როცა ვთქვათ, 30 წლის მამაკაცი ისე აზროვნებს, როგორც 7-8 წლის ბავშვი...

მადონა, *45 წლის:*

– ჩემი შვილი 26 წლის გახლავთ. 8 წლის იყო, როცა მამამისთან ერთად, ქუჩაზე გადადიოდა. ამ დროს საიდანღაც გამოვარდა ძალზე სწრაფად მომავალი მანქანა. ჩემმა მეუღლემ ვერ მოასწრო, გარიდებოდა მას, თუმცა, მანამდე მოახერხა, რომ გიორგისთვის ხელი ეკრა და ტროტუარზე შეეგდო. ბავშვი უვნებლად გადარჩა, ჩემი მეუღლე კი, კარგა ხანს იწვა საავადმყოფოში. ბოლოს და ბოლოს, გამოჯანმრთელდა. სამაგიეროდ, შვილი დაგვიავადდა: იმ დღიდან, მკვეთრად შეიცვალა – ჯერ, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ხმას არ იღებდა, შემდეგ, როგორც იქნა, ალაპარაკდა, მაგრამ სულ იმ ტრაგიკულ ამბავს იხსენებდა. მის თვალწინ დატრიალებულმა შემთხვევამ ძალზე იმოქმედა. გამუდმებით ჰყვებოდა, თუ რა შიში ჭამა, როგორ ეგდო მამამისი ასფალტზე სისხლში მოსვრილი... გავიდა წლები. გიორგი ფიზიკურად გაიზარდა, მაგრამ გონებრივად აღარ განვითარდა. მანამდე კლასში თითით საჩვენებელი ბავშვი იყო, უცებ ითვისებდა ახალ გაკვეთილს და მასწავლებელი ყოველთვის აღნიშნავდა, – გიორგი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და გონიერი ბავშვიაო. იმ ამბის შემდეგ კი, სწავლაში ჩამორჩა, ახალს ვეღარაფერს ითვისებდა... 20 წლის ბიჭი ისევ პატარა ბავშვებთან თამაშობდა და თუ სათამაშოს წაართმევდნენ, ისევე ტიროდა, როგორც წინათ. მშვენივრად ერთობოდა სილაში და მოსწონდა, როცა გათხრილ გვირაბს ფეხით ანგრევდა... თუ ნაყინს არ ვუყიდი, ახლაც ისევ ისე იტირებს, როგორც პატარაობაში. თავის თანატოლ ბიჭებსა და გოგოებს ბიძია-დეიდებს ეძახის და შეუძლია, მივიდეს და კალთაშიც ჩაუჯდეს... მთელმა უბანმა იცის გიორგის ავადმყოფობის შესახებ. ამიტომ არავის უკვირს მისი ასეთი საქციელი. მაგრამ უცხო ადამიანები ყოველთვის გაოცებით უყურებენ: მას შეუძლია, მშვიდად, ხმამაღლა მითხრას – დედა, კალთაში ჩაგიჯდები და „მარშრუტკაში“ მარტო 50 თეთრს გადაიხდი, მეორე 50-ით კი ნაყინი მიყიდე ან კომპიუტერებში გამიშვი სათამაშოდო...

მარინა რეხვიაშვილი, *ფსიქოლოგი:*

– ჩვენ მიერ განხილული პირველი და მეორე ტიპის მამაკაცები ჩვეულებრივი, სრულფასოვანი ადამიანები არიან. უბრალოდ, ისინი რეალურ ცხოვრებას გაურბიან და ცდილობენ, საკუთარი ბედნიერება ბავშვურ ქცევებსა თუ ბავშვურ მოგონებებში პოვონ. გიორგის მდგომარეობა კი, რასაკვირველია, სრულიად განცალკევებით დგას. ცხადია, ეს არატიპური შემთხვევაა, თუმცა, ერთი შეხედვით, პირდაპირ ასახავს მოცემულ თემას – ბავშვობაში დარჩენილი მამაკაცი. მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანის ფსიქოლოგიურ ტიპს განვიხილავთ და არა ასე ვთქვათ, სამედიცინო შემთხვევას. ჰოდა, თუ ამ ასპექტს დავუბრუნდებით, ნათქვამს მინდა დავამატო კიდევ ერთი ტიპი, რომელსაც შესაძლოა, ინფანტილური უფრო ეთქმის: ეს ის მამაკაცია, ვისაც ყოველდღიურობაში, ყოფაში ესაჭიროება მეურვეობა. გაიხედ-გამოიხედეთ თქვენ ირგვლივ და უმალ გაგახსენდებათ, რომ თქვენს ახლობელ მამაკაცს ხშირად რჩება დაუკეტავი ბინის კარი, ონკანი; აუცილებლად უნდა შეახსენოთ, რომ ვთქვათ, სამსახურიდან შინ მომავალმა, საბავშვო ბაღში ან სკოლაში უნდა გაიაროს და შვილი წამოიყვანოს; თუ ავად გახდა, ვერაფრით უმკურნალებს თავს, რადგან აუცილებელია, ვინმემ უკარნახოს, თუ რა დროს რა წამალი უნდა მიიღოს... ეჭვგარეშეა, რომ ასეთ კაცს ყველაფერს – დილით ჩაის დალევის საჭიროებით დაწყებული, საღამოს სასკოლო ჩანთაში წიგნებისა და რვეულების ჩაწყობის აუცილებლობით დამთავრებული – ყველაფერს დედა ან ბებია ახსენებდა. ამის შედეგად, ბავშვი კი გაიზარდა, მაგრამ „დიდ ბიჭად“ ვერა და ვერ იქცა... ■

ტესტი ერუდიციაზე

1. ვისი ეროვნული სასმელია კუმისი?



ა) ყაზახების;
ბ) ირანელების;
გ) მონღოლების.

2. რომელი ქალაქის საავიაციო ქარხანა უშვებდა „მიგ-21“, „სუ-25“, „სუ-27“?

ა) ტულის;
ბ) ლენინგრადის;
გ) თბილისის.

3. წყალდიდობის დროს ჩინელები ამბობენ:

ა) ბუნება გავანაწყენეთო ძალიან;
ბ) წყლის დრაკონი დაგვესხაო თავს;
გ) უფალი ადამიანებს ურთიერთდახმარებას გვასწავლისო.

4. რისგან ამზადებენ ხელოვნურ ხიზილალას?

ა) ნავთობისგან;
ბ) თევზის ძვლის ფქვილისგან;
გ) საქონლის ძვლის ტვინისგან.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ზაფხული ის პერიოდია, როცა ყველა ცდილობს, დასასვენებლად წავიდეს. ჯგუფ „რონდოს“ გოგონებმა ეს ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. ისინი ახალ ალბომზე მუშაობენ, რომელიც ცოტა ხანში გამოვა. როგორ და სად ისვენებდნენ წინა წლებში, რა კურიოზები გადახდენიათ თავს, რატომ არ უშვებს ლიზი დასასვენებლად თავის გოგონებს მარტო და როგორ დასვენებას ამჯობინებენ ისინი? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — ლელა ოთარაშვილი და „რონდოს“ პროდიუსერი, ქალბატონი ლიზი გვიპასუხებენ.

„ტრანზიტშიკა“ და პირველი ზაფხული ქალიგვან შეუერთებული ლელა ოთარაშვილის ცაცხილ-ბწყარი მოგონებები

ლიკა ქაჯაია

— ბავშვობაში დასასვენებლად პანსიონატ „კიჩხობში“ დავყავდით, მერე — გრიგოლეთში, სამკურნალო კურორტ ესენტუკიში. ცოტა რომ წამოვიზარდეთ — ბულგარეთში, ოქროს ქვიშებზე, ქალაქ ვარნაში წაგვიყვანეს. სხვათა შორის, 4 წლის წინ ამოვყავით თავი პირველად ბათუმში, მანამდე არასოდეს ვყოფილვართ და ამის გამო, ძალიან მრცხვენია.

ლიზი:

— მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები მოიარეს. ბათუმი და ქობულეთი კი ნანახიც არ ჰქონდათ...

— დასასვენებლად პირველად, მშობლებისგან დამოუკიდებლად როდის წახვედით?

ლელა:

— არსად არ წავსულვარ მშობლების გარეშე და ამის სურვილიც კი არ მქონია. პრინციპში, არც გამიშვებდნენ.

ლიზი:

— იცით, რა კარგ დროს ვატარებთ ერთად?.. ჩემი შვილები ჩემთან მეგობრობენ, დისკოთეკაზეც კი ერთად დავდივართ და ვერთობით.

— და მაინც, რატომ არ უშვებთ შვილებს დასასვენებლად მარტოებს?

— ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ მე არა მარტო მათი დედა, მეგობარი, არამედ ჯგუფის პროდიუსერიც გახლავართ. გოგოები ჩემ გვერდით თავს არაჩვეულებრივად გრძნობენ, არანაირი შეზღუდვა არა აქვთ. მათი მეგობრებიც ისე შემეჩვივნენ, რომ როცა სადმე მიდიან, კითხულობენ — ლიზიკო არ მოდისო? ჩემთან არავის არაფრის კომპლექსი არ აწუხებს.

— შარშან სად ისვენებდით?

ლელა:

— შარშან მთელი ზაფხული, ალმა-ათაში წასასვლელად ვემზადებოდით — ფესტივალზე „აზიის ხმები“. ამ ფესტივალის შემდეგ, ერთი კვირა ამ ქვეყანაში გავჩერდით და დავისვენეთ. იქიდან რომ ჩამოვედით, მერე გრიგოლეთში დაგვპატიჟეს — ახალაშენებულ ფეშენებელურ სასტუმროში, სადაც ფაქტობრივად, ლენტიც კი ჩვენ გავჭერით.

— დასვენება ზღვისპირა ქალაქებში გირჩევნიათ თუ მთიან ადგილებში?

— ზღვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ცურვა არ ვიცი, მაინც კარგად ვერთობი. საოცრად მამშვიდებს ზღვის ტალღების ხმა. მაგრამ ზედმეტი ხმაური არ უნდა მაწუხებდეს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ეს შეუძლებელია.

— სად გირჩევნიათ დასვენება — საზღვარგარეთ თუ საქართველოში?

— საზღვარგარეთ საფუძვლიანად ვისვენებ ხოლმე. იქ ვერავინ გიცნობს, არავინ მოგაშტერდება... სხვათა შორის, ამერიკაში თუ ვინმე დაჟინებით გიყურებს, შეგიძლია მიხვიდე პოლიციელთან და უთხრა, რომ პიროვნება ცუდად გიყურებს — ეგრევე მოგაცილებენ...

— ეი. დასვენებისას, პოპულარობა გიშლით ხელს?

— მიშლის იმდენად, რამდენადაც, როცა ქუჩაში გამოდიხარ, თუ გცნობენ, ცდილობ, სულ ფორმაში იყო, თუ არა და...

ლიზი:

— საზღვარგარეთ რომც გაიხადო და გაიარო, არავინ შემოგხედავს, რეაქცია არა აქვთ. იქ სხვა კულტურაა. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა საზღვარგარეთაც გვცნობდნენ.

ლელა:

— ერთხელ, ჰოლანდიაში ჩატარებული კონცერტის შემდეგ, პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთების გარეკანზე გამოვჩნდით. ეს უცხოელისთვის დიდი წარმატების ნიშანია. ბარში რომ შევდიოდით, გაშტერებულები გვიყურებდნენ, ჟურნალ-გაზეთებს ცხვირწინ გვიდებდნენ... ჰოლანდიაში ტარდება 3-დღიანი კარნავალი, რომელსაც ჩვენც დავესწარით. ყველას ფერადი სამოსი გვეცვა და სახეზე დახატული გვქონდა საქართველოს დროშა, წარწერები — „რონდო“. კარნავალი პირდაპირ ეთერში გადიოდა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა (არ ვიცი, როგორ გვიცნო), მიკროფონი მოგვიშვირა, „ხეორხიას რონდო!“ — იყვირა და იმღერეთო, — გვთხოვა. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? გურული „ნანინა“ შემოვძახეთ.

— ლაშქრობებზე ან პიკნიკებზე სიარული თუ გიყვართ?

— ლაშქრობებზე — არა, იმიტომ, რომ ფეხით სიარულს ვერ ვიტან. რაც შეეხება პიკნიკებს, ხშირად დავდიოდით, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში ვერ ვახერხებთ. ახლა წმინდა ადგილების მონახულებით ვართ გატაცებულნი. ამ რამდენიმე დღის წინ, შიომღვიმეშიც ვიყავით.

ლიზი:

— ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენს ცხოვრებაში. გვინდა, მოვინახულოთ ყველა ძირძველი სიწმინდე და ვილოცოთ.

— ეი. აქტიური დასვენების მოყვარულები არ ხართ?

ლელა:

— რამდენიმე წლის წინ, დისკოთეკიდან ვერ გამომიყვანდი, გაუჩერებლივ ვცეკვავდი, მაგრამ დღეს, მშვიდ გარემოს ვანიჭებ უპირატესობას.

— თბილისში ყოფნისას როგორ ისვენებთ ხოლმე?

— სამწუხაროდ, თბილისში არ გვაქვს კარგი დასასვენებელი ადგილები. თუმცა,

ყოველ დილით მივდივარ კუს ტბაზე... ძალიან სპორტული ვარ. ჰოლანდიაში ყოფნის დროსაც არ ვდალატობდი ჩვეულებას, თანაც ეს ის ქვეყანაა, სადაც ყველა ვარჯიშობს — ყველაზე პოპულარული სახეობა კი, სირბილია. სპეციალური სარბენი ბილიკებიც კი აქვთ. სირბილის დროს, ძალიან ბევრი უცხოელი გავიცანი და ერთად ვვარჯიშობდით ხოლმე. ერთხელ, ჩემთვის უცხო ადგილას მოვინდომე დიდი ტერიტორიის გარბენა. დილით ადრე გავედი და მარტო დავრბოდი. კარგა ხნის

შემდეგ, უკნიდან რაღაც ხმა შემომესმა, მივიხედე და ადგილზე გავშეშდი — შორიდან მორბის ადამიანი, ქალი თუ კაცი, ვერ გავარჩიე, საოცრად მკაცრი აღნაგობითა და სირბილის მანერით. თვალწინ ტერმინატორი დამიდგა და რაც ძალღონე მქონდა, მოვკურცხლე. გულში ვლოცულობდი, ვფიქრობდი — ეს სად ვკვდები-მეთქი!.. მიუხედავად იმისა, რომ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, ვიგრძენი, რომ მიახლოვდებოდა. ავკანკალდი და... მამაკაცმა გვერდით ჩამირბინა, გამიღიმა და საოცრად ნაზი ხმით — ჰაიო! — მომძახა.

— დასასვენებლად რომელ ქვეყანაში ისურვებდით წასვლას?

ლიზი:

— ყველა ქვეყანას თავისი ხიბლი აქვს. თითოეული მათგანიდან, რაღაც თავგადასავლი ჩამოგყვება და რაღაც დროის გასვლის შემდეგ, ნოსტალგიაც შეგიპყრობს.

ლელა:

— ეგვიპტეში ჩასვლა ჩემი ოცნება იყო. ეს მართლაც, საოცარი ქვეყანაა. იქ, ცაც კი სხვანაირია. პირამიდებთან რომ მიდიხარ და ამ უზარმაზარ ქმნილებებს უყურებ, შოკირებული ხარ... მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა. შუა ეგვიპტეში ქუსლი მომძვრა, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ფეხის წვერებზე დავდიოდი. ძალიან მინდოდა, ხეოფსის პირამიდაში ჩასვლა, რომელიც გვირაბივითაა, თან ციცაბო დაღმართია. წინასწარ გაგვაფრთხილეს — თუ გული გაწუხებთ, არ ჩახვიდეთო. მიუხედავად იმისა, რომ ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი მეცვა, ჩავედი „არაადამიანურ“ კიბეზე (ჩასასვლელში გადებულია ვიწრო რკინები და თუ ფეხი აგიცდა, ყველას ჩაიყოლებ ქვევით), თან ისე, რომ თავი მუხლებამდე გაქვს მიტანილი, რადგან ჭერი საოცრად დაბალია. ბევრი ვიწვალე, მაგრამ ეს ამად ღირდა... ეგვიპტეში ჩვენთან ერთად წამოსული იყო ნიკა მემანიშვილი. ოპერაში ძალიან სერიოზულ სიტუაციაში ვიმყოფებით: ნიკა ძალიან ცელქი ბავშვი იყო, სულ აქეთ-იქით დახტოდა. ყველანი ვუყვიროდით და ვეძახდით — ნიკა, ნიკა! ხალხი გაოგნებული გვიყურებდა...

ლიზი:

— ირგვლივ შავ-შავი კაცები შემოგვეხვივნენ. თურმე, „ნიკა“ ეგვიპტურ ენაზე ძალიან ცუდ რამეს ნიშნავს... მერე, ერთი ღვთისნიერი ადამიანი გამოჩნდა, რომელმაც გვითხრა — ეს სიტყვა აღარ გაიმეოროთო. ამის შემდეგ, ნიკას მეტსახელი — მემანიკა შევურჩიეთ.

ლელა:

— ალმა-ათაში ყოფნის დროს, ერთ ულამაზეს ადგილას — მედიუში დავბინავდით. ისეთივე მშვენიერია, როგორიც ჩვენთან ყაზბეგის ხეობაა და იქაც ძალიან ცივა. ჩვენ ეს არ ვიცოდით და საოცრად თხელი ტანსაცმლით წავედით. აეროპორტში რომ დაგვხვდნენ, გაკვირვებულები გვიყურებდნენ. სასწრაფოდ წაგვიყვანეს მაღაზიებში (კიდევ კარგი, ფული გვქონდა), ვიყიდეთ ძალიან თბილი ტანსაცმელი და გამოვიდა, რომ ზამთრის გარდერობი მოვიმარაგეთ... ფესტივალის წინა დღეებში, საოცრად ცუდი ამინდები იყო. ყოველ საღამოს მოდიოდა მუშტისოდენა სეტყვა. კონცერტი იმართებოდა ღია ცის ქვეშ, ყინულზე, თან — გვიან ღამით. ჩვენ მიგვქონდა ავთო ცქვიტინიძის მიერ შექმნილი კოსტიუმები, რომლებიც არ იყო გათვლილი იმ ამინდზე, რომელიც მედიუში დაგვხვდა. ამიტომ სცენაზე გასვლის წინ, ერთმანეთს ხელებს ვუჭერდით, რომ ძარღვებში სისხლი ამოძრავებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ სადისტური გამოსვლა გვქონდა. თან, ყინულზე ძალიან ფრთხილად უნდა გევლო, რაც ელენემ ვერ გაითვალისწინა და შუა სცენაზე გაიშხლართა. იქიდან „სასწრაფო დახმარების“ მანქანით წაიყვანეს...

ლიზი:

— ისიც მოჰყევი, შიშველ ზანგ ქალს როგორ გაურბოდით...

ლელა:

— ამსტერდამში, ვარდისფერ ბულვარზე (სადაც სიშიშვლის დემონსტრირება ხდება) გავედით. იქ ვიდეოკამერის გამოყენება არ შეიძლება. ჩემს სიძეს კამერა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. მართალია, არ იღებდა, მაგრამ ჩართულ მდგომარეობაში კი იყო. ეს ძალზე დიდი გაბარიტების მქონე შიშველმა ზანგმა ქალმა დააფიქსირა, ვიტრინიდან ლამის გადმოხტა, მოგვდევდა და გვაგინებდა... სანამ მივხვდებოდით, თუ რა ხდებოდა, ყველანი თავქუდმოგლეჯილები გავრბოდით...

— დაბოლოს, წელს სად აპირებთ დასასვენებლად წასვლას?

— ზაფხულის დადგომისთანავე, ხან ვინ დაგვპატიჟა, ხან — ვინ, მაგრამ საქმეების გამო ჯერ ვერსად წავედით. მალე ჩვენი ახალი ალბომი გამოვა, რომელიც სადისკოთეკო ვერსიაა, სახელწოდებით — „ცეკვა „რონდოსთან“ ერთად“ — და შემოდგომისთვის, კიდევ ერთი ახალი ალბომის გამოშვებას ვგეგმავთ... ალბათ აგვისტოს ბოლოს წავალთ სადმე.

ლიზი:

— სექტემბრისთვის კი, იალტაში კონკურსზე ვართ მიწვეულნი. თან ეს ე.წ. „ბარხატნი“ სეზონია და კონკურსის მერე, იქაც დავისვენებთ, მით უმეტეს, რომ იქ ფანტასტიკური პლაჟებია.

■

კაკლის უღელიც მკურნალი ყოფილა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ბევრ მკითხველს სმენია კაკლის სამკურნალო თვისებების შესახებ, მაგრამ ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ასევე უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს კაკლის უღელსაც ანუ მის იმ შიგნითა ნაწილს, რომელსაც ჩვეულებრივ, კაკლის გატეხვისას ნაჭუჭთან ერთად ვაგდებთ.



იოდის დეფიციტი ადამიანის ორგანიზმში, სპეციალისტთა დაკვირებით, მრავალი დაავადების მიზეზი ხდება. იოდის ნაკლებობისას ადამიანი მოშვებული, მოდუნებულია, ადვილად ღიზიანდება, ოფლიანობს, მაღლა უწევს არტერიული წნევა, უქვეითდება მეხსიერება, უკანკალებს ხელები.

როგორც წესი, იოდის ნაკლებობისას, ორგანიზმში ირღვევა ფარისებრი ჯირკვლის მუშაობა, რაც გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე, იწვევს მასტოპათიის განვითარებას, ხელს უწყობს მიომის, წინამდებარე ჯირკვლის ადენომის წარმოქმნას, ანელებს სქესობრივ მომწიფებას, ხდება ხშირი გაცივების, ფსიქიკური მოშლილობისა და სხვა დაავადებების მიზეზი.

იოდის დეფიციტი განსაკუთრებით ხშირად აღენიშნებათ მოხუცებს, ქალებს ორსულობისას და მშობიარობის შემდეგ, მათ, ვინც გამუდმებით მუშაობს კომპიუტერთან.

იმის დასადგენად, საკმარისადაა თუ არა თქვენს ორგანიზმში იოდი, შეგიძლიათ, ასეთი მარტივი ექსპერიმენტი ჩაატაროთ: ძილის წინ ქუსლებზე წაისვით იოდის ნაყენი (რომელიც აფთიაქში იყიდება), თუ დილისათვის იოდი ისევ გექნებათ ქუსლებზე, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ — იოდი თქვენს ორგანიზმში საკმარისი ყოფილა, რაზედაც ის მეტყველებს, რომ იგი ცუდად შეიწოვება; თუ დილისათვის ქუსლები გაგითეთრდებათ და იოდის კვალი გაქრება ან სუსტად შესამჩნევი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმს იოდი ესაჭიროება.

იოდის შესანიშნავი წყაროა კაკლის უღელი. მისგან უნდა მომზადდეს ნახარში. ამისთვის უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უღლის მოგროვება. 1/2 ჩ/ჭ უღელი ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით 2 ჩ/ჭ ცივი წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, შემდეგ გააჩერეთ დაბალ ცეცხლზე 10 წთ, გადმოდგით, შეაგრილეთ და გაწურეთ დოლბანდში. მიღებულ ნახარშს ექნება მუქი ჩაის ფერი. იგი უნდა სვათ თითო ყლუპი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

კაკლის უღლის ნახარშს აქვს ძლიერი ბაქტერიციდული (ხოცავს ბაქტერიებს) ეფექტი, ამავე დროს, ამაგრებს ფარისებრ ჯირკვალს. პერიოდულად, კვირაში ერთხელ, აკონტროლეთ ორგანიზმი, ქუსლებზე იოდის წასმით. როგორც კი ქუსლებიდან იოდი აღარ შეიწოვება, მკურნალობა შეგიძლიათ შეწყვიტოთ. ამდენად, მკურნალობის ხანგრძლივობა ინივიდუალურია. საშუალოდ კი, კურსი 1-დან 4 კვირამდე გასტანს.

აღნიშნული ნაყენით მკურნალობის შემდეგ, მნიშვნელოვნად უმჯობესდება თვითშეგრძნება. ადამიანი მშვიდდება, ხდება გაწონასწორებული, ნაკლებად ღიზიანდება, აღარც ოფლიანობს, აღარ ტირის უბრალო მიზეზის გამო, კარგად სძინავს, უწესრიგდება ნივთიერებათა ცვლა.

კაკლის უღელი კონკრეტულ დაავადებათა დაძლევაშიც დაგეხმარებათ. ბაქტერიციდული თვისებების გამო, მას წარმატებით იყენებენ კონიუნქტივიტის სამკურნალოდ. ამ შემთხვევაში, უღლები უნდა დაიფქვას ყავის საფქვავში; ნახევარ ჩ/ჭ ფხვნილს უნდა დაესხას 1,5 ჩ/ჭ ცივი წყალი. ნაყენმა უნდა იდუღოს 15-20 წთ დაბალ ცეცხლზე. ამის შემდეგ გაწურეთ ორმაგ დოლბანდში. მიიღებთ დაახლოებით 0,5 ჩ/ჭ მუქ ყავისფერ სითხეს. ამ ნახარშში დაასველეთ ტამპონები და დაიფინეთ ქუთუთოებზე კონიუნქტივიტის დროს. ასეთი საფენები ეფექტურია თვალის სხვა ინფექციური დაავადებების დროსაც. მკურნალობის კურსი 1-2 კვირაა.

კოლიტის სამკურნალოდ გამოიყენება კაკლის უღლის ნაყენი, რომლის მოსამზადებლადაც ქილაში ჩაყარეთ 2-3 ს/კ უღელი, დაასხით 200 მლ არაყი და დააყოვნეთ ერთი კვირა. ნაყენი უნდა სვათ 6-10 წვეთი (იხსნება 1 ს/კ წყალში) 3-ჯერ დღეში. კოლიტისგან 1-1,5 თვეში განიკურნებით.

კაკლის უღელი გახანგრძლივებული ფაღარათის დაძლევაშიც დაგეხმარებათ. ამ შემთხვევაშიც, სპირტიანი ნაყენი უნდა მიიღოთ.

კაკლის უღელს წარმატებით იყენებენ ისეთი სერიოზული პათოლოგიის დროსაც, როგორიც დიაბეტია. ანტიდიაბეტური ნაყენის მოსამზადებლად, 2 ს/კ უღელს უნდა დაასხათ სპირტი — იმდენი, რამდენიც დაფარავს მათ ზედაპირს. ერთი კვირა დააყოვნეთ და შემდეგ მიიღეთ დილაობით უზმოზე 5-6 წვეთი, რომელსაც გახსნით 2 ს/კ წყალში. მკურნალობის კურსი 3 კვირიდან 3 თვემდეა.

მკურნალობის წარმატების მაჩვენებელი, სისხლში შაქრის დონის განსაზღვრაა. ამასთანავე, თანდათანობით უნდა გაუმჯობესდეს ავადმყოფის თვითშეგრძნება. ქრება პირის სიმშრალე. ანტიდიაბეტური ნაყენი განსაკუთრებით ეფექტურია არაინსულინდამოკიდებული დიაბეტისა და პანკრეატიტის დროს. ინსულინდამოკიდებულების შემთხვევაში კი, საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად შემცირდეს ინსულინის დოზა.

ზოგიერთი ფიტოთერაპევტი აღნიშნავს კაკლის უღლის სპირტიანი ნაყენის ეფექტურობას რადიკულიტის დროს (ნაყენი წელის არეში უნდა შეიზილოთ).

თავის ტვინის სისხლძარღვების გასაწმენდად, თავის ტკივილის მოსახსნელად და მეხსიერების გასაუმჯობესებლად დაგჭირდებათ 1 ჩ/ჭ უღელი, რომელსაც უნდა დაასხათ 0,5 ლ არაყი და დადგათ 2 კვირა. მიღებული ნაყენი უნდა სვათ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 5-6 წვეთი (იხსნება 1 ს/კ წყალში). ■

საბავშვო ბაღი ლეიკემიისგან იცავს

ბავშვები, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიან, უფრო იშვიათად ავადდებიან ლეიკემიით, ვიდრე ის პატარები, ვინც სხვა ბავშვებთან კონტაქტს მოკლებული არიან. ეს დასკვნა დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად გააკეთეს. შესაძლოა, სხვადასხვაგვარ ინფექციასთან ადრეულ „ნაცნობობას" პრევენციული ეფექტი აქვს, რადგან ამგვარად, იმუნური სისტემა ეჩვევა ინფექციაზე ნორმალურ რეაგირებას. ორგანიზმის მსგავსი ვარჯიშის გარეშე, შემდგომ ცხოვრებაში ინფექციები შეიძლება, ლეიკემიის განვითარების ჩამრთავ მექანიზმად იქცეს. ონკოლოგიურ დაავადებათა ეს სახეობა ხასიათდება სისხლის თეთრი უჯრედების უკონტროლო ზრდით. ეს უჯრედები კი, იმუნური სისტემის ნაწილს წარმოადგენს. მკვლევარები 10 ათას ბავშვს 15 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ.

მეცნიერები დაავადების გამომწვევ საკარაუდო მიზეზთაგან ორს, სულ უფრო მეტად ემხრობიან. პირველის მიხედვით, დნმ-ის დაზიანების შედეგად წარმოიქმნება მუტანტი გენი. ასეთი გენი ოცდან ერთ ახალშობილს აქვს. თუმცა, მუტანტი გენის მატარებელთა მხოლოდ ერთ პროცენტს უვითარდება ლეიკემია. როგორც ჩანს, დაავადების ჩამრთავ მექანიზმს, ცხოვრების განმავლობაში შენახვედრი ინფექციები წარმოადგენს.

ადრეულ ასაკში გადატანილი ინფექციების პროფილაქტიკური როლის შესახებ ჰიპოთეზის დასადასტურებლად, ექიმებმა შეისწავლეს 6900 ჯანმრთელი და 3100 ონკოდაავადების მქონე ბავშვი (მათ შორის იყვნენ მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის მქონენიც). აღმოჩნდა, რომ ავადობის რისკი ქვეითდება, სახლის გარეთ ბავშვის აქტიური ცხოვრების შემთხვევაში. მაქსიმალური ეფექტი კი აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი 3 თვემდე ასაკში იქნა მიყვანილი საბავშვო დაწესებულებაში, დღის მომვლელთან. მიღებული კანონზომიერების შესაძლო ახსნა არის ის,

რომ ასეთ დროს ხდება იმუნური სისტემის „სწორი" რეაქციის გამომუშავება, ადრეულ ასაკში ინფექციათა გადატანის გზით. იმუნური სისტემის „სწორი" რეაქციისას შესაძლოა, მოხდეს სისხლის თეთრი უჯრედების უკონტროლო ზრდა, რაც ლეიკემიას გამოიწვევს.

თუ ეს თეორია დადასტურდა და განვითარდა, შესაძლებელი გახდება ისეთი ვაქცინის მიღება, რომელიც ბავშვის იმუნურ სისტემას გააკაჟებს. ■

სარკოიდოზმა ექიმი შეიცვალა

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სარკოიდოზი ტუბერკულოზის ნაირსახეობად მიაჩნდათ. ამ ცოტა ხნის წინ კი გადაწყდა, რომ სარკოიდოზით დაავადებულთათვის ფთიზიატრთან მკურნალობა უსაფრთხო არ არის და ისინი პულმონოლოგებს გადააბარეს.

სარკოიდოზის დროს, წარმოიქმნება არაინფექციური ანთებითი გრანულომები — მრგვალი უბნები, რომლებიც იმუნოკომპეტენტური უჯრედებისგან შედგება. ასეთი უბნები ყველგან შეიძლება განვითარდეს: ფილტვებში, ბრონქებში, პლევრაში, კანში, თვალებში. ეს არის სისტემური დაავადება მრავალგვარი გამოვლინებით, მაგრამ უპირატესად მაინც ფილტვები და ლიმფური კვანძები ზიანდება — ე.ი. ყველაზე ხშირად ემართებათ საშუალო ასაკის ადამიანებს. სარკოიდოზი ჩვეულებრივ, კეთილსაიმედო მიმდინარეობით ხასიათდება და არ აინვალიდებს ადამიანს. მაგრამ არსებობს დაავადების მძიმე ფორმებიც. ამ ანთების მიზეზები ცნობილი არ არის, არსებობს მხოლოდ ჰიპოთეზები. ადრე ეგონათ, რომ ეს პათოლოგია ტუბერკულოზის მსუბუქად მიმდინარე ერთ-ერთი ფორმა იყო და მას ტუბერკულოზის ჩხირი იწვევდა. მაგრამ ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა, სარკოიდოზი კი არაინფექციური პროცესია. ამასთან, მის სამკურნალოდ გამოიყენება იმუნიტეტის დამთრგუნველი პრეპარატები, ამიტომ ასეთი პაციენტების ყოფნა ჭლექიანების გვერდით სასურველი არ არის.

თუ დავყოფთ სარკოიდოზს კლინიკური გამოვლინებების მიხედვით, ყველაზე მარტივი ვარიანტია, გულმკერდის ლიმფური კვანძების სარკოიდოზი. პერიოდული მშრალი ხველის გარდა, პაციენტს ამ დროს არაფერი აწუხებს. რენტგენოგრამაზე კი ჩანს გადიდებული ლიმფური კვანძები. ავადმყოფთა 35-45% დაავადების ამ ფაზაზე სპონტანურად გამოჯანმრთელდება ხოლმე. როცა ლიმფურ კვანძებთან ერთად ფილტვებიც ზიანდება, გრანულომები ფილტვის ქსოვილში ვითარდება. სარკოიდოზის ყველაზე სერიოზული ფორმისას ზიანდება სხვა ლიმფური კვანძები, კანი, თვალები. ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეს დაავადების ფაზებია და არა მისი ცალკეული ფორმები, მაგრამ საერთო აზრი ამის შესახებ არ არსებობს. იმუნური ანთების თავისთავად განკურნების იმედად ყოფნა არ შეიძლება, საჭიროა მისი მკურნალობა.

სარკოიდოზის დიაგნოსტირება რთულია. ავადმყოფები ექიმთან მიდიან ჩივილით, რომ სუსტად გრძნობენ თავს. ანალიზები კი ამ დროს, როგორც წესი, კარგია. შესაძლებელია, ამ დროს ხდება ლიმფოციტების რაოდენობის ზრდა ნახველში და მათი რაოდენობის შემცირება სისხლში. მაგრამ დიაგნოზის დასასმელად ეს ცოტაა. რენტგენოგრამაზე გრანულომების აღმოჩენის შემდეგაც კი, შეუძლებელია დასკვნის გაკეთება კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ბიოფსიის გარეშე. ბიოფსია ადგენს გრანულომის შემადგენლობას. ზოგჯერ ამ გამოკვლევის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ ინიშნება მკურნალობა კორტიკოსტეროიდული ჰორმონებით და მისი ეფექტურობა რამდენიმე თვის განმავლობაში ფასდება. უმრავლეს შემთხვევაში, კორტიკოსტეროიდების მიღების შემდეგ, გრანულომები გაიწოვება. არსებობს მკურნალობის სხვა ვარიანტები, მაგრამ მათი ეფექტურობა ცვალებადია, ამიტომ შერჩევის პრეპარატად მხოლოდ პრედნიზოლონი რჩება. ■

როგორ ავირჩიოთ პარტნიორი

და რაზე მეტყველებს ადამიანის სახის ნაკვთები?

პარტნიორის არჩევისას — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შექმნა გაქვთ გადაწყვეტილი, ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ვფიქრობთ, ქვემოთ მოყვანილი რჩევები სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

- პირველ რიგში ჩამოწერეთ ის მოთხოვნები, რომელსაც ოჯახის შექმნის შემთხვევაში, თქვენს მეორე ნახევარს წაუყენებთ. მეუღლეობის სავარაუდო კანდიდატისაგანაც იგივე მოითხოვეთ, შემდეგ კი ფურცლები გაცვალეთ. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ ორივე მხარეს ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ, თუ რას მოითხოვთ ერთმანეთისგან და შეგიძლიათ თუ არა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, თუკი საქმე ახალგაცნობილ ადამიანს ეხება. მისი, ერთი შეხედვით, სასიამოვნო თუ უსიამოვნო საქციელი, შეიძლება, რაიმე მოვლენაზე უნებლიე რეაგირება იყოს და არა — მისი ხასიათის შტრიხი.
- ნუ დაიწყებთ იდეალური პარტნიორის ძებნას. სულერთია, დროს ამაოდ დაკარგავთ, რადგან ასეთი, უბრალოდ, არ არსებობს. შეეგუეთ იმ აზრს, რომ ბევრ წვრილმანზე მოგიწევთ თვალის დახუჭვა.
- მეორე ნახევრის ძებნისას ნუ შემოიფარგლებით რაიმე ჯგუფით (სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული და ა.შ.). ფართო დიაპაზონი სწორი არჩევანის გაკეთებას გაგიადვილებთ.
- თავიდანვე განსაზღვრეთ, რას ანიჭებთ უპირატესობას: სიყვარულს თუ მერკანტილურ ქორწინებას.
- ნუ უგულებელყოფთ ფსიქოლოგ-ფიზიონომისტის რჩევებს, რომელსაც შეუძლია პარტნიორის არჩევისას დაგეხმაროთ — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ინტერნეტით ეძებთ ცხოვრების თანამგზავრს, ან საქორწინო სააგენტოს მომსახურებით სარგებლობთ და გაქვთ საშუალება, ფოტოსურათით შეარჩიოთ თქვენთვის მისაღები კანდიდატურა.



მაშ ასე, რას ამბობენ ფსიქოლოგ-ფიზიონომისტები — რა შეიძლება „გვითხრას“ ადამიანის სახის ზოგიერთმა ნაკვთმა?

● *მსხვილი მორკალური წარბები* — ეგზალტირებულ და მკაფიოდ გამოხატული არტისტული ნატურის მქონე ადამიანს აქვს. თუ თქვენ ბედს ასეთ ადამიანს დაუკავშირებთ, მზად უნდა იყოთ ემოციურად გადატვირთული ცხოვრებისათვის. თქვენი შეხლა-შემოხლის მიზეზი უმეტესწილად, საყოფაცხოვრებო საკითხები იქნება და საერთოდ, თქვენს ოჯახში საკამათო მიზეზი არ დაილევა.

● *დიდ, ნათელთვალება* მამაკაცს, პატიოსნება პირდაპირ შუბლზე აწერია, ალალი და კეთილი გული აქვს, ოჯახში კი საზეიმო განწყობილების შექმნა შეუძლია. მშვიდ, სტაბილურ ცხოვრებაზე მეოცნებე ქალი, ასეთი მამაკაცის გვერდით თავს შესანიშნავად იგრძნობს.

● *მოძრავი, მოუსვენარი თვალები* ხშირად მატყუარა ადამიანის დამახასიათებელია. თუმცა მისი ამოცნობა ფოტოსურათით ნამდვილად შეუძლებელია. უბრალოდ უნდა იცოდეთ, რომ თუ ბედს ამგვარ ადამიანს დაუკავშირებთ, საქმე დიდ ტყუილების გუდასთან გექნებათ.

● თუ მამაკაცის *თვალები არაფრის მთქმელია*, მისი პატრონი მოვლენების ზედაპირული აღქმით გამოირჩევა. სიყვარულში — არამდგრადი და კრიტიკულ სიტუაციებში ნაკლებად საიმედოა; მის გვერდით, ძირითადად, საკუთარი თავის იმედად ყოფნა მოგიწევთ.

● თუ მამაკაცს *თვალის კუთხეები ქვემოთ აქვს დახრილი* — თქვენ წინაშე კრიტიკოსია. ასეთ ადამიანს შენელებული რეაქციები ახასიათებს და მერყევი ხასიათი აქვს. თქვენ არასოდეს იქნებით კმაყოფილი მისი ხელფასით, ხოლო მას ვერასოდეს მოაწონებთ გარეცხილ პერანგსა თუ საგულდაგულოდ მომზადებულ სადილს.

● მამაკაცი, რომელსაც *წინ წამოწეული ტუჩები* აქვს, იმპულსური ადამიანია.

● ის კი, ვისაც *პირიქით, შიგნით შეწეული ტუჩები* აქვს, ძალზე ფრთხილია და იოლად არავის ენდობა.

● მას, ვისაც *მსხვილი, სავსე ტუჩები* ან *ფართო პირი* აქვს, როგორც წესი, იუმორის გრძნობა არ ღალატობს. აფასებს ერთგულებას და სიამოვნებას ანიჭებს სხვებზე ზრუნვა.

● *თხელი, ვიწრო ტუჩების* პატრონი კი, უმეტეს შემთხვევაში, ძუნწია.

● თუ *ვიწროოვალიანი სახის* მქონე ადამიანის გვერდით მოგიწევთ ცხოვრება, მზად იყავით, რომ ცხოვრებაში ინიციატივა საკუთარ თავზე აიღოთ, რადგან თქვენი მეორე ნახევარი არასოდეს იქნება დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში და ყოველთვის ზედმეტად მოკრძალებულად შეაფასებს საკუთარ პერსონას.

● ის მამაკაცი კი, ვისაც *სახის ფართო ოვალი* აქვს, პირიქით, ზედმეტად თავდაჯერებულია. ასეთი მამაკაცის გვერდით, ინიციატივის გამოჩენა არაფერს გარგებთ. ■



სასარგებლო რჩევები

როგორ ვუმკურნალოთ ყავით ფრჩხილებს



თანამედროვე ფარმაკოლოგიამ ვერ იპოვა ეფექტური საშუალება ფრჩხილების სოკოვანი დაავადების მოსაცილებლად. ძვირად ღირებული საცხები და კრემები ამ პროცესს მხოლოდ დროებით აჩერებს. გთავაზობთ საკმაოდ უბრალო, მაგრამ ეფექტურ საშუალებას:

მოადუღეთ მაგარი ყავა, ოდნავ გააცივეთ და ჩააწყვეთ მასში თითები; ეცადეთ, ფსკერზე დარჩენილი ნალექი არ აამღვრიოთ. თუ ამ პროცესს რამდენჯერმე გაიმეორებთ, სოკო გაქრება, კანი კი რბილი და გლუვი გახდება.

როგორ მოვუაროთ სახის კანს

არასოდეს გაუშვათ ხელიდან შესაძლებლობა, გაანებივროთ თქვენი კანი ხილისა და ბოსტნეულის ნილბებით, რომლებშიც უამრავი ვიტამინია. განსაკუთრებით სასარგებლოა პამიდორი:

გადაავლეთ ერთ ცალ პამიდორს მდულარე წყალი, გააცალეთ კანი, ათქვიფეთ მიქსერით და შეურიეთ ორი ჩ/კ ხაჭო. წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 20-30 წთ. შემდეგ, მონაცვლეობით – თბილი და ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ■

ნიღაბი მაკიაჟის ნიც

თუ საღამოს წვეულებაზე მიბრძანდებით, სანამ მაკიაჟს შეუდგებოდეთ, გაიკეთეთ გამაჯანსაღებელი ნიღაბი:

2 ს/კ გახეხილ ვაშლს (ან კიტრს) დაასხით ცოტაოდენი ცხელი რძე, გააჩერეთ 10-15 წთ, შეურიეთ ცოტაოდენი „ჰერკულესი“ – იმდენი, რომ სქელი არაჟნის მსგავსი მასა მიიღოთ. დაიდეთ თბილი ნიღაბი სახეზე და გაიჩერეთ 15 წთ. ჩამოიბანეთ ცივი წყლით და კანი გაიწმინდეთ ლიმონის წვენში დასველებული ტამპონით.

გთავაზობთ ნიღაბს სახის კანისთვის, რომელიც ძალიან ეფექტურია და უკვე 2 სეანსის შემდეგ, არაჩვეულებრივ შედეგს იძლევა:

აიღეთ 2 ს/კ სიმინდის ფქვილი და კარგად შეურიეთ ერთი კვერცხის ცილაში. თქვიფეთ გათეთრებამდე და დაიდეთ სახეზე, ბამბის ტამპონით. 20 წთ-ის შემდეგ, ჩამოიშორეთ კოსმეტიკური საწმენდით, შემდეგ კი დაიბანეთ ჯერ თბილი, შემდეგ – ცივი წყლით. წაისვით ნატურალური კომპონენტებით დამზადებული მკვებავი.

სილამაზის კოქტეილი

1 ს/კ არაჟანს შეურიეთ 1 ს/კ დაქუცმაცებული ოხრახუში. დაუმატეთ 1 ჩ/კ მცენარეული ზეთი, 10 წვეთი ვიტამინი A. კარგად გათქვიფეთ ეს მასა და წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 20 წთ. შემდეგ, ჩამოიბანეთ ცივი წყლით. ■



რა არის დასჯის მიზანი?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ბავშვის დასჯასთან დაკავშირებით. დავსაჯოთ თუ არა ბავშვი უფლის სახელის გამოყენებით? რა არის დასჯის მიზანი? რა მოვიმოქმედოთ ბავშვის დასჯის შემდეგ? — ამ და სხვა საკითხებს წმინდა მამათა სწავლა-მოძღვრებებზე დაყრდნობით განგიმარტავთ.

შორენა მერკვილაძე

უფროსები ბავშვს ცუდი საქციელის ჩადენისას ხშირად ეუბნებიან: „ღმერთი დაგსჯის, ღმერთი განგიერისხდება“ და ა.შ. შეიძლება თუ რა ბავშვის დასჯა უფლის სახელის გამოყენებით?

ეკლესიური მოძღვრებით, უფროსები, რომლებიც ასეთი მეთოდით სჯიან ბავშვს, ყველაზე უგუნურ ხერხს მიმართავენ, რადგან მსგავს გამოთქმებში უმეტესწილად გამოიხატება გაღიზიანება, მოუთმენლობა და მრისხანება. მათ ან ეზარებათ, ან არ შესწევთ უნარი, რომ ბავშვს თავისი ცუდი საქციელის არამართებულობა განუმარტონ და ამიტომაც, ღვთის სახელით აშინებენ, რაც უფლის მიმართ ბავშვის გაღიზიანებას და გულისწყრომას ბადებს. „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უფლის სახელის გამოყენებით ბავშვის დასჯა, ანდა დასჯით დამუქრება; არ უნდა დაუშვათ, რომ ბავშმა იფიქროს, თითქოს ქრისტეს არ უყვარს იგი მისი ცუდი საქციელის გამო, ან რომ მისი ავადმყოფობა არის სასჯელი, რომელიც უფალმა მოუვლინა. ბავშვისთვის ჩვენ უნდა ვიყოთ საკმარისად ავტორიტეტულნი, იმის გარეშე, რომ ქრისტე ვაქციოთ პოლიციელად, რომლითაც ბავშვებს აშინებენ. ბავშვები შეიძულებენ ქრისტეს, როდესაც ავად გახდებიან, თუ იფიქრებენ, რომ ღმერთი სჯის მათ ცოდვებისთვის: ასევე ცუდია, თუკი რაიმე ცუდი ქცევის გამო ღმერთს არ უყვარს ისინი. ღმერთს უყვარს ცოდვილნიც და მათ გამო ეცვა ჯვარს“, — შეგვაგონებს დედა მაგდალინა.

საკმაოდ ხშირად, ბავშვები ტირილით ცდილობენ საკუთარი ნების გატანას. რა შეიძლება მოვიმოქმედოთ ასეთ შემთხვევაში?

როდესაც ბავშვის ტირილის მიზეზი უბრალო კაპრიზი, პატივმოყვარეობა ან სიჯიუტეა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეთ დათმობაზე. შეიძლება, სიმკაცრე არ გამოვიჩინოთ, მაგრამ ნურც მივეფერებით, ჯობია, იტიროს, მერე, თვითონ გაჩერდება. თუკი ბავშვი ტირილის მეშვეობით დათმობას და მოფერებას მიეჩვევა, უფრო გაჯიუტდება და თავნება გაიზრდება.

რა არის დასჯის მიზანი?

დასჯას იგივე მიზანი აქვს, რაც სარეველების ამოძირკვას — ბრძანებენ წმინდა მამები — ე.ი. დასჯის მეშვეობით უნდა მოხდეს ცუდი, მანკიერი ჩვევებისა და მიდრეკილებების აღმოფხვრა. ბავშვის დასჯა, რომელიც აუცილებელია მის გამოსასწორებლად, ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ, სანამ ბავშვი ჯერ კიდევ პატარაა, მის არსებაში მანკიერი ჩვევები და ვნებები ფესვგადგმული არ არის და მათთან ბრძოლა გაცილებით ადვილია. ბავშვის დასჯისას, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ დასჯა არ გადაიზარდოს სისასტიკეში — ე.ი. დასჯა არ იქცეს ჩვენი ვნების, მრისხანების გამოვლინებად, არამედ საფუძვლად უნდა ედოს სიყვარული, ის ყოველთვის სიყვარულით უნდა ხდებოდეს, რათა მისი მეშვეობით ბავშმა ისწავლოს სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან გარჩევა, მიხვდეს, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი. ხოლო თუ ბავშვის დასჯა მშობლის რისხვაზე, სიბრაზეზე მეტყველებს, ეს უკვე ბოროტებაა, რადგან ასეთ დროს, ბავშვებს ძირითადად სჯიან იმის გამო, რომ შური იძიონ. მსგავსი ქმედებით ბავშვს მხოლოდ ტკივილს მივაყენებთ (შესაძლოა, გავაბოროტოთ კიდეც) და ვერც სამართლიანები ვიქნებით: „გულისწყრომა კაცისა როდის შეიქმნს ღმერთის სიმართლეს“, — ბრძანებს უფალი. ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ განრისხებულ გულზე ბავშვი არ დავსაჯოთ, გადავდოთ, სანამ გაბრაზება გაგვივლის. მით უმეტეს, დაუშვებელია გაბრაზებულ გულზე ბავშვის დასჯა, როდესაც ჩვენი გაბრაზება და გაღიზიანება გამოწვეულია არა ბავშვის ცუდი საქციელით, არამედ ამა თუ იმ ცხოვრებისეული პრობლემით, რასაც არცთუ ისე იშვიათად აკეთებენ უფროსები — ვინმეზე ან რაიმეზე გაბრაზებულები, ბავშვზე იყრიან ჯავრს.

რა მოვიმოქმედოთ დასჯის შემდეგ?

თუ ვატყობთ, რომ ბავშვი ნანობს ჩადენილ დანაშაულს, მით უმეტეს, თუ გულწრფელად გვთხოვს პატიებას, საჭიროა შევუნდოთ: ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მივეფეროთ კიდეც ან შევაქოთ, დავასაჩუქროთ ან სხვა რაიმეთი წავახალისოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მოვეფეროთ დასჯილ ბავშვს, ვიდრე ის არ მოინანიებს თავის დანაშაულს. ნებისმიერი მეთოდით დასჯას, რაღაც დოზით მაინც, თან ახლავს წყენა, ამიტომ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს წყენა ბავშვის დაძინებამდე დავტოვოთ მოუგვარებელი, რადგან თუკი დასაძინებლად წასულ ბავშვს წყენა თან გაჰყვება, მისთვის თავის გართმევა გაუჭირდება.

ზოგიერთი მშობელი ზედმეტად ლმობიერად ექცევა ბავშვს — საერთოდ არ რეაგირებს მის ცუდ ჩვევებსა და არამართებულ საქციელზე. ზოგი კი განსაკუთრებულ სისასტიკეს და სიმკაცრეს იჩენს, ხშირად, საკმაოდ მკაცრად სჯის უბრალო და უმნიშვნელო შეცდომის გამოც. რა უნდა ვიცოდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

წმინდა ტიხონ ზადონელი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ზოგიერთი მშობელი ისეთი სინაზითა და სიმსუბუქით ზრდის და უვლის შვილებს, რომ არ უნდათ, დასჯონ დანაშაულისთვის და ასე მოურიდებელი და თვითნებური ცხოვრების უფლებას აძლევენ; სხვები გადაჭარბებულ სიმკაცრეს იყენებენ და უფრო მრისხანებენ, ვიდრე სჯიან მათ. ორივენი სცოდავენ. რამეთუ გადაჭარბება ყველაფერში მავნებელია; უგუნური სიმკაცრეცა და სირბილეც დასაგმობია. პირველ შემთხვევაში ახალგაზრდები მიშვებულნი, თავნებნი, გარყვნილები ხდებიან და ბუნებითაც ყოველგვარი ბოროტებისკენ მიდრეკილნი, აშკარად დაღუპვისთვის არიან განწირულნი. მეორე უკიდურესობას მწუხარება, გაღიზიანება, ნაღველი მოაქვს. ყველგან ზომიერება და სამეუფო, შუალედურ გზაზე სვლაა საქები. ამიტომაც ღვთისმოსავ მშობლებს შუალედური გზის არჩევა ეგებით“. სხვა წმინდა მამებიც, როდესაც ბავშვის აღზრდის საკითხს ეხებიან, გვირჩევენ, რომ ყველაფერში გამოვიჩინოთ ზომიერება ანუ შუალედური, სამეუფო გზა ავირჩიოთ, რადგან გადაჭარბებული სიმკაცრეც და ლმობიერებაც ბავშვზე დამღუპველად მოქმედებს.

■



ხშირად ეპოქა უსასტიკეს ბრძოლას სწორედ იმ ადამიანებს უცხადებს, რომლებსაც რაღაც ღირებულის შექმნა შეუძლიათ. ამ მხრივ, ალბათ განსაკუთრებით გასული საუკუნის 30-იანი წლების გამოკვეთა შეიძლება, მაგრამ საბოლოოდ, უდიდესი ტრაგიზმით გაჯერებული დრო მაინც დამარცხებული აღმოჩნდა დიდ ადამიანებთან პაექრობაში. ამის ერთ-ერთ უტყუარ მაგალითს თითქმის საუკუნეს მიახლოებული მეცნიერი, ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნება, პროფესორი ლეო კვაჭაძე წარმოადგენს, რომლის თვალწინაც განვლო მთელმა საუკუნემ თავისი ისტორიული მოვლენებით. მას კარგად ახსოვს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის და შემდგომ მისი დაკარგვით გამოწვეული განცდა, რასაც რეპრესიების ქარცეცხლი მოჰყვა თან. სიკვდილის პირისპირ არაერთგზის აღმოჩენილა ბატონი ლეო, მაგრამ ამას მისი პიროვნება არ დაუთრგუნავს. სამჯერ პატიმრობაში მყოფი, თვითმკვლელობის მცდელობამდეც მისულა, იმდენად გაუსაძლისი იყო განსაცდელი, მაგრამ ბედი ალბათ ასე ადვილად არ აპირებდა ბატონი ლეოს სიცოცხლის დათმობას. დღეს საუკუნის ტოლი მეცნიერი თავად გვესაუბრება თავს გადახდენილი ფათერაკების შესახებ.

საუკუნის ტოლი ჟურნალისტის ტრაგიზმით სავსე ცხოვრება – საქართველოს დაკარგვა... კვლელობისა და თვითკვლელობის უეცარი კაცლელობა და... საკარის ჯრის ანუ ეროვნული სულისკვეთება

ირმა ახალაია

დამოუკიდებლობის პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა...

– განსაცდელი ბავშვობიდანვე ფეხდაფეხ მდევდა, თუმცა 1918 წლამდე მესტიაში, სოფელ ლახამულაში გატარებული წლები შედარებით ბედნიერი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. მამაჩემი მიხეილ კვაჭაძე სვანეთში დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა, დედა – სალომე გელოვანი იქაური მკვიდრი იყო. სწორედ იქ

ლეო კვაჭაძე (მარჯვნივ) ძმასთან – გრიგოლთან ერთად

გაიცნეს მათ ერთმანეთი და დაოჯახდნენ. ჩვენი ოჯახი სკოლის შენობაში ცხოვრობდა. იქ დავიბადეთ და გავიზარდეთ მე და ჩემი და-ძმა. ალბათ ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება სკოლასთან იყო დაკავშირებული. 1918 წელს მამა ლანჩხუთის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი გახდა და ოჯახით გურიაში, სოფელ ორაგვეში გადავედით საცხოვრებლად. ჩემი მოწაფეობის 3 წელი თავისუფალ საქართველოში გავატარე, მაგრამ... 1921 წელს დამოუკიდებლობის ეპოქა დასრულდა, რასაც მოჰყვა დაუნდობლობის ჟამი. 1924 წელს, ვაგონებში ხვრეტდნენ წარჩინებული გვარების წარმომადგენლებს. გურია შედარებით იოლად გადაურჩა მასობრივ დაპატიმრება-დახვრეტას. მამაჩემი, მართალია, ავჯანყების უშუალო მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ ავჯანყებულთა თანაგრძნობის გამო მაინც დასაჯეს და სამსახურიდან გაათავისუფლეს, ამიტომ იძულებული გახდა, კვლავ სვანეთში წასულიყო მასწავლებლად.

როგორ დააყენეს საკუთარი საფლავის წინაშე ყმაწვილი ლეო...

– სიკვდილის პირისპირ არაერთგზის აღმოჩენილვარ, მაგრამ ეს განცდა პირველად ჩემი მოწაფეობის პერიოდს დაუკავშირდა. 1925 წლის აპრილი იდგა. „ჩეკა“ თითოეული ადამიანის მოქმედებას საგულდაგულოდ ამოწმებდა. ალბათ მათი მხედველობის მიღმა არც ჩვენი სკოლის ეზოში განვითარებული მოვლენა დარჩენილა, როდესაც მოწინავე მოწაფეებმა არალეგალური ორგანიზაციის წევრობა შემომთავაზეს, რაც ჩემი ცხოვრების უბედურების საწყისად იქცა. ერთხელ, შინ მიმავალს, ჩემი თანასკოლელი შემხვდა, მცირე ზომის ქაღალდი გადმომცა და თავად უმალვე გამშორდა. წერილში ეწერა, რომ მე ვიყავი ახალგაზრდა არალეგალური ორგანიზაციის წევრი, ქაღალდი დავხიე... მაგრამ მცირე მანძილის გავლის შემდგომ, წინ სრულიად უცნობი მამაკაცი შემეგება და დამაპატიმრა... „ჩეკაში“ კარგა ხანს დავყავი, სადაც მაიძულებდნენ კონკრეტული ადამიანების დასახელებას. შედეგს რომ ვერ მიაღწიეს, ღამით ხელებგაკრული გარეთ გამიყვანეს, სამარის მსგავსი ორმოს წინაშე დამაყენეს, თან მაცნობეს, შენი საფლავიაო და დამაჩოქეს ამ „საფლავის“ განაპირას. სწორედ მაშინ დავინახე თუ როგორი იყო სიკვდილი. ყოველ წამს ველოდი გასროლის ხმას, რომლიც დაასრულებდა ჩემს სიცოცხლეს... დრო უსაშველოდ გაიწელა სიკვდილის მოლოდინში, ბოლოს აღელვებულმა წამოვიძახე – მესროლეთ, რაღას უცდით-მეთქი! – მაგრამ ჩემდა გასაოცრად, კვლავ უკან დამაბრუნეს. ერთი პერიოდი გაქცევაც მოვახერხე, მაგრამ ისევ დამაპატიმრეს. 33 დღე მამყოფეს „ჩეკას“ შენობაში, რის შემდეგაც გამათავისუფლეს.

უპასუხო კითხვები – რატომ დახვრიტეს ლეო კვაჭაძის ძმა?

– დაპატიმრებათა სერია უსასრულოდ გრძელდებოდა. სისტემას დაუსჯელი არც ჩემი ძმა, გრიგოლ კვაჭაძე გადაურჩა. არ აპატიეს ის, რისი გულისთვისაც იმ დროს სასტიკად ისჯებოდნენ ადამიანები – ეროვნული სულისკვეთება. იგი პირვე-

მოგვიანებით, ოჯახი შევქმენი...

ლად 1928 წელს დააპატიმრეს. მაშინ 6 წელი მიუსაჯეს. 1934 წელს გადასახლებიდან დაბრუნდა, მაგრამ ამით არ დასრულებულა განსაცდელი. სულ მალე 1937 წელს მძვინვარე ტალღა აბობოქრდა... აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ განურჩევლად ყველას, დანაშაულის ქონა-არქონის მიუხედავად. განსაკუთრებულად ყურადღება იმ ადამიანების მიმართ იქნა გამახვილებული, ვინც მანამდე იყო ნაპატიმრალი. მათ ძველი „ცოდვები" გაუხსენეს. ჩემი ძმა, როგორც ჩანს, დასახვრეტთა სიაში თავიდანვე იყო შეყვანილი, თუმცა, ჩვენ მაინც იმედი გვქონდა, რომ შეიწყალებდნენ. შემდეგში შევიტყვეთ, რომ მისთვის მალევე მოუსწრაფებიათ სიცოცხლე. მაშინ ჩემს ძმას სრულიად ჩვილი ვაჟი დარჩა ობლად, რომელიც დღეს შვილიშვილების პატრონია.

არჩევანი – მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? რას გადაურჩა მომავალი მეცნიერი...

– ჩემი მეორედ დაპატიმრება 1940 წელს მოხდა. დაპატიმრების მიზეზად 15 წლის წინანდელი ამბავი ამომიტივტივეს. იმ პერიოდში გამომცემლობა „სახელგამში" კონტროლიორ-რედაქტორად ვმუშაობდი. სწორედ დამსმენთა აქტიური „მოღვაწეობის" შედეგად აღმოვჩნდი დაპატიმრებული, რადგან ერთ-ერთმა ნაცნობთაგანმა იცოდა ჩემი ბავშვობის დროინდელი პატიმრობის ამბავი, რაც „შესანიშნავი" მიზეზი გახდა ჩემი ხელახალი დაპატიმრებისა. პატიმრობამ 50 დღეს გასტანა. ჩემ წინააღმდეგ სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ, რომ როგორმე მეღიარებინა „დანაშაული" და ამ „დანაშაულში" მონაწილე ადამიანები დამესახელებინა. იმდენად გაუსაძლის პირობებში აღმოვჩნდი, რომ შინაგანი წონასწორობა დამერღვა და თვითმკვლელობა ვცადე. საკანში პატარა თუნუქის ნაჭერი ვიპოვე, კედელზე მისი წიბოების გალესვა ვცადე, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედამხედველის მახვილ თვალს არ გამორჩენია ჩემი განზრახვა, რომელიც თურმე კარის სათვალთვალოდან მალულად უმზერდა ჩემს მოქმედებას და ფირფიტა ჩამომართვა... ჩემი მდგომარეობის გამო ერთი პერიოდი შურისძიებაც კი განვიზრახე, გადავწყვიტე, ანგარიში გამესწორებინა იმ პირისთვის, ვისაც ჩემი და ჩემნაირი ადამიანების დასმენაში მიუძღოდა ბრალი, მაგრამ განზრახვაზე ხელი უახლოესმა მეგობარმა ზურაბ მისაბიშვილმა ამაღებინა. ალბათ ბედმა არც მკვლელობისთვის და არც თვითმკვლელობისთვის არ გამიმეტა... ჩემი მეორედ პატიმრობიდან გათავისუფლება ერთ-ერთი გამომძიებლის წყალობა უფრო იყო, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა – ვინაიდან პირველი დაპატიმრებიდან 15 წელია გასული, დანაშაული უკვე აღარ მოქმედებსო. იმ დროს სწორედ ამ გარამოებამ გადამარჩინა.

ჩასახვისთანავე გაცემული შეთქმულება – დამსმენები და დასმენილები

– რეპრესიების კულმინაციად 1942 წელი იქცა. სხვა „შეთქმულებთან" ერთად, „საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის" ბრალდებით კვლავ დამაპატიმრეს. დაპატიმრებას წინ უძღოდა 1941 წელს ჩემი და ჩემი მეგობრის ზურაბ მისაბიშვილის მცირედი გაბაუბრება. ზურაბი მოქმედებისკენ მომიწოდებდა, მაგრამ ვიცოდი, ყველანაირი მოქმედება საფუძველშივე იყო განწირული და მოვუწოდე, თავი თუ არ გებრალება, დედა მაინც შეიბრალე-მეთქი. მამამისი 1937-ში ჰყავდათ დახვრეტილი. როგორც ჩანს, ამ ამბავს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ვიღაცამ ჩვენზე „იზრუნა" და... ზურაბი ქუთაისში დააპატიმრეს, მე – სვანეთში, რადგან იმ პერიოდში იქ ვიმყოფებოდი. ჩამომიყვანეს თბილისში. გზაში ფიზიკურ გვემასთან ერთად, სულიერი სიმტკიცეც დავკარგე. იმდენი მუხანათობის მომსწრე გავხდი, რომ ადამიანების მიმართ ნდობა დავკარგე. თბილისში ერთ პატარა საკანში მომათავსეს, სადაც ჩემს საყვარელ მასწავლებელთან, მიხეილ ზანდუკელთან ერთად აღმოვჩნდი. ერთმანეთს თითქმის არც გამოვლაპარაკებივართ, რადგან საკანში იყო მესამე პირიც და ეს სახიფათო იქნებოდა. თანაგრძნობის ნიშნად, ჩემი მასწავლებელი თავისი წილი შაქრის ნატეხით გამიმასპინძლდა. მეორე დილით, სხვა საკანში გადამიყვანეს... ბრალდება 33 ადამიანს წაგვიყენეს...

ეპოქის დანაშაული – 17 ოქტომბერს აღსრულებული განაჩენი

– სასამართლოს წინაშე 33 ქართველი წარდგა. მაშინ ყოვლად უსაფუძვლო იყო იმის გაპროტესტება, რომ გამოძიება უსამართლოდ მიმდინარეობდა. განსასჯელებს შორის, ერთ-ერთი გამცემი ერია. პროცესი 20 სექტემბერს დასრულდა. განაჩენი გვიან ღამით, შენობის ქვედა სართულზე გამოგვიცხადეს, რომლის მიხედვითაც, 17 ახალგაზრდას – დახვრეტა, დანარჩენებს კი გადასახლება მიუსაჯეს. მხოლოდ ჩვენ სამნი – მე, თინათინ თუშმალიშვილი და მიხეილ არეშიძე გაგვათავისუფლეს, დანაშაულის ვერდამტკიცების გამო, თუმცა ციხეში კარგა ხანს გვამყოფეს. 17 ოქტომბერს, უცნაური სიზმარი ვნახე. ჩემი ძმა მესიზმრა, რომლის გზასაც ჩემი მეგობარი მიჰყვებოდა... როგორც შემდგომში შევიტყვე, სწორედ იმ ღამით დაუხვრეტიათ 17 სიკვდილმისჯილი ახალგაზრდა. ჩვენ, გამართლებულები, ორთვე-ნახევარში გაგვათავისუფლეს... გავიდა წლები. 1937 წელს დასჯილ ადამიანთა რეაბილიტაციას მორალური და იურიდიული საფუძველი მიეცა, 1942 წელს დასჯილთა რეაბილიტაციის საფუძველი კი დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩა. ეს იყო საშინელი პერიოდი, მაგრამ იმ საშინელმა ეპოქამ მაინც ვერ გაგვტეხა. ალბათ, რაც უფრო დიდი განსაცდელი ხვდება ადამიანს, მით უფრო ძლიერი შემართებით უმკლავდება მას. ამდენი ფათერაკის მიუხედავად, წუთითაც არ დამვიწყებია ჩემი საქმე – ქართული ენის სამსახური, სკოლა, მოსწავლეები მრავალ განსაცდელთან ერთად, ჩემს მარად მეგზურად მდევდნენ თან... მოგვიანებით, ოჯახი შევქმენი, ორი ქალიშვილი – თამარი და მანანა შემეძინა და ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. თუმცა, არც ერთ მოვლენას, რომელიც XX საუკუნეში განვითარდა, ჩემთვის გვერდი არ აუვლია. პირადად ჩემთვის, აფხაზეთთან დაკავშირებულ ეროვნულ სატკივარს პიროვნული სატკივარიც ერთვის: გერმანელებთან ომის დამთავრების შემდეგ, მშობლები და ჩემი დის ოჯახი გაგრაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ჩემი დედ-მამა, და და სიძე სწორედ იქ განისვენებენ... ალბათ აქაც გამიხსენა სასტიკმა ბედისწერამ... ასე რომ, ჩემ თვალწინ მთელმა საუკუნემ განვლო, თავისი ისტორიული მოვლენებით და ამ მორევში მეც თან ჩამითრია. ერთი საიდუმლოც მინდა გაგიმხილოთ: მიუხედავად იმისა, რომ ამდენი გაჭირვება და სიმწარე გამოვიარე, ყველაზე დიდი განსაცდელი მაინც სიბერე ყოფილა, რადგან წლები თურმე ამ პერიოდში უფრო სწრაფად გარბის, ვიდრე – სიყმაწვილეში. არადა, კიდევ რამდენის შექმნის სურვილი მაქვს, კიდევ ბევრიც დამრჩა გასაკეთებელი, მაგრამ დრო არ მყოფნის... ■

ყველაზე ერთგული პოლიეუდური წყვილი



— ყველაფერი კარგად იქნება, პოლ, — რეჟისორმა მარტინ რიტმა გამხნევების ნიშნად, მხარზე ხელი მოუთათუნა ნიუ-მენს, — ჩათვალე, რომ ეს როლი გარანტირებული გაქვს. მართალია, შენს პარტნიორთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები იყო — შესაფერისი მსახიობის პოვნა კარგა ხნის მანძილზე ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ამჟამად ერთი ახალგაზრდა და ამასთანავე, ძალზე პერსპექტიული გოგონა უკვე დავამტკიცეთ როლზე. თუმცა შენ, მგონი, მას იცნობ, ეს ჯონან ვუდვორდი გახლავს...

პოლს მოეჩვენა, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში დრო გაჩერდა. შემდეგ ირგვლივ ყველაფერი კვლავ გაცოცხლდა, აზუზუნდა, ათასგვარი ბგერით ახმაურდა, ნიუმენს კი ვერ გაეგო, რა უნდოდა მისგან მარტინს, რატომ ექაჩებოდა სახელოზე და საერთოდ, რას აკეთებდნენ ამ უბადრუკ სასადილოში, სადაც მათ ძილმორეული მიმტანი გოგონა ფინჯნებში ყავას უსხამდა... რას იზამს, მან ძალა უნდა მოიკრიბოს და პატიოსნად აღიაროს, რომ საკუთარ თავთან, გრძნობებთან და მოგონებებთან ჭიდილში დამარცხდა. ეს იყო გულსა და გონებას, მოვალეობებსა და ვნებებს შორის გამართული საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლა და მადლობა ღმერთს, რომ ის ამ ბრძოლაში დამარცხდა... ორი კვირის შემდეგ, როცა გადასაღებ მოედანზე სოფიტებითა და კინოკამერებით გარშემორტყმულ ჯონს ნახავს, ის პირდაპირ მივა მასთან, ხელს მოჰკიდებს და ყველას თანდასწრებით გულწრფელად ეტყვის: „ძვირფასო, შენ გარეშე ცხოვრება აღარ შემიძლია, ჩვენ სამუდამოდ ერთად უნდა ვიყოთ...“

...ეს მოხდა მისთვის ყველაზე ღირსშესანიშნავ და მნიშვნელოვან დღეს, 1953 წელს. უპირველეს ყოვლისა, პოლმა გადაწყვიტა, რომ მამამისის ბიზნესიდან წამოვიდოდა, მიატოვებდა იმ საქმეს, რომელმაც მთავარი ადგილი მის ცხოვრებაში ვერა და ვერ დაიკავა, — ეს გახლდათ სასპორტო საქონლით ვაჭრობა საოჯახო მაღაზიაში. მეორეც, ის გადადგამს საბოლოო და გადამწყვეტ ნაბიჯს, რათა დიდ სცენაზე დამკვიდრება მოახერხოს. მესამეც, საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავა და ჯეკისა და პატარა სკოტსაც თან წაიყვანს. ის არ დაუშვებს ცოლისა და ვაჟიშვილის ამ აუტანელ კლივლენდში დარჩენას, რათა მათ არ მოუხდეთ მეზობლების დაცინვის ატანა: „ეი, გოგონი, რას შვრება შენი ფუქსავატი ქმარი? კვლავ ვარსკვლავურ დიდებაზე ოცნებობს? დროა დაღვინდეს და თავიდან ამოიგდოს ეგ სულელური აზრები კინოსა და სცენაზე...“

ვუდსტოკის ნახევრად პროფესიონალური თეატრის (სწორედ იქ გაიცნო პოლმა ნორჩი და ტემპერამენტიანი ლამაზმანი ჯეკი ვიტი, დაქორწინდა მასზე, გახდა მამა და ერთი წლის განმავლობაში 16 მთავარი როლი ითამაშა თეატრის სცენაზე) ყოფილი მსახიობისათვის ნიუ-იორკში ცხოვრება ძალზე ძვირად ღირებული და არცთუ ისე მიმზიდველი აღმოჩნდა, როგორც ეს შორიდან ჩანდა. დილაობით პოლი თავის ერთადერთ, შედარებით რიგიან კოსტიუმს იცვამდა და სხვადასხვა სამსახიობო სააგენტოში გასაუბრებაზე მიდიოდა. ის ცდილობდა სამუშაოს მიღებას ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო: რადიოში, ტელევიზიაში, თეატრებში, ღამის კლუბებსა თუ კაბარეებში. შემდეგ ბრუნდებოდა შინ, მანსარდაზე მდებარე პატარა, ნაქირავებ ბინაში, სადაც ცოლი და პატარა ვაჟი ელოდნენ, ნაჩქარევად ჭამდა ლობიოს წვნიანს, მერე ხელს წამოავლებდა ენციკლოპედიური ლექსიკონებით დატვირთულ ჩანთებს და ფულის საშოვნელად მიდიოდა. ის დიდებაზე ოცნებობდა, მაგრამ ჯერჯერობით, ამ მძიმე ჩანთების კარდაკარ თრევა უწევდა; მისი არნახული სილამაზის ლურჯი თვალებით მოხიბლული დიასახლისები კი, რომლებიც ძალზე შორს იდგნენ ლიტერატურათმცოდნეობისა თუ სამართალმცოდნეობისგან, თვალის დახამხამებაში ყიდულობდნენ მათთვის სრულიად გამოუსადეგარ სპეცლიტერატურას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკის საცხოვრებელ კვარტალებში დიასახლისებს შორის მოპოვებული წარმატება, პოლისათვის დიდად სანუგეშო არ გახლდათ — მას გული ბროდვეისკენ მიუწევდა, იქითკენ, სადაც რამპის ჩირაღდნები და ნეონის რეკლამებით ათასფრად გაჩირაღდნებული თეატრები ეგულებოდა... ის იქ ნებისმიერი, სრულიად უმნიშვნელო როლის სათამაშოდაც კი მზად გახლდათ, მაგრამ რეჟისორები გამუდმებით უარით ისტუმრებდნენ. ერთხელ, ნაცნობმა აგენტმა პოლს „გილდ-თეატრში“ მისვლა ურჩია, სადაც უილიამ ინგის ახალი პიესის დადგმას აპირებდნენ და თითქოსდა მთელ იმედებს ახალგაზრდა, უცნობ მსახიობებზე ამყარებდნენ. მოღუშულმა პოლმა მადლობა გადაუხადა თავის გულშემატკივარს და დაემშვიდობა: მას სულ უფრო და უფრო



ᲞᲝᲚᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲡᲐᲞᲝᲠᲒᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲫᲘᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲡ ᲛᲘᲐᲨᲣᲠᲐ (1955 Წ.)

ნაკლები იმედი რჩებოდა, რომ ოდესმე წარმატებას მიაღწევდა...

ის დღე, როდესაც პოლს გასაუბრება ჰქონდა თეატრში დანიშნული, მისთვის ძალზე უიღბლოდ დაიწყო. რძე, რომელიც სკოტის საუზმისთვის იყო განკუთვნილი, გადმოუვიდა, გახუხვის დროს პურიც დაეწვა; ჯეკის, მისი პერანგის გაუთოება დაავიწყდა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ცოლმა სკანდალი მოუწყო: ასე უფულოდ და გაურკვეველი მომავლის პერსპექტივით ცხოვრება აღარ შემიძლიაო... სარეპეტიციო დარბაზის წინ, თავისი რიგის მოლოდინში მდგომი პოლი საოცრად შეწუხებული და განადგურებული გახლდათ. ნუთუ, საბოლოოდ მაინც ოცნებებთან გამოთხოვება და მშობლიურ ქალაქში დაბრუნება მოუხდება, რათა მამამისის მაღაზიაში სიცოცხლის ბოლომდე ბეისბოლის სათამაშო ინვენტარი და ფეხბურთის ბურთები ყიდოს? ნუთუ, მას უიღბლო ადამიანის, სრული არარაობისა და უმაქნისი სულელის ხვედრი ელის? ნუთუ ის... და თავისი მონოლოგის ამ ყველაზე დრამატულ მომენტში, პოლ ნიუმენმა პირველად დაინახა ჯოან ვუდვორდი. მას ღია ფერის კაბა ემოსა, ხელში ჩანთა თუ წიგნი ეჭირა, — ეს ვერ დააფიქსირა, რადგან მისი ყურადღება მაშინვე უცნობი გოგონას ფართოყვრიმალებიანმა სახემ, საოცრად სხივიანმა თვალებმა და მორცხვმა ღიმილმა მიიპყრო. პოლმა ჯერ კიდევ იმ მომენტში გაიფიქრა, რომ ის უჩვეულოდ ლამაზი გახლდათ და მსგავსი მშვენიერება მას მანამდე არასოდეს ენახა. ჯოანი იქვე მდგომ ნაცნობ გოგონას მიესალმა და მისი ძლივს შესამჩნევი აქცენტის მიხედვით, ნიუმენი მიხვდა, რომ ის სამხრეთელი იყო — სავარაუდო გახლდათ, რომ ისიც ახალი ჩამოსული იყო ნიუიორკში და მასაც ისევე სჭირდებოდა სამუშაო, როგორც თავად პოლს.

უცნაურია, მაგრამ ნიუმენმა თავადაც ვერ დააფიქსირა, უცნობი გოგონას დანახვაზე რატომ დაეუფლა საოცარი სიმშვიდისა და სიმსუბუქის შეგრძნება: იმ მომენტში, თითქოსდა იგრძნო, რომ ყველა უსიამოვნება უკან დარჩა და ამიერიდან მისი ბედი სასიკეთოდ წარიმართებოდა. სწორედ ამ დროს, ასისტენტმა სარეპეტიციო დარბაზში უხმო პოლს და სცენაზე გასული მსახიობი იმედნად მშვიდად პასუხობდა რეჟისორს შეკითხვებზე, რომ თავადაც ვერ გაეგო, სად გაქრა ის შიში და მღელვარება, რომელსაც მანამდე განიცდიდა. ერთი კვირის შემდეგ, როცა ნიუმენმა საკუთარი გვარი როლებზე დამტკიცებულ მსახიობთა სიაში ამოიკითხა, სულაც არ გაჰკვირვებია. მან დანამდვილებით იცოდა, რომ იღბალი მას სწორედ ჯოანთან (პოლმა მისი სახელიც იმავე სიაში აღმოაჩინა) შეხვედრამ მოუტანა. ეს იყო ნიშანი — ის სწორ გზას ადგა და წარმატებასაც აუცილებლად მოიპოვებდა....

ამას მოჰყვა ყოველდღიური და მომქანცველი რეპეტიციები — ზოგჯერ რეპეტიცია 15 საათსაც კი გრძელდებოდა. პიესის დადგმის პროცესი საკმაოდ მძიმედ მიიწევდა წინ, გაღიზიანებული რეჟისორი თავბედს იწყევლიდა და არც სხვებს ინდობდა. ის უყვიროდა ასისტენტებს, გამნათებლებს, მსახიობებს, მაგრამ პოლს მის ყვირილთან არაფერი ესაქმებოდა. ის თითქოს ჰაერში დაფრინავდა — მას ხომ გვერდით ჯოანი ჰყავდა. ისინი უჩვეულოდ სწრაფად და ადვილად დაახლოვდნენ, სასადილოდაც ერთად დადიოდნენ გვერდით მდებარე კაფეში. პოლს ეჩვენებოდა, რომ უკვე საუკუნე იყო, რაც ისინი ერთმანეთს იცნობდნენ. ადრე, ჯოანის გაცნობამდე, მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გოგონასთან ასე უშუალოდ, საათობით, ყველა თემაზე ლაპარაკი შესაძლებელი იყო.

ის უამრავ რამეს უყვებოდა ჯოანს მამამისზე, რომელიც იმხანად უკვე სამი წლის გარდაცვლილი იყო, მაგრამ პოლი დარწმუნებული გახლდათ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე იამაყებდა მისით. არტურ ნიუმენმა მძიმე დეპრესიის წლებში გახსნა საკუთარი სასპორტო საქონლის მაღაზია და თავისი პატიოსანი სახელისა და შეუბღალავი რეპუტაციის წყალობით წარმატებასაც მიაღწია. მართალია, პოლს არაერთხელ მოხვედროდა მამისაგან, განსაკუთრებით ის შემთხვევა ახსოვდა, როცა ბარში ატეხილი ჩხუბის გამო ის საფეხბურთო გუნდიდან გარიცხეს... თუმცა პოლი ჩადენილ საქციელს დღესაც არ ნანობდა. თავხედ ტომ ტორნტონს ხომ საკადრისად მიეზღო (მას არ უნდა ეთქვა საზიზღრობები გოგონაზე, რომლის მიმართაც პოლს გულწრფელი გრძნობები ჰქონდა), თანაც სწორედ ვარჯიშიდან გამოთავისუფლებული დროის წყალობით იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავი სასკოლო თეატრში ამოყო და თავისი პირველი როლებიც იქ შეასრულა.

...ჯოანი კი საოცარი სიფაქიზით ლაპარაკობდა დედაზე. უზადო მანერე-



ᲠᲝᲪᲐ ᲯᲝᲐᲜ ᲕᲣᲓᲕᲝᲠᲓᲘ „ᲔᲕᲐᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ“ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲐ, ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲠᲝᲚᲘ „ᲝᲡᲙᲐᲠᲡ“ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲓᲐ

ბიანი ელინორ ვუდვორდი ჭეშმარიტი სამხრეთელი ქალბატონი გახლდათ, ეთაყვანებოდა კინოს და არც ერთ პრემიერას არ აცდენდა. სწორედ ფილმის – „ჩვენი თანამედროვე ქალწულები“ – საპრემიერო ჩვენების 35-ე წუთზე მას სამშობიარო ტკივილები დაეწყო, რამდენიმე საათის შემდეგ კი მიყრუებულ ქალაქ ტომასვილის საავადმყოფოში ქვეყანას მოევლინა ჯონ ჯილიან ტრიმერ ვუდვორდი. ახალდაბადებული გოგონას მამამ, სკოლის ადმინისტრატორმა უეინ ვუდვორდმა შვებით ამოისუნთქა: ის ხომ ეუბნებოდა თავის დაუდეგარ მეუღლეს, რომ ორსულობა სერიოზული საქმეა, ამ დროს შინ უნდა იჯდე და არა კინოთეატრებში ერთობოდეო...

როცა გოგონას 9 წელი შეუსრულდა, მოუსვენარმა დედამ ის ფილმის – „ქარწაღებულნი“ – პრემიერაზე ატლანტაში წაიყვანა. დედაშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ მოზეიმე ხალხს შორის გზა გაეკვლია და იმ ავტომობილთან აღმოჩენილიყო, რომელშიც ვივიენ ლი და ლოურენს ოლივიე ისხდნენ.

– წარმოგიდგენია, – ჰყვებოდა ჯონი და სასიამოვნო მოგონებებზე თვალები საოცრად უბრწყინავდა, – ბედნიერებისაგან ლამის თავი დავკარგე! ისე საოცრად მიყვარდა ლოურენს ოლივიე და აქ ისე ახლოს აღმოვჩნდი მასთან, რომ ხელით შეხებაც კი შემეძლო! როგორ ფიქრობ, რა გავაკეთე? მის მანქანაში შევძვერი!

– შეუძლებელია! – პოლი გაკვირვებული მიაჩერდა მას. – ეს სიმართლეა?

– რა თქმა უნდა, – ჯონამა განაწყენებულმა შეხედა პოლს, – მე არასოდეს ვიტყუები! მაგრამ ყველაზე საინტერესო ჯერ კიდევ წინ არის... ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი სტუდიის დერეფანში შემთხვევით ლოურენს ოლივიეს კვლავ შევხვდი. გამბედაობა მოვიკრიბე, მივუახლოვდი და ვკითხე, ახსოვდა თუ არა მას ატლანტაში მომხდარი შემთხვევა? წარმოგიდგენია, მან მე გამიხსენა!

პოლი ახალი ნაცნობისგან ბევრ რამეს სწავლობდა. უპირველეს ყოვლისა – პასუხისმგებლობას, რომლითაც ის საკუთარ პროფესიას ეკიდებოდა. ის ლი სტრასბერგის სამსახიობო სტუდიაშიც კი ჩაეწერა და პოლი, რომელიც სულის სიღრმეში საკუთარ თავს უბადლო ტალანტის მქონე მსახიობად მიიჩნევდა, მხოლოდ იქ მიხვდა, თუ რა არის ჭეშმარიტი აქტიორული ხელოვნება და რამდენი რამ უნდა გაიღოს მსახიობმა, რომ საკუთარი როლი მართლაც, უბადლოდ შეასრულოს. „პიკნიკის“ პრემიერის დღეს, პოლი მთელ დასში ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ნიუმენი არც იმის შეტყობამ შეაცბუნა, რომ დარბაზში გავლენიანი კრიტიკოსები და სტუდია „უორნერ ბრაზერსის“ სოლიდური პროდიუსერები ისხდნენ. მოგვიანებით გამოქვეყნებულ რეცენზიებში ნიუმენის თამაში „შესანიშნავის“ ეპითეტით იყო მოხსენიებული, ხოლო „უორნერ ბრაზერსის“ წარმომადგენლებმა კი ახალგაზდა, ჯერ კიდევ თითქმის უცნობ მსახიობს ექსკლუზიური კონტრაქტი შესთავაზეს. ეს უკანასკნელი სიახლე ნებისმიერ 27 წლის ნაკლებად ცნობილ მსახიობს თავბრუს დააბვევდა, მაგრამ ასე არ დაემართა პოლს, რადგან ის ჯონათან პირველი შეხვედრის წუთიდან დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდებოდა და ის უდიდეს წარმატებას მოიპოვებდა. ეს გოგონა თითქოსდა მის თილისმად იქცა... მაგრამ სპექტაკლის გახმაურებული და საოცრად წარმატებული პრემიერის შემდეგ, მათი გზები მოულოდნელად გაიყარა. ოდნავ გაფითრებული ჯონი მიუახლოვდა მას და სთხოვა, რომ ისინი აღარასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ფილმში – „კატა გავარვარებულ სახურავზე“, ელიზაბეტ ტეილორთან ერთად თამაშმა, ნიუმენს საქვეყნო აღიარება მოუტანა

– პოლ, ვიცი, რომ ცოლი გყავს, – რბილად უთხრა მან. – არ იფიქრო, იმაში გადანაშაულებ, რომ ცოლისა და შვილის შესახებ არაფერს მიყვებოდი. შენ მაგივრად ეს სხვებმა გააკეთეს... მართალია, მესმის, რომ ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ, მაგრამ ყველას ხომ ამას ვერ ავუხსნით...

ჯონამა ხელი იქით გაიქნია, სადაც უამრავ მსახიობს მოეყარა თავი, რომლებიც თეატრის ვესტიბიულში იმდღევანდელ წარმატებულ პრემიერას აღნიშნავდნენ. პოლმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ მათ დანახვაზე ზოგიერთები თვალს უკრავდნენ ერთმანეთს და სიცილით რაღაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთურთს. იმწუთას მან ისიც კი არ უწყოდა, თუ რა უნდა ეპასუხა მისთვის და ამიტომ ჯონის შეჩერება არც უცდია. მას ხომ არ შეეძლო, არ ჰქონდა ამის უფლება: ორიოდე დღის წინ, ჯეკიმ გამოუცხადა, რომ ის ორსულად იყო. თვალზე ცრემლმორეული უსხნიდა, რომ მას მეორე შვილის გაჩენა არ სურდა, რადგან მათ ცუდი საცხოვრებელი პირობები და ძალზე გაურკვეველი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდათ. პოლმა ცოლს აბორტზე ფიქრიც კი აუკრძალა...

შემდგომი 4 წლის განმავლობაში პოლ ნიუმენი და ჯონ ვუდვორდი მონდომებით არიდებდნენ თავს ერთმანეთთან შეხვედრას. იშვიათად, როდესაც ისინი კინოსტუდის დერეფანსა თუ საერთო ნაცნობის წვეულებაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, კოშმარულ უხერხულობას გრძნობდნენ. პოლს სიტყვები ავიწყდებოდა და მდუმარედ შესცქეროდა ჯონს, ვუდვორდი კი მისასალმებელ სიტყვებს ჩაილუღლუღებ-

და ხოლმე. ერთხელ, დაბნეულობისგან ისიც კი ჰკითხა – ცოლი და შვილები როგორ გყავსო? მაგრამ შემდგომ დიდხანს ვერ აპატია საკუთარ თავს ეს იდიოტური შეკითხვა: ამის პასუხად ხომ პოლის გადაღლილ, უსაზღვროდ გატანჯულ მზერას წააწყდა... ცნობამ იმის თაობაზე, რომ ისინი მთავარი როლების შემსრულებლებად დაამტკიცეს ფილმში „ცხელი, ხანგრძლივი ზაფხული", ორივე მათგანი შეძრა. ჯონს როლზე უარის თქმა სურდა, მაგრამ აგენტებმა კატეგორიულად აუკრძალეს ამ ნაბიჯის გადადგმა. პოლმა კი პირიქით, გადაწყვიტა, რომ ახსნა-განმარტების გადადებას აზრი აღარ ჰქონდა...

...გადაღების პირველ დღეს კინოსტუდიის პავილიონში არნახული რამ ხდებოდა. პეწდაკარგულ ჯინსსა და გახუნებულ მაისურში გამოწყობილი რეჟისორი მარტინ რიტი გამოთქმების შერჩევით თავს არ იწუხებდა და მეგაფონით ყველასა და ყველაფერს ლანძღავდა: გაუგებრობის შედეგად პავილიონში სხვა დეკორაციები მოიტანეს, არც კოსტიუმები ჩანდა სადმე, ნაბახუსევ ოპერატორს პირიდან ოხშივარი ამოსდიოდა... რეჟისორი მთელ იმედებს მსახიობებზეღა ამყარებდა. ნიუმენი მარტინმა ჯერ კიდევ ლი სტრასბერგის სტუდიაში შეამჩნია, სადაც ის პედაგოგად მუშაობდა მას შემდეგ, რაც სკანდალურად გაათავისუფლეს ტელევიზიიდან, თავისი „მემარცხენე შეხედულებების" გამო. პედაგოგს მაშინ მსახიობი თვალში მოუვიდა თავისი გაცხოველებული შრომისმოყვარეობისა და ენით გამოუთქმელი მომხიბვლელობის წყალობით. ვუდვორდს კი რეკომენდაცია გაუწიეს, როგორც საოცრად პლასტიკურ და ნიჭიერ მსახიობს. მარტინმა პირველსავე სინჯებზე შეამჩნია, რომ ჰოლივუდის თავქარიანი ლამაზმანებისგან განსხვავებით, მას ჭეშმარიტად ნიჭიერ მსახიობთან ჰქონდა საქმე. ერთი სიტყვით, მის გადასაღებ მოედანზე შესანიშნავმა შემსრულებლებმა მოიყარეს თავი და ყოველი მათგანის როლზე დასამტკიცებლად, მან პროდიუსერებთან საკმაოდ დიდი ბრძოლა გადაიტანა!

...მაგრამ რა ხდება დღეს მათ თავს? გოგონა ყოველ სიტყვაზე წითლდება, მისი საამაყო პოლი კი, პირველ პაემანზე მყოფი სკოლის მოსწავლესავით იშმუშნება... მრავლისმხილველ მარტინ რიტს მოულოდნელად გონება გაუნათდა და მიხვდა, რომ ამ საქმეში ამურის ისრების ხელი ერია... ეს წყეული სიყვარულის ღვთაება მისთვის მთელი სურათის გაფუჭებას ლამობდა! როგორც ჩანს, ამ ორს უკვე კარგა ხანია, ერთმანეთი უყვარს. მოხუცმა სულელმა ნეტავ, აქამდე როგორ ვერ შეამჩნია ეს?!

დასასრული შემდეგ ნომერში



ჯონი და პოლი

კამერონ დიასმა სასამართლო დავა მოიგო

„ვზის" №29-ში ვიუწყებოდით, რომ კამერონ დიასი მოწმის სახით დაიკითხებოდა ფოტოგრაფ ჯონ რატერის სასამართლო პროცესზე, რომელსაც მსახიობის ნახევრად შიშველი ფოტოსურათების გამოქვეყნების მცდელობაში ედებოდა ბრალი. სასამართლო დავა დიასის გამარჯვებით დამთავრდა. ჯონ რატერს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება: ლოსანჯელესის სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო კინომსახიობ კამერონ დიასის ხელმოწერის გაყალბებაში – ამ დოკუმენტის წყალობით, ის ზემოთ ხსენებული ფოტოების გაყიდვის უფლებით სარგებლობდა. სასჯელის ზომას სასამართლო 15 სექტემბერს გამოაცხადებს. შეგახსენებთ, რომ 2003 წელს, რატერმა დიასს მიმართა და საკუთარი „სადო-მაზოხისტური თემატიკის" ფოტოების გამოსყიდვა 3,5 მლნ დოლარად შესთავაზა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მსახიობს ტოპლეს-ფოტოების (ზედა საცვლის გარეშე გადაღებული ფოტო) გამოქვეყნებით დაემუქრა და დასძინა, რომ მისი ნახევრად შიშველი გამოსახულება მსოფლიოს მოივლიდა და ჟურნალების გარეკანებსა და სარეკლამო დაფებზე გამოჩნდებოდა. ეს ფოტოსურათები გადაღებულია 11 წლის წინ, როცა დიასი ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი მოდელი გახლდათ. მსახიობმა უარი თქვა ფოტოების გამოსყიდვაზე და ხელისუფალთ მიმართა; რატერი დაატიმრეს და ის სასამართლოს წინაშე წარდგა. ორი წლის წინ, საქმის განხილვის დასრულებამდე, სასამართლომ ფოტოგრაფს სადავო ფოტოსურათების გამოქვეყნება აუკრძალა. პროცესის მსვლელობისას რატერი კატეგორიულად უარყოფდა იმას, რომ დოკუმენტზე დიასის ხელმოწერა გაყალბებული იყო. კამერონი კი, თავის მხრივ, ირწმუნებოდა, არანაირ ხელშეკრულებაზე ხელი არ მომიწერიაო. ფოტოგრაფისთვის წაყენებულ ბრალდებებში ფიგურირებს შანტაჟის მცდელობა და ცრუმოწმეობა. „ძალზე მოხარული ვარ, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვა!" – განაცხადა ჰოლივუდის ვარსკვლავმა ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ. ■

რუსლანა საკუთარ საშშიმლოს გაუნაწყენდა

გასული წლის საერთაშორისო კონკურსის „ევროვიზია-2004“-ის გამარჯვებულმა რუსლანა ლიჟიჩკომ ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ოფიციალურად სურს თურქეთის მოქალაქეობის მიღება. მომღერლის თქმით, მის მიმართ თურქეთში უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ვიდრე სამშობლოში. სხვათა შორის, „ევროვიზიის“ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, უკრაინის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ პირადად მიულოცა მას ეს დიდი წარმატება და მომღერლისთვის უკრაინის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებაზე ბრძანებულებასაც მოაწერა ხელი: „კონკურსში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისათვის, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის და მსოფლიოში უკრაინული კულტურის ავტორიტეტის გაზრდაში შეტანილი წვლილისათვის“. მოგვიანებით კი რუსლანა უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ იანუკოვიჩის მრჩეველადაც დანიშნეს. მართალია, როცა ქვეყანაში „ნარინჯისფერი რევოლუცია“ დაიწყო, მომღერალმა თანამემამულეებს ვიქტორ იუშჩენკოს მხარდაჭერისაკენ მოუწოდა, მაგრამ ახლა საერთოდ აღარ სურს მშობლიური უკრაინის მოქალაქეობა. „თურქეთში ჩემდამი ბევრად უფრო მეტ ინტერესს იჩენენ, ვიდრე ჩემს სამშობლოში. გვარის გამოცვლაც გადავწყვიტე და თურქეთის მოქალაქეობის მიღებაც“, – განაცხადა რუსლანამ ბოდრუმში ყოფნის დროს. უფრო მეტიც, მომღერალი „ევროვიზიის“ მომავალ კონკურსზე თურქეთის სახელით გამოსვლას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ერთი რამ უდავო ფაქტია: მის ახალ ალბომში უკვე სამი ახალი თურქული სიმღერაა შესული. ■

კრისტინა აგილერა ქორწილისთვის ემზადება

მიუხედავად იმისა, რომ მომღერალ კრისტინა აგილერასა და მუსიკალურ პროდიუსერ ჯორდან ბრეტმენის ქორწილამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო რჩება (ქორწილი დეკემბერშია დაგეგმილი), მომავალმა საპატარძლომ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისთვის მზადება უკვე დაიწყო. როგორც ამბობენ, კრისტინას უპირველეს საზრუნავს საქორწინო კაბა წარმოადგენს, რომელიც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მის ვარსკვლავურ სტატუსს. ამას წინათ, პარიზში გამართულ მოდის კვირეულზე, აგილერა არაერთი ცნობილი დიზაინერის ჩვენებას დაესწრო და როგორც ჩანს, ერთ-ერთ მათგანზე არჩევანიც შეაჩერა. მომღერალმა ჟურნალ The Sun-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისი ყურადღება მიიპყრო დიზაინერ კრისტიან ლაკრუას მოდელებმა: „ჩემი აზრით, კრისტიანი შესანიშნავად ერკვევა საქორწინო კაბებში და ვფიქრობ, ჩემთვის საინტერესო მოდელის შერჩევას მის მაღაზიაში შევძლებ“. მომღერლის უახლოესი გარემოცვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჟურნალი იმასაც იტყობინება, რომ აგილერა არანაირ თანხას არ დაიშურებს იმისათვის, რომ საკუთარ ქორწილში მართლაც „ღირსეულად“ გამოიყურებოდეს. ■

ემინემის ავტომუსი ავარიაში მოყვა

აშშ-ში ემინემის მიერ წარმატებით დაწყებული საგასტროლო ტურნე სამწუხარო ინციდენტის შედეგად შეწყდა. კანზას-სიტის მახლობლად მდებარე ქალაქ ოდესასთან ავარია განიცადა ავტობუსმა, რომლითაც ემინემის მუსიკოსი კოლეგები და ტექპერსონალი მგზავრობდა. ავარიის შედეგად სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 11-მა ადამიანმა, მათ შორის 7 კაცი სერიოზული ტრავმებით საავადმყოფოში წევს. საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ვერსიით, მუსიკოსის ავტობუსი გზატკეცილზე დიდი სიჩქარით მოძრაობდა. როცა მძღოლმა მძიმე ფურგონისთვის გვერდის ავლა სცადა, საჭე ვეღარ დაიმორჩილა, სავალი ნაწილიდან გადავიდა, გზის პირას აღმართულ კედელს მიაწყდა, კვლავ სავალ ნაწილზე დაბრუნდა და მის მხარეს და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სატვირთო მანქანებს ერთდროულად შეეჯახა. როცა ბოლოს და ბოლოს, ავტობუსი გზის გამყოფ ზოლზე შეჩერდა, ავტობუსისა და ორი სატვირთო მანქანისგან წარმოქმნილ ზედახორას კიდევ ოთხი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეეჯახა. ყველაზე მეტი დაზარალებული ემინემის გუნდში აღმოჩნდა. მისმა პროტეჟე სტენლი ბენტონმა და სკოტ შერიმ, ემინემის პირადმა მცველმა და 50 Cent-მა მსუბუქი დაზიანებები მიიღეს. ექიმებმა პირველადი დახმარება გაუწიეს მათ და მალევე შინ გაისტუმრეს. სტენლი ბენტონის მენეჯერმა ჯოზეფ ფენდრიკმა ფეხის კოჭი და ხელი მოიტეხა და იარების საავადმყოფოში იშუშებს. ალქიმიკოსის მეტსახელით ცნობილმა დიჯეი ალან მამანმა კი ნეკნები მოიტეხა და ფილტვიც დაიზიანა, ის თავის ძმასთან და მენეჯერ ნეილთან ერთად ჰოსპიტალში წევს. ავტობუსის მძღოლი და ტექპერსონალის ერთი თანამშრომელიც საავადმყოფოში იმყოფებიან. გარდა ამისა, დაზარალდა კიდევ 4 ადამიანი – სხვა სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები და მგზავრები. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებულთაგან მხოლოდ ერთი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში – ის მოტოციკლით შეასკდა ავარიის შედეგად ტრასაზე წარმოქმნილ მანქანების ზედახორას და სერიოზული დაზიანებები მიიღო. თავად მარშალ მეტერს III (ვარსკვლავის ნამდვილი სახელი და გვარი) ავტოავარიის დროს ავადსახსენებელ ავტობუსში არ იმყოფებოდა. ჯერჯერობით პოლიცია საგზაო შემთხვევაში ეჭვმიტანილი პირის დასახელებისაგან თავს იკავებს, ვინაიდან მიმდინარეობს ძიება. აი, თვითმხილველები კი ირწმუნებიან, რომ ავტობუსი გზატკეცილზე საათში 85-90 მილის (135-147 კმ/სთ) სიჩქარით მოძრაობდა. ამ სიჩქარით მიმავალი ვეებერთელა ავტობუსის საჭის დამორჩილება კი ნებისმიერს გაუჭირდებოდა. ■

ლუბა ელიავილი

მასთან ერთად

(დასაწყისი „გზა“ №28-30)

ჟურნალისტი მარიანა ნორაძე, მეტსახელად ნორა, რომელსაც „გზის“ მკითხველი შარშან გამოქვეყნებული დეტექტივიდან — „ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო“ — იცნობს, ახალ ფათერაკში ეხვევა. ის ახლა რადიოში მუშაობს, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი და ამ კომპანიის ერთ-ერთი მეწილეცაა, რომლის მთავარი დამფუძნებელი, ასევე „ჩიპოლინოს“ პერსონაჟი, მაგდა კრიხელია. თავად მაგდა ამერიკაშია წასული და მარიანა დროებით მის სახლში, მთაწმინდაზე ცხოვრობს. ნორას ახალი თავგადასავალი მაგდას ძაღლის, ლაბრადორ ბონის უეცარი დაკარგვით იწყება. ჟურნალისტი მას მიწაზე დავარდნილს, დასისხლიანებულს იპოვის, დაჭრილი ძაღლის გვერდით კი, ადამიანის თავი აგდია... მარიანა, მისი უფროსი ირაკლი მაღრაძე, გამომძიებელი ალეკო ბაღაშვილი გამოძიებას იწყებენ. მაგრამ ალეკოს თანამშრომლები ადამიანის თავს ვერსად ვერ მიაგნებენ, რაც ირაკლისა და ალეკოს გულისწყრომას გამოიწვევს: მათ მიაჩნიათ, რომ ნორას გამუდმებით რაღაც ელანდება... მორიგი მოლანდება ჟურნალისტ ქალს ღამით ეწვევა: მოპირდაპირე სახლის სახურავზე ნორას მოჩვენება გამოეცხადება. მალე სახლში შუქიც ჩაქრება. მარიანა, ცეცხლის საჩხრეკი რკინის ჯოხით ხელში, მეორე სართულზე ადის. მის უკან საფეხური გაჭრიალდება, შემდეგ წვივზე მწვავე ტკივილს იგრძნობს და კიბეზე დაგორდება... გონს მოსულ ნორას პოლიციელები წამოსდგომიან თავზე. ისინი აცნობებენ, რომ სიგნალიზაციის ამუშავებიდან 5 წუთში მასთან გაჩნდნენ და იმის გამო უსაყვედურებენ, რომ კარი ღია დარჩენოდა. მოგვიანებით მოსული შინამოსამსახურე ნაზიკო ირწმუნება, რომ წინადღეს, ნამდვილად დაკეტა კარი. საუბრისას მოსამსახურე იხსენებს შემთხვევას, როცა ერთ დღეს, ბუჩქებში ჩამალული მეზობელი გოგონა, არამყარი ფსიქიკის მქონე 22 წლის ბაია იპოვა, რომელსაც თურმე, დროდადრო შეტევა მოსდის. ნაზიკოს თქმით, გოგონას, მხატვარ ბაკური უყვარს, რომელიც მთაწმინდის ერთ-ერთი კლდის წვერზე უცნაურ ვარჯიშებს ასრულებს ხოლმე. მარიანა გადაწყვეტს, კომპიუტერში ცალკე ფაილი — სახელწოდებით „მოჩვენება“ — შექმნას და მასში უცნაურ ხილვასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ერთად შეინახოს. თავისი რადიოგადაცემის — „გულახდილი საუბრების“ — მორიგ თემადაც, მოჩვენებებს აირჩევს. ცოცხალი ეთერის დროს, მას ვილაც კაცი დაურეკავს, ოიდიპოსის მეტსახელით წარუდგება და ეუბნება — მინახავს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მოჩვენება, რომელსაც წითელი კაბა აცვია და თავზე ვარდების გვირგვინი ადგას, ცოცხალი არ უნდა იყოს, რადგან ჩანს, რომ ყელი აქვს გამოჭრილი და მუცელი გამოფატრულიო... მარიანას უსიამოვნოდ გააჟრჟოლებს...

ნორა ინტერნეტში ამოიკითხავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აშინებდა ცრუმოჩვენებით ერთ-ერთ ავსტრიელ მოქალაქეს მისი მოსამსახურის ცოლი და წამიერად იეჭვებს — ნაზიკო ხომ არ მიწყობს ოინსო?.. მოსამსახურე თურმე, ოჯახში სამუშაოდ მაგდამ მას შემდეგ მიიღო, რაც მისი დაკარგული ძაღლის პოვნაში დაეხმარა; ბონი ძველისძველი ხის ფულუროში გაჭედილა, სადაც ნაზიკომ შემთხვევით მიაგნო და მაგდასა და მის მძღოლს უხმო.

— კი ახლა, წავიდეთ, ამ წიმწირით გადარჩენილ ძაღლს წვიმაში ნუ დავახრჩობთ, — საქმიანი წინადადება წამოაყენა ნაზიკომ. ეს მოსაზრება დანარჩენებმაც გაიზიარეს, რადგან უკვე დაბინდდა და საჭირო იყო, სრულ დაბნელებამდე მიეღწიათ განათებულ სამანქანო ტრასამდე. ლადომ ბონი ხელში აიყვანა და ფრთხილად ჩაუყვა ფერდობს, უკან მაგდა მისდევდა, პროცესიის ბოლოში ნაზიკო მიდიოდა და წინ წასულებს ფარნით გზას უნათებდა. უეცრად მაგდას ფეხი დაუსრიალდა და წაიქცა. ნაზიკო არ დაიბნა, მაგდას საყელოში სტაცა ხელი და კლდეზე გადაჩეხას გადაარჩინა. მის ნაცვლად ნაზიკოს ხელიდან გავარდნილი ფარანი ჩავარდა ხევში. სრულ სიბნელეში სიარული კიდევ უფრო გართულდა. ნაზიკოც კოჭლობდა და დროდადრო ჩუმად კვნესოდა. ფეხი მაგდას გადარჩენისას იღრძო. რის ვაივაგლახით ჩამოაღწიეს გზამდე. ახლა უკვე ლადომ ივაჟკაცა, მობილურით სახლის დაცვა გამოიძახა და ექსპედიცია შინ მშვიდობით დაბრუნდა.

ბონის მოვლით დაკავებულ მაგდას რამდენიმე დღე არ გახსენებია ნაზიკო. არც ის გამოჩენილა. მხოლოდ ერთი კვირის თავზე მოიკითხა ბონის გადამრჩენელი და მის ერთოთახიან სარდაფში მიაგნო. ფეხდასივებული ქალი საწოლში იწვა და ბავშვები უვლიდნენ. უფულობის გამო, ექიმიც კი ვერ გამოეძახათ. ჯოგლიძეებს ერთი საყვედურიც არ უთქვამთ, გულღიად შეხვდნენ სტუმარს. მაგდას კი ძალიან შერცხვა საკუთარი უგულისყურობის. ნაზიკო საცხოვრებლად თავისთან ახლოს, ახალაშენებული კორპუსის სამოთახიან ბინაში გადაიყვანა და სახლში მეურნეობის გაძღოლა შესთავაზა. ამჟამად, ნაზიკოს გარეშე ცხოვრება მაგდას ვეღარც წარმოუდგენია. ეს ორმოცი წლის ქალი, რომელიც ჭიათურაში მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა, შესანიშნავი მენეჯერი აღმოჩნდა. მის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარება: მომსახურე პერსონალი, ბავშვების ძიძები, დაცვა, დამლაგებლები და მებაღე სულ თვალებში უყურებენ.

ნაზიკოს მონაწილეობა ამ სულელურ ამბავში ჯერ სრულიად გამოვრიცხე, მერე კი, ფულუროში ძაღლის შემთხვევით ჩახტომის ვერსია ზედმეტად ფანტასტიკურად მივიჩნიე და გადავწყვიტე, მასაც დავკვირვებოდი. ფარული კამერა კი, ამ საქმისათვის, ნამდვილად იდეალურია. ისე უნდა დავაყენო, ჩემი და დაცვის პოლიციის გარდა, არავინ იცოდეს. სახლს, ფასადის კარს ზემოთ, შემოსასვლელში, უკვე აქვს კამერა, რომლითაც იმის დანახვაა შესაძლებელი, თუ ვინ შემოვიდა ჭიშკრიდან. უკანა კარი კი ბონის იმედზეა დატოვებული. კამერა იქაც არ იქნებოდა ზედმეტი. სახლშიც შეიძლება დაყენება, ჰოლში. ზემოთ თუ დავამაგრებთ, მთელი პირველი სართული ხელისგულზე მექნება. მაგდას უნდა შევუთანხმდე და კამერები დავაყენო — ამ აზრმა ცოტათი დამამშვიდა.

— ჩიპოლინო, გასკდა შენი მობილური! — გამომძახა მედეამ. ტელეფონს დავწვდი

და ყურმილში ალეკო ბაღაშვილის შეშფოთებული ხმა გავიგონე:

— მარიანა, ხომ არ იცი, რა ნომრიდან რეკავდა ის კაცი, წითელკაბიანი მოჩვენების ამბავი რომ გიამბო?

— სამწუხაროდ, არ ვიცი, — შევწუხდი. — რაშია საქმე?

— თუ დამელოდები, ნახევარ საათში გამოგივლი და ყველაფერს აგიხსნი, მანამდე კი, თუ შეგიძლია, იმ საუბრის ჩანაწერი მომიმზადე, — დამავალა გამომძიებელმა და ყურმილი დაკიდა. ჩანაწერის მომზადებისას კიდევ ერთხელ მოვუსმინე უცნობის ხმას. აშკარად ვიღაც პათოლოგიური ტიპია... ხმას სპეციალურად იცვლის — არ უნდა, ვინმემ იცნოს. თანაც, არავითარი თანაგრძნობა, ისე აღწერს წითელკაბიან, ყელ და მუცელგამოფატრულ ქალს, თითქოს ნიშნს უგებს. ვერაფერი სასიამოვნო უნდა იყოს ამ კაცის გაცნობა. ნეტავ, რაში დასჭირდა, ჩემს მეგობარ გამომძიებელს?..

მისი ჩანაწერის ძებნაში, ქალბატონი ლიას განსჯას გადავაწყდი და ახლაღა მივაქციე ყურადღება, რომ მან მოჩვენებად ქცევის კანდიდატებად, თვითმკვლელებიც დაასახელა. როგორც ვიცი, მაგდას სახლში ახალგაზრდა ქალმა მოიკლა თავი. უფრო დეტალურად უნდა გამოვიძიო მისი ამბავი: იქნებ, მისი სული შფოთავს და შენდობას ითხოვს... ალეკოსაც გავუზიარებ ჩემს ეჭვებს, — გავიფიქრე და გამომძიებელმაც შემოაღო კარი.

— გამარჯობა, ჩიპოლინო. გული მიგრძნობს, დაღლილი და დამშეული იქნები.

უსიტყვოდ დავუქნიე თავი და მისთვის ჩაწერილი კასეტა გავუწოდე.

— დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალშექმნილი საგამოძიებო სამსახური მადლობას გიხდის გაწეული დახმარებისათვის და იაპონურ რესტორანში გეპატიჟება, ახვლედიანის ქუჩაზე, — გამიღიმა ალეკომ და გამოცდილი ფრანტივით გამომიწია იდაყვი ხელკავის გამოსადებად.

— გაიხარე! ჩემი, მოჩვენებებით დატანჯული, ნერვული სისტემისათვის მშობლიური სამართალდამცველი სტრუქტურების დიდსულოვანი მზრუნველობა სწორედ რომ დროულია. საიდან ამდენი შესაძლებლობა?.. რა იყო, კორუფციაში ჩაეფალი?!. — ავყევი ანგლობაში.

— არა, პრემია ავიღე, — დაიმორცხვა ჩემმა გალანტურმა კავალერმა. ვინც ჯერ კიდევ არ იცით, გეტყვით: ჩემთვის, ზღვის პროდუქტებისაგან მომზადებული კერძები, უგუნებობის წინააღმდეგ უებარი საშუალებაა. თანაც, გემრიელი ჭამის გარდა, მსოფლიოში ყველაზე მეტად, საინტერესო ამბების მოსმენა და კრიმინალური ამბების გამოძიებაში ცხვირის ჩაყოფა მიყვარს. ასე რომ, სასწრაფოდ დავთანხმდი მაცდუნებელ შემოთავაზებას, დარჩენილი საქმეები მედეას გადავბარე და ალეკოს მანქანაში ჩავხტი.

იაპონურ რესტორანში სასიამოვნოდ გრილოდა. იქაური მინიმალისტური დიზაინი, ნიკელისფერი მეტალისა და რძისფერი მინის სიჭარბე რესტორანს ულტრათანამედროვე, კოსმოსურ ხომალდს ამსგავსებს. ტუალეტის კაბინა ხომ ნამდვილი ასტრონავტის კაფსულაა. ხელის დაბანისას სარკეში საკუთარი გამოუძინებელი ფიზიონომია შევთვალიერე და მივხვდი, რომ ამ, XXI საუკუნის „ჰი-ტეკს“ არც ჩემი გარეგნობა შეეფერება და არც გამომძიებელთან მოსალოდნელი საუბარი, წითელკაბიანი ყელგამოღადრული მიცვალებულის შესახებ. ალბათ, გარემოს ფაქტორმა გამომძიებელზეც იქონია გავლენა, სამეფო კრევეტების „ტემპურასა“ და გაპრიალებული ხის ზარდახშით მორთმეული შებოლილი გველთევზას მირთმევისას მხოლოდ ამინდსა და პოლიტიკაზე ვიბაასეთ. ვახშამი მრავალფეროვანი „სუშით“ დავიწყეთ და „ვასაბის“ მწვანე ნაყინით დავასრულეთ. ჩაიზე რომ გადავედით, ალეკომ ჭიქას ხელები შემოაწყო, თითქოს ითბობსო და შორიდან დაიწყო.

— შენს გადაცემას მანქანაში ვისმენდი, ჩემს კოლეგასთან, მირიან ბოკუჩავასთან ერთად. ის ერთი მკვლელობის საქმეს იძიებს. თუ გახსოვს, დედაშენმა მანიაკი რომ ახსენა, თბილისში მანიაკის არსებობაზე ლაპარაკი სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ დაიწყო: ქალი ნახეს, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოკლული. თავზე ვარდების ეკლიანი გვირგვინი ეხურა, ყელი და მუცელი კი ბასრი საგნით ჰქონდა გამოჭრილი. გაუპატიურებული არ ყოფილა, მაგრამ რაღაცნაირ უხამს პოზაში იწვა. ჰო, კიდევ — იმ ქალს წითელი კაბა ეცვა.

შიშისაგან ენაჩავარდნილი ვუსმენდი გამომძიებელს:

— თუ ეს მკვლელობა ასეთი გახმაურებულია, იქნებ, იმ ვიღაც „ოიდიპოსმაც“ იცის და იმიტომ იხუმრა ასე უნიჭოდ? — ამოვიკნავლე მე.

— როგორც მირიან ბოკუჩავა მიმტკიცებს, პოლიცია, პანიკის თავიდან აცილების მიზნით, ამ საქმის დეტალების გახმაურებას მოერიდა და ამიტომ ისეთი წვრილმანები, როგორიცაა ვარდების გვირგვინი და სხვა ბევრი რამ, მხოლოდ ძალიან ვიწრო წრისთვისაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, დამრეკავი, ან გამომძიების თანამშრომელია, ან თავადაა მკვლელი, რაც უფრო სავარაუდოა, რადგან არსებობს კიდევ ერთი დეტალი, რომელიც მხოლოდ მირიან ბოკუჩავასთვისაა ცნობილი.

— რა დეტალი? — დაძაბულობისგან ფეხზე წამოვდექი და სმენად ვიქეცი.

— ვინმე „ოიდიპოსი“. როგორც დაღუპული თამილა არდაშელიას მეზობელმა, „შავმა მარომ“ გაუმხილა გამომძიებელს, ასეთი უცნაური სახელის მქონე მამაკაცი სტუმრობდა მოკლულ ქალს ბოლო დროს.

— იქნებ, იმ ქალბატონმა სხვასაც გაუმხილა ეს ამბავი? — ჯიუტად არ ვიშლიდი ჩემსას.

— საქმე ისაა, რომ მარო ჭორაობის დიდად მოყვარული არ გახლავთ, პირიქით — შეიძლება ითქვას, რომ ერთი უკმური დედაბერია, ამიტომ მირიანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მისგან ხსენებული ინფორმაციის მისაღებად. მითხრა — სულ „გაზით“ ვგლეჯდი სიტყვებსო. თავიდან ქალი თურმე, ჯიუტად დუმდა, მერე კი, მირიანის ოპერატიულმა გამოცდილებამ და „პაგონებმა“ გაჭრა და მარომაც უამბო, როგორ შევიდა მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, თამილასთან მარილის სათხოვნელად და მის სატელეფონო საუბარს შეესწრო, ასეთი უცნაური სახელის მქონე მამაკაცთან. ეგეც რომ არ იყოს, მარო თამილას მეგობარი მამაკაცის სახელს უცნაურად გამოთქვამდა — „ოდოპო“ თუ „ედიპი“. ჩემი მეგობარი გამომძიებელი მხოლოდ იმის შემდეგ მიხვდა, ეს „ედიპი“, ბერძენი მეფის სახელის რუსუ-

ლი ვარიანტი რომ იყო, რაც უცნობმა შენთან დარეკა.

— იქნებ, შენი მეგობრის სამხრეებზე მეტად, სხვისი მეთოდები ჭრის? — არ დავიბენი. — დავუშვათ, რომ „შავმა მარომ“ ეს ამბავი ისეთ ვინმესაც უამბო, ვინც მას ინფორმაციაში ფული შესთავაზა. რატომ არ შეიძლება, ეს სხვა, მირიანზე უფრო მიხვედრილი ადამიანი იყოს და უფრო ადრე გაერკვია, რომ ედიპი იგივე ოიდიპოსია?! თანაც, რა იცოდა იმ დედაბერმა, რომ თამილა მამაკაცს ელაპარაკებოდა და არა ქალს? — დავაყარე კითხვები ბაღაშვილს.

— ვახ, ეს რა იცით ჟურნალისტებმა, კაცს არ ამოასუნთქებთ, — გაიცინა ალეკომ. — კარგი, კიდევ ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, თუ შემპირდები, რომ ამ საქმის გამოძიებას არ შეუდგები და შარში არ გამხვევ! — თითი დამიქნია ბაღაშვილმა.

— კარგი, არ ვიზამ, — დავპირდი უყოყმანოდ, თან ყოველი შემთხვევისათვის მაგიდის ქვეშ ფეხები გადავჯვარედინე...

— მოკლედ, „ნი დღია პრესი“ გეუბნები: „შავი მარო“ რომ განახვა, მაშინვე მიხვდები, რას ნიშნავს მისი მეტსახელი: იგი ერთი თეთრი და ცისფერთვალება ქალია, „შავს“ იმიტომ ეძახიან, რომ ციხეშია ნაჯდომი. სამშობიაროში მუშაობდა, ბებიაქალად. იმ სამშობიაროში კრიმინალური ამბავი მოხდა — მარტოხელა დედა მოატყუეს, თითქოს, შვილი დაეღუპა და ბავშვი გაუყიდეს. შემთხვევით ბავშვი იმ ქალის ახლო ნათესავისთვის მიუციათ, რომელმაც არ იცოდა, ვისი შვილი იშვილა და გულახდილად მოუყვა დაზარალებულ დედას, სად და როგორ აიყვანა შვილი. „შვილდაღუპულ“ დედას ისედაც ეჭვი ღრღნიდა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო და დაუმალეს, ამიტომ ნათესავს ფეხებში ჩაუვარდა და ექსპერტიზის ჩატარება სთხოვა. ვინაიდან ბავშვი სულ ორიოდე კვირის იყო, დედობის უტყუარად დადგენა ექსპერტებმა იოლად შეძლეს, ბავშვი ბიოლოგიურ დედას დაუბრუნეს და ბებიაქალი დააპატიმრეს. ის ჯერ ყველაფერს ბავშვის ბიოლოგიურ დედას აბრალებდა და აცხადებდა, რომ მან თავად სთხოვა ბავშვის გაშვილება, იმ მიზეზით, რომ მარტოხელა იყო და არ სურდა, მისი მშობიარობის ამბავი ვინმეს გაეგო. მაგრამ ფაქტები დედის სასარგებლოდ მეტყველებდა. ქალი ორმოცი წლის იყო და არავისთვის დაუმალავს, შვილის გაჩენას რომ აპირებდა, შესაბამისად, არც მისი მოშორება სჭირდებოდა. მირიანმა, რომელიც მაშინ ახალგაზრდა გამომძიებელი იყო, ბებიაქალი დაარწმუნა, რომ გულწრფელი აღიარება მდგომარეობას მხოლოდ შეუმსუბუქებდა. ისიც ენდო გამომძიებელს და სამ წელიწადში, ამნისტიით გათავისუფლდა ციხიდან. მირიანი ამის შემდეგაც დაეხმარა მაროს და სამსახურში მოაწყო. ასე რომ, ქალთან საუბრისას, გამომძიებელს არგუმენტად მხოლოდ სამხრეები არ გამოუყენებია, თავისი ძველი ამაგი შეახსენა. ჩემი მეგობარი გამომძიებელი დარწმუნებულია, რომ ციხეში ნაჯდომი ბებიაქალი ფულს არ დახარბდება და თავს ახალ შარში არ გაიხვევს. თანაც, მშვენიერი შემოსავალიც აქვს — ბინებს აქირავებს. მოკლული ქალიც სწორედ მისგან ქირაობდა ბინას. რაც შეეხება თამილას, როგორც „შავი მარო“ ამტკიცებს, ტელეფონზე საუბრისას იგი უცნობ „ედიპოს“ დაჰპირდა შეხვედრას სახლის ქვემოთ, საქორწინო კაბების სალონთან და ამ თემაზე გაიხუმრა კიდეც — როგორც მთხოვე, საზეიმო წითელ კაბაში გხვდები; იქნებ, შენც შემისრულო სურვილი და ჩემს ჩამოსვლამდე, მაღაზიაში ახალგაზრდა სასიძოს შავი სმოკინგი შეიძინოო... ეს ამბავი მარომ მირიან ბოკუჩავას მხოლოდ ორი დღის წინ გაუმხილა. მას კი, შენი გადაცემის მოსმენისას, გაუჩნდა აზრი, რომ სწორედ „ოიდიპოსია“ თამილას მკვლელი.

პირდაღებული ვუსმენდი ალეკო ბაღაშვილს და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მისი მეგობრის ეჭვები საფუძველს მოკლებული არ იყო. გამოდის, რომ ეთერში მანიაკ მკვლელს ვესაუბრებოდი. მერწმუნეთ, ამის გაფიქრებაც კი ჩემთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ალეკომ ალბათ, შენიშნა, როგორ ჩამოვყარე ყურები და ჩემი გახალისება სცადა:

— დამშვიდდი, ჩიპოლინო, ამ შემთხვევის სხვაგვარი ვერსიაც დასაშვებია, — დაამატა უდარდელად.

— რომელი? — ვიკითხე და ყურები ვცქვიტე.

— ის, რომ შენს მეგობარ ოიდიპოსს მართლაც გამოეცხადა მოკლული თამილას აჩრდილი და თავისი ამბავი მოუყვა, — ცივი წყალი გადამავლო გამომძიებელმა. მე კი მივხვდი, რომ ჩვენი საუბარი დასრულდა.

ალეკომ ჭიშკრამდე მიმაცილა. გზაში ერთი სული მქონდა, მეკითხა, ვინ იყო მანიაკის მეორე მსხვერპლი — კარგად მახსოვდა, დედაჩემთან საუბრისას, ბაღაშვილმა ორი მოკლული ქალი ახსენა, — მაგრამ ვერ გავბედე, რადგან გამომძიებელი ისეთი უკმაყოფილო სახით ატრიალებდა საჭეს, აშკარად ეტყობოდა, ნანობდა, ჩემთვის საიდუმლოებების გამხელისას, ზედმეტი რომ მოუვიდა.

— აბა, შენ იცი, მარიანა, ყურადღებით იყავი, რედაქტორს ჩემი ტელეფონი მიეცი და თუ ეთერში იმავე ტიპმა დარეკა, სთხოვე, სასწრაფოდ დამიკავშირდეს. შენ კი საუბარი გაუბი და ეცადე დიდხანს დააყოვნო ტელეფონთან. ხომ იცი, ჩვენთვის გაწეული დახმარება შენვე გამოგადგება. ხომ გინახავს რეკლამა — „დროულად ითანამშრომლე პოლიციასთან!..“

ჩემი მიპატიჟების მიუხედავად, ალეკო შინ არ შემომყვა და ჭიშკართან დამემშვიდობა. იმ ღამეს ნაზიკოს ვთხოვე, ჩემთან დარჩენილიყო. ჩაიზე ერთხანს, მეზობლები გავჭორეთ. როგორც ნაზიკოსგან შევიტყვე, დარჩიების ქალიშვილი, უბანში გავრცელებული ხმების მიხედვით, უიღბლო სიყვარულის გამო გამოეთხოვა სიცოცხლეს და, რაც ყველაზე მთავარია, მის შეყვარებულადაც მთაწმინდელები კვლავ იმ ექსცენტრულ მხატვარს ასახელებენ, რომელსაც ბაკური ჰქვია და ტყეში ხვდება ხოლმე ნაზიკოს, ბუდისტი მლოცველის პოზაში.

ბოლო დღეების ინფორმაცია „მოჩვენების“ ფაილში შევიყვანე. ერთხანს ვყოყმანობდი, ჩამეწერა თუ არა „წითელკაბიანი აჩრდილის“ უჩვეულო ამბავიც ამავე ფაილ-

ში. მერე, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც მივაწერე და ადრე დავიძინე, იმ განწყობით, რომ ხვალ ბონისთან ერთად, დილაადრიან დავლაშქრავდი მთაწმინდის ფერდობებს და ბაკურსაც გავიცნობდი.

დილით კარგ გუნებაზე გავიღვიძე. სამზარეულოდან უკვე ისმოდა ნაზიკოს ხალისიანი ღიღინი. მზე ანათებდა და არაფერი უშლიდა ხელს ჩემ მიერ დასახული გეგმის განხორციელებას. სწრაფად ვისაუზმე და მაგდას საყვარელ ლაბრადორთან ერთად გავუდექი გზას. ბატონი ბონი ანუ ბონაპარტე საქმიანად მოცუხცუხებდა ჩემ გვერდით, კმაყოფილი აქიცინებდა კუდს და დროდადრო მადლიერი თვალებით ამომხედავდა ხოლმე. იგი ფრიად განსწავლული და ხალისიანი ძაღლია. ჩალისფერ ბეწვს ძალიან ამშვენებს მუქი შავი ცხვირი. კეთილია, არავის ერჩის. თუმცა ცდილობს, რომ მისი უწყინარობის შესახებ უცხოებმა არაფერი შეიტყონ, ამიტომ ჩვენს ტერიტორიაზე უცნობი ადამიანის გამოჩენისას, ეზოს მცველი, ავი ძაღლივით ოჯაგრება და ყეფს. მისი დაკბენილი არავინ მინახავს, მაგრამ ბონის ზომა და შესახედაობა სათანადო ეფექტს ახდენს და ვინც კარგად არ იცნობს, ყველა ერიდება. ლაბრადორი კარგადაც არის გაწვრთნილი და გამორჩეულად ემორჩილება მაგდას, თუმცა, მისი გამგზავრების შემდეგ, მეც წყნარად მომყვება გვერდით. როგორც ჩანს, პატრონად მაღიარა.

ფერდობს შევუყევით თუ არა, ძაღლს საბელი მოვხსენი და ისიც ხალისიანად გაიქცა წინ. გზაზე სპორტულ ფორმებში გამოწყობილი ქალები შეგვხვდნენ.

— როგორ ხარ, ბონუშკა? — მოეფერა ერთ-ერთი მათგანი ძაღლს. — ფრთხილად იყავი, წყაროსთან რექსია.

— რექსი ვისი ძაღლია? — ვკითხე ქალებს.

— გამარჯობა. თუ არ მეშლება, თქვენ მარიანა უნდა იყოთ, ნიორაძე — ჟურნალში გვაქვს თქვენი ფოტო ნანახი, როცა საწყალი მოსე კრიხელის საქმე გამოიძიეთ. კარგი მეზობელი გვყავდა, გულუხვი. მე დალი მქვია, — გამომიწოდა ხელი ქერად თმაშელებილმა, კლდეებზე სიარულის მოყვარულმა.

— მე ანანო ვარ, — ახლა მეორემ, უფრო ახალგაზრდამ და ლამაზმა ჩამომართვა ხელი. — ჩვენ აქვე, ახალ კორპუსში ვცხოვრობთ, რექსი კი ბაკურ სანაძის ნაგაზია, მხატვრის. ძალიან ავია. ადრიანი დილიდან წყაროზე არიან და სანამ პატრონი იოგას ვარჯიშობს, რექსი იქაურობას არავის აკარებს.

ჯერ რვა საათიც არ გამხდარა. მეგონა, ჩემზე ადრე ამ დილას არავის გაუღვიძია, აქ კი ამდენი ხალხი ტრიალებს... — გავიფიქრე გულდაწყვეტილმა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო ლევან! — შორიდან დაუძახა ხელი ვიღაცას მხიარულმა ანანომ. — დღეს, რაღაც ადრე გაგიღვიძიათ.

— გავიღვიძე და სამ ულამაზეს მანდილოსანთან სასიამოვნო შეხვედრა დავიმსახურე, — მოგვიახლოვდა ორმოცს გადაცილებული, „ნაიკის“ ნაცრისფერ ფორმაში გამოწყობილი, სიმპათიური, მზეზე გარუჯული მამაკაცი.

— ბატონო ლევან, გაიცანით, ეს მარიანა ნიორაძეა.

— ლევან მანჯავიძე, — ოფიციერივით გამეჭიმა ჩემი მეზობელი.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობის, — სრულიად გულწრფელად ვუთხარი ლევანს. რადგან მოჩვენება მისი სახლის სახურავზე დავინახე, ჩემი ძიების საქმეში იგი ყველაზე საჭირო კაცია... ამასობაში ბონიმაც მოირბინა და ლევანს მიელაქუცა.

— თქვენს ძაღლს ძალიან ვუყვარვარ, სულ ამ კლდეებზე ვხვდებით ერთმანეთს. თუ წყაროსკენ მოდიხართ, ჯობს, ბონის საყელური შევაბათ: ეს და რექსი ერთმანეთს უნდა მოვარიდოთ... მოგეხმარებით, — შემომთავაზა ლევანმა, რითიც ძალიან მასიამოვნა. უცხო და თანაც ავ ძაღლთან მხოლოდ ბონის იმედად შეხვედრის პერსპექტივა მაინცდამაინც არ მხიბლავდა. ქალები თვალს მიეფარნენ თუ არა, ლევანმა ხელზე ხელი წამავლო და გამაჩერა. დავფრთხი, მაგრამ მისი მუდარით სავსე მზერა რომ დავინახე, ჩემი შიში გაკვირვებამ შეცვალა.

— თქვენი დახმარება მჭირდება, მარიანა, ძალიან მჭირდება. ნუ გამაწბილებთ, გთხოვთ!.. — ამოიკვნესა მან.

— მე რაში უნდა დაგეხმაროთ?.. — ხელი გამოვტაცე მეზობელს. გაქცევაც კი დავაპირე, ისე არ მომეწონა მისი გაფართოებული, თაფლისფერი თვალებისა და წამოჭარხლებული სახის დანახვა. განწყობილების ასეთი უცნაური ცვლილება ალბათ, იმის მაუწყებელია, რომ ჩემ წინ სულ ცოტა, გაუწონასწორებელი ფსიქიკის ადამიანი დგას, იქნებ, მანიაკიც კი. ბონიმ ალბათ, ჩემი შიში იგრძნო, საშინელი ყეფა აუტეხა ლევანს.

— გემუდარებით, მომისმინეთ. მაპატიეთ, თუ ჩემი ემოციით შეგაშინეთ. თუ ნებას დამრთავთ, შინ გეახლებით და იქ გიამბობთ ჩემს გასაჭირს. საქმე ბაიას გაუჩინარებას ეხება. ბაია ჩემი 22 წლის ქალიშვილია... — მაქსიმალურად მშვიდი ტონით, თითქმის დამრცვლით მითხრა მანჯავიძემ. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. იგი მიწაზე მოთრეულ საბელს დასწვდა ჩემთვის მოსაწოდებლად, მაგრამ მოულოდნელად ისევ გაუფართოვდა თვალები და სახეზე სისხლი მოაწვა. ინსტინქტურად გავიხედე იმ მიმართულებით, სათაც ჩემი თანამგზავრისა და ბონის ყურადღება იყო მიპყრობილი და გავშრი... კლდისპირა ბილიკზე ჩვენკენ უზარმაზარი, შავი, გერმანული ნაგაზი მოქროდა...

— ბონი, წყნარად, — დაუყვავა ლევანმა ლაბრადორს და პირში პურის პატარა ნატეხი ჩაუდო. რა უცნაურია: ძაღლი არ ჭყავს და ჯიბით გამხმარი პური დააქვს, — გავიფიქრე უნებურად, თან მანჯავიძის ფართო ზურგს ავეფარე და შიშისაგან თვალები დავხუჭე.

— რექს, ადგილზე! — ბრძანების კილოთი შესძახა ვიღაცამ. თვალი რომ გავახილე, ჩემ წინ გერმანული ნაგაზის უცნაური პატრონი იდგა. ახალგაზრდა მამაკაცს შუბლზე ყვითელი ფერის ლენტი წაეკრა, იაპონელი ნინძასავით შავი სავარჯიშო კოსტიუმი და მსუბუქი სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. მხრებზე გაშლილი ქერა თმა ეყარა. თვალები ცივი, ნაცრისფერი და უემოციო ჰქონდა, მხოლოდ ტუჩებით გამიღიმა.

— მაპატიეთ, თუ ჩემი უყურადღებობის გამო შეგაშინეთ, ქალბატონო, — ხაზგასმით მე მომმართა, თითქოს იქ მეტი არც არავინ მდგარიყოს.

მივხვდი, ლევანიც დაიძაბა. ლაბრადორის საბელი მომაჩეჩა:

— საღამომდე გემშვიდობებით, მარიანა, — მომაძახა თავის მოუბრუნებლად და უხერხულად, ძუნძულ-ძუნძულით ჩაირბინა დაღმართზე.

— აქ ადრე არასდროს მინახავხართ, — საკუთარ მიმზიდველობაში დარწმუნებული მაჩოს ინტონაციით მითხრა უცნობმა და მოკლე საბელით შემომატარა რექსი. — არ გეშინიათ, ამ უკაცრიელ ადგილას, საეჭვო რეპუტაციის მამაკაცთან ერთად რომ სეირნობთ?..

— ვის გულისხმობთ? — ავილეწე.

— საკუთარ თავს — არა, რასაკვირველია...

სხვა სიტუაციაში ასეთ თავხედს საუბარს ნამდვილად არ გავუბამდი, მაგრამ ახლა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემ წინ სწორედ ის ბაკური იდგა, ვის უკეთ გასაცნობადაც გამოვასკდი ამ დილაადრიანად ქუჩაში, ამიტომ შანსი ხელიდან არ გავუშვი.

— ასეთი დარწმუნებული ხართ საკუთარ რეპუტაციაში? — „ჯუიაზვე“ უნიჭოდ.

— ბევრ რამეში ვარ დარწმუნებული — მაგალითად, იმაში, რომ თქვენ მარიანა გქვიათ, კიდევ იმაში, რომ მოგეწონეთ... — დამცინავად აეგრიხა ტუჩი გრძელთმიანს.

ერთი პირობა კი გავშრი, მაგრამ მერე გამახსენდა, ლევანმა ამ ხუთიოდე წუთის წინ სახელი როგორ დამიძახა და გონს მოვეგე.

— რაკი ერთმანეთს გულთმისნობაში ვეჯიბრებით, მოდი, მეც გამოვიცნობ: თქვენ ბაკური უნდა იყოთ და, სხვათა შორის, სულაც არ მომწონხართ, — დავიჭყანე კეკლუცი კეკელოსავით.

— ტყუით, მაგრამ თუ ასეა, რას ვიზამ?!. კარგად ბრძანდებოდეთ, — მანერულად დამიქნია თავი და გამეცალა. დავრჩი გაცინებული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„დინამოს“ ნახევარმცველი მეგოქესთან ორთაბრძოლისას

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირის რღვევა დაიწყო და ქვეყნის დატოვებაც შედარებით გაიოლდა, საზღვარგარეთ თავის გამოჩენის საშუალება ქართველ ფეხბურთელებსაც მიეცათ. ერთ-ერთი პირველი, ვინც ევროპაში გაემგზავრა, თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი ზაურ სვანაძე გახლდათ. მან შვედეთს მიაშურა, სადაც სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ოჯახთან ერთად თითქმის 10 წელი გაატარა. ბატონი ზაური საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე სხვადასხვა გუნდში მუშაობდა, ხოლო დღეს-დღეობით ის თბილისის „დინამოს“ მეორე მწვრთნელი გახლავთ. სვანაძესთან ჩვენი საუბარი სწორედ ქვეყნის ჩემპიონის დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შედგა.

ზაურ სვანაძე – ქართველი, რომელსაც შვედი ქალების გაწვრთნას სთავაზობდნენ

ქვეყანა, სადაც სახლის კარს არ კეტავენ

გიორგი ლანჩავა

გამართლებული უარი „დინამოს“

– ფეხბურთში ვარჯიში 9 წლისამ, ქუთაისში, კარლო ხურციძესთან დავიწყე. მამამ მე და ჩემი ძმა თემური საფეხბურთო სკოლაში კი მიგვიყვანა, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, ჩვენს არც ერთ წვრთნას არ დასწრებია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მას ფეხბურთი არ აინტერესებდა. 1976 წელს, ქუთაისის „ტორპედოში“ მოვხვდი, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში გამოდიოდა. მაშინ გუნდს შესანიშნავი მწვრთნელი და სელექციონერი – გიგა ნორაკიძე ავარჯიშებდა. სხვათა შორის, ამ ფაქტმა ფეხბურთით მამაჩემიც დაინტერესა. მართალია, მოედანზე ძალიან ბევრს ვმოძრაობდი, მაგრამ ფიზიკურად სუსტი გახლდით და იმ პერიოდში ბევრს უთქვამს, რომ სპორტში მომავალი არ მქონდა. მიუხედავად ამისა, ნორაკიძემ თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში დამაყენა და „სინ პალკასაც“ მეძახდა. 1978 წელს, „ტორპედოში“ მთავარ მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილი მოვიდა, რომელმაც გუნდის კაპიტნად დამნიშნა. 1980 წელს, კვირნაძესთან ერთად, თბილისის „დინამოში“ მიმიწვიეს. იმხანად ნოდარ ახალკაცი საბჭოთა კავშირის ნაკრებს ახლდა შეკრებაზე და მთავარი მწვრთნელის მოვალეობას კახი ასათიანი ასრულებდა. „დინამო“ არგენტინაში მიემგზავრებოდა ტურნეს ჩასატარებლად და ასათიანმა მითხრა, რომ გუნდს მეც უნდა გავყოლოდი. როდესაც გადავხედე თბილისელთა მაშინდელ შემადგენლობას, მივხვდი, რომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გამიჭირდებოდა. ამიტომ ასათიანს უარი ვუთხარი – სათადარიგოთა სკამზე ჯდომას, „ტორპედოში“ თამაში მერჩივნა. ახლანდელი გადმოსახედიდანაც ვთვლი, რომ იმ დროს სწორი გადაწყვეტილება მივიღე. აქვე გეტყვით, რომ მეტსახელი – კიჭია, რომელსაც ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე მეძახიან, მეზობელმა დამარქვა. ამის მიზეზად კი მან ის დაასახელა, რომ თურმე ბავშვობაში სულ ვიცინოდი.

ევროდებიუტი საბჭოთა ჩემპიონატის გვერდის ავლით

– 1981 წელს, „დინამოში“ მეორედ მიმიწვიეს. ახალკაცი გუნდში ისევ არ იმყოფებოდა და ჩვენ ყოფილ იუგოსლავიაში გასამართ ერთ-ერთ ტურნირზე მის გარეშე გავემგზავრეთ. იუგოსლავიაში ორი მატჩი ჩავატარეთ და „დინამოს“ მეორე მწვრთნელმა სერგო კუტივაძემ ერთ-ერთ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში დამაყენა, მეორეში კი შეცვლაზე შემიყვანა. ის თამაშები კარგად ჩავატარე და თბილისში დაბრუნებისას მწვრთნელებმა ნოდარ ახალკაცს შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდეს. იმავე მოსამზადებელ პერიოდში მოსკოვის „სპარტაკს“ 5:0 მოვუგეთ და მე აღნიშნულ მატჩშიც ძირითადში ვიყავი. „დინამოში“ ჩემი ოფიციალური დებიუტი სტუმრად, ლონდონის „ვესტ ჰემთან“ მატჩის დროს შედგა. არადა, გუნდში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთი თამაშიც არ მქონდა ჩატარებული და ასპარეზობა პირდაპირ თასების მფლობელთა თასის ტურნირში მომიხდა. შემიძლია ვთქვა, რომ ინგლისელებთან შეხვედრა ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო. მატჩის პირველი ტაიმი 1:0 მოვიგეთ და შეხვედრის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როდესაც „ვესტ ჰემმა“ ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლიდან ერთ წუთში, ინგლისელთა კარის მიმართულებით დავარტყი. ბურთი ძელს მოხვდა, მაგრამ რამაზ შენგელიამ დასწრებაზე მშვენივრად ითამაშა და მასპინძლებს მეორე გოლი გავუტანეთ. როგორც შემდეგ გამოჩნდა, სწორედ ეს ეპიზოდი იყო მატჩში გარდამტეხი. მინდა გითხრათ, „დინამოში“ ყოფნისას ახალკაცთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. მას არასოდეს დავუსჯივარ, რადგან არც რეჟიმს ვარღვევდი და არც სათამაშო დისციპლინას. გუნდიდან მისი წასვლის შემდეგ, ასევე პრობლემა არ შემქმნია დავით ყიფიანთან ურთიერთობისას. მართალია, დათოსთან ერთად მოედანზე არაერთი მატჩი მქონდა ჩატარებული, მაგრამ როდესაც ის უკვე მწვრთნელი გახდა, ყიფიანთან გარკვეული დისტანცია მეჭირა, როგორც ხელმძღვანელთან...

მოუხელთებელი ცავა

– ქუთაისის „ტორპედოშიც“ და თბილისის „დინამოშიც“ ფიზმომზადების ყველა ტესტს ვაბარებდი. ვინაიდან მოედანზე ბევრს დავრბოდი, ამიტომ გუნდის მწვრთნელები ხშირად მავალებდნენ მეტოქის გამორჩეული ფეხბურთელის პერსონალურად მეურვეობას. სიმართლე

გითხრათ, ამას ყოველთვის ვართმევდი თავს. რთული იყო თამაში მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელის, ფეოდორ ჩერენკოვის წინააღმდეგ. სხვათა შორის, მას აქტიურ სპორტში ყოფნის დროსაც და ახლაც, ფსიქიკური აშლილობის პერიოდები აქვს. ერთხელ, „სპარტაკი“ ევროტურნირზე თბილისში ხვდებოდა ბელგიის „ანდერლეხტს“ და თამაშის წინადღეს, ჩერენკოვი ძლივს დააკავეს, თორემ, სასტუმრო „აჭარის“ ერთ-ერთი ზედა სართულიდან ხტებოდა. მახსოვს, ერთი პერიოდი, ჩერენკოვმა თმაც კი დაიხვია. შეიძლება ცოტა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ყველაზე მეტად თამაში გრიგორი ცავას წინააღმდეგ მიჭირდა. როცა „დინამოში“ ორმხრივ საწვრთნელ შეხვედრას ვატარებდით, ჩემთვის ცავას დაკავება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ის ძალზე ტექნიკური ფეხბურთელი იყო.

„ჰოლმსუნდის“ არშემდგარი მოთამაშე-მწვრთნელი

– 80-იანი წლების მიწურულს, თბილისის „დინამომ“ ურთიერთობა დაამყარა შვედეთის პირველი ლიგის გუნდ „ჰოლმსუნდთან“. თავდაპირველად, ამ კლუბს თენგიზ სულაქველიძემ და რამაზ შენგელიამ მიაშურეს. 6 თვის შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ და შვედეთში მე და მერაბ მეგრელაძე გავემგზავრეთ. ახალ გუნდში ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ, „ჰოლმსუნდთან“ კონტრაქტი გავაფორმეთ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშის შემდეგ, შვედეთში ნამდვილად არ გაგვჭირვებია, რადგან ჩვენს ლიგაში პროფესიონალები არ თამაშობდნენ. ფეხბურთელები დღის განმავლობაში მუშაობდნენ და ვარჯიშზე სამსახურის დასრულებისას მოდიოდნენ. შეგშურდებოდათ იმის, თუ საწვრთნელ პროცესს როგორი შემართებით ეკიდებოდნენ. სხვათა შორის, 1990 წელს, „ჰოლმსუნდთან“ ერთად თბილისშიც ჩამოვედით ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. იმ პერიოდში, ეროვნულ ჩემპიონატზე „დინამოელებს“ ფოთის „კოლხეთთან“ წაგებული ჰქონდათ თამაში და მათი ჯავრი ჩვენზე იყარეს – 5:1 მოგვიგეს... როდესაც შვედეთში სეზონის დასრულების შემდეგ, თბილისში უნდა გამოვფრენილიყავი, კლუბის პრეზიდენტმა მოთამაშე-მწვრთნელობა შემომთავაზა და გამზადებული კონტრაქტი აეროპორტში მომიტანა. ხელშეკრულებას ხელი კი მოვაწერე, მაგრამ თბილისში ჩამოსულს, ორ კვირაში დამირეკეს და შემატყობინეს, რომ „ჰოლმსუნდი“ გაკოტრდა.



ზაურ სვანაძე ეროვნულ სტადიონზე

დაბრუნება

– შვედეთში მაინც დავბრუნდი, ოღონდ – მესამე ლიგის კლუბში – ქალაქ მალმბერგეტის „მაიფში“. ახალ გუნდში 4-წლიანი თამაშის შემდეგ, ჩვენი ერთ-ერთი ფეხბურთელი „მაიფის“ პრეზიდენტი გახდა და მან მოთამაშე-მწვრთნელობა შემომთავაზა. ამისთვის ლიცენზია უნდა ამეღო და მეც მალმბერგეტში მწვრთნელთა კურსები დავამთავრე. მიღებული დიპლომით შვედეთში სამოყვარულო გუნდებში მუშაობა ახლაც შემიძლია. მინდა გითხრათ, რომ გამოცდები შვედურ ენაზე ჩავაბარე, რომელიც საკმაოდ რთულია და როცა პირველად ჩავედი შვედეთში, მის დასაუფლებლად 6 თვე სპეციალურ სკოლაში ვიარე. შვედურად ახლაც ხშირად ვწერ, რომ არ დამავიწყდეს ან კიდევ, თუ არ მინდა, ვინმემ გაიგოს, რა დავწერე... მალმბერგეტი შვედეთის ჩრდილოეთში მდებარეობს და იქ ოქტომბრიდან მაისამდე თოვლი დევს. ზამთარში ზოგჯერ მინუს 35 გრადუსი იცის, მინუს 20 გრადუსი კი ამ ქალაქში ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენ 15 გრადუს ყინვაში გარეთ ვვარჯიშობდით, მაგრამ როცა ტემპერატურა აღნიშნულზე დაბლა ეცემოდა, უკვე დარბაზში შევდიოდით... საერთო ჯამში, შვედეთში 9 წელიწად-ნახევარი გავატარე და აქედან ხუთ-ნახევარი „მაიფის“ მოთამაშე-მწვრთნელი ვიყავი. იქიდან წამოსვლისას „ოქროს ბუცებითაც“ დამაჯილდოეს.

შვედური ცხოვრების ღირსშესანიშნაობანი

– მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ შვედეთის მსგავსი არაფერი მინახავს. მისი ერთადერთი „უარყოფითი“ თვისება გახლავთ, რომ იქ ყველგან მეტისმეტი სიწყნარეა... წარმოიდგინეთ, შვედეთში ცხოვრების პირველი 5 წლის განმავლობაში, არც ავტომანქანის კარი დამიკეტავს და არც სახლის, რადგან ქურდობა აზრად არავის მოუვიდოდა. მაგრამ იუგოსლავიაში ომის დაწყების შემდეგ, შვედეთში ბალკანეთიდან ლტოლვილები ჩავიდნენ და უკვე როგორც ავტომანქანის, ასევე ბინის ღია დატოვება სახიფათო იყო... პირველ პერიოდში ჩვენთვის უცხო იყო, რომ ადამიანთან ოჯახში მისასვლელად, მას წინასწარ ტელეფონით უნდა შევთანხმებოდით. შვედებიც, როდესაც ჩვენთან სტუმრობა სურდათ, ასე იქცეოდნენ, მაგრამ როდესაც ავუხსენით, რომ ასეთი ოფიციალურობა საჭირო არ იყო, ამის შემდგომ, ფეხს ურტყამდნენ კარს და ისე შემოდიოდნენ... ერთადერთი, რაც ამ ქვეყანაში ადამიანს შეიძლება არ მოსწონდეს, ეს კლიმატია, რადგან ჩრდილოეთში, სადაც ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი, ზაფხულში ტემპერატურა პლუს 15-დან 20 გრადუსამდეა. თუმცა, მე თავს კარგად ვგრძნობდი, რადგან სიცხეს ძალიან ცუდად ვიტან. ისიც არავინ თქვას, რომ შვედები ცივი ხალხია. მალმბერგეტელებმა სტუმრის პატივისცემაც იცოდნენ და მათზე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ უკარება ადამიანები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ შვედებს დალევა უყვართ, გამორიცხულია, მათ ორშაბათიდან პარასკევამდე – ე.ი. სამუშაო დღეებში ერთი წვეთი სასმელი დალიონ. სამაგირეოდ, პარასკევ საღამოს ისინი რესტორანში მიდიან და ლუდთან ერთად, მაგარ სპირტიან სასმელებსაც არ ერიდებიან. სმას შაბათსაც აგრძელებენ. აი, კვირის დადგომისთანავე კი, დასალევს ისევ არ ეკარებიან, რადგან ორშაბათს სამსახურში არიან წასასვლელები. ერთხელ, შვედებს ჩვენებური ჭაჭის არაყიც გავასინჯეთ და გაგიჟდნენ: ეს რა უბედურებააო?!. მალმბერგეტში ყოფნისას, ჩემი მეუღლე ნინო ხშირად აკეთებდა ქართულ კერძებს, რომელთაგან შვედებს ნიგვზიანი კერძები, ხაჭაპური და ხინკალი მოსწონდათ. მართალია, მათ აღნიშნული კერძების რეცეპტებიც ჩაიწერეს, მაგრამ სათანადოდ ვერ ამზადებდნენ. პირადად მე, შვედური სამზარეულო თავიდანვე მომეწონა, განსაკუთრებით – სკანდინავიელთა ნაციონალური კერძი პალტი.

ემანსიპაცია სკანდინავიურად

– 2 წლის წინ, შვედეთიდან დამიკავშირდნენ და შემატყობინეს, რომ ამ ქვეყანაში ქალთა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კლუბ „უმეოში“ მთავარ მწვრთნელად ჩემი დანიშვნა სურდათ. ეს კლუბი ქვეყნის ჩემპიონია და ევროპის ჩემპიონთა ლიგაც აქვს მოგებული. ჩემ გარდა, გუნდის მეპატრონეები პარალელურად სხვა მწვრთნელების კანდიდატურებსაც განიხილავდნენ და როდესაც დაიანგარიშეს, თუ რა თანხა დაუჯდებოდათ ადგილობრივი მწვრთნელის შენახვა ჩამოსულთან შედარებით, უპირატესობა შვედ სპეციალისტს მიანიჭეს... შვედეთში ქალთა ფეხბურთი ძალზე პოპულარულია და ქალების გუნდი „მაიფსაც“ ჰყავდა, რომლის თამაშსაც ხშირად ვესწრებოდით. მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა და ერთმანეთს ვქომაგობდით ხოლმე. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, შვედ ქალ-ფეხბურთელთა ერთ-ერთი გუნდი თბილისშიც იყო ჩამოსული და მისი თამაშის საყურებლად იმდენი კაცი მოვიდა, სტადიონი ლამის გაივსო. შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული ქალები თვითონაც გაკვირვებული იყვნენ ამ ფაქტით, რადგან ამდენი გულშემატკივრის მოსვლას არ ელოდნენ. შვედეთში ქალები სპორტის ამ სახეობას მართლაც, სერიოზულად ეკიდებიან. ისინი ვარჯიშზე სამსახურის ან სწავლის დასრულების შემდეგ დადიან. მოედანზე გამოსულები თავს არ ზოგავენ. ქალთა გუნდების ზოგიერთ მატჩს უფრო მეტი მაყურებელი ესწრება, ვიდრე მამაკაცებისას. იმავე „უმეოს“ შეხვედრების სანახავად, სტაბილურად დადის 3000 ქომაგი, რაც შვედეთისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ქალები გულშემატკივრებშიც პოპულარულები არიან და მათი სახელები ხალხმა ზეპირად იცის. ხშირად ხდება, რომ ქუჩაში ქალ ფეხბურთელებს ავტოგრაფსაც ართმევენ. სხვათა შორის, ჩემი გოგონა სალომე 13 წლის იყო, როდესაც გოგონათა გუნდ „გემა-ბუკოში“ ჩაირიცხა და იქ 3 წლის განმავლობაში თამაშობდა. მაგრამ ერთ დღეს, შინ დაბრუნებულმა განაცხადა, რომ ფეხბურთს თავს ანებებდა. როცა ამის მიზეზი ვკითხეთ, გაირკვა, რომ მისთვის ვიღაცას უთქვამს: თუ ფეხბურთის თამაშს გაგრძელებ, მამაშენივით მოლუნული ფეხები გექნებაო...

სვანაძე „დინამოში“ სალებიუტო სეზონში ევროპის თასების თასს დაეუფლა

ქალთა გაშიშვლებით გაკვირვებული არბიანი

– „მაიფში“ მწვრთნელად მუშაობისას გუნდში მალხაზ არზიანი მივიწვიე, რომელთან ერთადაც თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი. მალხაზი შვედეთში ახალი ჩამოსული იყო და მისთვის უცხო გახლდათ როგორც ქალთა ფეხბურთი, ასევე იქაური ქალების ცხოვრების სტილი. ერთხელ ისე მოხდა, რომ ჩვენი ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ქალთა გუნდის თამაში უნდა დაწყებულიყო. „მაიფის“ ქალთა და მამაკაცთა გუნდების გასახდელები გვერდიგვერდ იყო. ხშირად, ქალი ფეხბურთელები გასახდელის კარს ღია ტოვებდნენ და ტანსაცმელს ისე იცვლიდნენ. ბუნებრივია, არზიანისთვის ეს ახალი ხილი იყო და გაკვირვებულმა მკითხა: რა ხდებაო? მე დავაწყნარე და ვუთხარი, რომ ამისთვის ყურადღება არ მიექცია. თავად ქალები მას საერთოდ არ უყურებდნენ, რადგან იქ ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დროთა განმავლობაში. არსებულ სიტუაციას არზიანიც შეეჩვია... შვედეთის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი სპორტითაა დაკავებული, რაც მათი ცხოვრების წესია. მაგალითად, ზამთარში, როდესაც ფეხბურთის თამაში შეუძლებელია, შვედები ჰოკეის მისდევენ, რომელიც პოპულარობით ამ ქვეყანაში ალბათ ფეხბურთსაც ჯაბნის. გარდა ამისა, სხვადასხვა სპორტული თამაში იმართება, რომელიც ძალაზე, სისხარტეზე, ამტანობაზეა გათვლილი. მახსოვს, მალმბერგეტში გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება, სადაც ერთმანეთს მორების თრევაში, დიდი საბურავების შორ მანძილზე გადაგდებასა და ველოსიპედით მთაში რბოლაში ეპაექრებოდნენ. მასში ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები მონაწილეობდნენ და არზიანმაც გამოთქვა სურვილი, შეჯიბრებაში ჩაბმულიყო. მან „შეგვარცხვინა“: 5 კაცში, ფინიშის ხაზთან მე-3 მივიდა.

მეორე სამშობლო

– მართალია, უკვე რამდენიმე წელია, თბილისში ვარ, მაგრამ შვედეთთან კონტაქტს არ ვწყვეტ. იქ ბევრი მეგობარი მყავს, რომელსაც ხშირად ვეხმიანები. ისინი დანიაში „ბრონდბიუსთან“ ჩატარებულ განმეორებით მატჩში თბილისის „დინამოს“ საგულშემატკივროდაც იყვნენ ჩასულები. შვედეთში თითქმის 10 წელი გავატარე და ეს ქვეყანა ჩემთვის მეორე სამშობლოა. იქ მწვრთნელად მუშაობა ხომ საერთოდ იოლი საქმეა, რადგან საქართველოსგან განსხვავებით, მშობელი არ შეგაწუხებს და არასდროს გეტყვის – გინდა თუ არა, ჩემი შვილი ათამაშეო... ჩემმა გოგონებმა, სალომემ და სოფიკომ იქ სკოლაში 9 წლის განმავლობაში ისწავლეს. საქართველოში რომ არ დავბრუნებულიყავით, მათ კოლეჯში მოუწევდათ სწავლის გაგრძელება და მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნიდან ვიყავით, შესაბამისმა სამსახურებმა ბავშვებისთვის ყველანაირი დახმარება აღგვითქვეს. შვედეთში ცხოვრებისას, ჩემმა მეუღლემ გაიკეთა ოპერაცია, რომელიც 6.000 დოლარი ჯდებოდა. ეს ხარჯი მთლიანად სადაზღვევო კომპანიამ აგვინაზღაურა. ისეთი შრომისმოყვარე ხალხი, როგორც შვედები არიან, ალბათ მსოფლიოში ბევრი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გუნდში სხვადასხვა პროფესიის ხალხი თამაშობდა, რომლებიც ძირითადად სამსახურში აღებული ხელფასით ირჩენდნენ თავს და კლუბში მიზერულ თანხას იღებდნენ, წარმოუდგენელი იყო, რომელიმეს ან ვარჯიშზე დაეგვიანა, ან, მით უმეტეს, უმიზეზოდ გაეცდინა. ეს ერი პროფესიონალიზმს ნებისმიერ სფეროში ავლენს და ამიტომ ცხოვრობს საათივით აწყობილ ქვეყანაში. ■

MG უკომპრომისო მძღოლებისთვის

თუმცა ინგლისური კომპანია Rover ფაქტობრივად გაკოტრებულია და ბოლოს და ბოლოს, ალბათ, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ გაიყიდება, მის წიაღში შემუშავებული ტექნოლოგიები საავტომობილო სამყაროში უდიდეს ინტერესს იწვევს. როგორც ცნობილია, „როვერის" მთავარ კოზირს სპორტული ავტომობილები წარმოადგენს, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა MG XPower SV-R, რომელიც გარეგნულადაც სხვებისგან სრულიად განსხვავებულია. რაც შეეხება მანქანის სალონს – ის მთლიანად ძვირად ღირებული მასალებითაა დამზადებული, ხელსაწყოთა პანელი ნატურალური ტყავითაა გადაჭიმული, ცენტრალური კონსოლი ალუმინის აქვს. აი, საკუთარ უსაფრთხოებაზე კი, მძღოლმა თავად უნდა იზრუნოს – მანქანაში ვერ ნახავთ უსაფრთხოების ბალიშებს, სალონში მხოლოდ ღვედებია. ამგვარად, ეს ავტომობილი განკუთვნილია მხოლოდ დიდი სიჩქარით უკომპრომისოდ მართვის მოყვარულთათვის, რომლებიც ამ პროცესში შეცდომის დაშვებას გამორიცხავენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ SV-R აღჭურვილია 5 ლ მოცულობის, 8-ცილინდრიანი ძრავითი, რომელიც 385 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, დავრწმუნდებით, რომ სწრაფად სიარულისას, მძღოლს მართლაც, დიდი ოსტატობა მოეთხოვება. 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 5,1 წმ-ში აღწევს, მისი მაქსიმალური სიჩქარე 271 კმ/სთ-ია, 200 კმ/სთ სიჩქარემდე კი 24,2 წმ-ში „აგორდება". ელექტრონიკის უქონლობის მიუხედავად, SV-R ტრასაზე საუცხოოდ მყარი სვლით გამოირჩევა, რაც იდეალური საკიდრის წყალობით მიიღწევა. რაც შეეხება საწვავის ხარჯს – ის გავლილ 100 კმ-ზე, 10,2-დან 26,6 ლ-მდე ფარგლებში მერყეობს – სიჩქარისა და მანევრირების მიხედვით. აქვე ვიტყვით, რომ საწვავის ავზის მოცულობა 56 ლ-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სპორტული მანქანა, გამართვიდან გამართვამდე, შედარებით მცირე მანძილს – სულ 370 კმ-ს გაივლის. ბოლოს დავძენთ, რომ MG-ის შედეგრის მინიმალური ფასი 129.920 ევროს შეადგენს. ■

Escudo – Vitara-ს ოჯეული

მიმდინარე ზაფხულში, იაპონიაში ახალი ყველგანმავლის – Suzuki Escudo-ს (სხვა ბაზრებზე ის Suzuki Vitara-ს სახელითაა ცნობილი) გაყიდვა დაიწყო. ახალი Escudo, პოპულარული ავტომობილის უკვე მესამე თაობას წარმოადგენს. წინათ ის, როგორც კონცეპტუალური მოდელი – Concept X2 – ნიუ-იორკის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი და უმალ მიიპყრო სპეციალისტთა და ავტომოყვარულთა ყურადღება.

ახალი „ესკუდო" სრულამძრავიანია და საბაზო კომპლექტაციაში 2 ლ მოცულობის, 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავთია აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 145 ცხ.ძ-ს შეადგენს. ყველაზე მოწინავე ვერსიის აგრეგატი V ტიპის, 6-ცილინდრიანია, მისი სამუშაო მოცულობა 2,7 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე 184 ცხ.ძ-ს შეადგენს. 2-ლიტრიანი ძრავათი აღჭურვილი „ესკუდო", მომხმარებლის სურვილით, 5-საფეხურიანი მექანიკური ან 4-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფით დაკომპლექტდება. რაც შეეხება გაძლიერებულ ვერსიას – მას 5-საფეხურიანი ავტომატური კოლოფი აქვს.

ახალი ყველგანმავლის საბაზო კომპლექტაციაში შედის: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, სტაბილიზაციის ელექტრონული პროგრამა, უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშები და სანავიგაციო სისტემა. Suzuki Eskudo-ს ევროპული პრემიერა შემოდგომაზე, ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება, ხოლო ამ კონტინენტის დილერებს გასაყიდად მას უკვე ოქტომბერში მიაწოდებენ. ■

ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელსაც ხელოვნება ყველაზე მეტად უყვარს, ყოველთვის უკმაყოფილოა და მუდამ ცდილობს, უფრო შორს წავიდეს, მეტი აითვისოს, გაიცნობიეროს და ყველას გაუზიაროს. ეს ქართველი მუსიკოსის, ქალბატონი ირმა ერისთავის დევიზია, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და იქ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. როგორ შეიქმნა საკუთარი კარიერა, რას ნიშნავს, წლების მანძილზე ცხოვრობდე უცხო ქვეყანაში, რა შემთხვევაში დაბრუნდებიან უცხოეთში გადახვეწილი ქართველები სამშობლოში — ამ თემებზე თბილისში ჩამოსულ ქალბატონ ირმას ვესაუბრეთ.

ალტისტის დიპლომით დაწყებული დირიჟორის კარიერა

სოფო ჭონიმვილი

– 1993 წელს დავამთავრე ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, ალტის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე შემომთავაზეს, დავრჩენილიყავი კონსერვატორიაში და გამეგრძელებინა პედაგოგიური საქმიანობა. რა თქმა უნდა, ეს წინადადება სიამოვნებით მივიღე. 6 წლის განმავლობაში ვასწავლიდი კონსერვატორიაში.

— როგორ მოხვდით აშშ-ში, ვინ მიგიწვიათ?

– კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, ლუიზიანის უნივერსიტეტში, გაიგზავნა ჩემი მუსიკალური ჩანაწერები, რომელიც ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა მოისმინა, მოეწონა და მალე მიწვევაც მივიღე, მთავაზობდნენ მასტერის ხარისხისთვის სწავლის დაწყებას. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი ვიფიქრე გადაწყვეტილების მისაღებად: აქ უკვე დაწყებული მქონდა კარიერა, ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამავე დროს, ვუკრავდი თბილისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, მაშინ ორკესტრის ხელმძღვანელი ბატონი ჯანსუღ კახიძე გახლდათ. ამ ყველაფრის მიტოვება ადვილი გადასაწყვეტი არ გახლდათ. დრო ცოტა მქონდა მოსაფიქრებლად. ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება, 2 წლით წავსულიყავი, მიმეღო მასტერის ხარისხი და უკან დავბრუნებულიყავი. 1999 წლის ოქტომბერში ჩავედი ლუიზიანის შტატში და დავიწყე სწავლა. 2 წლის შემდეგ გადავედი ტეხასის შტატში, ქალაქ ვეიკოში, ბეილურის უნივერსიტეტში და სწავლა იმავე ხარისხისთვის გავაგრძელე.

— აშშ-ში უმაღლესში სწავლა საკმაოდ ძვირი ჯდება. ვინ გიხდიდათ სწავლის საფასურს?

– როცა მიწვევა მივიღე და ლუიზიანის უნივერსიტეტში ჩავედი, პროფესორმა დამინიშნა ასისტენტი და ჩემი სწავლის საფასურიც თვით უნივერისტეტმა დააფინანსა. სხვა შემთხვევაში, იქ სწავლას ალბათ ვერ შევძლებდი. სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური შედარებით ნაკლებია, ვიდრე კერძო უნივერსიტეტებში. ბეილურის უნივერსიტეტი კერძოა და იქ გადასახდელი თანხა წელიწადში 17-18 ათასი დოლარი იყო.

— როცა პირველად ჩახვედით აშშ-ში, რა შეგრძნება დაგეუფლათ?

– ამერიკაში რომ ჩავედი, იქ მიღებული პირველი შთაბეჭდილება ჩემთვის „კულტურული შოკი“ იყო. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ხოლმე ქართველი ადამიანის ბუნებაზე, ტრადიციაზე, თვითშეგნებაზე და იქ ამ ყველაფერთან შედარებით მართლა დიდი სხვაობა დავინახე – მიუხედავად იმისა, რომ 10 წლით ადრე, ამერიკაში ხანმოკლე გასტროლი მქონდა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც ავთო მამაცაშვილი ხელმძღვანელობდა.

— თავად ამერიკელებზე რა შეგიძლიათ, გვითხრათ? როგორი ურთიერთობები დაამყარეთ?

– ვისაც ვიცნობ, ვისთანაც ურთიერთობა მქონია – პროფესორ-მასწავლებლებით დაწყებული, მეგობრებითა და ახლობლებით დამთავრებული – შემიძლია ვთქვა, რომ ყველა აბსოლუტურად გულგახსნილი ადამიანია, სულ იღიმებიან, ადამიანებთან ურთიერთობისას უაღრესად თავაზიანები არიან. თუკი რაიმე დახმარება გჭირდება, არასოდეს გადგებიან განზე, დაგეხმარებიან ყველაფრით, რითიც შეუძლიათ. განსხვავება ჩვენსა და მათ შორის, რა თქმა უნდა, დიდია – თუნდაც, ჩაცმულობის სტილით, ქცევით, გარეგნული იერით. ამ ყველაფერთან შეგუება საწყის ეტაპზე ცოტა გამიჭირდა. შეგუების მომენტი ერთი და ორი თვე არ გაგრძელებულა – ამისათვის მთელი წელი დამჭირდა.

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თქვენ თვითონ დაიწყეთ სამსახურის ძებნა თუ მათ შემოგთავაზეს სამუშაო ადგილი?

— ორივე უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგები. ძალიან უშუალო დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. ბეილურისა და ლუიზიანის უნივერსტეტებში სწავლის პერიოდში, რომელმაც სულ 4 წელი გასტანა, 4 სოლო კონცერტი ჩავატარე, რომელმაც, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, დიდი წარმატებით ჩაიარა. წარმატებაში ვგულისხმობ, ჩემი პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან გაკეთებულ კარგ შეფასებას. ყოველივე ამან ხელი შემიწყო სამსახურის შოვნაში. სწავლის პერიოდში, პარალელურად ვუკრავდი ლუიზიანისა და ვეიკოს სიმფონიურ ორკესტრებში. ამის წყალობით, ნაცნობების ფართო წრე მყავდა. დამიკავშირდა უნივერსიტეტის ლექტორი და მითხრა: ერთ-ერთ პიროვნებას სჭირდება ორკესტრის დირიჟორი, თუ სურვილი გაქვს, გასაუბრებაზე უნდა წახვიდეო. სიამოვნებით დავთანხმდი, გავიარე გასაუბრება და საბჭომ გადაწყვიტა, დამეწყო მუშაობა დალასის სასკოლო განყოფილებაში ორკესტრის დირიჟორად. პარალელურად ვუკრავ რიჩარდსონის და ვეიკოს სიმფონიურ ორკესტრებში. სიმფონიურ ორკესტრებს ქალაქის სახელები ჰქვიათ... საქართველოში ალტზე დაკვრას ვასწავლიდი, ამიტომ მოსწავლეებთან ინდივიდუალური ურთიერთობა მქონდა. ამ შემთხვევაში, მთელ ორკესტრთან ურთიერთობამ მომიწია. სპეციალობით დირიჟორი არა ვარ, იქ გავიარე სპეციალური კურსი. ჩემთვის სასიამოვნოა ორკესტრთან მუშაობა. მიყვარს ბავშვებთან ურთიერთობა — ბავშვებში ჩემს სტუდენტებს ვგულისხმობ... ძალიან მახალისებს და სიამოვნებას მგვრის ის, რომ რაღაცას ვთესავ თითოეული მოსწავლის სულში, მიხარია, როცა სცენაზე, მათი წარმატების მომსწრე ვხდები. ამერიკაში, სწავლისას გამოჩენილი უფრო დიდი შემართების მომსწრე გავხდი, ვიდრე ეს საქართველოში იგრძნობა. პირადად მე, ძალიან კარგი განათლება მივიღე თბილისის კონსერვატორიაში, მაგრამ განსხვავება მაინც თვალში საცემია. ბევრი ღამე გამითენებია ბიბლიოთეკაში და დილით იქიდან პირდაპირ უნივერსიტეტში წავსულვარ. ამ შემართებას ალბათ სწავლისათვის შექმნილი საუკეთესო პირობებიც უწყობს ხელს. იქაურმა სტუდენტმა იცის, რომ თუკი ის ლექციას გააცდენს, თავად მას დააკლდება, რადგან იმავე მასალას მას მეორედ არავინ წაუკითხავს... არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, როცა იქ ამთავრებ უნივერსიტეტს: იმართება ცერემონია, საზეიმო განწყობილებას უერთდებიან მშობლები, ნათესავები, ახლობლები, პროფესორ-მასწავლებლები, საზეიმო ვითარებაში გადმოგცემენ დიპლომს,გიღებენ სამახსოვრო ფოტოებს, იღებ უამრავ მილოცვას...

იქაურმა სტუდენტმა იცის, რომ თუკი ის ლექციას გააცდენს, თავად მას დააკლდება, რადგან იმავე მასალას მას მეორედ არავინ წაუკითხავს...

— როგორ ფიქრობთ — სად უფრო იოლია, შეიქმნა კარიერა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ?

— საერთოდ, ნათქვამია — მუსიკოსების ოჯახი ძალიან პატარაა... როდესაც ოჯახი პატარაა, ყველას იცნობ, გაქვს გარკვეული ურთიერთობები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მუსიკოსებისთვის ძნელი არც საქართველოშია კარიერის შექმნა. ჩვენთან არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი თავი წარმოაჩინო, გვაქვს სიმფონიური ორკესტრები, ოპერა. თუ ადამიანს ცოდნა და საკმარისი განათლება აქვს მიღებული, კარიერის შექმნა სირთულეს არ წარმოადგენს, ოღონდ ამას დიდი შრომა და ენერგია სჭირდება.

— არ გიფიქრიათ დაბრუნდეთ საქართველოში და აქ გააგრძელოთ შემოქმედებითი მოღვაწეობა?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა უცხოეთში დარჩენა. უბრალოდ, სწავლის პროცესი დროში გაიწელა და ამის გამო მომიწია იქ დარჩენამ. წასვლის დღიდან ვიცოდი, რომ მალე უნდა დავბრუნებულიყავი ჩემს ქვეყანაში. იმდენი შრომა და ენერგია ჩავდე სწავლაში, დამენანა, შუა გზაზე მიმეტოვებინა ეს ყველაფერი, ამიტომ გადავწყვიტე იქ მუშაობა...

საქართველოში იმდენი რამ არის გასაკეთებელი და გამოსასწორებელი, რომ ამ ყველაფერს წლები სჭირდება. უცხოეთში წასულმა ბევრმა ქართველმა აქ მდგომარეობის გამოსწორების იმედი დაკარგა. იქ შექმნეს ოჯახები, შეეძინათ შვილები და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს. მათი უკან დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება. რამდენიც არ უნდა ვიმეორო, რომ მე ჩემი სამშობლო მიყვარს, თუ ვერ დავინახე, რომ არსებობს პირობები, ადამიანურად ვიცხოვრო, მაშინ არ გამიჩნდება დაბრუნების სურვილი. თუ მდგომარეობის გამოსწორების პროცესი დიდი ხნით გაიწელა, მაშინ ჩვენ ნუ ველოდებით, რომ ჩვენი მოქალაქეები უკან დაბრუნდებიან... უსაზღვროდ მენატრება აქაურობა. მინდა, ჩამოვიდე და იმედი მქონდეს, რომ რასაც გავაკეთებ, იმას დამიფასებენ და თავს ადამიანად და პიროვნებად მაგრძნობინებენ. იმედის თვალით შევყურებ საქართველოს მომავალს. მინდა, ყველა ქართველი ღირსეულად დააბიჯებდეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ქუჩებში... ■



შეგუების მომენტი ერთი და ორი თვე არ გაგრძელებულა — ამისათვის მთელი წელი დამჭირდა...

სპეციალობით ავტომობილისტი ჯემალ მოსეშვილის ოცნება იყო, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონოდა, რათა სანადიროდ და სათევზაოდ ევლო. კომუნისტური მმართველობის დროს, ამას ვერ ახერხებდა. 1992 წლიდან კი, მიეცა ლხენა — ოცნება რეალობად ექცა. 147 კგ-იანი ლოქოს დაჭერით რეკორდი მოხსნა. იმისთვის კი, რომ ეს ტყუილ ტრაბახად არ ჩაეთვალათ, საგანგებოდ, ნანადირევის დასაფიქსირებლად, ფოტოაპარატი შეიძინა... ბატონმა ჯემალმა დინჯად და იუმორით გაიხსენა ნადირობისა და თევზაობის დროს თავს გადახდენილი მხიარული ამბები.

ნომერში ჯდომა – წახალისებად, მგლის ნაცვლად მოკლული ტახი და „მეთევზე“ ბელი

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო ჯემალ, სამ ათეულ წელზე მეტია, ნადირობითა და თევზაობით ხართ გატაცებული. როგორ ფიქრობთ, საქართველოს ბუნება ამ ხნის მანძილზე ძალიან შეიცვალა, ფრინველი და ნადირი მთლიანად ხომ არ განადგურებულა?

— საქართველოს ტყეები გაიჩეხა. 30 წელიწადში, ალაზნის ნაპირების ტყე, სამთაწყაროდან დაწყებული — საბათლომდე, 50 კილომეტრის ტერიტორიაზე არის გაკაფული. ალაზნის ნაპირზე 200-300 მეტრის სიგანის ჭალები იყო, სადაც ფრინველებისა და ცხოველების მრავალი სახეობა ბინადრობდა. ცივილიზაციის შემოტევამ ალაზნის ნაპირი სულ გააშიშვლა. მუხის ისეთი ძირებია დარჩენილი, რომლებსაც ორი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენს. ნადირიც ქრება, როცა მისი გავრცელების არეალი მცირდება... ნადირობას თავისი წესები აქვს. მონადირე ბუნების დამცველია. წესების დაცვით ნადირობისგან ბუნებრივი ბალანსი არ ირღვევა. ის მონადირეები, ვისაც ძველი სკოლა აქვს გავლილი, უდროო დროს არ ინადირებენ. ახლა კი რა ხდება! 20 ლარად „მონკავშირის“ წევრები ხდებიან და განურჩევლად ხოცავენ ფრინველებს და ცხოველებს...

— უმეტესად სად ნადირობდით ხოლმე და მგლებზე თუ გინადირიათ?

— კახეთში და აზერბაიჯანშიც დავდივარ სანადიროდ. ერთ ჩემს მეგობარს ღორების ფერმა ჰქონდა და მგლებმა დაუჭამეს. გამწარებულმა, მგლების დახოცვა გადაწყვიტა და მთხოვა, მგლებზე მოსარეკი გავაკეთოთო. წავედით 4 მონადირე. ეს ადგილი დედოფლისწყაროს რაიონშია, პატარა შირაქი, პანტიშარის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაა. დავთვალიერეთ. ტერიტორია დიდი იყო, მგლებს ბევრი ბილიკი ჰქონდათ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადადიოდნენ. მე ნომერში დამაყენეს, დანარჩენ სამს, თავიანთი ძაღლებითა და თოფის სროლით მგლები უნდა დაეფრთხო. მანამდე, მგელი არ მყავდა მოკლული. ნომერში დაყენებით პატივი მცეს — იქნებ, როგორმე მოკლაო... ნომერში მჯდომი ზიხარ და ისვენებ, სარეკში კი, ტყეღრეში გიწევს სიარული. საერთოდ, ერთი დონის მონადირეების წრეში წილისყრით ხდება ნომერში ჯდომა... მოკლედ, ვზივარ ნომერში, ცივა, ყინავს, მიყუჟული ვარ ღვიის ძირში. ჩემგან 15 მეტრში ბილიკია. გავიდა 2 საათი და წაწყობილად, 6 გასროლა გაისმა. ამას ძაღლების ყეფა მოჰყვა და ვხედავ, ბილიკზე ღორების კოლტი მორბის. დაახლოებით 15 იყო. სანამ მომიახლოვდებოდნენ, ხევი უნდა ამოევლოთ. პირველი, ბურვაკი ამოვიდა, იქნებოდა ასე, 40 კგ-მდე. უკან დიდი ზომის ნეზვები და ტახები მოჰყვებოდნენ. ვესროლე და უკანა მარჯვენა ფეხში დავჭერი. დაიწყო ჭყივილი. მეორე ტყვიაც მივაყოლე და დაეცა. ამ დროს, დანარჩენებიც „ამოლაგდნენ“. ახალი ტყვიები უნდა ჩავაწყო თოფში და გაყინული ხელებით ქურთუკს ვერ ვიხსნი. სანამ ტყვიის ამოღება მოვახერხე, კოლტი მომშორდა და ბოლოს მომავალ ტახს ვესროლე. არ გავარდა. ჩავდე მეორე ტყვია და ამ დროს, ძაღლებიც ჩაუდგნენ კვალში. რომ ვისროლო, ძაღლს მოვკლავ... 15 წთ-ში, მონადირეებიც მოვიდენ. რამდენი მოკალიო? — მკითხეს. რომ გაიგეს, ერთზე მეტი არ იყო, დამსაჯეს — 2 წელი ნომერში არ მაყენებდნენ, სარეკში გამამწესეს *(იცინის)*... სანამ მე ნომერში ვიჯექი, სხვებს მგელი მოუკლავთ. ძუ მგელი აღმოჩნდა და იმის შემდეგ, ჩემი მეგობრის ღორები აღარავის მოუტაცია.

— დათვზეც გინადირიათ, არა?

— დათვზე კი მინადირია, მაგრამ შარშან ალაზანზე სათევზაოდ ყოფნისას მქონდა ერთი საინტერესო შეხვედრა. მინგეჩაურთან დავდივარ ხოლმე ლოქოზე. ძალიან ცხელოდა, ნახევრად უდაბნოა. გაგრილების ერთადერთი საშუალება, წყალში ჯდომაა, მაგრამ თავი მაინც მზეზე გაქვს. ამიტომ 15 სმ სისქის ვერხვის ტოტი მოვჭერი და წყალში ჩავარჭვე, საჩრდილობლად. დილით ადრე რომ მივედი, ვხედავ, ჩემი ტოტი წაქცეულია და იქვე დათვის ბელის ნაფეხურებია. სავარაუდოდ, 50-60 კგ-იანი იქნებოდა. არ ვიცი, რატომ არ მოეწონა ეს ტოტი და რატომ წააქცია... დავაყენე ისევ. მეორე დღეს, ისევ წაქცეული დამხვდა. მოშორებით ბელს მოვკარი თვალი, ყელზე თეთრი ზოლი ჰქონდა. გავეკიდე მანქანით, მინდოდა ახლოდან მენახა. გამხდარი იყო, ჩემს დანახვაზე, ალაზანში შევარდა და გადაცურა. იმ თევზაობაზე, აღარ გამოჩენილა. მდინარეზე ათასნაირ დინამიტს ისვრიან, ბევრია მკვდარი თევზი. მათაც ეტანებიან დათვები და ტყემალი უყვართ, მის საჭმელადაც ჩამოდიან... ამ ამბავს გაგრძელება აქვს. ზამთარში რომ ჩავედი, გავიგე, რომ დათვი მოეკლათ მონადირეებს. აღწერილობით მივხვდი — ის ბელი იყო. ძალიან დამწყდა გული, შემეცოდა.

— რომელი უფრო აზარტულია — ნადირობა თუ თევზაობა?

— ორივე აზარტულია. კომუნისტების დროს, ერთ-ერთ ქარხანაში ვმუშაობდი. პარტკომის ინიციატივით, შაბათკვირას, ორგანიზებული თევზაობა იყო დაწესებული. ხალხი ალაზანზე მიჰყავდათ სათევზაოდ.

— ეი. კომუნისტებს სასურსათო პროგრამის დაძლევაში ეხმარებოდით?

— არა, არა (*იცინის*) — ამას კომუნისტები მშრომელთა აქტიურ დასვენებას უწოდებდნენ. პარასკეობით სატვირთო ავტომანაქანა — „გაზ 52“-ს გამოყოფდ-

147 კგ-იანი ლოქო დაჭერილი მქონდა. 90 კგ-იანი ლოქოს სურათი კი, თქვენ წინაშეა...

ნენ, ჩაგვსვამდნენ და მივდიოდით. პირველად რომ წავედით და ვნახე, რამხელა ლოქოები დაიჭირეს, ჩემი ცხოვრების ოცნებად მექცა, საკუთარი მანქანით იქ სათევზაოდ წავსულიყავი. იქიდან მოყოლებული, ლოქოების დარგში პროფესიონალი მეთევზე გავხდი. ახლა ანკესს იმ შემთხვევაში ვიჭერ ხელში, როცა ლოქოს სატყუარა (ჩანგალზე ჩამოსაცმელი შამაია) მითავდება.

— მონადირეები და მეთევზეები განთქმული არიან ტრაბახით. თქვენც ხომ არ გჩვევიათ ეს?

— ჩემ მიერ დაჭერილ თევზებს, ახლობლებსა და მეგობრებს ვურიგებდი. ერთხელ ლოქო დავიჭირე და ჩემს მეგობარს შუა ნაწილი მივუტანე. გაუკვირდა — რამსისქეა, რამდენი კილოგრამი იქნებოდაო? — სიგრძით ჩემზე ცოტა გრძელი იყო, წონით კი, 50 კილოგრამამდე იქნებოდა-მეთქი, — ვუპასუხე. ალმაცერად შემომხედა, ცოტა სარი გამოდიო (ე.ი. ნუ იტყუებიო). სიმწრით გამეცინა და გაბრაზებულმა, ფოტოაპარატი ვიყიდე მეორე დღესვე.

— ნადირობისას ან თევზაობისას ალბათ, მხიარული ამბებიც გადაგხდენიათ თავს...

— ერთხელ, მე და ჩემი ძმაკაცი წავედით სათევზაოდ ალაზანზე, იქ, სადაც მინგეჩაურს უერთდება. ის ადგილი ნოყიერნიადაგიანია. აზერბაიჯანელებს საზამთრო აქვთ დათესილი. როცა ვთევზაობდით, მოგვაკითხავდნენ ხოლმე. საღამოს ერთად ვისხედით, თევზს ვწვავდით, ჭაჭას ვსვამდით. ერთხელ, შუადღისას, მოვდივარ დასიცხული. გვერდით რომ გავუარე, მათ შორის უხუცესმა დამიძახა Джамал, иди сюда. მივატრიალე მანქანა და მივედი. Давай, чай пей. 3 ჭიქა ჩაი დამალევინეს. ვეკითხები, საზამთრო თუ დამწიფდა-მეთქი? — არაო. იმ დროს, წვრილ სიგარეტს „Voge“-ს ვეწეოდი. მინგეჩაურზე მაგრად ცხელა. ჩვეულებრივ სიგრეტს რომ ვეწეოდი, პირი მიშრებოდა, წყალი მინდებოდა. „Voge“ მსუბუქია და მერჩივნა. ვეწევი ამ სიგარეტს. არ ვიცი, იმ აზერბაიჯანელს რა მოეჩვენა, ცხვირში რაღაცამ წაუღიტინა, ულვაშები აათამაშა და მეკითხება: Джамал, это что, кайф да? თავში ჯოჯოხეთური აზრი დამიტრიალდა და გავაჩუმე — არ გაიგონონ სხვებმა-მეთქი. Давай покурю. — რას ამბობ ეს ძვირია-მეთქი. — რა ღირსო? — კოლოფი — 10 დოლარი-მეთქი, — წავეღადავე. ამოვიღე კოლოფიდან ერთი ღერი და მივეცი. მოსწია და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ეს სიგარეტი წყალმცენარეებისგან მზადდება და იქნებ, სუნმა მოატყუა?.. მეკითხება — ბევრი გაქვსო? ბევრი არ ვუთხარი, არ გავაუფასურე და — 15-16 ცალი მაქვს-მეთქი. მეუბნება — за каждую сигарету один арбуз дам. შენ პატარებს მომცემ-მეთქი, — მივუგე. მიპასუხა — меньше десяти кило не будет. წასვლისას, პატიოსნად ჩამითვალა 15 საზამთრო და 5 ნესვიც დაამატა... თბილისისკენ რომ წამოვედით, გზაში ჩემს ძმაკაცს, შოთას ვეუბნები — ამ საზამთროებს კიროვაბადში წაიღებს გასაყიდად, ბაზარში ამ სიგარეტს ნახავს და იტყვის, ჯემალამ მომატყუაო; მეორედ რომ ჩამოვალთ, ერთ ბლოკს წამოვუღებ და ვეტყვი, ვიმაიმუნე-მეთქი... რომ ჩავედი ისევ, მართლაც ჩავუტანე ერთი ბლოკი და ვეუბნები — აი, სადაი, ალალია შენზე, ვიხუმრე-მეთქი. რომ დაინახა ბლოკი — ты что, еще при-нёс, когда приедешь, еще 15 арбузов дам. არ ვიცი, როგორ მოქმედებდა მასზე „Voge“, მაგრამ იმ ზაფხულს, თევზთან ერთად საზამთროთი დატვირთული მანქანით ბრუნდებოდი უკან (*იცინის*)... თევზაობის სეზონს მე და ჩემი ძმაკაცი 16 მარტიდან ვხსნით. დაკვირვებული ვარ, ამ დროს, 15-დან 25 მარტამდე, კახეთში აუცილებლად მოდის თოვლი, ეს თითქოს დაუწერელი კანონია. რადგან ყოველ წელს ალაზნის ნაპირი იცვლება, ყოველ წელს თავიდან გვიწევს სათევზაო ადგილების გასინჯვა. ამისთვის მთელ ნაპირს დავივლით ხოლმე და სადაც მოგვწონება, ჩანგლებს (დიდ ანკესებს) იქ ვაყენებთ. ზოგიერთ ადგილზე მიწაზე ხოხვით გვიწევს გასვლა, რადგან გაუვალი ბუჩქნარი და მაყვლნარია. ერთხელაც, მივძვრები გაწოლილი და რას ვხედავ: ჩემკენ მობრუნებულა ღორის თავი, თეთრი ეშვებით!.. ერთი კი მოვასწარი, ზურგზე წითელი ლაქის დანახვა და ინსტინქტურად მე — ალაზანში, ჩემი ძმაკაცი კი — ხეზე აღმოვჩნდით. დაჭრილი ტახი ჩემს მტერს, მით უმეტეს, როცა გაჩერებულია და არც იცი, რას მოიმოქმედებს, თან, როცა თოფი არ გიჭირავს ხელში... ერთი 50 მეტრი რომ ვიცურე, კარგად რომ დავსველდი ამ ცივ წყალში, როგორც იქნა, ამოვედი ნაპირზე. გავძახე ხეზე მოკალათებულ ჩემს ძმაკაცს — რა ამბავია, წავიდა-მეთქი? — არა, არ წასულა, ერთი-ორი ხმელი ტოტი ვესროლე, მაგრამ არ განძრეულა, მგონი, მკვდარიაო. გული მომეცა და ორი ქვა მეც ვესროლე. ჩამიჩუმი არ ისმის. ახლოს მივედით — მკვდარი იყო. ორმა კაცმა ძლივს გამოვათრიეთ მაყვლის ბუჩქებიდან. ადგილზევე გავატყავეთ და წავიღეთ. სიკვდილის მიზეზი კი, მაშინვე გავარკვიეთ: აზერბაიჯანელები ალაზნის გაღმა, ბილიკზე, სადაც ტახები მოძრაობენ, მარყუჟიან ტროსებს უგებენ, მეორე ბოლოს ხეზე ამაგრებენ. ღორმა ყულფში რომ გაყო თავი, გასათავისუფლებლად ეჯავჯგურა. ან ტროსი იყო გადახეხილი, ან ღორი იყო ძლიერი და გაწყვიტა. მხარი, კისერი და წინა მარჯვენა ფეხი ჰქონდა ტროსში მოყოლილი, ჯავჯგურისგან კი, ტყავი ჩაჭრილი. ბევრი სისხლი დაკარგა. გაწყვეტილი ტროსით ალაზანი გადმოცურა და მაყვლებში მოკვდა. რომ ვატყავებდით, ჯერ კიდევ თბილი იყო... ასე „ვითევზავეთ“ ტახზე.

...ასე „ვითევზავეთ“ ტახზე

დიზაინერი ქალებს

მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებას

ურჩევს

იმისათვის, რომ მოდური ფეხსაცმელი ჩაიცვათ, თავდაპირველად საჭიროა, იცოდეთ, თუ რა არის მოდაში 2005 წლის ზაფხულში. ამის გარკვევაში დაგვეხმარა დიზაინერი მადონა ხარატიშვილი, რომელსაც მის სალონში ვესტუმრე. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფეხსაცმელმა, რომლის ზედაპირადაც საქართველოს დროშაა გამოყენებული.

ეკა მინდაძე

— **მადონა, როგორ მოგივიდა ამ ტიპის ფეხსაცმლის შეკერვის იდეა?**

— ამ ფეხსაცმლის დამზადების იდეა ჩემს ძმას ეკუთვნის. მინდა აღვნიშნო, რომ ის მანამდე შეეკერეთ, ვიდრე ვარდების რევოლუცია მოხდებოდა... სწორედ ამ ფეხსაცმლით წავედით მთელი ოჯახი პრეზიდენტის ინაუგურაციაზეც. ფეხსაცმელთან დაკავშირებით მახსენდება ერთი კურიოზი. ერთხელ ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარს ნაღვლის ბუშტის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოში მისი სასწრაფოდ წაყვანა გახდა საჭირო. მას ჩემი ძმა და რძალი გაჰყვნენ. მოსაცდელში მათი ფეხსაცმლისთვის ერთ-ერთ ექთანს მოუკრავს თვალი და გაკვირვებულს დაუყვირია — ვაიმე, ამას რას ხედავს ჩემი თვალები, თქვენ შემოგევლეთო! მერე ყველას გასაგონად დაუძახია — მოდით, ნახეთ, რა საოცრებაო!.. მართლაც, რამდენიმე წამში ექიმები და ექთანები შემოსევიან მათ. ამ დროს, საოპერაციოდან ჩვენი ახლობელი ყვიროდა: მომხედეთ, ხალხი არა ხართო!.. გამორიცხულია, ეს ფეხსაცმელი ჩაიცვა და ქუჩაში ვინმემ არ შენიშნოს. ბევრი გვაძლევს შეკვეთას ამგვარი ფეხსაცმლის შეკერვაზე. სულ რამდენიმე დღის წინ, ფრანგებსაც შევუკერეთ.

— **როდის და როგორ დაიწყე დიზაინერობა?**

— ბავშვობიდან მიყვარდა ეს საქმე და ამიტომაც, სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლა სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე, თეატრის მხატვრობის განხრით. ერთი პერიოდი, რუსთაველის თეატრში პატარა ესკიზებს ვაკეთებდი. ფეხსაცმლის დიზაინით 6 წლის წინ დავინტერესდი. ერთ მშვენიერ დღეს, მიწისქვეშა გადასასვლელში ჩასულმა, ერთ-ერთ დახლზე ლამაზი ფეხსაცმელი დავინახე. უფრო ახლოს მივედი თუ არა, გაირკვა, რომ თურმე, იქვე კერავდნენ. მეც მაშინვე, ჩემი დიზაინით შევაკერვინე ბატონ თენგიზს ძალზე ორიგინალური ფეხსაცმელი. ამ ადამიანმა უდიდესი პატივი მცა, მან სრულიად უსასყიდლოდ დამითმო თავისი სახელოსნო, როცა ჩემი ნამუშევრების გამოფენას ვამზადებდი. დღეს კი, უკვე საკუთარი სახელოსნო და ბიზნესი მაქვს, 2 წელია, დამოუკიდებლად ვმუშაობ.

— **გვითხარი, ამ ზაფხულს როგორი ფეხსაცმელია მოდაში?**

— 60-70-იანი წლების სინთეზი. მოდაშია ჯინსის, ფერადი ტილოს, ირმის ნატის და თხელი ტყავის საზაფხულო ჩექმა. წვეტიანი ცხვირი, მრგვალი ცხვირით შეიცვალა. ძალიან მოდურია ქოში — როგორც კლასიკური, წვრილი, მაღალი ქუსლით, ასევე სქელი, უხეში ქუსლით.

— **უფრო დაგვიზუსტე, როგორი ძირებია მოდაში?**

— ძალზე მოდურია პლატფორმა და კორპის ძირები. კარგად მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, დედას ეცვა ზუსტად ისეთძირიანი ქოშები, როგორიც დღეს არის მოდაში. სხვათა შორის, ერთმა ქალბატონმა თავისი ძველი, „პრობკის" ქოში მოგვიტანა და ამ ძირზე მის ქალიშვილს ახალ ფეხსაცმელს ვუკერავთ. უხეში ქუსლი გაცილებით პრაქტიკულია, ის განსაკუთრებით ტინეიჯერებს მოსწონთ.

მოდაშია ჯინსის, ფერადი ტილოს, ირმის ნატის და თხელი ტყავის საზაფხულო ჩექმა

მათთვის ძნელია, დაბალძირიანი სპორტული ფეხსაცმლიდან მაღალქუსლიანზე გადასვლა, მაგრამ 5-სანტიმეტრიანი, სქელძირიანი ფეხსაცმლით სიარული არანაირ პრობლემას არ წარმოდგენს. გარდა ამისა, მოდაშია წვრილი მაღალი ქუსლიც.

— **დაასახელე ყველაზე მოდური ფერი.**

— მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ თუ წინა წლებში, მუდამ შავ ფერზე მიწევდა მუშაობა, დღეს უფრო, ღია ფერები მოსწონთ. ძალიან მოდურია ვარდისფერი, წითელი, შაბიამნისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი და მწვანე.

— **ცნობილი ადამიანებიდან ვინ იკერავს შენთან ფეხსაცმელს?**

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, აქ მოსული ადამიანი სრულიად უცნობი იქნება თუ ცნობილი. ჩემთან ფეხსაცმელი შეუკერავთ: ირაკლი ფირცხალავას და ზურაბ ზვიადაურს. ძალიან მიყვარს ნეკა სებისკვერაძესთან მუშაობა. თათია გიორგობიანის საქორწილო ფეხსაცმლის ზედაპირზე 2 კვირა ვიმუშავეთ. მან სრული ნდობა გამომიცხადა. მხოლოდ საქორწინო კაბის ფერი შემატყობინა წინასწარ და მორჩა.

— **ადამიანს პირველ რიგში რაზე აკვირდები?**

— რა თქმა უნდა, ფეხსაცმელზე. ეს ყველა დიზაინერის პროფესიონალური დაავადებაა. ამას წინათ, პაატა ხაჩიძე მესტუმრა. შემოსული არ იყო, რომ ვუთხარი — რა კარგი ფეხსაცმელი გაცვია-მეთქი! მან კი, გაოცებულმა, მიპასუხა — გოგო, შენ არ შემიკერეო?! თურმე, მე შემიკერავს და აღარც მახსოვდა. ალბათ იმიტომ, რომ თითო-თითო წყვილს ვკერავ და ვყიდი; ჩემთან მოსულ ადამიანს გარანტიას ვაძლევ, რომ მისი ფეხსაცმელი ერთადერთი იქნება.

— **ცნობილი ადამიანებიდან, ვის შეუკერავდი ფეხსაცმელს?**

— ძალიან მომწონს ნინო კალანდაძის გემოვნება. გემოვნებიან ქალად მიმაჩნია ნინო ბურჯანაძეც. განსაკუთრებით მოვიხიბლე მისი ჩაცმულობის სტილით ბუშის ვიზიტის

დროს. აქედან გამომდინარე, მეც დიდი სიამოვნებით შევუკერავდი ამ ორ ქალბატონს ფეხსაცმელს.

— შენი შემოქმედების შემფასებელი ვინ არის?

— ყველაზე კრიტიკული შემფასებელი იყო და დღესაც არის ჩემი მეუღლე. მიუხედავად იმისა, რომ ის ხელოვნებისგან შორს დგას, ძალიან კარგი გემოვნება აქვს. იცის, რომელია კარგი ფეხსაცმელი და რომელი — საშუალო. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, ის ფეხსაცმელს საზღვარგარეთ იძენდა. ახლა კი, ჩემს ფეხსაცმელს რომ კადრულობს, ეს დიდი პატივია *(იცინის)*...

— ოჯახში ყველას უკერავ ფეხსაცმელს?

— რა თქმა უნდა, ყველას ჩემი შეკერილი ფეხსაცმელი აცვია. ორი გოგონა მყავს და ორივეს მისი გემოვნებით ვუკერავ.

— თავად რა სტილის ფეხსაცმელი გიყვარს?

— გააჩნია განწყობილებას: მე დღეში ოთხჯერ მაინც ვიცვლი ფეხსაცმელს — იმის მიხედვით, თუ როგორ ხასიათზე ვარ. აქედან გამომდინარე, ვინც კარგად მიცნობს, ფეხსაცმლით იგებს ჩემს განწყობილებას.

— წვეულებაზე წასვლისას, ზაფხულში როგორ ფეხსაცმელს მივანიჭოთ უპირატესობა?

— გირჩევთ, წვეულებაზე მაღალქუსლიანი ჩაიცვათ, იმიტომ, რომ რაც არ უნდა ლამაზი იყოს ფეხსაცმელი დაბალი ქუსლით, მაინც ის პეწი არ აქვს, რაც მაღალქუსლიან საზაფხულო ჩექმას ან ქოშს.

— ზოგადად რას ურჩევ ფეხსაცმელთან დაკავშირებით, გოგონებსა და ქალბატონებს?

— ჩემი უპირველესი რჩევა ის იქნება, რომ არასოდეს აჭყვეთ ბრმად მოდას. ამას უფრო მეტად, ტინეიჯერების გასაგონად ვამბობ. გახსოვდეთ — ფეხისთვის აუცილებელია 3 სმ სიმაღლით დაწყებული ქუსლი. არ ვარგა, მთელი დღე დაბალძირიანი ფეხსაცმლით სიარული, განსაკუთრებით — რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმლით, რადგანაც ამ ტიპის ნაწარმმა შეიძლება, ფეხი დააზიანოს. თუ საკუთარი ნაკლის დამალვა გსურთ, ამაში პირველ რიგში, საკუთარი თავი დაგეხმარებათ. თუ უკომპლექსო იქნებით, ვერანაირი ნაკლი ვერაფერს დაგაკლებთ. მაგალითად, თუ წვრილი ფეხი გაქვთ, ჩაიცვით ფართოყელიანი საზაფხულო ჩექმა, ხოლო თუ მსუქანი ფეხი გაქვთ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას გირჩევთ. მინდა მშობლებსაც მივცე რჩევა: ნუ ჩააცმევთ ბავშვს რეზინისძირიან ფეხსაცმელს. ბავშვზე ზრუნვა არა მარტო კარგ კვებაში, არამედ ხარისხიანი სამოსისა და ფეხსაცმლის შერჩევაშიც გამოიხატება. პატარას ფეხმა უნდა ისუნთქოს. აუცილებელია, მისი ფეხსაცმელი ნატურალური მასალისგან იყოს დამზადებული. მართალია, ასეთი ნაწარმი გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე რეზინისძირიანი, მაგრამ თუ მშობელი თავის ფეხსაცმელში აძლევს სოლიდურ თანხას, ბავშვისთვის რატომ უნდა დაინანოს?!. დაბოლოს — გირჩევთ, ყველამ ქართული წარმოების ფეხსაცმელი ჩაიცვათ.

— მომავალში რის გაკეთებას აპირებ?

— სექტემბერში მინდა, ჩემი პატარა დისშვილის, ლუკას სახელით მოვაწყო ბავშვების ფეხსაცმლის გამოფენა. ეს იქნება აქცია დეკეზით — ბავშვების ფეხი ჩვენი მომავალია... ■

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲝᲪᲐ

ცნობილ მკურნალს, მლოცველსა და ექსტრასენსს, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲐᲡ უამრავი ადამიანი ემადლიერება. მისმა ფენომენმა მარტო ქართველები კი არა, უცხოელებიც გააოცა. ირაკლი რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა ევროპიდან და პაციენტების მიღებას აგრძელებს. ამბობენ, ლოცვით ნამდვილ სასწაულებს ახდენსო; ირაკლი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს, მასთან დახმარების სათხოვნელად ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდის. ლოცვის ძალით ირაკლიმ უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალოდნელ უბედურებას. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედების შედეგს და დაბინძურებულ აურას უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს. ირაკლის, მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ, მის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია.

— ვიცი, რომ უცხოელები კვლავაც გეპატიჟებიან. წახვალთ საზღვარგარეთ?

— ამერიკიდან უკვე მივიღე მიწვევა. კონტრაქტის თანახმად, გამგზავრების ვადა ერთი წელი და ხუთი თვეა. ასე რომ, არ ვჩქარობ.

— ირაკლი, რაში ეხმარებით მაღალჩინოსნებს?

— მაღალჩინოსნები საკუთარ სკამებსა და ბიზნესს იცავენ, წარმატების მისაღწევად იბრძვიან. ცივილიზებულ ქვეყნებში ნებისმიერ თანამდებობის პირს ჰყავს საკუთარი „მცველი“, ჩემნაირი ადამიანის სახით.

— გარდა იმისა, რომ ხსნით ვადოს, თვალს, თქვენ გზაბნეულ სულებს აცილებთ საიქიოში. როგორ ახერხებთ კავშირის დამყარებას პოლტერგეისტთან?

— მე ვხედავ მიცვალებულთა სულებს და საგანგებო ლოცვებით შემიძლია, გზაბნეული პოლტერგეისტი საიქიოში გავაცილო. ტრაგიკულად ანუ არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილები თუ დროზე არ დადგებიან სასუფევლის გზას, მოხეტიალე სულებად გადაიქცევიან და სპეციალური ლოცვები, პარაკლისი და სამდღიანი საკურთხია საჭირო, რათა არ გაბოროტდნენ და ააქაოში არ დაიდონ ბინა. გამძვინვარებული სული შესაძლოა, ოჯახში დარჩეს და მის წევრებს უბარაქობა, ავადმყოფობა და უბედურება მოუტანოს, ბედ-იღბალი ჩაუკეტოს, ჩხუბისა და დეპრესიის მიზეზი გახდეს.



— როგორ კურნავთ ავადმყოფებს?

— აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს. მძიმე კარმა და ადამიანის ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამა ანუ ვირუსი, წინაპრების ცოდვა, საგვარეულო წყევლა, ხატზე გადაცემა და ავი თვალი უამრავ დაავადებას იწვევს. დიაგნოზს ექსტრასენსული მეთოდით ვსვამ, რისთვისაც მჭირდება ახალგადაღებული ფერადი ფოტო (3X4-ზე). სამდღიანი გამოკვლევის შემდეგ ვადგენ, ექვემდებარება თუ არა პაციენტის ორგანიზმი მკურნალობას. წინასწარ ვადგენ, ექსტრასენსული მეთოდი უნდა გამოვიყენო თუ ხილვებში ნასწავლი რეცეპტებით ჩემ მიერ დამზადებული მცენარეული წამლები.

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მიღების დღეები: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, 12-დან 15 საათამდე. მისამართი: ყაზბეგის №18 (მე-4 სართული), ბინა №10. საკონტაქტო ტელეფონები: 899-50-17-78. 899-15-17-39 (ჩასაწერად). მონაცემები შეტანილია ინტერნეტში: website.www.ikaextrasens.com.e-mail: ika@ikaextrasens.com.

ლუიშ ფიგუ: „რეალში“ დარჩენა მსურს, მაგრამ...

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ და წერენ იმის შესახებ, რომ ლუიშ ფიგუ მადრიდის „რეალიდან“ წასვლას აპირებს. თავად პორტუგალიელი ვარსკვლავი სიმშვიდეს ინარჩუნებს, თუმცა არც იმას მალავს, რომ კლუბში თავისი ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილი არ არის. ლუიშის თქმით, ის ვანდერლეი ლუქსუმბერგოს ხელში განტევების ვაცად იქცა. მიუხედავად ამისა, ფიგუ იმაშიც დარწმუნებულია, რომ შექმნილი ვითარების მიუხედავად, მას მთელი მსოფლიოს მასშტაბით კვლავაც უამრავი ფანი ჰყავს. ამიტომ პორტუგალიელ ნახევარმცველს მათი იმედგაცრუება არ სურს. მაგრამ სათადარიგოთა სკამიდან ქომაგთა გახარება ცოტა ძნელი წარმოსადგენია... „მე „რეალთან“ მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და აქ თამაში მსურს, დიახ, სწორედ თამაში და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა“, — ამბობს ლუიში გაზეთ Marca-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

— სეზონისწინა პერიოდის დაწყების შემდეგ, შენი მდგომარეობა თუ შეიცვალა? როგორ ფიქრობ — შემადგენლობაში მოხვედრის შანსი გაქვს თუ პრიქით, ყოველდღიურად რწმუნდები, რომ ძირითადის მოთამაშე აღარასდროს იქნები?

— ფეხბურთის თამაშზე ფიქრისთვის თავი არ დამინებებია. მიმაჩნია, რომ ყველა ის თვისება მაქვს საიმისოდ, რომ ამ გუნდში ვიასპარეზო. იმედს არ ვკარგავ, რომ ამის საშუალება კვლავაც მომეცემა. მაგრამ აქ ყველაფერს მე როდი ვწყვეტ. ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემიძლია, ის არის, რომ მაქსიმალურად ვეცადო, რაც შეიძლება კარგად ვივარჯიშო. შემდეგ კი, მწვრთნელი გადაწყვეტს, თუ ვინ უნდა გავიდეს მოედანზე.

— „რეალის“ დატოვება შენთვის მტკივნეული იქნება?

— ამაზე ლაპარაკი კი არა, ფეხბურთის თამაში მსურს. ახლა ვცდილობ, გავიგო, კლუბისთვის რა უფრო უკეთესი იქნება. ურთულეს სიტუაციაში ვიმყოფები, მაგრამ ვფიქრობ, გუნდისთვის იმას ვაკეთებ, რაც საჭიროა. კვლავაც მწამს, რომ ამ გუნდში თამაში შემიძლია და თუ ამას ვერ ვაკეთებ, ე.ი. საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსს არ მაძლევენ. ისევ ძველებური მონდომებით ვარჯიშს განვაგრძობ.

— მიგაჩნია, რომ ლუიშ ფიგუს დონის ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე არ უნდა იჯდეს?

— ყველა პროფესიონალს თამაში სურს. ბუნებრივია, არც მე ვარ გამონაკლისი. ჩემს ადგილზე ყველა ასე იფიქრებდა. მინდა, კლუბმა მაცნობოს, რომ გუნდში ჩემი დარჩენა აღარ ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედს არ დავკარგავ.

— შენსა და ლუქსემბურგოს შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდა? ერთმანეთს თუ ესალმებით?

— ეს საკითხი არავის არ უნდა აინტერესებდეს. ჩვენ შორის ისეთი დამოკიდებულებაა, როგორიც მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის უნდა იყოს. ახლა ერთმანეთთან უფრო კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ეს ჩემთვის მთავარი არ არის.

— პარტნიორები გუნდში დარჩენას გთხოვენ, არა?

— კი. უკვე 5 წელია, ერთად ვთამაშობთ, ამიტომ ვმეგობრობთ. ბუნებრივია, რომ ისინი დარჩენას მთხოვენ. ხუთწლიანი ერთობლივი მუშაობის შემდეგ ხომ განშორება ძნელია. მაგრამ აქ საქმე ჩემი და კლუბის ინტერესებს ეხება, ასე რომ, საუკეთესო გამოსავალი უნდა მოიძებნოს. ჩემი პირველი და უმთავრესი მიზანი აქ თამაშია, ამიტომაც გავაფორმე თავის დროზე ექვსწლიანი კონტრაქტი. მაგრამ თუ მწვრთნელებს არ ვჭირდები, იძულებული ვიქნები, სხვა გამოსავალი მოვძებნო.

— იმ კლუბებიდან, რომლებშიც შეიძლება გადახვიდე, „ინტერსაც“ ასახელებენ...

— ახლა ჩემზე ათასგვარ ინფორმაციის ავრცელებენ...

— მაგრამ შენი აგენტი მილანში იყო წასული...

— ეს ერთ-ერთი ვარიანტია, მაგრამ მე მინდა, რომ კლუბისთვის საუკეთესო გამოსავალი მოვძებნო.

— რამდენიმე წლის შემდეგ, ლუიშ ფიგუს ამჟამინდელ სიტუაციას გაიხსენებენ და აღფრთოვანდებიან მოთ-

ფრენბურთის სექსსიმბოლო ქორწინდება

იტალიური ფრენბურთის სექსსიმბოლომ, მაურიცია კაჩიტორიმ, როგორც იქნა, დაქორწინება გადაწყვიტა. 32 წლის სპორტსმენი 15 აგვისტოს, ცოლად გაჰყვება კალათბურთელ სანტიაგო ტოლედოს, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ხვდებოდა. საქორწინო ცერემონია კანარის კუნძულების მთავარ ქალაქში, ლას-პალმასში შედგება, რომელიც კუნძულ გრან-კანარიზე მდებარეობს. ასეთ გადაწყვეტილებამდე შეყვარებულები ერთობლივად მივიდნენ, თუმცა, წვეულების სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. მაურიციოს თქმით, სტუმრები კომფორტულად იგრძნობენ თავს და თითოეულ მათგანს საკუთარი გემოვნების მიხედვით გართობის საშუალება მიეცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, კაჩიტორი თავის ძველ ბოიფრენდზე, პოცეკოზე დაქორწინებას აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა. ფრენბურთელის ახლობლები შიშობენ, რომ მან კვლავ არ შეცვალოს გადაწყვეტილება... ■

ამაშის პროფესიონალიზმით, რომელსაც შექმნილი ვითარების მიუხედავად, ფარ-ხმალი არ დაუყრია...

— აქ დარჩენაზე იმიტომ ვფიქრობ, რომ კვლავაც შემიძლია კარგად თამაში. ჩემი მოვალეობა ის გახლავთ, რომ სამუშაო რაც შეიძლება კარგად შევასრულო და შემადგენლობის შერჩევის მომენტში, მწვრთნელს საქმე გავურთულო... მადრიდის „რეალის" მადლიერი ვარ იმისთვის, რაც მან ბოლო 5 წლის განმავლობაში მომცა. ამ კლუბში ასპარეზობამ გამოცდილება შემმატა. კვლავაც ბევრ ქომაგს სჯერა ჩემი და მათთვის იმედის გაცრუება არ მსურს. საკუთარ თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, რომ ვინმემ ეჭვი შეიტანოს ფიგუს პროფესიონალიზმში. ამიტომ კლუბისთვის ძალისხმევას არ დავიშურებ. ამ კლუბს მხოლოდ ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. ნუ იფიქრებთ, რომ აქედან წასვლის შემთხვევაში, „რეალისადმი" გულგრილად განვეწყობი. „რეალში" ვითამაშებ თუ არა, ყოველთვის მისი ქომაგი ვიქნები. რა თქმა უნდა, მადრიდისტი ვარ.

— ვერ წარმომიდგენია, რომ სხვა ესპანურ კლუბში ითამაშო...

— როგორ — უკვე მაგდებთ „რეალიდან"?

— ამას იმიტომ გეუბნები, რომ მეჩვენება — თუ წახვალ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" შენი დაბრუნება „ნოუ კამპზე" დაბრუნების მგავსი არ იქნება.

— ესლა მაკლდა *(იცინის)*. ვიცი, ხალხი მაფასებს და ხედავს, თუ როგორ ვმუშაობ და ვცდილობ. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ მძიმე წუთებში, ქომაგთა მხარდაჭერას მუდამ ვგრძნობდე. ვგრძნობდე, რომ ისინი მიცავენ და მხარში მიდგანან. თუ ცხვირს ჩამოვუშვებ, ამით მათ იმედს გავუცრუებ.

— „რეალმა" უფრო მეტი მისცა ფიგუს თუ ფიგუმ — „რეალს"?

— ამაზე კომენტარის გაკეთება შეუძლებელია. კლუბის წინაშე პირნათელი ვარ. რა თქმა უნდა, „რეალმა" ძალიან ბევრი მომცა, რისთვისაც ამ კლუბის მადლიერი ყოველთვის ვიქნები.

— ყოველთვის ამბობდი, რომ „რეალში" პრესტიჟისთვის გადახვედი. ასეა?

— ასეა. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რისთვისაც აქ აღმოვჩნდი. არც შევმცდარვარ. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდებული კლუბია.

— შემდეგ ინტერვიუს უკვე მილანში მისცემ?

— უკვე მეორედ მაგდებ ამ გუნდიდან *(იცინის)*. მე ხომ კონტრაქტით 2006 წლის 30 ივლისამდე, „რეალის" მოთამაშე ვარ, ასე არ არის?..

— რამ შეიძლება, „რეალში" დარჩენა გაიძულოს? ხომ არ გიფიქრია იმაზე, რომ შეიძლება, სხვანაირად განვითარდეს მოვლენები?

— ამ სიტუაციის პროვოცირება მე არ მომიხდენია. ამჟამინდელი მდგომარეობა ყველაზე მეტად სწორედ მე არ მომწონს, ამიტომ მის შესაცვლელად ყველა ღონეს ვხმარობ. რომ ვიცოდე, რა მოხდება მომავალში, დავრჩებოდი.

— კიდევ რამდენ ხანს ითამაშებს ლუიშ ფიგუ ფეხბურთს?

— კიდევ 2 წელს. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ კიდევ 2 წლის განმავლობაში ვითამაშებ მაღალ დონეზე, შემდეგ კი — ვნახოთ...

— ახლა შენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაა?

— რა თქმა უნდა. ნაკრებში დავბრუნდები, რათა მსოფლიო ჩემპიონატზე ვიასპარეზო და თასის დასაუფლებლად ვიბრძოლო.

— და მაინც, თუ ლუიშ ფიგუ „რეალიდან" წავა, რა გრძნობა დაეუფლება მას?

— სევდა მომეძალება. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია... ■

რუსი ელენა – ბორის ბეკერის ახალი საყვარელი თუ უბრალოდ მეგობარი?..

ბოლო 2 წლის განმავლობაში, ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი, ბორის ბეკერი მოცეკვავე კაროლინა როხერთან ერთად ცხოვრობდა. მაგრამ ცოტა ხნის წინ მათი რომანი დასრულდა. „ბილდისათვის" მიცემულ ინტერვიუში ბეკერმა აღნიშნა: „სამწუხაროდ, ჩვენ მართლა დავშორდით ერთმანეთს. ახლა უბრალოდ, კარგი მეგობრები ვართ". ამჟამად, ბორისის რჩეული, 23 წლის ელენა გახლავთ, რომლის შესახებაც მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი რუსია. სწორედ მასთან ერთად გაატარა ცოტა ხნის წინ მთელი კვირა მალიორკაზე ბეკერმა. მიუხედავად ამისა, ყოფილი ჩოგბურთელი აცხადებს, რომ რუს ნაცნობთან ინტიმური ურთიერთობა არა აქვს. ■

ალმსიჯმა კომენტატორობაც სცადა

ცურვაში გერმანიის ყოფილი ჩემპიონი ქალი, ფრანცისკა ვან ალმსიკი, რომელსაც „ოქროს თევზს" უწოდებენ, მონრეალში იმყოფებოდა, სადაც სპორტის საწყალოსნო სახეობების მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, ტელეკომპანია Sat-1-ის კომენტატორად მოევლინა მაყურებელს. გერმანელი ჟურნალისტების თქმით, მას ეს საქმე ისევე კარგად გამოსდის, როგორც ცურვა. აღსანიშნავია, რომ ვან ალმსიკს რეპორტაჟები არა მხოლოდ სტუდიიდან, არამედ ასპარეზობის ადგილიდანაც მიჰყავდა. ეს კი, Sat-1- ისთვის საუკეთესო რეკლამა გახლდათ. ■

როგორ მოვიხიბლოთ საყვარელი ქალის გული

საერთოდ, მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ქალების მოხიბვლას აუცილებლად დაკუნთული მკლავები ან ბევრი ფული სჭირდება. სინამდვილეში, ქალებს კაცებში სულ სხვა რამ მოსწონთ, თუმცა, ეს სულ სხვა საუბრის თემაა. ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ ასტროლოგიურ შტრიხებზე, რომელთა გათვალისწინება ბევრ მამაკაცს ქალის გულისკენ მიმავალ გზას უფრო შეუმოკლებს.

ასტროლოგიური რჩევები მამაკაცებს

ვერძი

თუ ვერძის ნიშნით დაბადებული ქალი შეგიყვარდათ, ერთი რამ გახსოვდეთ — ვერძ ქალს შეუძლია, უმამაკაცოდ იოლას გავიდეს. ამიტომ, ნუ ეტყვით: „მე წავალ და აღარ დავბრუნდები“, ამის საპასუხოდ შესაძლოა, სამი თითის კომბინაცია მიიღოთ. ასე რომ, ფრთხილად. მართალია, მას გამუდმებით სჭირდება ოცნების ობიექტი, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაში. ის არასოდეს უცდის მამაკაცს — თავად გამოაღებს კარს, გამოსწევს სკამს და მოუკიდებს სიგარეტს. შესაძლოა, მის გვერდით თავი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნოთ — აბა, როგორია, სანამ თქვენ ვიღაც თავხედს (რომელმაც მას რაღაც აკადრა) ზრდილობიანად უხსნით ქცევის წესებს, მან თავში საკუთარი ხელჩანთაც ჩასცხოს და ერთი პანლურიც ამოჰკრას!.. თუ „ტერმინატორი“ გინახავთ და ლინდა ჰამილტონის გმირიც კარგად გახსოვთ, მაშინ თქვენს გულის სწორზე რეალური წარმოდგენა გქონიათ. ნუ იქნებით დესპოტი, ნუ შეეხებით მის თავმოყვარეობას, იყავით იდეალისტი და ყველაფერი კარგად იქნება.

კურო

ო-ო და კიდევ ერთხელ ო-ო... კურო ქალი ის ქალია, რომელსაც მუდამ ეძებენ და ნატრობენ მამაკაცები. ის მშვიდი, წყნარი, ალერსიანი, კარგი მზარეული და შესანიშნავი დედაა. პირველი რჩევა ის იქნება, რომ თუ მას არ მოეწონეთ და შეხვედრაზე უარი გითხრათ, ტყუილად ნუ გაირჯებით და ოფლს ნუ დაღვრით: ის მამაკაცს თვითონ ირჩევს, თან მისი ცდუნება უბრალოდ წარმოუდგენელია. თუ ის თქვენდამი სიმპათიით განეწყო, მაშინ ნამდვილი და რომანტიკული ურთიერთობისთვის მოემზადეთ. მასთან შეხვედრისას ნუ დაისხამთ ბევრ სუნამოს, აუცილებლად ცოცხალი ყვავილები მიართვით, დაპატიჟეთ იმ კაფეში, რომლის კედლები ხელოვნების ნიმუშებით არის დაშშვენებული და ცოცხალი მუსიკა ჟღერს. ის მიწის სტიქიას ეკუთვნის, ამიტომ თამამად შეგიძლიათ მიიწვიოთ ბოტანიკურ ბაღში ან სკვერში, სულაც არ იუკადრისებს. მასთან ხელგაშლილი კაცის როლს ნუ ითამაშებთ (მფლანგველი მამაკაცები არ ხიბლავს) და ზედმეტად ნუ ეკამათებით.

მარჩბივი

თუ ოდესმე გინატრიათ, რომ ებრაელთა მეფე სოლომონი ან რომელიმე სულთანი ყოფილიყავით, მაშინ იცოდეთ, რომ ეს ნატვრა ნაწილობრივ აგიცხადდებათ, ოღონდ, ამისათვის მარჩბივი ქალი უნდა შეირთოთ ცოლად. საქმე ის გახლავთ, რომ ვინც ამ ნაბიჯს გადადგამს, მას შინ მინიმუმ 4 ცოლი ეყოლება, ეს კი ჩვენს დროში ნამდვილი ჰარამხანაა. მართალია, მარჩბივი ქალი დიდად ენებიანი არ არის, მაგრამ მას შეუძლია, ერთდროულად რამდენიმე საქმე აკეთოს — მაგალითად, მოამზადოს ვახშამი, აუთოოს ქმრის პერანგი, აჭამოს ბავშვს და ილაპარაკოს ტელეფონზე. მარჩბივ ქალს გუნება-განწყობილებაც ხშირად ეცვლება და ზოგიერთ მამაკაცს ცოტა უჭირს, ტემპში აჰყვეს მას. გაორებული ხასიათისა და ფლირტისადმი მიდრეკილების გამო მან შესაძლოა, ოჯახი რამდენჯერმე გამოიცვალოს (ამის ნათელი დადასტურება მერილინ მონროა). საერთოდ, თუ თქვენც მარჩბივის ან მერწყულის ნიშნით არ ხართ დაბადებული, მოსალოდნელია, ცოტა გაგიჭირდეთ კიდეც მასთან ურთიერთობა.

კირჩხიბი

კირჩხიბი ქალი ორი ტიპის გვხვდება: ერთი ნამდვილი კირჩხიბი — რომანტიკული, რბილი, მოკრძალებული, ხოლო მეორე — მორიელის გავლენით — აქტიური, შემტევი და აბეზარიც კი. თუ მის გაცნობას მოინდომებთ, სავსემთვარეობა შეარჩიეთ: ამ დროს, საკუთარ ხასიათს დაუფარავად ავლენს და მისი შეცნობაც უფრო გაგიადვილდებათ. უპირველესი, რაც მასთან ურთიერთობისას უნდა იცოდეთ, არის ის, რომ არ შეიძლება, მას დასცინოთ და გააკრიტიკოთ, მისი თადასწრებით არავითარ შემთხვევაში არ მოჰყვეთ ანეკდოტი მომავალ სიდედრზე. პირიქით, რაც უფრო მეტ პატივს სცემთ კირჩხიბი ქალის ოჯახის წევრებს, მით უფრო პოზიტიური გახდება თქვენდამი მისი დამოკიდებულება. აუცილებელია, უთხრათ ბევრი ქათინაური, რადგან ეჭვიანი ბუნებისა და საკუთარი თავის რწმენის არქონის გამო, ის მოწყენილი და დეპრესიული ხდება. ხშირად გაუმეორეთ, რომ ძალიან გიყვართ, რომ ის საოცრად ლამაზია და ა.შ. საერთოდ, ის ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში ცოტა წაისუსტებს და ეცადეთ, ყოველთვის მის გვერდით იყოთ.

ლომი

თუ მასთან რომანის გაბმა (მით უმეტეს, ოჯახის შექმნა) გსურთ და მატერიალურად არცთუ ისე მყარად დგახართ ფეხზე, ჯობს, ამ განზრახვაზე ხელი აიღოთ. ლომი, თუნდაც ის ძუ იყოს, მაინც ლომია და ე.ი. მეფეა (უფრო სწორად — დედოფალი). ასე რომ, მას ისე უნდა მოეპყროთ, როგორც დედოფალს ეკადრება — მისი თანდასწრებით ნუ დაჯდებით პირველი, ჯერ მას შესთავაზეთ სკამი, მანქანიდან გადმოსვლისას კარი გაუღეთ და ხელი გაუწოდეთ, დაპატიჟეთ რაიმე შოუზე ან კონცერტზე, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ეს სოლიდური წარმოდგენა უნდა იყოს. კიდევ ერთი რჩევა: მოიკრიბეთ ძალები და ეცადეთ, ყველა სხვა თაყვანისმცემელი ჩამოაცილოთ. ყოველთვის დიდებული და განსხვავებული იყავით. „რა კარგად გამოყურები“ — კომპლიმენტად არ გამოგადგებათ, უფრო ვნებიანი და რაღაც „ეგზოტიკური“ მოიფიქრეთ. მასთან შეხვედრისას, შავი და რუხი ფერის ტანსაცმლით ნუ შემოიფარგლებით — აარჩიეთ ოქროსფერი, ნარინჯისფერი და ყვითელი, რადგან ეს „მეფური“ ფერებია.

ქალწული

თქვენ რა, ქალწული ქალი მართლა კდემამოსილი, მორჩილი და ნაზი ნიმფა გგონიათ?.. ნურას უკაცრავად. არ დაგავიწყდეთ, რომ მას მიწის სტიქია ორგანიზებულობით, შრომისმოყვარეობით, მიზანსწრაფვით, პლანეტა მერკური კი — ანალიტიკური გონებითა და სწრაფი აზროვნების უნარით აჯილდოებს. ის მორცხვია, მაგრამ ამავე დროს, საკმაოდ მოწესრიგებული. ასე რომ, თუ უფლება მოგცათ, შინ მიაცილოთ, მის ჭიშკართან დამშვიდობების დროს, დიდი ხნის უნახავი მეგობარივით ნუ გადაეხვევით ან საკოცნელად ნუ დაეძგერებით — ეს არ მოეწონება. თუ გადაწყვიტა, რომ მისი რჩეული თქვენ ხართ, მაშინ მას აზრს ვერავინ შეაცვლევინებს. ქალწულში სიყვარულის გაღვიძება ძნელია, მაგრამ მის გრძნობას სიყვარულის ისეთი მაგიური ასპექტები ახლავს თან, რომლებთან შედარებით სხვა ზოდიაქოთა სასიყვარულო ვნებები უფერულდება. მასთან ურთიერთობის დროს, აუცილებლად დააკვირდით საკუთარ მანერებს, იყავით დახვეწილი, ნუ დაიწყებთ ლანძღვა-გინებას, ნუ მოჰყვებით ფრჩხილების კვნეტას, ლოთობას — ერთი სიტყვით, იყავით ჯენტლმენი.

სასწორი

თუ ულამაზესი ფაიფურის თოჯინა გინახავთ, რომელსაც აბრეშუმის თმა და არშიებით მორთული კაბა აცვია, მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის სასწორი ქალი იქნებოდა. ვინ თქვა, ზოდიაქოში ყველაზე ლამაზი, ღრიანკალი ქალიაო?! არაფერიც. ღრიანკალი უბრალოდ, ვნებიანი, ამასთან — საბედისწეროცაა. სასწორი ნამდვილი ქალია (ბრიჟიტ ბარდო და სარა ბერნარი ხომ გახსოვთ?.. ორივე, სასწორის ნიშნით იყო დაბადებული). სიყვარული სასწორ ქალს მოჰკითხეთ: ის თვითონ გიბიძგებთ იმისკენ, რომ სიყვარული აუხსნათ და მას თავბრუ დაახვიოთ. ასე რომ, თუ თქვენი რჩეული სასწორია, პირველი, რაც უნდა დაიმახსოვროთ — სიყვარულისგან ნუ დაბრმავდებით. გახსოვდეთ, ამ ლამაზი და ინტელექტუალი ქალის მიღმა, საოცრად მტკიცე, კამათის მოყვარული და ფულის მფლანგველი არსება იმალება. თუმცა, ის საუცხოო დიასახლისია და შესაძლოა, თქვენი ბინა პარიზის მოდის სახლს დაამსგავოს (ეს რამდენი დაჯდება, ვერ გეტყვით...).

ღრიანკალი

გახსოვთ ფილმი — „ისტვიკელი ალქაჯები“?.. იმ ფილმში სამივე პერსონაჟი ღრიანკალია... თუ მისტიკური გარეგნობის ქალმა სიგარეტის მოკიდება გთხოვათ და ამავე დროს, თვალებში დაჟინებით ჩაგაშტერდათ, მაშინ ის თქვენს დაჰიპნოზებას ცდილობს. ეს კი მთელ ზოდიაქოში მხოლოდ ღრიანკალს შეუძლია. თუ ბედმა გაგიღიმათ (თუ გაგწირათ?!.) და თქვენი სიყვარულის ობიექტი ღრიანკალი გახდა, მაშინ გახსოვდეთ — ის პაემანზე თავჭუდმოგლეჯილი არ გამოიქცევა, რათა კისერზე ჩამოგეკიდოთ და თქვენს ალერსიან სიტყვაზე ექსტაზში არ ჩავარდება. მას ვერ მოატყუებთ, ამიტომ იყავით გულახდილი, რათა პრობლემები არ შეგექმნათ. ყველაზე მთავარი, რაც უნდა გახსოვდეთ — თუ მასთან სერიოზული გრძნობები არ გაკავშირებთ, მაშინ გირჩევთ, გართობის მიზნით ნუ დაუახლოვდებით, თორემ, თავბედს გაწყვლინებთ. თუ შეგიყვარათ, მაშინ ყველაფერში დაგეხმარებათ და ეს თქვენ მართლაც ძალზე წაგადგებათ ცხოვრებაში, მისით ნამდვილად იამაყებთ.

მშვილდოსანი

თუ მშვილდოსან ქალს გაიცნობთ, მეორე დღესვე ნუ წარუდგენთ საკუთარ მშობლებს, თორემ ინანებთ. დამშვიდდით და შეეცადეთ, მისი ხასიათი კარგად შეიცნოთ. თუ მაინც ეცდებით, ეს მხიარული, ექსტრავაგანტური და ვნებიანი ქალი თქვენი ოჯახის წევრებს გააცნოთ, შესაძლოა, იქ ისეთი რამეები წამოროშოს, რომ თმა ყალყზე დაგიდგეთ. ეს მას სიბოროტით არ მოუვა, ის ისეთი ალალია, რომ შესაძლოა, ვერც კი მიხვდეს, რომ სისულელე თქვა. თუმცა, ამას კოცნით უმალ გამოასწორებს. ის რამდენადაც ჭკვიანი (ფილოსოფიურ ან რელიგიურ ტრაქტატს ერთი ამოსუნთქვით კითხულობს), იმდენადვე დაუცველია. ბავშვივით გულუბრყვილოა და მისი მოტყუება ყველას შეუძლია, ამიტომ იყავით მისი გულის მცველი — გულის და არა ტვინის, რადგან მას ჭკუით ბევრი ვერ შეედრება. თუ წაიჩხუბებით, ის არ გატყდება და ამყად მოგიგებთ: „არ გიყვარვარ და ნუ გიყვარვარ, აი, დარდი!“ მაგრამ მეორე დილით, მისი ბალიში ნამდვილად გასაწური იქნება... და კიდევ ერთი საკითხი: ნუ დაეჯერდნობით მისი დიასახლისობის ნიჭს, ჯობს, კარგი კულინარიის წიგნი უყიდოთ — ის მას ნამდვილად გამოადგება.

თხის რქა

ისევე, როგორც ამ ნიშნით დაბადებული მამაკაცი, თხის რქა მანდილოსანიც საზოგადოებაში ძნელი შესაჩნევია. ასე რომ, საზოგადოებაში ყოფნისას ნუ მოტყუვდებით — „იერიში“ ქერათმიან ლამაზმანზე არ მიიტანოთ, რომელიც შესაძლოა, საეჭვო წარმოშობის „შეღებილი“ საფრთხობელა აღმოჩნდეს. ყურადღება მიაქციეთ სერიოზულ გოგონას, რომელიც თავის ასაკზე ცოტა უფროსად გამოიყურება. შესაძლოა, მან თქვენი კომპლიმენტი უყურადღებოდ დატოვოს, მაგრამ მაინც ის აირჩიეთ და არ წააგებთ. დასავლელი ასტროლოგები ამბობენ, რომ თხის რქა ქალი ყოველთვის ცდილობს, შესაფერისი მამაკაცი მოძებნოს, რომელიც მას შედარებით მაღალ საფეხურებზე აიყვანს. ეს ნაწილობრივ მართალიც არის. უპირველესი მისი ღირსება ის არის, რომ მას ვერავინ შეედრება საყვარელი ადამიანის ნათესავების პატივისცემასა და მოვლაში. თუ თქვენც პატივს სცემთ მის ნათესავებს, მის ჭეშმარიტ სიყვარულს დაიმსახურებთ. ეცადეთ, მასთან ყოველთვის დახვეწილი იყოთ.

მერწყული

პირველი, რაც უნდა გახსოვდეთ მერწყულ ქალთან ურთიერთობისას, ის გახლავთ, რომ ის სიყვარულშიც ისეთივე წინააღმდეგობრივია, როგორც ცხოვრებაში. რაც უფრო შეეცდებით მასთან დაახლოებას, მით უფრო უცხოდ იგრძნობთ თავს და პირიქით. მას თქვენ გარდა, უამრავი საქმე ექნება, ასე რომ, დევიზი — „სამზარეულო, ეკლესია, ბავშვები“ — მასთან ურთიერთობისას არ გამოგადგებათ. თუ მისი შენარჩუნება გსურთ, არ შეზღუდოთ, მიეცით თავისუფლება და ის მუდამ თქვენი ერთგული იქნება. თუ ცოტას წაუდექტატორებთ, მაშინ ბედს მას ნუ დაუკავშირებთ — ის უბრალოდ გაგექცევათ. მერწყული ქალი განსაკუთრებით კარგი მეორე ნახევარია იმ მამაკაცისთვის, ვინც მეცნიერებასა ან პოლიტიკაში მოღვაწეობს. მისი ინტუიციური რჩევები ყველას ანცვიფრებს. თუ მისი გულის დაპყრობა გსურთ, ორიგინალობა უნდა გამოიჩინოთ (ეს განსაკუთრებით თქვენს ჩაცმულობასა და ვარცხნილობაში უნდა გამოვლინდეს). ნუ ეცდებით მის გადაკეთებას, ნუ იქნებით მეწვრილმანე, ეჭვიანი და ყველაფერი ჰარმონიულად განვითარდება.

თევზები

თუ თევზების ნიშნით დაბადებული ქალის ცოლად მოყვანა გადაწყვიტეთ, კარგად დაფიქრდით, უფრო სწორად — გაფრთხილდით, რადგან ისევე, როგორც სხვა წყლის სტიქიის ნიშნებს, თევზებსაც საკმაოდ რთული ხასიათი აქვს. თუმცა, ნაკლთან ერთად, მას ღირსებაც ბევრი აქვს. მას დიდად არ აწუხებს ამბიციები და ვერძის, ლომის, სასწორის, ღრიანკალის ან მშვილდოსნის მსგავსად, არასოდეს მოინდომებს მამაკაცთან თავის გატოლებას. ეს კი ცოტა როდია. თუმცა, ის ხანდახან პათოლოგიურად ეჭვიანია, ამიტომ თუ ზედმეტი პრობლემები არ გინდათ, ამის მიზეზი არ მისცეთ. ის თავისუფლად შეგიძლიათ დატოვოთ თქვენი ავადმყოფი ნათესავის მოსავლელად: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ზედ გადაჰყვება. მაგრამ არასოდეს დაგავიწყდეთ მისი დაბადებისა და თქვენი ქორწინების დღე... უმრავლეს შემთხვევაში, ის საკმაოდ უსუსურია და ამის გამო, საკუთარ თავს დეპრესიისკენ უბიძგებს ხოლმე. ეცადეთ, ეს პრობლემები, ალერსითა და ნაზი ამბორით მოუხსნათ.

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(4 - 10 აგვისტო)

ვერძი – 21/III-20/IV

ვერძთა უმრავლესობას გაეხსნება გზა ახალი შემოქმედებითი პროექტებისკენ. მოგეცემათ საკუთარი საქმეების მოგვარების საშუალება, რაც შემდგომში, მოძალებული პრობლემებისთვის თავის გართმევაში შეგიწყობთ ხელს. შესაძლოა, გაგიუმჯობესდეთ მატერიალური მდგომარეობა. პოზიტიურია ურთიერთობები კუროსა და მარჩბივთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები: 4, 6, 8. ნეგატიური დღეები: 9, 10.**

კუროს – 21/IV-21/V

გირჩევთ, ყურადღებით მოეკიდოთ იმ საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია კომერციასთან და ფინანსებთან (შესაძლოა, მოგიწიოთ გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევამ). მოერიდეთ ფულის სესხება-გასესხებას. დაგიქვეითდებათ სასიცოცხლო ენერგეტიკა. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კუროსთან, ნეგატიური – სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები: 7, 8, 9. ნეგატიური დღეები: 4, 6.**

მარჩბივი – 22/V-21/VI

ეს კვირა თქვენთვის მაინცდამაინც დადებითი არ იქნება. შესაძლოა, ფინანსური პრობლემების გამო, ინერვიულოთ. ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე. ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ, თორემ შესაძლოა, მათ გულგრილობა დაგწამონ. ურთიერთობები პოზიტიურია მერწყულსა და თევზებთან, ნეგატიური – მარჩბივსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები: 4, 5, 9. ნეგატიური დღეები: 6, 8.**

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

შესაძლოა, მცირე უსიამოვნებები შეგექმნათ, რაც ოჯახურ პრობლემებსა და სამსახურებრივ საქმიანობას შორის არსებულ შეუთავსებლობას დაუკავშირდება. გირჩევთ, საკუთარი გონებრივი და ფიზიკური ძალების მობილიზება მოახდინოთ, რათა „ოქროს შუალედს“ მიაგნოთ. ურთიერთობები პოზიტიურია თხის რქასა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები: 5, 6, 7. ნეგატიური დღეები: 4, 10.**

ლომი – 23/VII-23/VIII

გრძელდება პოზიტიური პერიოდი. შესაძლებელია, იმ პრობლემათა გადაწყვეტა მოგიხდეთ, რომლებიც დიდ ძალისხმევასა და ემოციების ხარჯვას მოითხოვს. ინიციატივისა და შემოქმედებითი მიდგომის გამომჟღავნების სურვილი გაგიძლიერდებათ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები: 4, 7, 8. ნეგატიური დღეები: 5, 9.**

ქალწული – 24/VIII-23/IX

შედარებით შესუსტდება ცხოვრებისეული წნეხი. ეს საშუალებას მოგცემთ, მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში. შესაძლოა, გაგიუმჯობესდეთ მატერიალური მდგომარეობა. ყველა მნიშვნელოვან საკითხს ინტუიციის კარნახით გადაწყვეტთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები: 5, 7, 9. ნეგატიური დღეები: 6, 8.**

სასწორი – 24/IX-23/X

გადაუდებლად დაამთავრეთ ის საქმეები, რომლებიც ბოლო თვის მანძილზე გაქვთ წამოწყებული (ეს განსაკუთრებით, სასწორის ზოდიაქოს პირველ დეკადაში დაბადებულ ადამიანებს ეხება). შესაძლოა, გაურკვეველ სიტუაციებში მოხვდეთ. პრობლემების მოგვარებისას, დაიხმარეთ მეგობრები. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური – კუროსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები: 4, 6, 10. ნეგატიური დღეები: 7, 8.**

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ეს პერიოდი კარმული იქნება თქვენთვის, ამიტომ ამ კვირაში წარმოქმნილი პრობლემების სათავე საკუთარ წარსულში ეძებეთ. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად უშეცდომოდ გაიარეთ ბოლო ერთი თვე. ეცადეთ, იყოთ უანგარო და გულისხმიერი. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – მარჩბივსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები: 6, 7, 8. ნეგატიური დღეები: 4, 5.**

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ძველი პრობლემების გადაჭრისა და რიგი საკითხების მოგვარების შანსები მოგეცემათ. შესაძლებელია, ამ ყველაფრისთვის ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც კი დაგჭირდეთ. ნუ იმოქმედებთ დაუფიქრებლად, ყველა შესაძლო სვლა წინასწარ აწონ-დაწონეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მერწყულთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები: 4, 5, 9. ნეგატიური დღეები: 6, 7.**

თხის რქა – 22/XII-20/I

შესაძლოა, ამ კვირის დასაწყისში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ. ნუ მიირთმევთ გაურეცხავ ხილსა და ბოსტნეულს. სასიამოვნო ცვლილებები გელით სასიყვარულო ურთიერთობებში. შესაძლოა, მეორე ნახევარმა ან შეყვარებულმა მოგიწყოთ სიურპრიზი, რომელიც ძლიერ გაგახარებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ვერძსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები: 5, 8, 10. ნეგატიური დღეები: 4, 9.**

მერწყული – 21/I-19/II

გირჩევთ, თავი შეიკავოთ ზედმეტი ლაპარაკისა და აქტიური მოქმედებისაგან, რადგან გაზრდილია შეცდომის ალბათობა. ნუ აჰყვებით ემოციებს, თორემ, შეიძლება, კრიტიკულ მომენტში თავი ვერ შეიკავოთ და წონასწორობა დაკარგოთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და ლომთან, ნეგატიური – კუროსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები: 6, 7, 8. ნეგატიური დღეები: 5, 10.**

თევზები – 20/II-20/III

ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ, რადგან ამას შესაძლოა, თქვენი ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვეს. ნუ შეეჭიდებით გლობალურ პრობლემებს. კვირის ბოლოს, თუ შესაძლებლობა გექნებათ, განმარტოვდით – ამგვარად, ნამდვილად უკეთ დაისვენებთ. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები: 4, 9, 10. ნეგატიური დღეები: 6, 8.**



ნაოსნობა
რომის პაპის რეზიდენცია
ნივრის აცმა
სახელმწიფო აფრიკაში
ორკორპუსიანი გემი
ისტ. ოლქი ესპანეთში
კურორტი საფრანგეთში
აშშ-ის შტატი
კამეჩის ნაშიერი
სამორინე
საყვავილე ვაზა
რიტუ ნივთიერების ცომისებრი მასა
ჭკუის სწავლება, დარიგება
ხემიანი მუს. საკრავი
საპყრობილე
ბანქოს ერთგვარი თამაში
კორეის ფულის ერთეული
ვაუაფშაველას პოემა
პატარა აფრიკული თუთიყუში
ცხენბურთი
ხელოვნურა ენა
ყველა გემის ერთობლიობა
ერთგვ. ხელოვნური ბოჭკო
ჩეხი კომპოზიტორი
ცეცხლგამძლე კარადა
რუსული მცირელიტრ. ავტო
ერთგვარი საზაფხულო ქუდი
ჩირაღდანი
თმის საშრობი ხელსაწყო
დაკოდილი ცხენი
ხვლიკის სახეობა
კუზიანი ვარსკვლავი
გესლი
ჩანჩქერი ჩრდ. ამერიკაში
...მუსოლინი
მჭევრმეტყველი ადამიანი

27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-ა;

ანეკდოტები

***

ჯუნგლებში ორი კაციჭამია სადილობს:

— ჩემი ცოლი თუ მოგეწონა? — ეკითხება მასპინძელი.

— ძალიან... ძალიან... — ენის წკლაპუნით პასუხობს სტუმარი.

— მაშინ ერთი ნაჭერი კიდევ გადაიღე, — სთხოვს სტუმართმოყვარე მასპინძელი.

***

— როგორ ფიქრობთ, რა გამოხატა აქ მხატვარმა — აისი თუ დაისი?

— დაისი.

— საიდან ასკვნით?

— ვიცნობ მაგ მხატვარს: შუადღემდე ცხოვრებაში არ გაუღვიძია.

***

საზაფხულო აფორიზმი: თუ თქვენმა კატამ ყეფა დაგიწყოთ, ესე იგი, შვებულებაში უნდა გახვიდეთ.

***

— დღეს ცუდი დღეა, დოლარი რომ დოლარია, ისიც კი დაეცა, — თავს იმართლებდა ბიზნესმენი მდივანი ქალის წინაშე...

***

— თქვენთან გუშინ ყველი შევიძინე.

— მერე რა?

— თქვენ მითხარით, რომ შვეიცარიულია.

— გითხარით, მერედა, რაა, რო?!.

— რა და ისეთი ხარისხისაა, მაინტერესებს, ეს ყველი შვეიცარიიდან იმპორტირებულია თუ „დეპორტირებული“?

***

— ჩემს ცოლს დედამიწის ზურგზე ყველაზე საშინელი მახსოვრობა აქვს.

— არაფერი ამახსოვრდება?!

— პირიქით — დანაპირების ყველა დეტალი ზეპირად, ნიუანსებში ახსოვს.

***

ახალი მდივანი ეუბნება უფროსს:

— შეფ, მგონი, თქვენ გკითხულობენ.

— რას ჰქვია — მგონი?! მე მკითხულობენ თუ არა?!

— რა ვიცი, მე, აბა... ვიღაც რეკავს და მეკითხება: ეგ ხისთავიანი კიდევ ადგილზეაო?



***

განცხადება:

„დავგვით იატაკს, დავრეცხავთ სამოსს, მოვამტვერსასრუტებთ ბინას. მოკლედ, დავამტკიცებთ, რომ რაღაცის გაკეთება მაინც შეგვიძლია. საქართველოს საფეხბურთო ნაკრები“.

***

— რატომ წამოხვედით წინა სამსახურიდან?

— დაღლილობის გამო.

— რა დაღლილობის?

— კარგად მე თვითონაც არ ვიცი... ყველანი ამბობდნენ, რომ ჩემგან ძალიან დაიღალნენ.

***

ქუთაისის ტურისტულ ბიუროში:

— მართალია, რომ ბაჰამის კუნძულებზე, სადაც თქვენ გვთავაზობთ წასვლას, მზე 365 დღე ანათებს?

— რასაკვირველია! თანაც, 365 საშვალოდ, თვარა ისე — უფრო მეტიც...

***

ბიზნესმენი მაღალჩინოსანთან შედის:

— ორი კვირა თქვენთან მოსახვედრად უშედეგოდ ვიბრძოდი!

— ჩემს მდივან ქალს არ ელაპარაკეთ?

— ველაპარაკე კიდეც და კარგი დროც ვატარეთ, მაგრამ თქვენთან შემოსვლა მხოლოდ დღეს მოვახერხე.

***

პლაჟზე აცხადებენ:

— ქვიშაზე მორბენალი შიშველი მამაკაცის საყურადღებოდ! გთხოვთ, შემოირბინოთ ადმინისტრაციაში: ჩვენც გვინდა თქვენი ნახვა!..

***

— ექიმო, რატომ მაქვს ცუდი ანალიზი?

— რამდენი გადაიხადე?

— 10 ლარი.

— აბა, რა გინდოდა?!. ა, ჩახედე ფასებს... კარგი ანალიზი 23 ლარი მაინც ღირს.

***

მოხუცი მედდა წნევას უზომავს პაციენტს:

— ახალგაზრდავ, ძალიან აჩქარებული პულსი გაქვთ.

— უკაცრავად, ბებია, მაგრამ თქვენ რაც გიჭირავთ, მგონი ეს ხელი არ არის.

***

— გუშინ სტადიონზე ვიყავი. მაგრა ვისიამოვნე.

— ვინ მოიგო?

— არ ვიცი. მე გოგონასთან ერთად ვიყავი.

***

განცხადება:

„მარტოხელა“ საფეხბურთო კლუბი ოცნებობს, შეხვდეს თავისი ოცნების ოლიგარქს“.

***

— 45 წლის ვარ და 30 წელია, ერთი კაცი მიყვარს.

— ბედნიერია შენი ქმარი. იცის?

— გაგიჟდი?!. მომკლავს!..

***

მეგრელს ცოლმა საყვარელთან შეუსწრო. მეგრელი არ დაიბნა:

— ხოხ, ცირა?!. აბა, ვისი გულობიზა ვირჯები ახლა მე?!.

***

რაზმის მეთაური:

— მოწინააღმდეგე ცოცხალი უნდა შევიპყროთ!

— ასეთი მნიშვნელოვანი პერსონაა?

— არა, ტყვიები გაგვითავდა.

***

მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:

— ბრალდებულო, თქვენ ამ ქალთან გეძინათ?

— რას ლაპარაკობთ, ბატონო?! თვალიც არ მომიხუჭავს!..

გადაიხდით თუ არა ვერცხლის ქორწილს?

ამჯერად გთავაზობთ ტესტს ქალებისათვის, უფრო სწორად კი — ცოლებისათვის. შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ასეთსავე ტესტს, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისათვის — ანუ ქმრებისათვის იქნება განკუთვნილი. ტესტის მეშვეობით გაარკვევთ, თუ როგორი შანსები გაქვთ იმისათვის, რომ თქვენს ძვირფას მეორე ნახევართან ერთად იზეიმოთ ვერცხლის ქორწილი. ქვემოთ მოცემულ სიტუაციებზე, დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემაა საჭირო.

1. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ქმარი მჯობია და მისი შესაფერისი არ ვარ.
2. ქმრის მხრიდან წახალისება არ მაკლია; ის კმაყოფილია ჩემი შესაძლებლობებით, მიღწევებითა და აზროვნების უნარით.
3. ქმარი ყოველთვის დამცინის, აბუჩად მიგდებს და ჩემი მიღწევების მნიშვნელობის დამცრობას ცდილობს.
4. ქმარს ურჩევნია, რომ ყველაფრით მასზე ვიყო დამოკიდებული.
5. როცა დიეტას, ვარჯიშს ან რამე ისეთს ვკიდებ ხელს, რაც გარეგნობის შენარჩუნებასა თუ დახვეწაში დამეხმარება, ვგრძნობ, რომ ჩემს მეუღლეს შინაგანად ეს აღიზიანებს.
6. ქმარს ხშირად მოსდის გული ჩემზე.
7. მეუღლეს მოსწონს ჩემი ის თვისება, რომ საკუთარი თავის დაცვა შემიძლია.
8. ჩემს ქმარს მოსწონს, როცა ინტიმურ სფეროში ინიციატივას ვიჩენ.
9. მას აკმაყოფილებს ჩვენ შორის არსებული ინტიმური ურთიერთობა.
10. ქმარს მოსწონს ჩემი გარეგნობა.
11. ვფიქრობ, რომ ქმარს ესმის ჩემი.
12. ჩემი მხრიდან ბევრი მეგობრის ყოლის სურვილს, ქმარი სასიყვარულო თავგადასავლებისაკენ შეფარულ ლტოლვად მიიჩნევს.
13. ჩემს მეუღლეს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ყოველთვის მართალია.
14. ჩემი აზრით, ქმარი ძალიან მაფასებს.
15. ქმარი თავის თანასწორად მიმიჩნევს.
16. ქმარმა მშვენივრად იცის, სინამდვილეში რასაც წარმოვადგენ და სწორედ ასეთი მოვწონვარ.
17. თუკი სხვებისთვის ჩემი ქმრის ნათქვამით ვიმსჯელებთ, ის ისევე მექცევა, როგორც ახლო მეგობარს.
18. ქმრის აზრით, ზოგჯერ „ზედმეტად რომანტიკული“ ვარ.
19. ჩემს გატაცებებში ქმარი სიამოვნებით მიბამს მხარს.
20. ზოგჯერ ქმარი მეტისმეტად მკაცრ შეფასებას აძლევს ჩემს ქმედებას, რაც გულს მტკენს.
21. მეეჭვება, რომ ქმრის ზოგად მოთხოვნებს ცოლის თაობაზე, მე ვერ ვპასუხობ.
22. ჩემი შეცდომებისა თუ ნაკლის შესახებ, ქმარი დაუფარავად ლაპარაკობს სხვებთან.
23. ქმარს სჯერა ჩემი.
24. ქმარი მაშინაც კი ეჭვიანობს, როცა ამის საფუძველი საერთოდ არ აქვს.
25. ჩემს მეუღლეს სრულებითაც არ აშფოთებს ის, რომ მე საკმაოდ ახლობელი მამაკაცი-მეგობარი მყავს (რაღა თქმა უნდა, უბრალოდ მეგობარი იგულისხმება).
26. ხშირად მეჩვენება, რომ ქმარს ჩემი დაქალები არ მოსწონს.
27. ბუნებრივია, ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება მაქვს, მაგრამ ზოგჯერ სიმშვიდე და მარტოობაც მჭირდება – ორივე შემთხვევაში, ქმარი პატივს სცემს ჩემს არჩევანს.
28. ქმარი უფლებას მაძლევს, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი ვიქონიო, თანაც ამას ისე ახერხებს, რომ თავი დამნაშავედ არ ვიგრძნო.
29. ქმარი აღიარებს, რომ ჩვენ ბევრი რამით ვგავართ ერთმანეთს.
30. როცა ქმარი გახდილს მხედავს, ცოტა არ იყოს ვცბუნდები ხოლმე.

დააჯამეთ ქულები: ყოველ დადებით პასუხში 2, 7, 8, 9, 10, 11, 13, 15, 16, 17, 19, 23, 25, 27, 28, 29 შეკითხვებზე დაიწერეთ 1 ქულა; ასევე 1 ქულა დაიწერეთ უარყოფითი პასუხისთვის 1, 3, 4, 5, 6, 12, 14, 18, 20, 21, 22, 24, 26, 30 შეკითხვებზე.

ტესტის შედეგები

26-30 ქულა: თქვენი ქორწინება შედგა. თქვენ გამუდმებით გრძნობთ ქმრის სიყვარულსა და პატივისცემას. მას არც თქვენი ინდივიდუალობა აშფოთებს და არც თქვენი პირადი თავისუფლება. გაგიმართლათ, ისეთ ადამიანს რომ შეხვდით, რომელიც ასე უშურველად გაიღებს სიყვარულს. ნებისმიერი ქალი ხომ სწორედ ამაზე ოცნებობს. ასე რომ, თქვენს მეორე ნახევართან ვერცხლის ქორწილს კი არა, ოქროს ქორწილსაც გადაიხდით.

21-25 ქულა: თქვენ გრძნობთ, რომ ქმარს ესმის თქვენი და გაფასებთ, მაგრამ თქვენს ურთიერთობაში კრიტიკული ზონებიც არსებობს. თქვენთვის სასარგებლო იქნებოდა, თუკი ქმარს ამაზე გულახდილად დელაპარაკებოდით. ლაპარაკის შემდეგ, შესაძლოა გაირკვეს, რომ თქვენ უბრალოდ გეჩვენებათ, თითქოს ქმარს თქვენი ქცევა არ მოსწონს, ეს უსაფუძვლო ეჭვიანობის ბრალი ან გაუგებრობის შედეგია. საბოლოო ჯამში, ნათელია, რომ მას თქვენდამი საკმაოდ ძლიერი გრძნობა აქვს. ასე რომ, ვერცხლის ქორწილის გადახდის პერსპექტივა ნამდვილად გაქვთ.

16-20 ქულა: ქმრის გრძნობებში ეჭვის შესატანად, საკმაოდ სერიოზული საფუძველი გაქვთ. მეტისმეტად ხშირად გრძნობთ იმას, რომ ქმარს თქვენი საქციელი არ მოსწონს, არ გენდობათ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაკონტროლებთ. გირჩევთ, არ გადადოთ და პატიოსნად და სერიოზულად დაელაპარაკოთ ყველაფერზე.

15 ქულაზე ნაკლები: ქმართან არასახარბიელო დამოკიდებულება გაქვთ და მასთან სრულებითაც არ გრძნობთ მყუდროდ თავს. საეჭვოა, რომ ასეთ მკაცრ პირობებში სიყვარული გადარჩეს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲔᲥᲡᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

გერმანული გასართობი ჟურნალი რეკორდული სისწრაფით – ერთ დღეში – გაიყიდა მას შემდეგ, რაც მის ფურცლებზე, ერთ-ერთ ბორდელში, ნახევარსაათიანი უფასო მომსახურების კუპონი მოათავსეს.

პოპულარული გამოცემის Friezeit-ის მკითხველები კინაღამ შოკში ჩაცვივდნენ, როცა მის შუა გვერდებზე ზალცბურგში მდებარე ბორდელის რეკლამა იხილეს. სარეკლამო ტექსტი, თითოეულ მამაკაცს, ვინც კუპონს ამოჭრიდა, ბორდელში, პარტნიორი ქალის საკუთარი გემოვნებისდა მიხედვით არჩევას და ნახევარსაათიან უფასო მომსახურებას ჰპირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია, ბორდელის რეკლამამ ჟურნალის მკითხველების – უმეტესწილად სუსტი სქესის წარმომადგენლების – დიდი აღშფოთება გამოიწვია. „ეს საშინელი უხამსობაა!“ – განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა ვერა ჰანენმა, რომელიც ჟურნალის მუდმივი მკითხველია და ეს ნომერიც ჩვეულებისამებრ იმიტომ შეიძინა, რომ თვალი გადაევლო – თუ სად შეეძლო დასვენება და გართობა უქმე დღეებში. „ჟურნალი მკითხველს კულტურული ღონისძიებებისა და საზოგადოებრივი გასართობი ადგილების შესახებ უნდა აწვდიდეს ინფორმაციას და რაღაც, არა მგონია, ბორდელი ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდეს. მე, როგორც ქალი, მსგავს რეკლამას საკუთარ შეურაცხყოფად აღვიქვამ“, – დასძინა მან.

თავის მხრივ, გამომცემლობის სარეკლამო განყოფილების ხელმძღვანელი ამბობს, რომ არ ესმის, რატომ აღელდა მკითხველი ასეთი წვრილმანის გამო. ის ამტკიცებს, რომ არც ვიზუალურად და არც შინაარსობრივად, რეკლამაში მიუღებელი არაფერია და მკითხველებს ცილისწამებაში ადანაშაულებს.

მიუხედავად ყველაფრისა, ზალცბურგის ბორდელის თანამშრომლები სარეკლამო აქციით ფრიად კმაყოფილი დარჩნენ და აღნიშნეს, რომ რეკლამის შემდეგ კლიენტურა საგრძნობლად მოემატათ. ■

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲓᲝᲜᲐᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ

ათასობით მორწმუნე შეიკრიბა ნეაპოლთან ახლომდებარე პატარა ეკლესიაში, იმის იმედით, რომ კვლავ იხილავდნენ ღვთის სასწაულს, რომელიც გასულ კვირას მოხდა: ლოცვის დროს, მადონას ქანდაკება რამდენიმე წუთით გაცოცხლდა.

მრავალრიცხოვანმა მრევლმა, რომელიც იტალიის პატარა ქალაქ აჩერაში ლოცვას ესწრებოდა, საკუთარი თვალით იხილა, რომ ქალწულ მარიამის ქანდაკებას, რომელიც საკურთხევლის გვერდით იდგა, თითქოს ხორცი შეესხა, სახე გაუვარდისფრდა და რამდენიმე მოძრაობაც გააკეთა.

ამბობენ, ერთ-ერთმა თვითმხილველმა ამ მოვლენის ვიდეოკამერით გადაღებაც კი მოასწრო და კასეტა ადგილობრივ მღვდელს დაუტოვაო.

სიახლე ამ სასწაულის შესახებ, ელვისუსწრაფესად გავრცელდა. ხელისუფლებას ეკლესიის დროებით დაკეტვაც კი მოუხდა, რათა ექსპერტებს, რომლებიც ქალაქში სპეციალურად ჩავიდნენ, საშუალება მისცემოდათ, ყველაფერი მშვიდ ატმოსფეროში შეესწავლათ.

ეკლესიის მრევლი კი, რომელსაც უფლის სასწაულში დასარწმუნებლად, ვიდეოკასეტა სულაც არ სჭირდება, ამბობს: ბოლო ორი კვირის მანძილზე, ამგვარი შემთხვევა არაერთხელ მოხდაო. ■

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲩᲔᲜᲡ

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული „ახალგაზრდა დედა“, რომელმაც შვილი 66 წლის ასაკში გააჩინა, ამით არ კმაყოფილდება და სურს, თავის პირმშოს დაიკო ან ძმიკო აჩუქოს.

უნივერსიტეტის ყოფილმა ლექტორმა, ამჟამად კი, მწერალმა – რუმინელმა ადრიანა ილიესკუმ, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 67 წელი, პირველი შვილი – ელიზა მარია მიმდინარე წლის იანვარში გააჩინა. როგორც ქალბატონი ილიესკუ ამბობს, მას ყოველთვის სურდა შვილი ჰყოლოდა, მაგრამ ვინაიდან ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა და ბუნებრივი გზით დაფეხმძიმება არ შეეძლო, ხელოვნური განაყოფიერება გაიკეთა, რისთვისაც ექიმებმა უცნობი დონორის სპერმა გამოიყენეს. გინეკოლოგები ქალის ორგანიზმს ამ პროცედურის ჩასატარებლად, 10 წლის მანძილზე ამზადებდნენ.

ილიესკუ დედობით იმდენად ბედნიერია, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა, „ჩადენილი გმირობის“ გამეორებას აპირებს. ამის შესახებ მან გინესის წიგნის სერტიფიკატის გადაცემის მომენტში განაცხადა. გინესის რეკორდების წიგნში ქალბატონი ილიესკუს სახელი შევა – როგორც ყველაზე ხანდაზმული ქალისა, რომელმაც პირველი შვილი 66 წლის და 230 დღის ასაკში გააჩინა. „თუ უფალი ინებებს, კიდევ ერთი შვილს სიამოვნებით ვიყოლიებ“, – განაცხადა ადრიანამ.

მიუხედავად ამისა, ილიესკუ ქალბატონებს მოუწოდებს, მის მაგალითს ნუ ბაძავენ და ურჩევს, შვილი მანამ გააჩინონ, სანამ ახალგაზრდები არიან. „ხანდახან მე თვითონაც მიკვირს, საიდან მაქვს ამდენი ენერგია... მე ხომ თითქმის არასოდეს ვიღლები“, – ამბობს ის. თან დასძენს, რომ ქალებმა თავი იმით კი არ უნდა დაიმშვიდონ, რომ 66 წლის ასაკშიც შეეძლებათ მშობიარობა, არამედ თავის დროზე იფიქრონ შვილის გაჩენაზე. „ეს ყველას როდი შეუძლია, საამისოდ კაჟივით ჯანმრთელი უნდა იყო და უმრეტი ძალა და ენერგია გქონდეს... თუმცა, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ღვთის ნებაა“, – ამბობს ბედნიერი დედა.

წინა რეკორდი ინდოელ მასწავლებელს, სატაბხამა მაჰაპარტას ეკუთვნის, რომელმაც ვაჟი 2003 წელს – 65 წლის ასაკში გააჩინა. ■

ფოტოკუთხეები



გამოვიდა აგვისტოს ნომერი

ლიტერატურული პალიტრა

631/18

- ვასო გოგასშვილი
- ბელა ხვედელიძე
- სანდრო ყასაბოა

მონატრება

- თამაზ ბიბილაური
- ნელი ოთარაშვილი

პოეზია

- ვახტანგ ჩაკვეტაძე
- დავით ბერდიანიძე
- ირმა მეტალინოშვილი
- ჯონ ბ. ყრინი

ორმაგი დაბლევა (ამერიკული ბესტსელერი)

- ერნიელა ჯიმენგუერი

აღმოხდების მზე (ფიესტა)

№ 8 (11), აგვისტო, 2005

ფასი 1.5 ლარი

თქვენ ხომ გვმოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...